

კახტანგ ჭანკოტაძე

# ჩუმი შენ



კოლნარი

ვახტანგ ჭანკოტაძე

ჩემი  
მან  
პიროვნები

(გამოცდილების გაზიარება)

გორი-თბილისი  
2020 წ.

**რედაქტორი** დ. ჭანკოტაძე

**კორექტორი** დ. გოცირიძე

**კომპიუტერული  
უზრუნველყოფა** შ. მურადაშვილი

**მხატვრები** გ. კუსრაშვილი, ვ. ვანიშვილი,  
ბ. ზუბაშვილი, ა. გოჩაშვილი,  
ნ. უკუაშვილი

## ნინამდებარე

წინამდებარე წიგნის დაწერის სურვილი გამიჩნდა ათიოდე წლის წინ, მაგრამ ბოლო დრომდე ვერ ვძედავდი გარკვეულ მიზეზთა გამო.

„მემუარებს“ ვერ დავარქმევდი, რადგან ვთვლიდი, რომ არ ვარ იმ დონის პიროვნება, რომელიც იმსახურებს ასეთი ჟანრის ლიტერატურულ ნაწარმოებს. ვერც „თავგადასავლებს“ ვუწოდებდი, რადგან ვერ შევედრებოდი, ვერანაირად, ცნობილ სათავგადასავლო შედევრების გმირებს და ა.შ.

არადა მოსაგონარი და დასაწერი ბევრი მქონდა და მაქვს, დაწყებული თელავის სპორტსკოლაში ფეხბურთის თამაშიდან, როცა მწვრთნელად გვყავდა თბილისის „დინამის“ ყოფილი ლეგენდარული მეყარე ა. დოროხოვი და დამთავრებული ქ. გორის საპატიო მოქალაქის წოდებისა და აკაკი წერეთლის პრემიის მონიჭებით.

მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი იყო მომავალი წიგნის ჟანრობრივი ფორმის საკითხი და რაც ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია – სახელწოდება, რომელიც არ უნდა ყოფილიყო გადამეტებით პრეტენზიული, მაგრამ ისეთი, რომ მიეცყრო ყურადღება.

ჰოდა, შეირჩა ის, რაც შეირჩა „ჩემი შენ გითხარი“ (გამოცდილების გაზიარება).

წიგნის მიზანი კი გახლავთ ერთადერთი რამ: მკითხველს გავუზიარო ჩემი ამქეყნად არსებობის პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებებით დაგროვილი გამოცდილება, სამსჯავროზე გამოვიტანო მრავალი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებსაც ყოველდღიურად აწყდება ადამიანი და შევთავაზო ჩემეული დასკვნები და რეკომენდაციები.

მოხარული ვიქწები, თუ მკითხველი რაიმე სასარგებლოს ნახავს და არა მარტო ნახავს, არამედ გამოიყენებს კიდეც თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ გამოცდილების გაზიარება, თაობებზე გადაცემა არის საზოგადოების სრულყოფისა და განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი.

ნათქვამია „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო“. ღმერთმა ინებოს, ჩემმა მოკრძალებულმა მცდელობამ, თუნდაც მცირედ მაინც შეასრულოს ასეთი ხიდის როლი.

„...ჯართს იბარებენ ფერადსაც, შავსაც,  
ოქრო-ვერცხლითაც ითბობენ ხელებს,  
ცხოვრება უჭირს კეთილსაც, ავსაც,  
გადასარჩენად დავეძებთ ხვრელებს.  
გადაწყდებოდეს დავა ბარემ დღეს,  
მოვიშორებდი მძიმე დილემას...  
ნეტავი ვინმე ჩაიბარებდეს  
ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას“.

დაე, ეს წიგნი იყოს „ცოდნისა და გამოცდილების“ ჩაბარე-ბა-მილების მცდელობა.

ძვირფასო მკითხველო! ოთხმოცდახუთწლიანმა ცხოვრებამ, ბუნებრივია, დამიგროვა (როგორც ყველა ხანდაზმულს) გარკვეული ცოდნისა და პრატკიკული გამოცდილების საქმაო მარაგი, რისი ფრაგმენტებიც მინდა შემოგთავაზოთ და გაგიზიაროთ, კერძოდ კი ისეთ თემებზე, როგორებიცაა: პატრიოტიზმი, განათლება, მეცნიერება, ბუნების სიყვარული, ადამიანური ურთიერთობები, დროის რაციონალური გამოყენება, მოწესრიგებულობა, წიგნისადმი დამოკიდებულება, ეროვნული ტრადიციები, ტელეპათიური მოვლენები, კოსმოპოლიტიზმი, სიცრუე, ურთიერთგაგება, მკრებელობა, თანდაყოლილი და ვარჯიშით გამომუშავებული ჩვევები, ამბიციურობა, უზრდელობა, სიზარმაცე, თავხედობა, ყიდვა-გაყიდვის ხელოვნება, სიტყვის შესრულება, ეთიკის ნორმები, რაინდული თვისებები, ქართული ენის სინმინდე, ჰუმანურობა, სასწაულები, სიკეთე და სიბოროტე, სატელეფონო საუბრების კულტურა, სულგრძელობა, ხელგაშლილობა, მიმტევებლობა, სივრცეში ორიენტაცია და ა.შ.

აქვე მსურს ალვინიშნო, რომ რასაც ქვემოთ მოგახსენებთ (ციტირების გარდა) ეს გახლავთ ჩემი პირადი მოსაზრება და არავითარ შემთხვევაში ვინმესთვის თავზე მოხვევის მცდელობა. მოხარული ვიქნები თუ შევძლებ მკითხველისათვის მცირედი სარგებლობის მოტანას.

დაბოლოს მინდა მომიტევოთ და არ ჩამითვალოთ რაიმე ამბიციურობაში, ან კუდაბზიკობაში, თუ ხშირად გამოვიყენებ პირველი პირის ნაცვალსახელს, რადგან გთავაზობთ, სწორედ რომ, ჩემი ცხოვრების ფრაგმენტებს, ჩემს განცდებსა და შთაბეჭდილებებს, ჩემს მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და ამონარიცებსაც კი ჩემი ლექსებიდან.

**ავტორი**

## განათლება და მეცნიერება

მსოფლიო დონის არაერთ კლასიკოსს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება განათლებისა და მეცნიერების განვითარებისა და უმაღლეს დონეზე აყვანის აუცილებლობაზე, რადგან სწორედ ამაში ხედავდნენ და ხედავენ ერის (ქვეყნის) წინსვლისა და აღმავლობის მტკიცე გარანტიებს.

მსოფლიო სიმაღლეების დასაპყრობად აუცილებელია საუკეთესოდ ჩამოყალიბებული და ორგანიზებული განათლებისა და მეცნიერების სისტემა. ყველაფერი უნდა იყოს თავის ადგილზე და ყველაფერს ერქვას თავისი სახელი. სწავლა უნდა იყოს საამაყო საქმე. პედაგოგებიც მეტნაკლებად ღირსეულად იქნებიან დაფასებულები, დამკვიდრებული უნდა იყოს მკაფიო სამომთხოვნებო დისციპლინა, მაღალი პასუხისმგებლობა და მოსწავლეთა, სტუდენტთა, ასპირანტთა და დოქტორთა მომზადების ხარისხი. დახვეწილი და ეფექტური სასწავლო პროგრამები. შედეგებიც საქმაოდ შთამბეჭდავი იქნება. მსოფლიო განათლებისა და მეცნიერების საერთო სისტემაში უმაღლესი შეფასებებით და საყოველთაო აღიარებით მუდამ სარგებლობდა: მათემატიკის, ფიზიკის, ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის, ფიზიკიატრიის, ქირურგიის, ასტრონომიის, ტრავმატოლოგიის, ფილოსოფიის და სხვა ქართული სკოლები.


ქართველ მეცნიერთა სახელები დიდი პატივით და პატივისცემით მოიხსენიებოდა საუკუნის დიდ მეცნიერთა სახელების ჩამონათვალში. ასეთები გახლდნენ: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ვიქტორ კუპრაძე, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, არნოლდ ჩიქობავა, კორნელი კეკელიძე, თამაზ გამყრელიძე, ავლიპ ზურაბაშვილი, ანდრია რაზმაძე, ევგენი ხარაძე, ადამ ჩახტაური, ილია ვეკუა, ლუდმილაური, ლვამიჩავა, ფიფა, ციციშვილი, ჟორდანია და ბევრი სხვა. ყველას ჩამოთვლა ძნელია.

და ქუჩდა ქართული განათლებისა და მეცნიერების ხმა მთელ მსოფლიოში. მათ შორის, პირადად მე მასწავლიდნენ: ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძე, ე. ხარაძე, ა. ჩახტაური, ი. ვეკუა, რითაც ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი.

გთხოვთ მიმოიხედოთ გარშემო; რასაც კი ხედავთ, რასაც ეხებით – ყველაფერი მეცნიერების, ანუ მაღალი დონის განათლების მქონე ადამიანების მიერ არის შექმნილი – ქინძისთავიდან დაწყებული და




აკაკი შანიძე



დიმიტრი უზნაძე



ანდრია რაზმაძე




ნინო ეგცენველი



შალვა ნუცხიძე



ქორნელი კეპელიძე



ვიქტორ კუპრაძე




ევგენი ხარაძე



არსოლდ ჩიქობავა



თამაზ გამყრელიძე



ილია ვეკუა



ნიკოლოზ მუსხელიშვილი

კოსმოსური ხომალდებით, მობილური ტელეფონებით თუ კომპიუტერული ტექნიკით დამთავრებული. დამისახელეთ თუნდაც ერთი ნივთი, საგანი, დეტალი, რომელიც შექმნა გაუნათლებელმა ადამიანმა. ასეთი არ არსებობს. ნებისმიერ თქვენგანს ჯიბეში უდევს მობილური ტელეფონი. როგორ გონიათ, რამდენი დეტალია ამ მართლაც ჯადოსნურ კოლოფში და რამდენი დარგის მეცნიერი მუშაობდა მის შექმნაზე და რამდენი წელი? ზოგადად გეტყვით: ასეულობით დეტალი, ათიათასობით მეცნიერ-ინჟინერი და რამდენიმე ათეული საუკუნე. ამ, დღევანდელი სასწაულის შექმნაში სხვადასხვა დროს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ ისეთი დარგების მეცნიერები, როგორებიცაა: გეოლოგები (მადულის და ნედლეულის აღმოჩენა და მოპოვება), მექანიზატორები (ამოლება, ტრანსპორტირება), კონსტრუქტორები (მანქანა-დანადგარების შექმნელები), მეტალურგები (გადამუშავება), საქონელმცოდნები, მეთამატიკოსები, ქიმიკოსები (სალებავები), ეკონომისტები (ეფექტურობა), ფინანსისტები (მოგება-წაგების ანალიზი), დამპროექტებლები, მექანიკოსები, მენეჯერები და მრავალი სხვა და მრავალი წელი.

დღეს კი, ერთი შეხედვით, თითქოს, არაფერი. რა მოხდა ისეთი, ერთი პატარა ყუთია და მორჩა. შევეჩვიეთ და ყოველთვის ვერ ვაცნობიერებთ იმას თუ რამდენი ათასი მეცნიერის ნაღვანი გვიდევს ჯიბეში. და ეს ნაღვანი მხოლოდ და მხოლოდ განათლებული და მეცნიერებას შენირული ადამიანების შექმნილია და არა ბრიყვებისა და უვიცების მიერ. იგივე ითქმის მრავალ სხვა თანამედროვე ტექნიკური განვითარების პირმშოზე, რომელთა გარეშე არ არსებობს საზოგადოების უწყვეტი განვითარება, ადამიანის სრულყოფა, ყოველი ჩვენგანის მაქსიმალური უკუგება, საყოველთაო კეთილდღეობა, აზროვნებისა და შემოქმედების უმაღლეს დონეზე აყვანა.

ისევ მობილური ტელეფონის შესახებ.

შეიძლება ერთი კვირა გეწვალა, რომ ამერიკაში როგორმე დაგერეკა, ახლა კი წამებში შეიძლება სასურველი საუბარი. მეცნიერებმა, ანუ უმაღლესი დონის განათლებულმა ადამიანებმა, მოგვიტანეს ის ჟამი, რომ ათასობით კილომეტრ მანძილზე ადამიანებს არა თუ ვესაუბრებით, არამედ ვუცქერით კიდეც.

ხალხო, ეს ხომ დღევანდელობის ერთ-ერთი სასწაულია. ვინ შექმნა ეს სასწაული – განათლებულმა ადამიანებმა. სამწუხაროა, რომ ქართველი მეცნიერების წვლილი თანდათან ქრება დღევანდე-



თბილისის  
ივ·  
ჯავახიშვილის  
სახელობის  
უნივერსიტეტი



საქართველოს  
პოლიტექნიკური  
უნივერსიტეტი



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემია

ლი მაღალი ტექნოლოგიების და ტექნიკის თუ სხვა მნიშვნელოვანი სფეროს პორიზონტებიდან.

განათლებისა და მეცნიერების შესახებ საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. წინამდებარე წიგნის მთავარი მიზანია რეკომენდაციების მიცემა და ცოდნის გაზიარება. უბრალოდ, ჩამოგითვლით იმ სასწავლებლებს და იმ დარგებს, სადაც შესაბამისად ვსწავლობდი და ვმოლვანეობდი და სადაც შევიძინე ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მაქს და რომელ სფეროშიც მქონდა მეტნაკლებად წარმატებული საქმიანობა.

დავამთავრე თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. დაუსწრებლად ვსწავლობდი: ყოფილი ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში, მოსკოვის გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების სასწავლებელში, ოდესის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროები და დარგებია: საკონსერვო მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი ქვედარგი, ჩაის მრეწველობა, თამბაქოს წარმოება და სიგარეტის გამოშვება, ეთერზეთების წარმოება, პირველადი და მეორადი მეღვინეობა, ლიქიორის, კონიაკის, შამპანური ღვინის და სპირტის წარმოება, ლუდისა და ხილეული წყლების წარმოება, ფართო მოხმარების საგნების დაპროექტება, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ხელსაწყოთმშენებლობა, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, კვალიფიციური ტექნიკური კადრების მომზადება, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორობა და ა.შ.

ახლა, რომ არ გადაგდალოთ იმ უბედურების მუდმივი გახსენებით, რაც ჩვენს განათლებისა და მეცნიერების სისტემას დაატყდა თავს, ცოტას გაგამხიარულებთ და იმ ერთსტროფიან ლექსს გაგაცნობთ, რომელიც ჩუმად ჩავუდე ჯიბეში უფუნქციონ დარჩენილ ჩემს მეცნიერ-კოლეგას, რომელსაც ლილოს ბაზრობიდან ჩამოჰქონდა ათასგვარი წვრილმანი და ყიდდა გორში (პურის ფულს ვშოულობო, მითხრა გულნატკენმა).

„ვეღარ დადიხარ პრინცივით,  
დაპტიხიხარ როგორც ფიგარო,  
ყიდვა-გაყიდვის პრინციპით,  
პურს ძლივს ყიდულობ, ჯიგარო“.  
(პევრი უცინია).

არ ვიცი, რამე საინტერესო და თქვენთვის მისაღები თუ მოისმინეთ, მაგრამ აქვე, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მსურს ერთი კონკრეტული რეკომენდაცია მოგახსენოთ.

მართალია საქართველოში, სითხის სახით, ყველაზე მეტს წყალს და ღვინოს მოიხმარენ, თუმცა, ჩაიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და გთავაზობთ მისი დაყენების ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს (აქვე ჩემს მიერ წყლის მიღების რეჟიმის შესახებ). ჯერ ორიოდ სიტყვით ჩაის კულტურის შესახებ. ჩაი, როგორც კულტურა არსებობდა ჩინეთში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე. ჯერ ხმარობდნენ, როგორც წამალს, შემდეგ კი დაიწყეს მისი გამოყენება პროდუქტის (საკმაოდ სასიამოვნო და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო) სახით.


საქართველოში ჩაის კულტურა შემოიტანეს მე-20 საუკუნის და-საწყისში. პირველი პლანტაციები გააშენეს ჩაქვში, გურია-აჭარის საზღვართან, ზღვის პირას.

ჩაის ფოთლები შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის მეტად საჭირო ნივთიერებებს, როგორიცაა: ნახშირწყლები, ჰეკტინები, ეთერზეთები, ცილები, ქლოროფილი, ორგანული მუავები, სხვადასხვა ვიტამინი, მინერალური ნივთიერებები, ფერმენტები და სხვა.

ახლა, როგორ დავაყენოთ ჩაი: წყალი არ უნდა ადუღდეს ბოლომდე. დაიწყებს თუ არა დუღილის პროცესს (შიშინს), უნდა გადავდგათ ცეცხლიდან. ჭიქაში ჩავყაროთ 1 ჩ/კ ჩაი (სასურველია ჭიქა წინასწარ იყოს შეცხელებული). დავასხათ იმდენი წყალი, რომ ჩაი დაიფაროს (არა მეტი), შევფუთოთ (ტილოთი, სპეციალური საცმით, ბალიშით და ა.შ.) და გავაჩეროთ 10-15 წუთით. ამის შემდეგ დაგასახათ წყალი და შევავსოთ ჭიქა. არავითარ შემთხვევაში არ ჩავყაროთ შაქრის ფხვნილი („პესოკი“). სჯობია ჩავაგდოთ კრისტალური შაქრის პატარა (ალუბლის კურკის ტოლი) ნატეხი და ჩაი მივირთვათ ან კანფეტით ან ტკბილი ნამცხვრით, ან შოკოლადის ნატეხით. ეს არის სულ.

ახლა ერთი სასაცილო ფაქტი ჩაისთან დაკავშირებით.

## ბურთულა ჩაი



იაპონელებმა და ჩინელებმა შექმნეს ჩაის მზა პროდუქციის ახალი სახეობა ე.წ. ბურთულა ჩაი. ჩვეულებრივი ჩაისაგან, რომელსაც წვრილი, დაგრეხილი ჩხირების ფორმა აქვს, ახალ სახეობას ჰქონდა დაგრეხილი პატარა ზომების ბურთულების ფორმა (მრგვალმარცვლოვანი) და გამოირჩეოდა საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ბურთულოვანმა ჩაიმ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

საბჭოთა კავშირმა ყურები ცქვიტა – როგორ უნდა გვაჯობონოდ და გადაწყვიტა სასწრაფოდ შექმნა ანალოგიური, ოღონდ უფრო უკეთესი ხარისხის ბურთულა ჩაი.

როგორც ჩაის წარმოებაში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას, საქართველოს, გამოეყო უზარმაზარი თანხა. პრობლემის გადაწყვეტა, ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დირექტივით, დაევალა დაბა ანასეულის (ოზურგეთი, ყოფილი მახარაძე) ჩაის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტს.

შეიქმნა მეცნიერ-მუშაქთა (ბიოლოგები, ეკონომისტები, ტექნო-

ლოგები, დამპროექტებლები, აგრონომები, კონსტრუქტორები, ტიტესტერები...) ოცდაათკაციანი სამუშაო ჯგუფი და დაიწყეს საქმე.

სამუშაო ჯგუფის ლიდერთა შორის იყო გამოცდილი მკვლევარი და გამოგონებელი შარკოვსკიც, რომელიც მაღალი მეცნიერული აზროვნების გარდა, გამოიჩინა სხარტი გონიერი, კლასიკური მუსიკის ცოდნით, მხატვრობის ნიჭით და თვითმყოფადი იუმორით. შარკოვსკის საზოგადოებაში ყოფნა სიამოვნებას ჰგვრიდა ყველას. ამასთან, მისგან ყოველთვის მოელოდნენ რაღაც საინტერესო სიურპრიზს.

პრობლემის გადაწყვეტის პროცესი მდორედ მიმდინარეობდა. ექვსი თვე გავიდა და სასიკეთო არაფერი ჩანდა. ფული იხარჯებოდა, მაგრამ პერსპექტივა არ ისინჯებოდა. მეცნიერ-მუშაკები არხეინად, რომ იტყვიან, ჰარი-ჰარალოთი იხარჯებოდნენ, აქაოდა წელიწადნახევარი კიდევ გვაქვს და რაღაცას მოვიფიქრებთო. „ზემოდან“ საგანგაშო სიგნალი გაისმა და ინსტიტუტის დირექტორმა შენიშვნაც მიიღო.

გახშირდა თათბირები, მომრავლდა შენიშვნები და საყვედლურები, იმატა ფუსტუსმა და უძილო ღამეებმა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში მიიწურა ერთი წელი.

ისახებოდა სახსრების უმიზნო და არაფერებული ხარჯვის პერსპექტივები, რაც კარგს არაფერს უქადა მეცნიერთა ჯგუფს და პირადად ინსტიტუტის ხელმძღვანელობას.

ისევ თათბირები, ისევ მზარდი დაძაბულობა, ისევ უაზრო ფუსტუსი, ნარუმატებლობის ერთმანეთზე გადაბრალება და ბოლოს სრული უიმედობაც. სწორად ამ სიტუაციაში ხმა გავარდა დაბა ანასეულში, რომ შარკოვსკიმ მიაგნო პრობლემის გადაწყვეტის გზას და ტექნოლოგიაც დააზუსტა და შესაბამისი მანქანა-დანადგარების ესკიზური პროექტებიც შექმნაო.

საერთო სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წინასწარ ზემობდნენ გამარჯვებას, ერთმანეთს ულოცავდნენ და ემადლიერებოდნენ ღვაწლმოსილ ინჟინერს, რომ სირცხვილისგან იხსნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

დირექტორმა სასწრაფოდ დანიშნა სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომლის წინაშეც უნდა წამდგარიყო თავისი სიახლით ინჟინერ-გამომგონებელი შარკოვსკი.

აუდიტორიაში ტევა არ იყო. მეცნიერ-მუშაკთა გარდა, გაფარ-თოებულ სხდომას, გამონაკლისის სახით, ესწრებოდნენ დაბა ანასეულის რიგითი მაცხოვრებლებიც. მოწვეულნი იყვნენ სამინისტროს ხელმძღვანელებიც. ამაღლებული განწყობა სუფევდა დარბაზში. შარკოვსკი არ ჩანდა. ინსტიტუტის დირექტორი ნერვულობდა, სახე ასწითლებოდა და წამდაუწუმ წყალს სვამდა.

აი ისიც. გამოჩნდა სამეცნიერო პრესტიუსის „გადამრჩენიც“. იღლაში დიდი გრაგნილი ჰქონდა გაჩრილი. ჩვეული, სწრაფი ნაბიჯებით მიღიოდა ტრიბუნისკენ და როგორც ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

დირექტორი წამოდგა, წელში გასწორდა და ომახიანად მიმართა გამომგონებელს – გთხოვთ მოგვახსენოთ თქვენი გამოგონების შესახებ.

შარკოვსკიმ მოიმარჯვე ჭიკარტები, გაშალა გრაგნილი და სწრაფად მიამაგრა დაფაზე.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მოულოდნელობის-გან ხმა ჩავარდნოდათ და გაშტერებული თვალებით შესცექროდნენ დაფაზე გაკრულს. ინსტიტუტის დირექტორს გული ისე წაუვიდა, რომ ხმის ამოღება ვეღარ მოასწრო.

წარმოდგენილ ესკიზებზე კი წვერებიანი თხა მისდგომოდა ჩაის მწვანე ფოთლით დახუნძლულ ტრანსპორტიორს, გემრიელად შეექცეოდა ძვირფას ნედლეულს, ღეჭვითა და ცოხნით მიაქანებდა კუჭისკენ და გადამუშავების შემდეგ მრგვალი ბურთულების სახით გამოჰყოფდა ბუნებრივი გზით.

შარკოვსკი იმავე წუთში დაითხოვეს თანამდებობიდან, დირექტორი კი დააქვეითეს რიგით ლაბორანტამდე.

ახლა კი, ნება მომეცით, გადავიდე კონკრეტულ საკითხებზე, კერძოდ კი იმაზე, თუ რა სამწუხარო შედეგებს იძლევა მასიური გაუნათლებლობა, უფრო სწორად კი, განათლების დაბალი დონე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რასაც ქვემოთ მოგახსენებთ არ ვრცელდება ყველაზე, თუმცა, დამახასიათებელია ადამიანთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობისათვის.

## ამბიციურობა

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოცემულ განმარტებით (ამათუ იმ) ლექსიკონებში ვკითხულობთ, რომ ამბიცია ეს გახლავთ პატივმოყვარეობა, მიღრეკებილება განდიდებისკენ, ამპარტავნობა, მიღრეკებილება – გამოჩნდე დიდი, გამძაფრებული თავმოყვარეობა და დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; კუდაბზიკობა, ქედმალლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამბიციური ადამიანები გვხვდებიან ნების-მიერ სფეროში და ისინი საკმაოდ არასასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიან თავის გარშემო, რაც ფრიად საზიანოა, როგორც თავად ამ პიროვნები-სათვის, ისე საზოგადოებისათვის და ქვეყნისათვის ზოგადად.

ნორმალურ საზოგადოებაში ამბიციურობა დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ავტორიტეტს, მის იმიჯს და ადამიანებთან ურთიერთობის ხარისხს.

საიდან მოდის ამბიციურობა? როგორ ვითარდება იგი? რა გარე-მოში აქვს დასაყრდენი და მისალებობა? რა არის ამბიციურობის განვითარების ხელშემწყობი პირობები? რა შედეგები მოაქვს ამბიციურობას? და ა.შ.

ეს ის შეკითხვებია, რომელიც აუცილებელია მოიძებნოს სწორი პასუხები, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

ვთვლი, რომ ადამიანის ამბიციურობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი, ისეთები, როგორიცაა: ნაწილობრივ მემკვიდრეობითიბა (ნუკლეიინის მჟავა) და ძირითადად კი გარემო, რომელშიც იბადება, იზრდება და ყალიბდება ესა თუ ის პიროვნება;

ყველაფერი იწყება ოჯახიდან, გრძელდება სასწავლებელში და საზოგადოების ვერტიკალურ ფენებში და მთავრდება უმაღლეს ეშელენობები.

ამბიციურობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს: თვითკრიტიკი-სა და ჯანსაღი კრიტიკის არარსებობა, მაამებლობა, გულგრილობა, პირფერობა, მლიქვნელობა, პირში სიმართლის თქმისგან თავის შეკავება და ა.შ., რაც ასევე გახლავთ საზოგადოების გაუნათლებლობის დონის მაჩვენებელი და ასევე მავნე ტრადიციის შედეგი – „რატომ ვაწყენინო“?

ადამიანს უნდა შეეძლოს თავისი შესაძლებლობების ოპიუქტური

შეფასება და ამისთვის იგი ბავშვობიდანვე უნდა მზადდებოდეს, როგორც მშობლების, ისე პედაგოგებისა და ახლოპელ-ნათესავებისა და მეგობრების მიერ.

ხალხური ნათევამია: „შვილი მტრად გაზარდე – მოყვრად გამოგადგება“. ცხადია, თუ რა იგულისხმება „მტრობაში“.

თუ ადამიანს ამბიციურობის ჭია შეუჩნდა, მერე უკვე მისი განთავისუფლება ამ მავნე სენისგან ძალიან ძნელია, თუმცა შესაძლებელი. ამიტომ არის საჭირო ბავშვის აღზრდა საზოგადოებრივი ფორმაციისა და დროის მოთხოვნათა შესაბამისად. როგორიც არ უნდა იყოს ფორმაცია და დროის მოთხოვნები, მიმაჩნია, რომ აუცილებელია ბავშვი შეეჩვიოს: სწავლას, შრომას, სიცივეს, სიცხეს, თოვლს, ქარს, საბავშო თამაშებს, ოჯახურ საქმიანობას, სიკეთისა და სიბოროტის გარჩევას, მეგობრობას და მეზობლობას, სტუმართმოყვარეობას, უფროსის პატივისცემას, გაჭირვებულის მხარში დგომას, სიტყვის შესრულებას, ქვეყნის სივყარულს და ა.შ.

ყველაფერი ეს ძნელი გასაკეთებელია, მაგრამ სიცოცხლის არსი ხომ სიძნელეების დაძლევაც გახდავთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ცხოვრებისეული სიძნელეების წარმატებული გადაღახვის შემდეგ არცერთ ადამიანს აღარ შეუჩნდება ამბიციურობის მატლი; იგი აღარასოდეს დაამძიმებს მიწას და არც სხვას და არც საკუთარ თავს მოუტანს ზიანს.

საინტერესოა ერთი გარემოებაც. როგორც წესი, გაუნათლებელი ადამიანები, უმეტესწილად, საუბრობენ ხმამაღლა, უესტების ინტენსიური გამოყენებით, მაშინ, როცა განათლებულები ლაპარაკობენ მშვიდად და ხმადაბლა. ეს უკანასკნელნი ხშირად იყენებენ სიტყვებს: „მე ასე ვფიქრობ“, „მე ასე მგონია“, „იქნებ ასე სჯობდეს“, „ალბათ, ასე უკეთესი იქნება“ და ა.შ.

განათლებული ადამიანი თავს იკავებს მკვეთრად გამოკვეთილი მტკიცებულების ფორმით საუბრისგან, არავის აწყვეტინებს სიტყვას და ცდილობს იყოს ლაკონიური.

გაუნათლებელი ადამიანების სასაუბრო ლექსიკონში კი ხშირად შეხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: „გააკეთეთ, როგორც გითხარით“, „მე რომ ვამბობ ე.ი. ასეა“, „ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული“, „ჭკუის სწავლება არ მჭირდება“, „შენი აზრი შენთვის შეინახე“ და სხვა.

მოვიყვან ორ რეალურ ამბავს, რომელიც მეტნაკლებად უკავშირდება ჩემს ცხოვრებას და რომლებმაც ერთხელ კიდევ განმიმტკიცა შეხედულება იმის შესახებ, რომ რთული და ძნელი ასატანია ურთიერთობა ამბიციურ და თვითგანდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანებთან.

## ვაიაკადემიკოსი

თბილისში, ერთ-ერთი ტექნიკური ხასიათის უურნალის რედაქტორს, ჩემს მეგობარს ვეწვივ. მის კაბინეტს რომ მივადექი, ოთახიდან შემომესმა საკმაოდ ხმამაღალი ლაპარაკის ხმა. ვიღაც ისე ყვიროდა, თითქოს ყელში წაუჭირეს და იხრჩობაო. ჩემი მეგობრის სიტყვებიც მოსწვდა სმენას. საუბრობდა ისე, როგორც ეს შეეფერება განათლებულ და თავმდაბალ ადამიანს.

– კაცო, ხომ გეუბნები, დამიჯერე. მე ეს ამბები არ მეშლება და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, – ყვიროდა ჩემთვის ჯერჯერობით უცნობი პირი.

– არ შეიძლება ასე. მომეცით დრო, გადავამოწმებ და მერე დაგიბეჭდავთ.

– არაფერი გადამოწმება არ სჭირდება ამ ამბავს...

შევაღე მეგობარი-რედაქტორის კაბინეტის კარი. ერთი სული მქონდა დამენახა ის პიროვნება, ყვირილით რომ იკლებდა იქაურობას.

მეგობარს გაუხარდა ჩემი დანახვა.

– ახლავე მოგხედავ. ჩამოჯექი, უურნალ-გაზეთები გადაათვალიერე, ახლავე გავნთავისუფლდები. წარმიდგინა იქმყოფი, რომელმაც ხელი ისე ჩამომართვა, რომ მტევნის ძვლებმა გაიტკაცუნა. ხარივით აბრიალებდა გადმოკარკლულ თვალებს და ორთქლმავალივით ქშინავდა. სახელიც მითხრა, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე.

ისევ რედაქტორს შეუტია ჯიქურ:

– ამ ბოლო დროს რაღაც ჭირვეული გახდი; მითხარი, დაბეჭდავ თუ არა!

ესა სთქვა და თითქოს საჩხუბრად მოემზადაო, ისე დაძაბა ორგეტრიანი სხეული.

– მე გითხარით, რომ ეს ფაქტები უნდა გადამოწმდეს, ან რეცენზია უნდა მომიტანოთ რომელიმე ცნობილი მეცნიერისგან.



– ჩემზე უკეთესად ვინ იცის ეს საქმე, რაღა რეცენზია გჭირდება?!

– ასე მოვიქცეთ, მოდი, ახლა მე დავურეკავ პროფესორ დ.დ.-ეს და იქნებ დაგვეხმაროს...

– იცი რას გეტყვი... ის თუ პროფესორია, მე აკადემიკოსი ვარ... ესა სთქვა და მორგვივით ხელი ჩაიყო პიჯაკის შიდა ჯიბეში, რაღაც მოწითალო-მოყავისფრო წიგნაკი ამოიღო და მაგიდაზე ისე-თი ძალით დაახეთქა, რომ ქაღალდები აფრიალდა და მოკრიალებულ პარკეტზე მიმოიფანტა.

– წამობრძანდით გვერდით ოთახში, რაღაცას გაჩვენებთ, – უთხრა რედაქტორმა და წინ გაუძლვა.

კარები მიიხურეს, მაგრამ იმ მოდღლეზილი პიროვნების ხმამაღლა-ლი საუბარი მაინც აღწევდა ჩემს ყურთასმენას.

მოთმინებამ მიღალატა. გაზეთი გვერდზე გადავდე და იმ მოწითალო-მოყავისფრო წიგნაკს მივწვდი, მაგიდაზე რომ მოისროლა მის-მა პატრონმა. მაინტერესებდა რისი აკადემიკოსი იყო ის თვალებგად-მოკარკლული და დასაკლავად განწირული ხარივით მოხრიალე პერსონა.

აი, რა ამოვიკითხე იმ წიგნაკში:

„საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის საცდელი მიკროლაბორატორიის უმცროსი ლაბორანტი ....“ (გვარი, სახელი და ფოტო).

თურმე, საქმარისი ყოფილა, რომ საუწყებო წიგნაკში ენეროს სიტყვა „აკადემია“ და მორჩა, აკადემიკოსი ხარ და ეგ არის.

ვაი, ჩვენს თავს, უბედურს!

(აქვე ვიტყვი, რომ ბოლო 20-25 წელია, რაც დაიწყო განათლებისა და, კერძოდ, მეცნიერების გაუფასურება და დაკნინება. ეს, უბრალ-ოდ, ახლადდამკვიდრებულ ტერმინებშიც კი ჩანს: ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი, უბრალოდ პროფესორი. არეუ-ლია მეცნიერების კანდიდატებისა და დოქტორების სამეცნიერო ხარისხები და წოდებები. ვეღარ გაიგებ, ვინ რა არის, რა წოდებას ან ხარისხს ფლობს და რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ფორმა და შინაარსი. სრული ქაოსია. ბევრმა დღეს ისიც არ იცის თუ ჩა-მოთვლილთაგან – კანდიდატი, დოქტორი, დოცენტი, პროფესორი, აკადემიკოსი, რომელია სამეცნიერო ხარისხი, რომელია წოდება, ან თანამდებობა, მაგრამ ეს სხვა საუბრის საკითხებია).

## გაითამაზა

„...თუ სადლებრძელოს წარმოთქმისას  
ხშირად იმოწმებ ავტორიტეტებს, ამით  
მხოლოდ შენი მეხსიერების გამოვლინებას  
ცდილობ და არა გონიერის“  
(პერიოდი. ლეონარდო და ვინჩი)

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1957-1993 წ.წ.) ხშირად გვსტუმრობდნენ მაღალი რანგის სპეცია-ლისტები და თანამდებობის პირები კვებისა და მსუბუქი მრეწველო-ბის სამინისტროებიდან და სხვადასხვა ტრესტებიდან. მათი ძირითა-დი მიზანი ყოველთვის იყო ზოგადი ზედამხედველობა, შემოწმება, რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემა, სამომავლო გეგმებზე მსჯელობა და ა.შ.

როგორც წესი, ყოველი ასეთი შეხვედრა მთავრდებოდა ქართული სუფრით, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ადამიანური ურთიერთობების დახვეწას და გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საქმე გვქონდა თითქმის ერთიდაიგივე ადამიანებთან იშვიათი გამონაკლისის გარდა. სწორედ ასეთი „იშვიათი გამონაკლისი“ შეხვდა ჩემს განყოფილებას. ჩემს მიერ კურირებული დარგის საუკეთესო მცოდნე და უკვე კარგად ნაკონბი პიროვნება, ავადმყოფობის გამო, შეცვალა კარგი გარეგნობის ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომელიც წარმოგვიდგინა ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა.

პირველივე გასაუბრებისას შევამჩნიე, რომ ის ახალგაზრდა ამჟღავნებდა ქედმაღლობას და კუდაბზიკობას, თავი მოჰქონდა თანამდებობით და თავისი უწყების სტატუსით. სულ მალე კი მან გამოამჟღავნა სრული უკოდინარობა და არაკომპეტენტურობა, რაზედაც ის-ის იყო ვაპირებდი უკომპრომისო რეაგირებას, მაგრამ მთავარმა ინჟინერმა დროულად მანიშნა და თავი შევიკავე. „ის“ კი კვლავ განაგრძობდა აბდა-უბდას და სისტემატურად ხაზს უსვამდა თავის დედაქალაქელობას და რომელიღაც უმაღლესი სასწავლებლის ე.წ. „ნითელ დიპლომს“. მომწყინდა მისი ბაქი-ბუქი, მაგრამ რას ვიზამდი – „ზემოდან“ მოვლინებული პიროვნებისადმი მონურ მორჩილებას შეგვაჩვია კომუნისტურმა რეჟიმმა და პროტესტს აზრი არ ჰქონდა.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი, ჩვეულებისამებრ, შემოვუსხედით სუფრას (ოთხი დედაქალაქელი და ოთხიც მასპინძელი – ჩვენი დირექტორი, მთავარი ინჟინერი, მისი მოადგილე და მე) და მოლხენის მოლოდინში განყენებულ საკითხებზე შევუდექით საუბარს.

დამკვიდრებული, უცნაური სტერეოტიპის შესაბამისად, თამადობა შევთავაზეთ სტუმრებს (თამადისა და თამადობის შესახებ ჩემეულ გაგებას მოგახსენებთ ქვემოთ), მათ კი თავის მხრივ ერთხმად დაასახელეს ის კუდაბზიკა ახალგაზრდა, რომლის მიმართაც პირველი შეხვედრიდანვე უარყოფითად განვეწყე.

დემონსტრაციულად წამოდგა, მადლობა მოიხადა (ერთი არ წამოსცდენია: „არა, ბატონებო, არაო. მე ამას როგორ გავბედავ, თქვენ აქ ბრძანდებოდეთ, ასაკოვანი და გამოცდილი ხალხი და მე როგორ ავიღებ ჩემს თავზე და ა.შ.“), ჰალსტუხი ოდნავ მოუშვა, „ფილიპ

მორისის“ კოლოფი (მაშინ იშვიათობა გახლდათ) და ასევე უცხოური სანთებელა ცხვირწინ დაიდო და თეატრალური მანერით და ხმით წამოიწყო – ჯერ კიდევ არქიმედე ამბობდა „მომეცით ადგილი, სად-აც შეიძლება დავდგე და მე დავძრავ დედამიწასო“. ერთხელ კიდევ შეისწორა პალსტუხი და განაგრძო. ავგუსტინე ბრძანებდა „ჭეშ-მარიტება შეიძლება დროებით დაიჩაგროს, მაგრამ მისი საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია“. ამაყად გადახედა სუფრას და... არის-ტოტელებ ბრძანა „სინათლე სიტყვის მთავარი ლირსებააო“; მაშ, გაუმარჯოს ჩვენს დღევანდელ შეხვედრასო – დაასრულა, დალია და დაჯდა.

ვერაფერიც ვერ გავიგე, მაგრამ ხმას როგორ ამოვილებდი. ასაკითაც, თანამდებობითაც და წონითაც (რაც ზოგჯერ საჭიროა) ყველაზე პატარა ვიყავი და თავის შეკავება მმართებდა. სხვებმა კი დიდმნიშვნელოვნად მიუჭახუნეს ჭიქები – ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოსო და განაგრძეს ჭამა-ყლაპვა.

მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად წამოდგა თამადა და დაინტენტი: დიდი რომაელი ფილოსოფოსი ბრძანებდა „სხვა ხალხებზე ბატონობა მარად ხანმოკლეაო“. მას გამოეპასუხა ასევე რომაელი პოეტი ნაზონი – „რანიც ვიყავით, რანიც ვართ, ხვალ ასეთები აღარ ვიქნებით“, პოდა, გაუმარჯოს იმ ადამიანებს, ვინც კეთილი მზერით შეგვხვდა. დალია, დაჯდა და „ფილიპ მორისის“ კოლოფი გახსნა.

სიკეთეს გაუმარჯოსო, მიაძახეს აქეთ-იქიდან, ჭიქები მიუჭახუნეს და განაგრძეს თოხლაობა, თან დაწყვილებულები ხმადაბლა საუბრობდნენ.

თანდათანობით სუფრა მაღალ ტონალობაში გაგრძელდა, ღვინო „თავის“ საქმეს აკეთებდა. თამადა კი (რომელსაც თითქმის აღარც უსმენდნენ) თავისას განაგრძობდა. ყველანაირად ცდილობდა ნაკითხი და გათვითცნობიერებული კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, ხაზს უსვამდა დედაქალაქელობის უპირატესობას და არცთუ მორიდებით, უფრო მეტიც, ქილიკით და ორონიით მოიხსენიებდა ე.წ. პროვინციებს და პროვინციელებს. ჩემმა დირექტორმაც შეამჩნია მისი კუდაბზიკობა და ზოგ შემთხვევაში გამონათქვამების უადგილობა; რამდენჯერმე ირიბად გადახედა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს და ითმენდა.

თამადა კი განაგრძობდა – „არისტოტელემ თქვა, რომ...“, „კანტი გვასწავლიდა, რომ...“, „სერვანტესის დონ კიხოტი არის სახე...“, „ვოლტერი ბრძანებდა...“, „რაფაელს რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, გაიმეორებდა სიტყვებს...“, „ჰომეროსი გვასწავლიდა, რომ...“, „რუზველტი აღნიშნავდა, რომ...“ და ასე გაუთავებლად. ყოველ სადღე-გრძელოს (თუ იმას სადღეგრძელო ერქვა!) იწყებდა საყოველთაოდ ცნობილი ფილოსოფოსების, პოლიტიკოსების, მწერლების, მხედართმთავრების და სხვათა გამონათქვამებით და ყოვლად უაზროდ ამთავრებდა რაიმე ტრადიციული, ქართული სუფრისთვის მიღებული ფრაზებით.

მას აღარავინ უსმენდა. ყველა „თავის“ ლოკალურ საქმიანობაში იყო ჩართული. თამადა ფეხზე წამოდგა და რაღაც სადღეგრძელოს სათქმელად მომზადებულმა წამოინყო თუ არა სიტყვები „....დიდი კუბელი მწერალი, ერნესტ ჰემინგუეი მიგვანიშნებდა, რომ...“ – მკახედ შევაწყვეტინე, წამოვდექი და სიტყვა მოვითხოვე.

გაოცებული მიყურებდა ყველა. ეტყობა გაღიზიანებული იერი მქონდა და მოთხოვნაც ზედმეტად კატეგორიული ჩანდა. ბრძანეთ, ბრძანეთო – მომაძახეს, ჭამა-ყლაპვა შეწყვიტეს და სმენად იქცნენ.

მე მინდა მივმართო ჩვენს თამადას – წამოვინყე აკანკალებული ხმით...

ბრძანეთ, ბრძანეთო – შემომძახეს ერთხელ კიდევ.

რამდენადაც შევძელი თავი შევიკავე, რომ თამადის კუდაბზიკობით დაგროვილი აგრესია არ გადმომენთხია და მივმართე დამარცვლით: პატივცემულო (მაშინ არ ვხმარობდით სიტყვა „ბატონს“) თამადა, გთხოვთ ერთი სადღეგრძელო მაინც გვითხარით თქვენი სიტყვებით.

თამადა, რომ იტყვიან, „გაშრა“. სხვები გაოცებულები დუმდნენ. გამოვცალე სასმისი და დემონსტრაციულად დავტოვე სუფრა.

ვიცოდი, რომ მეორე დღეს დირექტორისგან მივიღებდი სასტიკ საყვედურს, მაგრამ რა მექნა?! – ვერ ვაპატიებდი დედაქალაქელ კუდაბზიკას თავის წარმოჩინების დაუღვებელ უინს, ქართული ტრადიციების უაზრო ხელყოფას და, რაც მთავარია, ე.ნ. პროვინციელების აბურად აგდებას.

## ასეთი კაცი ამძიმებს მიწას

ნებივრობაში აღუზრდიათ, ლალად, ფერებით,  
სწავლა და შრომა არის მისთვის უცხო რამ ხილი,  
სხვები არიან (ასე ფიქრობს) აბდალ-შტერები,  
მას კი თვით ღმერთმა, უმაღლესმა უხმო ძახილით.

თავი უჭირავს სხვებზე მაღლა, სხვებზე ჭკვიანად,  
დათქმული სიტყვის შესრულება ჩალად თუ უღირს,  
ლვარძლით, დაცინვით, ქედმაღლობით და ეჭვიანად,  
უცქერის ყველას – ჭაბუქს, მოხუცს, მდიდარს თუ უბირს.

ზიზღით ღებულობს დარიგებას, შენიშვნას, რჩევას,  
ღიზიანდება თუ უხსენე კითხვა და წერა,  
ქილიკ-სისინით იხსენიებს ადამს და ევას,  
ოცნებებში კი თავზე გვირგვინს იმშვენებს ფერადს.

ნათხოვარ ნივთებს უაზროდ ყრის სადღაც სარდაფში,  
თუ რამ მოიგდო მორგვის ხელში – აღარ აბრუნებს,  
ჯერ სასიკეთო ვერა შექმნა აღმართ-დაღმართში,  
ცილისწამება, ბილწიტყვობა ხიბლავს, აცდუნებს.

თავად რაიმეს როდი გასცემს, სხვისგან კი ითხოვს,  
ყოველ უმსგავსს და არაკაცურს ადიდებს, იცავს,  
უაზრო სიცილს შეჩერეულა შობიდან, თითქოს...  
ასეთი კაცი, ნათქვამია, ამძიმებს მიწას.

## ქართული ენის დღის ცემოდება

„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“

„მიზეზთა მიზეზი ყოველი უბედურებისა – ეგაა უვიცობა“  
(ილია)

„ზურგის შექცევა დედა-ენისა დოდად ვნებს“

ხალხსა და უკან სწერს ქვეყანას“

„მშობლიური ენის უარყოფა საკუთარი თავის უარყოფაა“

(იაკობ გოგებაშვილი)

ამ დიდი კლასიკოსებისა და გულანთებული პატრიოტების სი-  
ტყვებს რაღა უნდა დაამატოს კაცმა, რომ ნათელი გახდეს მშობლი-  
ური ენის უდიდესი და განუმეორებელი როლი, ამა თუ იმ ერის  
განვითარების და, რაც მთავარია, ფიზიკური არსებობის გარანტიის  
საქმეში. ერის გადაგვარება, სრული გაკოტრება და საბოლოოდ მისი  
გაქრობა სწორედ რომ ენის წაბილწვით, გახრწნით, დაბინძურებით  
და დამახინჯებით იწყება.

არაერთხელ ყოფილა ქართული ენა საფრთხეში, არაერთ-  
ხელ სცადეს მისი სტატუსის შელახვა, მაგრამ ქართველმა ხალხ-  
მა გადაარჩინა იგი და დღემდე მოგვიტანა, როგორც უპირველესი  
ეროვნული ლირებულება.

ჩვენ, ქართველებს მართლაც გვეამაყებოდა და გვეამაყება, რომ  
ვიზრდებით, ვსწავლობთ, ვშრომობთ და ვცხოვრობთ ქართული ენის  
ფესვებზე დაყრდნობით და თანხლებით. დიახ, ჩვენ ამაყნი უნდა ვი-  
ყოთ, რომ ვსაუბრობთ, ვწერთ და ვქმნით შედევრებს, რომელთაგან  
ბევრმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა („ვეფხისტყაოსანი“, „შუშანი-  
კის წამება“, „ვეფხისა და მოყმის ბალადა“, „გმირთა ვარამი“, „დიდი  
მოურავი“, „დათა თუთაშხია“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ხევისპერი  
გოჩა“, „გლახის წამბობი“ და სხვა).

ქართული ენა გახლავთ ერთ-ერთი უძველესი ენა და როგორც  
ენათმეცნიერები აღნიშნავენ, საკმაოდ მარტივი ენა. სიმარტივე კი  
იმაში გამოიხატება, რომ როგორც იწერება, ისე იკითხება და ისე  
ვსაუბრობთ. ამასთან, რამდენადაც ვიცი, ქართული ენაა ის ერთად-  
ერთი ენა, რომელსაც გააჩნია ოთხპირიანი ზმნები, მაგალითად „მი-  
ჭმიე“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული ენა ბევრჯერ იდგა განადგურების საფრთხის წინაშე და მეტვენება, რომ დღესაც უჭირს ჩვენს მშობლიურ ენას. მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი თვითდინებაზეა მიშვებული. აღარ არსებობს ენის პალატა (მართავდა და აკონტროლებდა ენის სიწმინდის და გამართულობის პროცესს), აღარ არის პროფესორ ლ. ლვინჯილიას ტელეპროგრამა, რომელიც მოსახლეობის ფართო მასებს სანთლით დაატარებდა ქართული ენის წიაღში, თანდათან გაქრა ჰორიზონტიდან მხატვრული, თუ სხვა უარის ნაწარმოებების რეცენზირების აწყობილი სისტემა. მიუღებელი გახდა კრიტიკა და ა.შ.

დღეს, ვისაც როგორ უნდა, ისე ხმარობს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ქართულ ენას – აღარც გრამატიკული წესები, აღარც სასვენი ნიშნები, აღარც უნიკალური სინონიმები, თუ ომონიმები და სხვა.

(ერთ-ერთ კვლევით სამეცნიერო ინსტიტუტში დაადგინეს და ასრულებდნენ საერთო შეთანხმებას – საუბარში ვინც გამოიყენებდა უცხო სიტყვას, ვალდებული იყო სპეციალურ ურნაში ჩაეგდო 5 კაპიკი. ერთ-ერთმა ინიციატორმა მითხრა – სოლიდური თანხა გვიგროვდება, მერე მივდივართ და მრგვალ მაგიდასთან ქართული ენის სადლეგრძელოს ვსვამთო!)

არცერთი ენა არ არის დაცული უცხო სიტყვების შემოქრით, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს წესად. უცხო სიტყვების გამოყენება და-საშვები უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (იუ-მორი, შედარება, შეფასება და ა.შ.) და არასგზით უნდა უშლიდეს ხელს ჩვენი ენის სიწმინდეს და უნიკალურობას.

ნაწილი იმ სიტყვებისა, რომლებსაც დღეს ხშირად ვისმენთ ქუჩებში თუ თავშეყრის ადგილებზე:

„...აბა უსმინეთ, არ ნაღვლობენ სიტყვის შერჩევას,  
ზნეს და თაობას ანადგურებს ასე ბაასი:  
„როუა“, „კაროჩე“, „ჩემი დედა“, „პონტი“, „შეჩემა“,  
ეს რამდენიმე – დაითვლება, ალბათ, ათასი.

„ნაშა“, „კაიფი“, „დაბოლება“, „დაგაი“, „ჩაო“,  
„მასტი“, „ლაითი“, „ტასაობა“, „ბენდი“ და „ბორდი“,

„ნუ ბაზრობ“, „ტობე“, „აახვიე“, „სპასიბა“, „ძმაო“, „ბიჭო“, „იმენნა“, „მევასება“, გინდ „ვიყო ბოზი“.

და ა.შ.

იყო დრო, როდესაც ნებისმიერი წიგნის გამოშვება გადიოდა მრავალსაფეხურიან წინასწარ განხილვას და მკაცრი კონტროლის (არამარტო პოლიტიკური თვალსაზრისით) შემდეგ ან გაიცემოდა ნებართვა მის გამოცემაზე ან არა.

ამ საფეხურებზე აუცილებლად ხდებოდა ქართული ენის სიწმინდის კონტროლი (წამყვან როლს თამაშობდა საქართველოს მწერალთა კავშირი). დღეს სადღაც დაკარგულა ეს ფუნქცია და ინერება და იბეჭდება ათასგვარი აბდაუბდა, სიმახინჯე, სიცრუე, უსაფუძვლო, უზნეო, არაკომპეტენტური მონაჩინები და სხვა, რომელთაც არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ.

კიდევ კარგი (კარგია იმიტომ, რომ სჯობია არ წაიკითხო ასეთი უაზრობა, აბსურდულობა და უვიცობის „ნიმუშები“) რომ დღეს ცოტა ვინმე თუ კითხულობს წიგნს იშვიათი გამონაკლისის გარდა. ზეიმობს არაპროფესიონალიზმი, უვიცობა, თავსედობა, უზნეობა, არაკომპეტენტურობა, ელემენტარული წესების უცოდინარობა, ისტორიული ფაქტების დამახინჯება და ა.შ.

კარგი, გავანებოთ თავი წიგნებს (მაინც არავინ კითხულობს და ამ მხრიდან საფრთხე, შედარებით ნაკლებადაა მოსალოდნელი).

დავაკვირდეთ ტელეგადაცემებს. რა ხდება ამ სფეროში?

ცნობილია, რომ დღეს ტელეგადაცემებს არნახულად დიდი ფუნქცია აკისრია, როგორც ინფორმაციულობის, ისე აღმზრდელობისა და გათვითცნობიერებულობის თვალსაზრისით. ამავდროულად (გამომდინარე ქართული მენტალიტეტიდან – მიმბაძველობისკენ დიდი სწრაფვა) ტელეწამყვანები საკმაოდ პოპულარული ადამიანები არიან და დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ქართულით საუბრობენ ისინი.

პირდაპირ ვიტყვი – საშინელებაა მათი უმრავლესობის მოსმენა – არავითარი წესები, როგორც იტყვიან – „მიდი შეიდი!“! შეცჩერდები მხოლოდ საინფორმაციო პროგრამებზე (დაფიქსირებული მაქვს ტ/ა სახელები, თარიღი და დრო, მაგრამ მათი ჩამოთვლით დროს არ დავკარგავ).

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ცალკე ჯგუფებად.

## ა) გადაცემის ტემპი და სასვენი ნიშნების იგნორირება

ცნობილია, რომ ადამიანის სმენის ორგანოს (ყურს) შეუძლია ნორმალურად აღიქვას ბეგერათა სიხშირე გარკვეულ დიაპაზონში. თუ ბეგერათა სიხშირე ამ დიაპაზონს სცდება (მეტია, ან ნაკლები), მაშინ ყურს უჭირს მათი ალქმა. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ საერთოდ არ ხმარობენ სასვენ ნიშნებს და ძალიან ჩქარობენ – ხშირად ვლებულობთ გაუგონარ აბდაუბდას. საოცრად ჩქარობენ, თითქოს შეჯიბრი აქვთ – აბა, ვინ მეტ სიტყვას იტყვის „ჩასუნთქვიდან ჩასუნთქვამდე“.

რამდენიმე მაგალითი:

– „...დღეს ქართველმა მინისტრმა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელი ქალბატონი რობსონი დახურულ კარს მიღმა მცდელობა ჩაეშალა...“ (!)

აქ წამყვანს ჰაერი გამოელია ფილტვებში და გააკეთა იძულებითი პაუზა. გასაგებია, რაც მივიღეთ.

– „...მოედნის ცენტრი ისე გაიარა არავის წაწყდომია ბურთი გადასცა მეგრელიშვილს რომელმაც ძლიერი დარტყმით კარში გაიტანა ცინცაძე... (ჩასუნთქვა).“

– „...დელეგაციის ხელმძღვანელმა მასპინძლები დაარწმუნა იმაში, რომ საქართველოში თავდადებული შრომით მოვა აყვავება და ბედნიერება დღესვე...“ (?) და ა.შ.

ლეგნდად შემორჩენილი ერთი ისტორიული ამბავი:

ქვეშევრდომებმა მეფეს მოსთხოვეს წერილობით გაეცა მითითება დამნაშავის დასასჯელად. მეფემ დაწერა სულ სამი სიტყვა – „казнить нельзя простить“. ისტორია გადმოგვცემს, რომ მეფე ძალიან კეთილი და გულმონყალე იყო და მას დამნაშავის დასჯა არ სურდა.

ბოროტმა ქვეშევრდომებმა მეფეს ნაწერში პირველი სიტყვის შემდეგ ჩაამატეს სასვენი ნიშანი „მძიმე“, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავე უნდა ეწამებინათ. მეფეს ორი სიტყვის შემდეგ რომ დაესვა ნიშანი „მძიმე“, ეს უკვე პატიებას ნიშნავდა – „казнить нельзя, простить“.

## ბ) შეცდომები, არაკომპეტენტურობა, ბლეფი და უპასუხისმგებლობა

- ....თუ ძრავის მოცულობა 2500 კვადრატული სანტიმეტრია (!) მაშინ გადასახადი იქნება...“ (მოცულობა იზომება კუბურ სანტიმეტრებში!)
- ....ფანჩულიძესთან პალატაში მისი ოჯახის წევრები იმყოფება...“ (იმყოფებიან).
- ....დიდი ლიახვის ხეობაში გადაწყვეტილია მოსახლეობის გაზიფიკაცია...“ გაგიგიათ ადამიანების გაზიფიკაცია?!“
- ....დღეს 23 სექტემბერს ვზეიმობთ კრწანისის ბრძოლაში ქართველების დამარცხებას...! (რუსთავი-2“. 24.10.2007 9/15 სთ) ამაზე მეტი აბსურდი გაგიგონიათ?!
- ....ნალექიანი გრადუსი“...
- ....ჰაერის ტემპერატურა გათბება 22 გრადუსამდე?!
- ....სიამაყით შეიძლება ალინიშნოს, რომ ამ მოვლენამ 360 გრადუსით შეცვალა მდგომარეობა...“ რა არის აქ საამაყო?! ნათქვამი ნიშნავს, რომ სადაც იყავი, ისევ იქ ხარ!!!
- ....კონცერტები გაგრძელდება 25 დეკემბრამდე...“ (ამას გვატყობინებენ 27 დეკემბერს).
- ....თბილისში შემოვლითი რკინიგზის აშენების შემდეგ ქალაქში გამონთავისუფლდება 100 კვადრატული მეტრი ფართობი...“ (ერთი დიდი ე.წ. „ზალაა“).
- ....ხანძროს მიზეზი სავარაუდოდ იყო შეშის დაუდევრობა...“
- ....ფართობი 80 კილომეტრია...“ (ფართობი არ იზომება კილომეტრებით!).
- ....საქართველოს ნაკრებმა დაიკავა მეორე ადგილი და ახლა იბრძოლებს მესამე ადგილისათვის...“
- ....ქორეოგრაფიული ცეკვები...“ (ნეტა რომელია არაქორეოგრაფიული ცეკვა?!).
- ....ბუნებრივი აირის მიწოდება მოსახლეობას აღუდგება 14 საათამდე მაცხოვრებლებს მოვუწიდებთ არ დატოვონ ონკანები დაკეტილ მდგომარეობაში...“ (?)
- ესეც უსაფრთხოების წესების დაცვა!!
- ....მურმან ლებანიძის გარდაცვალებიდან 88 წელი გავიდა...“

(ამას გვეუბნებიან მაშინ, როცა 10 წელიც კი არ იყო გასული).

ტელეწამყვანმა („გააცნე და მოიგე“) გ. ვარდოსანიძემ გადაცემისას (2014 წ. 20 აგვისტო), მას შემდეგ, რაც ოთხმა მონაწილემ ვერაფერი მოიგო და მხოლოდ მეზუთეს გაუმართლა, ასეთი რამ თქვა – „დღეს პირველად შეიღო ჩვენი სეიფის კარი“-ო.

მსოფლიოში არ არსებობს სეიფი ისეთი, რომლის კარიც შეგნით იღებოდეს! („შეიღო“ ზუსტად ამას ნიშნავს).

– „...2010 წელს საქართველომ საექსპორტოდ გააგზავნა 15 მილიონი ლვინის ბოთლი...“ (თურმე ტარასაც ვაგზავნით საზღვარგარეთ (?!).

– „....მანძილი თბილისიდან ახალქალაქამდე სამ საათამდე შემცირდა...“ (მანძილი საათებით არ იზომება).

სამწუხაროდ, ისტორიულად შემოგვრჩა ზოგიერთი არამართებული გამოთქმაც, მაგალითად „შარვალ-კოსტუმი“. უნდა გვახსოვდეს რომ „კოსტუმი“ ეს არის შარვლისა და პიჯაკის ერთიანობა (კომპლექტი, ორეული). ამბობენ – „ახალი შარვალ-კოსტუმი ეცვაო“.

რა გამოდის?! ორი შარვალი და ერთი პიჯაკი ეცვა??!

ერთი მაგალითი:

ყმანვილმა გამაჩერა ქუჩაში და მომმართა: „...ბაბუ, ერთი გადამიკიდე, რა...“

...ვიფიქრე, რაღაც უჭირს, ხელები დავიკაპინე და ზურგი შევუშვირე... ვიფიქრე – გზაზე გადავიყვან, ტაქსს გავაჩერებ და წავიყვან... იქნებ ფეხი გადაუბრუნდა, იქნებ აპენდიციტის შეტევა აქვს (ვფიქრობ ჩემთვის)...

თურმე სიგარეტის მოკიდება უნდოდა.

აი, ასე მახინჯება მშობლიური ენა (უბნის პატარა ბიჭები ხომ მიბაძავენ?!).

დაბოლოს, ტელეწამყვანების მიერ ხშირადგამოყენებადი სიტყვა „ამით“: ამით ვამთავრებთ, ამით გემშვიდობებით, ამით, ნება მოგვეცით..., ამით ჩვენი დრო ამოინურა, ამით დროა დავამთავროთ... და ა.შ. თან ამ დროს თავს დაბლა ხრიან (იცქირებიან ქალალდებში).

აი, ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მშობლიური ენის დამახინჯება და გახრნა, მისი კეთილულერადობის და

მართლწერის დაკნინება და იგნორირება, რაც მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს ენის სიშინდეზე.

„...ბედნიერი ვარ, რომ ვსაუბრობ  
ქართული ენით,  
ამავ ენაზე რომ ვკითხულობ  
ვაუსას, ილიას,  
ჩემს არსებაში რომ თუხუხებს  
ქართული გენი...  
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ –  
მოგონილია...“

## ტელეპათიური მოვლენები

ტელეპათია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: ტელე – შორს, პატოს – გრძნობას.

ტელეპათია არის მოვლენა, რომელიც გამოიხატება ერთი რომელიმე პირის ნერვიულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემაში მეორე პირისთვის შორ მანძილზე. ამ მოვლენის მეცნიერული მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი და ცნობილი.

ტელეპათიის მოვლენა დღესაც გაოცებას იწვევს ადამიანებში. ხალხური გამოთქმაც ხომ ვიცით: „ძალლი ახსენე და ჯოხი გვერდზე მოიდეო“.

ცხოვრების განმავლობაში, ხშირად მქონია ამ თემაზე საუბარი ფიზიკოსებთან, ასტროფიზიკოსებთან, ბიოლოგებთან, ფსიქოლოგებთან და ა.შ. მათი კომენტარების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ ადამიანებს ბუნების მიერ აქვთ ეს „ნიჭი“ ბოძებული და რომ თითოეულ მათგანში მეტნაკლები ინტენსივობით არის წარმოდგენილი. ამასთან, ზოგიერთს შეუძლია ინფორმაციის (ფიქრის, აზრის) მანძილზე გადაცემაც და მიღებაც, ზოგიერთს კი უფრო მეტად „ეხერ-ხება“ ან გადაცემა ან მიღება.

ფიზიკოსებისგან ისიც მსმენია, რომ შესაძლოა საქმე გვაქვს ელექტრომაგნიტური გამოსხივების (ტალღების) სპეციფიკურ (გან-

საკუთრებულ) სახეობასთან (ფორმასთან), რომელიც მჭიდრო კავშირშია ტვინის უჯრედებთან.

როგორც აღმოჩნდა, არც მე გახლავართ გამონაკლისი და მეც გამაჩნია, გარკვეული დოზით ინფორმაციის შორი თუ ახლო მანძილიდან მიღების უნარი (გადაცემის უნარზე ვერაფერს გეტყვით, თუმც რამდენჯერმე შევძლი წინმიმავალი ადამიანისათვის ფეხის არევა, ფეხის წამოკვრა ჯიუტი და მიშტერებული მზერით).

დაახლოებით 50 წლის წინ გადავწყვიტე მანძილიდან მიღებული ინფორმაციები (ტელეპათიური) დამეფიქსირებინა, შემეგროვებინა და მერე გადამემუშავებინა იმ იმედით, რომ იქნებ რაიმე საფუძვლიან დასკვნამდე მიგსულიყავი – თუ რა არის ტელეპათიის მიზეზი, არსი, როგორ ხდება აზრის გადაცემა ან მიღება, რა ახდენს გავლენას ამ პროცესზე და ა.შ. მაგრამ...

ჩანაწერებს ვაკეთებდი ყველგან და ყველა პირობებში (ქალალდის ნაგლეჯებზე, სიგარეტის კოლოფზე, ხელსაწმენდზე) და ვაგროვებდი ერთ კეისში (1989 წელს ბინა გამიქურდეს და ის კეისიც ხელს გააყოლეს. ალბათ შიგ ფული ეგულებოდათ. საბედნიეროდ, სხვაგან შენახული ჩანაწერის ნაწილი შემომრჩა, რომელიც გამოიცა წიგნად „ტელეპათიური თავგადასავლები“. 2006).

სამწუხაროდ, რაიმე სერიოზული მეცნიერული დასკვნის გაკეთება ჩემთვის შეუძლებელი გახდა, ის კი აშკარად გავარკვიე, რომ ხსენებული ტიპის ინფორმაციას უფრო ხშირად „ვლებულობდი“ ზამთრის თვეებში, როცა ჰაერი (ატმოსფერი) უფრო სუფთაა და მტვრისგან და სხვა ნაწილაკებისაგან ნაკლებად არის „დანაგვიანებული“, რაც შეიძლება ხელს უწყობდეს ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებას; არ ვიცი, მტკიცებულებით ვერაფერს ვიტყვი.

მრავალნლიანმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ტელეპათიური ფაქტის (მოვლენის) დადგომა არ ემორჩილება ადამიანის სურვილს ან თუნდაც განსაკუთრებულ მონდომებას. ასეთი რამ ხდება ჩემთვის მოულოდნელად და იმ უხილავი შინაგანი, თუ გარეგანი მოვლენებისა თუ „მექანიზმების“ ზეგავლენით, რომელთა შესახებ ჯერჯერობით ცოტა რამ თუ იცის კაცობრიობამ.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს არის კავშირი ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ადამიანის ტვინის უჯრედების უნიკალურ და ბოლომდე შეუცნობელ შესაძლებლობებსა და პლანეტებისა და ზო-

დიაქოს თანავარსკვლავედებს შორის.

თქვენ კი შემოგთავაზებთ რამდენიმე, ჩემი აზრით, საინტერესო და მართლაც საოცარ და ჩემთვის ამოუხსნელ შემთხვევას.

### 1987 წ. 19 თებერვალი. 22<sup>10</sup> საათი. ქ. გორი

გზისპირა ოთახში ვკითხულობ ისტორიულ რომანს გიორგი სააკაძის შესახებ. იმ ადგილს მივადექი, სადაც საუბარია მის შვილებზე. დამთრგუნავმა შთაბეჭდილებამ დამიბინდა გონება, როდესაც თვალწინ დამიდგა მხატვრული ფილმიდან („გიორგი სააკაძე“) კადრები სააკაძის შვილის პაატას მძევლად დატოვებისა და მერე მისი დასჯის შესახებ შაჰ-აბასის მიერ.

ღრმა ფიქრმა ჩამითრია – „...საწყალი პაატა, პატარა ბიჭი, პატარა ქართველი, რომელიც სამშობლოს სიყვარულს შეენირა... საბრალო პაატა... ის ხომ გრძნობდა, რომ იყო მსხვერპლი, რომელსაც მამული მოითხოვდა და მასაც ამაყად და ვაჟკაცურად ეჭირა მოსაკვეთად განწირული თავი.

ოჟ! პაატა, საბრალო პაატა!

ფიქრის ჯაჭვი გამიწყვიტა სატელეფონო ზარმა. ავიღე ყურმილი და ვკითხულობ – რომელი ხართ?! სადღაც შორიდან მომექამა ხმა:

„პაატა ვარ, პაატა, თელა-  
ვიდან, უშანების ბიჭი. შაბათს  
ვაპირებთ ჩამოსვლას, სახლში  
იქნებით?!.“ (რეკავდნენ ქ. თე-  
ლავიდან).

ლამის გონება დავკარგე, რას მეუბნებოდა აღარ მესმოდა, მუხლები მიკანკალებდა მოულოდნელობის გამო, თავი სიზმარში მეგონა, იმდენად მოულოდნელი და უცნაური იყო სატელეფონო ზარი დროსა და სივრცეში (გორსა და თელავს შორის პირდაპირი მანძილი დაახლოებით 120 კმ-ია).



### **1990 წ. 23 მაისი. 16<sup>30</sup> საათი. ქ. გორი**

ჩემმა ვაუმა სამსახურში მიმიყვანა მანქანით და მერე თავის საქმეზე წავიდა. დამავიწყდა შევთანხმებულიყავით, თუ როდის გამომივლიდა და მომიტანდა მანქანას.

დირექტორის დავალებით, სამსახურიდან ცოტა ადრე გამოვედი. რაღაც საქმეზე ერთ-ერთ დაწესებულებაში უნდა მივსულიყავი, რომელიც საკმაოდ შორს იყო, თითქმის ქალაქის მეორე ბოლოში.

მივდივარ და ვფიქრობ: „ნეტავ, ჩემი ბიჭი გამოვლიდეს და წამიყვანდეს“. ვერ მოვასწარი ფიქრის დამთავრება, რომ ტროტუარის სიახლოვეს გაჩერდა მანქანა, კარები გაიღო და მეძახის ჩემი ბიჭი – „მოდი, მამა, ჩაჯეტიო“.

### **2001 წ. 26 თებერვალი. 12 საათი. ქ. გორი**

26 იანვარს ფული დამჭირდა და მივედი სავალუტო ჯიხურში, მეზობელთან. მან მომცა საჭირო თანხა ერთი თვის ვადით. ფული გამოვართვი და გვერდზე გავდექი, რათა ადგილი დამეთმო მშვენიერი, **ქერათმიანი, ტანწერნეტა** გოგონასათვის, რომელსაც ხელში 20-დოლარიანი ეჭირა. კარგა ხანს ვუცეკეროდი ბუნების მიერ შექმნილ ულამაზეს ქმნილებას. ვიფიქრე – ალბათ, არასდროს დამავიწყდება-მეთქი.

დღეს კი, 26 თებერვალს, ზუსტად დათქმულ ვადაში მივედი სავალუტო ჯიხურში ვალის გასასტუმრებლად. მოვიხარე წელში და „ფორტოჩის“ ქვემოდან გამოცურებულ ყუთში ჩავდე ვალი. რატომლაც გამახსენდა ის **ქერათმიანი, ტანწერნეტა** გოგონა. გამიტაცა ფიქრმა – ნეტავ როგორ არის, ვინ არის, ან სად არის ახლა?

მეზობელს მადლობა მოვუხადე თუ არა, ვიგრძენი, რომ ზურგსუკან ვიღაც კლიენტი ამომიდგა. გავიმართე წელში და შემოვტრიალდი...

ოი, საოცრებავ... ჩემს წინ იდგა ის მშვენიერი, **ტანწერნეტა, ქერთმიანი** გოგონა. ხელში ისევ 20-დოლარიანი ეჭირა.

### **1998 წ. 21 სექტემბერი. 11<sup>05</sup> საათი. ქ. გორი**

სადარბაზოს წინ, ჩრდილში ვზივარ პატარა სკამზე და კროსვორდს ჩავკირკიტებ.

რაღაც სამედიცინო ხასიათის შეკითხვას ვერ მოვუნახე შესაბამისი პასუხი.

გავიფიქრე, ნეტავ ჩვენი **ახალი მეზობელი** გამოივლიდეს, ის ხომ ექიმია და ეცოდინება-მეთქი პასუხი.

გადავედი თუ არა სხვა შეკითხვაზე, ჩამესმა ხმა – გამარჯობა რევაზიჩი, სანთებელა გექნება, სიგარეტს მოვუკიდებ...

თავზე მედგა **ახალი მეზობელი**, ექიმი ფრიდონი.

### **2014 წ. 29 სექტემბერი. 10<sup>45</sup> საათი**

ფული შემომელია, არადა კომუნალური მომსახურების გადახდა მელის და პენსიამდე კი ორ კვირაზე მეტია დარჩენილი. რა ვიღონო არ ვიცი. სესხად ვიშოვი, მაგრამ ვერ ვიტან ვალს. მოსვენებას ვკარგავ, სანამ დავაბრუნებ, ძალიან განვიცდი ხოლმე.

სამუშაო მაგიდასთან ვზივარ თავზეხელშემოწყობილი და ვფიქრობ.

ამ დროს აწკრიალდა მობილური. უმცროსი ვაჟი, რეზო მირეკავს: „...მამა, ცოტა ფული ჩაგირიცხე, ბანკში მიდი და მიიღეო. მიკარნახა კოდი.

### **2014 წ. 26 სექტემბერი. 10 საათი**

მოხდა ისე, რომ ვერ ვნახე ერთ-ერთი სერიალის ბოლო სერია. არადა, სწორედ რომ ფინალურ, დამამთავრებელ ნაწილში უნდა გასცემოდა პასუხი დეტექტიურ-სათავგადასავლო მძაფრსიუჟეტიან ფილმში მიმდინარე პროცესების მთავარ საკითხს (მოვლენას).

მეორე დილით სასწრაფოდ მოვაწესრიგე ყველაფერი (პირადი ჰიგიენა, საუზმე, გაზიერები, სუპერმარკეტი...) და მთელი მონდომებით ჩავჯექი სავარძელში და ჩავრთე ტელევიზორი საჭირო არხზე (ველოდი განმეორებით ჩვენებას). ერთადერთი, რაც მაწუხებდა, ეს იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ არავის შევენუხებინე არც კარებზე კაკუნით, არც სატელეფონო ზარებით.

დაიწყო ფილმი და ატყდა ერთი კაკუნი და ზარების რეკვა. სავარძელში დაბრუნებას ვერ ვასწრებდი, რომ ხან კარზე რეკდა ზარი და ხან მობილური „მეძახდა“ ჩემთვის საყვარელი მელოდიით.

თითქოს ჩემთვის მოიცალესო... თუ არ ვცდები, ალბათ, 12-15-ჯერ მაინც შემაწყვეტინეს ფილმის ყურება.

აი, ბატონებო – ასეც ხდება.

არ მახსოვს კარებზე ასეთი ხშირი ზარი და ასეთი ინტენსიური ზარები ხან მობილურ და ხან ბინის ტელეფონებზე.

მოკლედ, მომიშალეს ნერვები. მოხდა ის, რომ დღესაც არ ვიცი, როგორ დამთავრდა ფილმში აღნერილი ფრიად საინტერესო ამბავი.

ამჟამად მზადდება გამოსაცემად „ტელეპათიური თავგადასავლების“ მეორე წიგნი (შესწორებებით და დამატებებით).

ვარსკვლავებს შორის დაფარფატებს  
კაცის ფიქრები,  
რომელს აირჩევს და გაანდობს  
თავის საწადელს.  
ჩვენ ვიმართებით და ვსულდგმულობთ  
მხოლოდ ღვთის ნებით,  
მისი განგების სითბო გვწვდება  
ვცხოვრობთ სადაც დღეს.

ტელეპათიის წუ გადარდებთ  
იდუმიალება,  
ის მაჭარივით ჯერ თუხთუხებს  
სამყაროს ქვევრში.  
უცნობი სკივრის როცა შევძლებთ  
ჯიქურ გალებას,  
მაშინ გავიგებთ, თუ რა ძალა  
ყოფილა ჩვენში.

## მისალებრის კულტურა

ქართველებს მისალმების (სალამი – არაბ.) პევრი ფორმა და სიტყვა გაგვაჩნია (გამარჯობა, სალამი, გაუმარჯოს, დილა მშვიდობისა და ა.შ. ლექსიკონებში განმარტებულია, რომ **ზოგჯერ** ხელსაც ვართმევთ ერთმანეთს).

ქართველები დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მისალმებას, ზოგჯერ, ნაწილობრივ მითიურსაც – „რაღა ის შემსვდაო ამ დილით, მთელი დღე დათარსული ვიქნები“ და ა.შ.

თავის დახრაც გვჩვევია და მეცნიერების დადებაც. უთქვამთ: „რა კარგი სალამი იცის, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ასეთი კაციონ“. არც ერთ განმარტებაში არ არის ნახსენები კოცნა, გადაკოცნა და ა.შ.

მისალმების ერთგვარი ფორმა (მიმართვა) გახლავთ სამუშაო პროცესში მყოფისთვის ასეთი მიმართვა: „ბარაქა, შენ შრომას“. გვახსოვს, ალბათ, გოგიას (კ/ფ „ქვევრი“) – „წადი ... შენი“.

დღეს კი რა ხდება?! ქუჩაში გაჩაღებულია მტლაშა-მტლუში. ჩემთვის მიუღებელია ის, როცა მამაკაცები ჰკოცნიან ერთმანეთს (თუ გაიხსენებთ რაიმე ისტორიულ ნაწარმოებს, ან ძველი დროის აღმნიერ ქართულ მხ/ფილმებს, რომელშიც მამაკაცები ასე გულმოდგინედ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. არა, ასეთს ვერ გაიხსენებთ, იმიტომ რომ, ეს არ გახლავთ ჩვენი ტრადიცია. ეს რაღაც ახალია და კიდევ ვიტყვი, რომ პირადად ჩემთვის ეს მტლაშა-მტლუში მიუღებელია. რამდენად-აც ვიცი, არც თანამედროვე ევროპელებს (საითკენაც მივისწრაფით) აქვთ ეს უცნაური ჩვევა. რას ვიზამთ?! ალბათ, დრომ მოიტანა.

დავუბრუნდეთ მისალმების ცერემონიას – „**ზოგჯერ ხელსაც ვართმევთ...**“ არ ვიცი, როდის გადავედით ხელის ჩამორთმევაზე (ეტყობა, რომ საკმაოდ დიდი ხნის წინ, რადგან წესად ჩამოგვიყალიბდა), მაგრამ რაკი ეს დამკვიდრდა – იფიქრეს „თავიანმა ბიძებმა“ და ხელის ჩამორთმევის ეთიკა მოაქციეს გარკვეულ ჩარჩოებში, კერძოდ:

- ხელს პირველად უწვდის ასაკით (თანამდებობით) უფროსი
- ქალი უწვდის ხელს მამაკაცს
- დაუშვებელია ხელის დიდხანს დაჭერა
- ცაცია ვალდებულია გაუნიდოს მარჯვენა ხელი და ასევე შეაგებოს მარჯვენა (უმრავლესობა ხომ „მემარჯვენეა“).

– სუფრასთან მსხდომთ არავითარ შემთხვევაში არ ჩამოუარო (არ გადასწვდე) და არ ჩამოართვა ხელი; შეგიძლია რამდენიმე სიტყვით და ხელის მცირედი მოძრაობით გამოხატო საერთო მისალმება და ა.შ.

ახლა ერთი ეპიზოდი, რომელიც თავს გადამხდა.

იდგა 1958 წლის ზაფხული. რაღაც ანალიზების აუცილებლობის მიზნით მივედი პოლიკლინიკის ბიოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში. იქ მუშაობდა ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომლის დედა. მიკროსკოპს ჩაჰკირკიტებდა და რაღაცებებს ათვალიერებდა. ვთხოვე, ერთი ჩამახედე, რა ჩანს და რა ხდება-მეთქი. მოდი, შენი ხელები დავათვალიეროთო. კი, ბატონო-მეთქი. ჯერ ხელისგული შემაშვერინა, მერე ხელის ზურგი. კინაღამ გული გამისკდა – ისეთი რამეები დავინახე ჩემს ხელებზე (მიკროსკოპი ადიდებდა სამიათასჯერ. დღეს არსებობს ელექტრონული მიკროსკოპები, რომლებიც 7-8 ათასჯერ ადიდებენ საგნებს). ათასობით რაღაც მიკრობები და ბაქტერიები დაცოცავდნენ და ფუთფუთებდნენ ხელის ზურგზე, ხელისგულზეც და თითებს შორის, ფრჩხილების მიდამოებზე... კინაღამ ცუდად გავხდი. რაღა თქმა უნდა, შეუიარაღებელი თვალით ჩვენ ამ საზიზღარ არსებებს ვერ ვხედავთ და ამიტომაც არაფრად მიგვაჩნია. ახლა, ისმის კითხვა: რატომ არ გვაზიანებენ და გვასნეულებენ ეს მიკრობები თუ ბაქტერიები?! საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენ მათ ვეჩვევით, წლების განმავლობაში ადამიანის ორგანიზმი ეგუება მათ, საწყის ეტაპზე კი იმუშავებს იმუნიტეტს და ა.შ.

მიკრობების და ბაქტერიების ე.წ. ახალი სახეობები, რა თქმა უნდა, გვიქმნიან პრობლემებს, მაგრამ თანდათან მათაც ვეჩვევით და ასე ვცხოვრობთ და ვარსებობთ მრავალი წლის განმავლობაში.

ადამიანს ბუნებისგან ენიჭება ყოველივე ახალთან შეჩვევის, ადაპტაციის უნარი, იმუნიტეტის გამომუშავების შესაძლებლობა და მეტწილად სწორედ ეს გვიცავს.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ერთი რამის გარდა და ამ ერთი რამის შესახებ ქვემოთ, ცალკე მოგახსენებთ.

მოსასალმებლად გამოწვდილ ხელს, მითხარით – როგორ არ შეაგებო ხელი, მაგრამ ჩემს ნაცნობებს შორის არის 2-3 ადამიანი, რომლებსაც ოფლიანი და შედეგად ცივი ხელი აქვთ. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ასეთებმა იციან (მიუხედავად ასაკისა

და სქესისა) პირველად ხელის შემოჩეჩება, ჩაბლუჯვა და დიდხანს დაყოვნება. სიმართლეს ვამბობ. მათთან შეხვედრისას, ყოველთვის ვცდილობ თავი ავარიდო ხელის ჩამორთმევას, მაგრამ როგორ?! თან ასაკით უმცროსები არიან, თუმცა ეს მათ არ აღელვებთ. შთაბეჭდილება მრჩება ისეთი, რომ მათი მთავარი მიზანია თავისი ოფლიანი და ცივი ხელით ჩაბლუჯონ შენი ხელი და დიდხანს ეჭიროთ. ყველა ასეთი შემთხვევის დროს მაგონდება 1958 წლის ზაფხული და პოლიკლინიკის მიკროსკოპში დანახული ჩემი ხელები.

მხედველობის გამო მიჭირს შორიდან შევამჩნიო „ასეთი ხელის პატრონები“, რომ როგორმე ავიცდინო შეხვედრა (სადმე შევიდე ან გზიდან გადავიდე), მაგრამ არ გამოდის. ერთხელ ხელები მქონდა დაკავებული და ვიფიქრე, გადავრჩები-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად – ჩა ნთას ექაჩება, წამოგილებო, მე არ ვაძლევ. ვიცი, რომ გამონთავისუფლებულ ხელს ეცემა, მაგრად ჩაბლუჯავს და დიდხანს არ გაუშვებს.

მაინც მოვძებნე გამოსავალი.

„...იწყება მისალმებებით,  
თოთქმის ყოველი დილა,  
და აქვს თავის წესები  
გარეთ ყინავს, თუ თბილა.  
თუკი გვწამს ერის ფესვების,  
ვიპოვით სიბრძნის მარცვალს.  
სალმის მიცემის წესები,  
სჭირდება კაცსაც, ქალსაც.

.....  
ერთ ყმაწვილს ვიცნობ, დენდის დარს,  
ოფლით აქვს ხელი სველი,  
გიმიზნებს ხუთი მეტრიდან,  
მუდამ ამ მომენტს ელის.

გადაგეხვევა, ჩაგუოცნის,  
დორბლებს შეგანმენდს ღაწვზე,  
მტლაშა-მტლუშები არ ჰყოფნის,  
სავალს გიკეტავს გზაზე.

ჩაბლუჯულ ხელს არ გაგიშვებს,  
სიცივის ურშოლა გიპყრობს.  
რამდენიც გინდა ანიშნე,  
ვერაფერს ხვდება იმ დროს.

.....  
 ერთხელ, მოვდივარ პაზრიდან,  
 პარკით ოთხით თუ ხუთით,  
 თვალებს ვაცეცებ აზიზად,  
 სახლამდე დამრჩა წუთი.

ვაი, თუ გზაში შემომხვდეს,  
 ჩავვარდე მძიმე დღეში,  
 დავყავი, გავანანილე,  
 პარკები ორივე ხელში.

შემომხვდა, მანც ვერ ავცდი,  
 ხელს მიქანავებს ცხვირწინ,  
 ვერ მიხვდა ოინს ვერაფრით,  
 თავისი ჟინით იწვის.

ლამის ვინანე გაჩენა,  
 რომ ვარ უმძიმეს დღეში...  
 ჩავჩარე ფეხი მარჯვენა  
 ოფლით გაულენთილ ხელში.



## ტელეფონით საუკარი

ტელეფონით საუბრის რაიმე ზოგადი წესები, ან მითითებები, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც უნდა მოქმედებდეს საუბრის ეთიკის რაღაც განსაზღვრული ნორმები, რომელიც დამახასიათებელია ნორმალურად განვითარებული და მოაზროვნე ადამიანების ურთიერთობისას (ვგულისხმობ დიალოგს, კითხვის დასმას, პასუხს, განმარტებებს და ა.შ.).

რეკავს ტელეფონი (ბინის). ვიღებ ყურმილს. ჩვევად მაქვს ვუპასუხო სიტყვებით: ან „დიახ“, ან „გისმენთ“.

ვებუნები – „გისმენთ“.

მეკითხება – „საიდან არის“?

ცოტა უხასიათოდ ვიყავი და გალიზიანებულმა შევეკითხე – ქალბატონო, რა „არის საიდან“?! თქვენ მირეკავთ და მე მეკითხებით „საიდან არის“?!

უიმე, ჩაილაპარაკა შეწუხებულმა და გათიშა ტელეფონი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ან სწორად ვერ აკრიფა ნომერი, ან შეცდომით მიაწოდეს სხვისი ნომრის ნაცვლად ჩემი ტელეფონის ნომერი. ისევ გაისმა ტელეფონის ზარი. ავიღე ყურმილი და ჩუმად ვარ. ისიც ჩუმად არის, მერყეობს, არ იცის, სად მოხვდა. მეც ხმას არ ვიღებ. ბოლოს, როგორც იქნა გაისმა – ალო... ალო! მოვას-ნარი და ვუთხარი, ქალბატონო, არ დაკიდოთ ყურმილი. ახლა ის გაიტვრინა და მისმენს.

– ვხვდები, რომ შეცდომით კრეფთ რიცხვებს ან სწორად რეკავთ, მაგრამ იქ არ ხვდებით, სადაც გინდათ. რას ვიზამთ, ხშირად ხდება ასე. მითხარით ვის ბინაზე გინდათ დარეკვა, იქნებ ვიცნობ და დაგეხმარებით. მითხრა, ოდნავ მორიდებით. გავიგე „იმის“ ტელეფონის ნომერი და ჩავანერინე. ნახევარი საათის შემდეგ დავურეკე და ვკითხე – ესაუბრეთ-მეთქი, კიო – მიპასუხა და გათიშა ტელეფონი. ახლა მე აღარ ვეშვები. ვურეკავ და ვეუბნები – მადლობა მაინც გეთქვათ?! ერთი, შენც მოგცლიაო, მომახალა უკმეხად და გათიშა.

აი, ასეთი საუბარი ვიცით ტელეფონით, ზოგჯერ. საქმე კი შემდეგში გახდავთ. ტელეფონების ნომრების კარნაბის დროს, უდერადობით ძალიან ჰეგავს ერთმანეთს 16 და 11, ასევე 19 და 13. ამიტომ, ასეთი რიცხვების გამოთქმისას საჭიროა მკაფიოდ გამოითქვას სიტყვები, ან

როგორც ეს მიღებულია, დავასახელოთ ცალკეალკე თითოეული ციფრი. ამ დროს შეცდომა თითქმის სრულად არის გამორიცხული.

კიდევ ერთი უხერხული შემთხვევა.

რეკავს ტელეფონი. ავიდე ყურმილი და ვერც კი მოვასწარი ჩემთვის ჩვეული პასუხების „დიახ“. „გისმენთ“ წარმოთქმა, რომ ტყვიამფრქვევივით აკაკანდა ერთი ქალბატონი: „...გოგო, მომისმინე... როგორც შევთანხმდით ისე მოვიქეცი, დავურეკე ტელეფონით და ვუთხარი – შენი საყვარელი ქმარი ამა და ამ მისამართზე ერთ გოგოსთან ნებივრობს-მეთქი... ხომ წარმოგიდენია, რა დღეში ჩავარდებოდა. მე მანქანაში ვიჯექი და ვუცეკერდი, როგორ შევარდა სადარბაზოში... იქ ამბავი ატყდა, მეზობლებმა პატრული გამოიძახეს...“

თავი ველარ შევიკავე, რალაცნაირად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდი იმ უხამსობის გამო, რაც მოვისმინე. ოდნავ ჩავარდელე. უცბათ პაუზა. მერე, „რომელი ხარ?“ და ტელეფონიც გაითიშა.

აი, ასეც ხდება. როდესაც არ ვიცავთ ტელეფონით საუბრისას ელემენტარულ წესებს; თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი წესები არავის დაუდგენია, მაგრამ ხომ არსებობს საუბრის ეთიკის ნორმები?!?

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ყველა შემთხვევაში საჭიროა მისალმება. თუ იქ არ მოხვდით, სადაც საჭიროა, შეიძლება ბოდიშიც კი მოუხადოთ შეწუხებისთვის. თუ წინასწარ იცით, რომ თქვენთვის უცნობ ბინაზე რეკავთ, რათა გაიგოთ რაიმე ინფორმაცია (ტელეფონი, მისამართო, გვარი და ა.შ.), მაშინ სასურველია მისალმების შემდეგ, დაუსახელოთ თქვენი ვინაობა და მერე სთხოვოთ თქვენთვის სასურველი დახმარება, ამითი ავიცდენთ ყოველგვარ უხერხულობას.

ახლა, ჩხუბით დამთავრებული სატელეფონო საუბრის შემდეგ კარგად მოსაგონარი ამბავი.

გვიანი შემოდგომის საძამოა, დაახლოებით ექვსი საათი. უკვე ჩამობნელდა. თელავში ნათესავი ქალბატონი არის ავად და გადავწყვიტე მოვიკითხო. შევუკვეთე სატელეფონო საუბარი, მსურს გავიგო, როგორ არის. (მაშინ ციფრული ტექნიკა არ იყო დანერგილი სატელეფონო კავშირის სისტემაში). დავრეკე მორიგესთან და ვთხოვე თელავში მალაპარაკოს ამა და ამ ნომერზე. ხუთიოდე წუთის შემდეგ მესმის მორიგეს ხმა – გაერთებთ, არ დაკიდოთ ყურმილი. მესმის ხმა: ალო, გისმენ, რომელი ხარ... გაისმა მამაკაცის როხროხა ხმა. არ მესიამოვნა

ეს ხმა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან უხეშად მომმართა, მეორეც ის, რომ ცოტა გამიკვირდა კაცის ხმა, რადგან ჩემი ნათესავი ქალი მარტოხელაა, არავინ ჰყავს და ვიფიქრე, ამ კაცს იქ რა უნდა-მეთქი. ვიფიქრე, ალბათ შეცდომით აიკრიფა ტელეფონის ნომერი-მეთქი.

- ამაიღებ ხმას, თუ ეგრე კაკლაობა უნდა მეთამაშო...
  - მე მგონი სხვა ბინაზე მოვხვდი...
  - ეგ შენი პრობლემაა, მიპასუხა მკვახედ და გათიშა.
- ისევ მორიგე შევაწუხე. ისევ იმ როხროხას ხმა გავიგე:
- კაცო, ვინ ოხერი და მუდრევი ხარ, ვერ გაიგე, რომ ეს ნომერი ჩემია და ეს სახლიც ჩემია, ჩემი ხელით აშენებული...
  - ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს, მაგრამ ეს ნომერი ადრე სხვისი იყო, ჰოდა იმ სხვას ვეძებ, იქნებ დამეხმარო და გამიგო...
  - ეგეთს არავის ვიცნობ და ახლა ფოსტალიონობას ვერ დავიწყებ... და ისევ გათიშა.

გავპრაზდი და მორიგეს შევჩივლე. მოითმინეთ, ბატონო, შე-გაერთებთ და გავაფრთხილებ, რომ არ გათიშოს.

– კაცო, არ მომეშვები? ვინ ოხერი ხარ; ერთი მითხარ, ვინა ხარ და რა გინდა?

- ვუთხარი გვარი და სახელი.
- შენც ახლა ბაგრატიონთა გვარის არ იყო, ისე მოგაქვს თავი, თითქოს...
- ხმაზე გატყობ, არც შენ უნდა იყო ჭავჭავაძეების ან ჩოლოყა-შვილების გვარისა.

– მოკლედ, თავი მომაბეზრე; ნეტა ერთი ახლო იყო, რო გემრი-ელად დაგბეგვო.

„არც ვაციე და არც ვაცხელე“ – აგისრულებ მაგ სურვილს-მეთქი. როგორაო, მკითხა ინტერესით.

- როგორ და ჩამოვალ და თუ ბიჭი ხარ, დამხვდი.
- მართლა ჩამოხვალ...
- მართლა ჩამოვალ...
- როდის?
- ახლავე მოვდივარ.
- ჩამოხვალ და „კაი ჩიტსაც დაიჭერ“.
- ჩიტს ვინ დაიჭერს, მერე ვნახოთ-მეთქი და დავახეთქე ყურმი-ლი (თელაველი მორიგესგან გავიგე მისამართიც და სახელიც).

გამოვაგორე ავტოფარეხიდან ე.ნ. „03“ და გავუდექი კახეთისკენ გზას.

იგოეთამდე ვერ დავწყნარდი, ყურში იმ რობროხას ხმა მესმოდა და მაღიზიანებდა. როგორც იქნა დავმშვიდდი და აზრებს მოვუყარე თავი.

ვეკითხები ჩემ თავს – სად მიდიხარ, ვისთან მიდიხარ, ერთი მაგრად რომ დაგვეპოს მართლაც, ახი იქნება შენზე. ჩაყლაპე წყენა, დაწექი და დაიძინე.

არა, არა... რა დამაძინებს, სანამ არ ვნახავ იმ რობროხას... ნეტავ რამხელაა?.. ალბათ, კაი მოდღლეზილი მუტრუკი იქნება, ხმაზე ეტყობა... ისევ ფიქრი მაწუხებს: „სად მიდიხარ, რა გინდა, დაეტიო შენ ქერქში...“ მაგრამ არ შემიძლია, თანაც დავპირდი, რომ მოვდივარ-მეთქი და ხომ არ მოვატყუებ?!.

ლამის 10 საათი იქნებოდა, როცა რობროხას სახლს მივადექი. იმხანობას ქვეყანაში შუქის პრობლემა იყო და გამიკვირდა, რომ რობროხას სახლის ორივე სართული გაჩაჩახებული ბზინავდა. გარშემო კი ცველა სახლი ჩაბნელებულიყო და აქა-იქ კიაფობდა სანთლის შუქი.

ჭიშკარი ღია იყო. შევედი ეზოში და ფანჯარასთან ახლოს მივედი. დავინახე, მოფუსფუსე ქალები როგორ აწყობდნენ სუფრას. რობროხას ხმა საიდანდაც ისმოდა. ვერ დავინახე. მითითებებს იძლეოდა: ხაშლამა არ ჩაშალოს, შოთები ცხელ-ცხელი შამაიტანეთ, მაყალში ცეცხლი არ გაანელოთ, ღვინო პაპაჩემის დოქებით შამაიტანეთ, აბა თქვენ იცით, არ უნდა შავრცხვეთ...

ეზოში სამი მამაკაცი შემოვიდა. ვერ შემამჩნიეს.

– ამ შუალამისას რა პურმარილი აიტეხა, კაცო... ისე, კაი ღვინო კი აქვს; არ ჩამოვა ის ვიღაც და პურმარილი ხომ შაგვრჩება...

– ნეტა ვის ელოდება, ასე რომ დაგვაფეთიანა, ჰა...

ერიჲა, გავიფიქრე – აქ რაღაც სადღესასწაულო პურმარილს აწყობენ, სტუმრები ჰყავთ დაპატიუებული, ცუდ დროს ჩამოვედი, ალბათ... თუმცა, ასე გვიან სტუმრებს არ დაპატიუებდნენ-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის...

ფანჯრიდან დავინახე მასპინძელი როგორ მიეგება მეზობელ მამაკაცებს. ჩემსკენ ზურგით იდგა და იმხელა იყო, რომ ის სამი კაცი აღარ ჩანდა.

ვაი შენს პატრონს, გავიფიქრე შეწუხებულმა, მაგრამ მალევე აღვიდგინე სულიერი სიმტკიცე.

– სამივე მეზობელმა ნიშნისმოგებით იკითხა: აბა, სად არი თქვენი გორელი სტუმარი?

- ალბათ, შაეშინდა და არც ჩამოვა.
- არ ჩამოვა და მე თვითონ ჩავალ, რა მნიშვნელობა აქვს, აქევავპერტყავ თუ გორში...

ვეღარ მოვითმინე, ჯიქურ შევალე კარი და მივახალე – აქა ვარ და არაფრისაც არ მეშინია...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თვალებგაფართოებულები მიყურებდნენ, მათვალიერებდნენ, თავიდან ფეხებამდე ამწონ-დამწონეს... კარგა ხანს იყენენ პირდაღებულები...

მერე უცებ როხროხამ დაიროხროხა, მტაცა ხელი, პატარა ბავშვივით ამიტაცა, მიმიყვანა სუფრის თავში, სკამზე ლურსმანივით ჩამაჭედა და ყველას გასაგონად გამომიცხადა.

– დილამდე ამ სკამიდან გადმოსული არ დაგინახო და არცერთი სასმისიც დაუცლელი არ დამანახო. გაიგე, ბაგრატიონი?..

ორი დღე არ გამომიშვეს თელაველებმა. ხაშლამის ორთქლით, შოთიპურის სურნელით, კახური ლვინის დიდებულებით და ქართლ-კახური სუფრული სიმღერებით გაბრუებულ-გახარებული ბედნიერად ვთვლიდი თავს.

აი, ასეთი ამბავიც კი შეიძლება მოჰყვეს ტელეფონით არაკორექტულ და ზოგჯერ გაუგებარ და უხეშ სატელეფონო საუბრებს.

## გლედი და მამი

ბავშვობიდანვე ისეთი სულისკვეთებისა და მორალის ატმოსფეროში ვიზრდებოდი, სადაც ქალისადმი პატივისცემა, ქალის გაღმერთება, ქალისათვის თავგანწირვისათვის მზადყოფნა ყველა მამაკაცისათვის უპირველეს მოვალეობდა იყო განსაზღვრული და ღმერთისგან ბოქებული.

დღევანდელობის დიდი ქართველი პატრიოტი, დავით თარხან მოურავი აღნიშნავს, რომ IX-X საუკუნეებში ქართველების 90% წერა-კითხვის უცოდინარი გახლდათო. არ არსებობდა გაზეთი, უურნალი, წიგნი, რადიო და ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, გადაცემის საშუალებად ქართული სუფრა მოვიგონეთო. დღესაც შემორჩენილია მოსაზრება, რომ ქართული სუფრა არის აკადემიაო.

მართალია, ჩემი ბავშვობის პერიოდში ასე თუ ისე მაინც იყო წიგნიც, გაზეთიც და ბოძებზე ქოლგებივით ჩამოკიდებული რადიო, მაგრამ უფრო მეტი რამ გავიგე და შევისისხლხორცე ქართული სუფრიდან. მამაჩემის ძმაკაცები, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებოდნენ ჩვენს ოჯახში, სახელდახელოდ გაიშლებოდა სუფრა (მე მემწვადე და ღვინის მიმტან-ჩამომსხმელი ვიყავი მუდამ, თუმცა მოკლე დროით სუფრასთანაც მიწვევდნენ) და იწყებოდა ოთხ-ხუთსაათიანი დინჯი საუბარი, დახვეწილი და ზოგჯერ გულში-ჩამწვდომი სადღეგრძელოები, ლექსები, ლეგენდები, სიმღერები, ისტორიული მოგონებები და ა.შ. ძალიან დიდი დრო ეთმობოდა ისეთ მცნებებს, როგორიცაა: სიკეთე, ვაჟკაცობა, სიტყვის შესრულება, სამშობლოს სიყვარული, განათლება, თავდადება, უანგარობა, კულტურა და, რაღა თქმა უნდა, ქალის ფენომენი და სხვა.

მამაჩემის ძმაკაცები განსაკუთრებული მონდომებით და პატივ-ისცემით ამბობდნენ ქალის (დედა, და, მეუღლე, შვილი, მეზობელი, უცხო, ისტორიული გმირი, პედაგოგი, ექიმი და ა.შ.) სადღეგრძელოს. ყველა მათგანი ცდილობდა ლამაზი სიტყვები მოექცნა, ლექსი ეთქვა, სანიმუშო ისტორიული ამბავი გაეხსენებინა, აფორიზმები გამოეყენებინა, განსაკუთრებული სასმისი შეერჩია და ა.შ.

მოკლედ რომ ვთქვა, ტკბებოდნენ ქალის სადღეგრძელოთი და თავიც ბედნიერ მამაკაცებად მიაჩნდათ.

დღესაც ჩამესმის მამაჩემის სიტყვები: „შვილო, მამაკაცად იმიტომ მოევლინე ამ ქვეყანას, რომ ქალი გიყვარდეს, ქალს პატივს სცემდე, ქალს იცავდე, ხელის გულზე ატარებდე და ცივ ნიავს არ აკარებდე. ისეთი რამე უნდა შესთავაზო, რომ გაოცებისგან თავპრუდაეხვეს და აღტაცებაში მოვიდეს. ქალს უყვარს უცნაური და მოულოდნელი სიურპრიზებიო“.

აბა, მამაჩემის ნათქვამს როგორ არ გავითვალისწინებდი და ვცდილობდი, ამ პრინციპებისთვის არასდროს მეღალატა.

მსოფლიოს უდიდეს ქალებად მიმაჩნია: საკუთარი დედა, თამარ მეფე, ოთარაანთ ქვრივი, მითიური ელენე, შუშანიკი, ზოია რუხაძე, თინა იოსებიძე, ქეთევან წამებული, უანა დარკი, მარგარეტ ტეტჩერი, ვანგა, დედა ტერეზა, კარმენი, ინდირა განდი, მაია ნუნეთელი, მედეა და ა.შ. ყველა მათგანს თავისი ღრმად გამოხატული მეობა ჰქონდა, ყველას თავისი რწმენა და ხასიათი გააჩნდა, ერთმანეთს არ ჰგავდნენ

არც გარეგნულად და არც სულიერი სამყაროთი, თუმცა, ერთი საერთო ჰქონდათ – ისინი ქალები იყვნენ და თავისი ერთგულებით, თავ-განწირვით, სიბრძნით და სიმტკიცით, თავისუფლებისაკენ სწრაფვით და წარმოიდგინეთ – შურისძიებითაც კი დაიმკვიდრეს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში.

ახლა კი, ნება მომეცით, დავვეშვა ციდან მიწაზე და მოგითხროთ რამდენიმე ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან, როდესაც მე, ჩემი აზრით, გამოვიჩინე (ქალთა სქესის მიმართ) ერთგულება, თავგანწირვა, უკანაურობა, თავმოყვარეობა, ყურადღება, პატივისცემა და ა.შ.

## თამაშობანა

12-13 წლის ვიქენებოდი, როცა ერთხელ ჩემ თანატოლ გოგონას-თან ეზოში ვთამაშობდი. რომელილაც მომენტში სხეულებით ოდნავ შევეხეთ ერთმანეთ ს. უცბად მოხდა ის, რაც ბოლომდე დღესაც ვერ ამიხსნია. გოგო გაიქცა ხეხილის ბალისკენ და მეც, ინსტიქტურად, თავაწყვეტილი დავედევნე. კარგა ხანს ირბინა კისკის-კისკისით და მეც კარგა ხანს ვდიე, თუმცა ვერ დავენიე. რომ დავწეოდი, მერე რა?.. ჩვენ ხომ სულ 12-13 წლისანი ვიყავით! მაშინ ვფიქრობდი – ნეტავ, რას დარბის ან მე რად დავდევ-მეთქი, მაგრამ ახლა კი ვიცი, რომ იმ სირბილ-დევნაში (კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“) იყო რაღაც ბუნებრივი, ღრმად შეფარული და შესაფერისი მომენტის მოლოდინში ჩასაფრებული მდედრისა და მამრის ურთიერთლტოლ-ვის საწყისი სიმპტომები. ეგ იყო და ეგ. ვირბინეთ და მოვრჩით. მოგვიანებით მიეცვდი, რომ ბუნებამ სწორედ მაშინ აახმიანა ჩვენში ის ზარი, რომლის ჰარმონიულ უღერადობაშიც უნდა გაღვივდეს მდედრისა და მამრის ერთობლივი ცხოვრების ბუხარი, რომელშიც საბოლოოდ ცხვება გემრიელი კვერი.

იმ გოგომ თავისი გზით ირბინა, მე ჩემი გზით. აღარ გვინახავს ერთმანეთი.

„...ვიგინწყებ, მაგრამ ვით დავიგინწყო,  
ვნება ყრმობისა – მომდები ალის,  
მკერდი გულისთვის მიმაჩნდა ვინწროდ,  
როცა შემეხო პატარა ქალი.

იდინა უკვე წყალმა რამდენმა,  
ახლა ის ქალი სად არის ნეტავ?..  
დრომ მოგონება როდი განდევნა  
და ოცნებასთან ჭიდილსა ვძედავ.

აკვიატება სჩვევია ყველას,  
მეც, ასაკოვანს ეს სენი მძალავს  
და ბაგშვილის იმ ცეცხლოვან ვნებას,  
სულის სიღრმეში ფაქიზად ვმალავ”.

### გიტრინის იქით

უკვე 18 წლის ვარ და ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე. კახელი გლეხის ბიჭს თბილისმა თავბრუ დამახვია. პირველად ვნახე მაღალი შენობები, ტრამვაი, ტროლეიბუსი, განიერი პროსპექტები და ა.შ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც თვალს და გულს ახარებდა თბილისელი ლამაზი გოგოების სიმრავლე. კისერი მტკიოდი აქეთ-იქით ყურებით. ერთიმეორებულ ლამაზი და მომხიბლავი გოგონები საოცარ ატმოსფერის ქმნიდნენ. თვალები გამიფართოვდა და გულიც ლამის ამოვარდნილიყო საგულედან.



სტუდენტალაქიდან უნივერსიტეტამდე ფეხით მივდიოდი ხოლმე. ერთხელ ტროტუარზე ბევრი ადამიანი დავინახე შეკრებილი. ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. მიპასუხეს, ტანსაცმლის ახალი მაღაზია გახსნეს და მთელი თბილის აქ მოდისო. გავიფიქრე, უკან დაბრუნებისას შევიგლი და დავათვალიერებ. როგორც შემდეგ გავიგე, თურმე, ხალხს მაღაზიის დიზაინი უფრო იზიდავდა, ვიდრე სხვა რამ. მაღაზია, როგორც იტყვიან, უმაღლეს ევროპულ სტილში იყო შესრულებული და მანამდე უცნობი მასალებით და აქსესუარებით იყო აღჭურვილი. დაბინდებისას დავბრუნდი სახლში. მივედი იმ მაღაზიასთან. დაკეტილი დამხვდა. თუმცა ვიტრინები იყო გაჩახჩახებული, საიდანაც მანეკენების ჯგუფი იცქირებოდა. ერთ-ერთმა მანეკენ-მა-ქალმა გამაოცა თავისი გარეგნული სილამაზით და ჩაცმულობით. ასეთი მშვენიერება არასდროს მინახავს: ამოლტილი ტანი, ნახევრად-მოშიშვლებული მკერდი, გრძელი ფეხები, ცისფერი თვალები, ოქროს-ფერი თმები, პეპლებივით წამნამები და ბრონეულისფერი ტუჩები...

ჰომი, საოცრებავ, რას არ შექმნის კაცის ხელი?!.

ყოველ ავლა-ჩავლაზე ვჩერდებოდი ვიტრინასთან და ვტკბებოდი იმ საოცრებით. მოსვენება დავკარგე. ბოლოს ისიც კი მომეჩვენა, რომ მიღიმოდა და თვალს მიკრავდა.

სამთვიანი არდადეგების შემდეგ დავპრუნდი თუ არა თბილისში, იმ მაღაზიას მივაკითხე, მაგრამ მანეკენები აღარ დამხვდნენ. ვიტრინების იერსახე ახლა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. გული დამწყდა, მაგრამ რას გავაწყობდი. კარგა ხანს ვერ დავივიწყე ის მანეკენი.

„მშვენიერებით, სინატიფით, ცისფერ თავშალით  
დეგახარ ჩემს ზემოთ საროს ტანით, სანთლის თითებით,  
არ ლაპარაკობ, არ კამათობ, არ ხარ აშარი  
და არც თავს ირთობ ზღაპრებით და რაღაც მითებით.

ვიტრინის იქით ოდნავ ბნელა, ოდნავ ანათებს,  
როგორც ოცნებას, მანდ დაგეძებ, მანდ მეგულები,  
სამწუხაროა, დასანანი – ველი არაფერს...  
ვერ გადეჭობა, ვერ შეხვდება ჩვენი გულები...“

ცოცხალ მანეკენებს მიაქციე უურადღებაო, მირჩიეს ძმაკაცებმა და ასეც მოვიქეცი, თუმცა „ის“ მაინც არ მავიწყდებოდა.

## მოკრიზის და

ლექციებს შორის შესვენებებზე უნივერსიტეტის დერეფნები ივსებოდა სტუდენტებით. იყო ერთი უივილ-კისკისი. ზოგი ბუფეტისკენ მიჩქაროდა, ზოგი სიგარეტის გასაბოლებლად ტუალეტში შერგავდა თავს, ზოგი სხვა ჯგუფებში მოსწავლე ნაცნობს დაეძებდა და ა.შ. მოკლედ, 10-15 წუთიანი შესვენება იყო ერთგვარი მხიარული და ხმაურიანი ასპარეზი.

ფანჯრიდან გავყურებდი უნივერსიტეტის შიდა ეზოს. შესვენება დუღდა და თუხთუხებდა. უცბად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შემოვტრიალდი და რას ვხედავ – კედლებს აკრული სტუდენტები სულგანაბულები იცქირებოდნენ ერთი მიმართულებით. ვიფიქრე, ალბათ, რექტორი მოდის-მეთქი თავის „ნაზირ-ვეზირებით“.

ოი, საოცრებავ! რას ხედავს ჩემი თვალები. დერეფნის შუა ზოლზე გედივით მონარნარებდა „ის“, „ჩემი მანეკენი“. ელდა მეცა, თავი სიზმარში მეგონა. ვაი, შენს თავს უბედურს – გავიფიქრე და თვალები დავხუჭე. გავახილე თვალი და „ის“ არის, ნამდვილად „ის“ არის. უკვე ცხადად მივხვდი, რომ არც სიზმარი იყო და არც მოჩვენება. მოაბიჯებდა აშხართული ფეხებით და თან მოჰქონდა ამაკვეყნის ყოველი სილამაზე და მშვენიერება. ისევ ის ცისფერი თვალები, ისევ იმ პეპლებივით მოფარფატე წამნამებს მიღმა; ისევ ის ოქროსფერი თმები და ისევ ის ბრონეულისფერი ტუჩები...

მოარხევდა მოხდენილ ტანს და შეფარულ მზერას ტყურცნიდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, თითქოს სურდა გაეგო – უცქერენ თუ არა, ტკბებიან თუ არა მისი სილამაზით. დერეფნის ბოლოში შემოტრიალდა და ისევ გამომწვევად ჩაიარა პოდიუმზე ჩაწყობილი სტუდენტების წინ...

ლექციის მოსმენის და ჩაწერის თავი ალარ მქონდა. ვგრძნობდი, რომ ჩემამდე არ აღწევდა პროფესორის სიტყვები. სული ამიფორი-აქდა, მოსვენება დავკარგე. შესვენების ზარის ხმას ველი მოუთმებლად. იქნებ ისევ ჩამოინარნაროს...

ეზოში ალარ ვიყურები; დერეფნის იმ მხარეს მიშტერებია ჩემი თვალები, საიდანაც „ის“ გამოჩნდა და მერე გაუჩინარდა. როგორც იქნა გამოჩნდა, აიარ-ჩაიარა, შეგვათვალიერ-შემოგვათვალიერა და ისევ გაუჩინარდა. ყველაფრით ეტყობოდა, რომ იცოდა, კარგად

იცოდა თავისი სილამაზისა და მომხიბვლელობის შესახებ და დემონ-სტრაციულად, ოდნავშექამჩნევი ხაზგასმით აფრქვევდა ბუნების მიერ ნაბოძებ მშვენიერების თაიგულის სურნელებას.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ბიჭები, ერთმანეთისგან ფარულად, ყოველდღე ველოდით მის გამოჩენას. მან აგვირია შესვენებების რე-ჟიმი, დაგვიკარგა მოსვენება.

გადავწყვიტე ავდევნებოდი და გამეგო – ვინ არის, რომელ ფაკულტეტზე სწავლობს, რა ჰქვია და ა.შ. და დაიწყო ჩემი სიჭაბუ-კის დროინდელი „დევნის“ მომდევნო ეტაპი.

შორისახლოს ვცდილობდი ყოფნას და ვტკბებოდი მისი სილამა-ზის ცქერით. ერთ თვეზე მეტხანს ვდიე. მისი მშვენიერებით იმდე-ნად ვიყავი მონუსხული, რომ მიუწვდომლად მიმაჩნდა... ვერ ვბედა-ვდი უფრო „აქტიურ“ მოქმედებას. რაღა თქმა უნდა, შემამჩნია და დამიმახსოვრა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვიგრძენი მისი მხრიდანაც რაღაცნაირი აზარტის გამოვლინება – უკვე ცდილობდა ეშმაკური ილეთების ჩატარებას; ხან ფეხს აუჩქარებდა, ხან შეანელებდა და აკვირდებოდა ჩემს რეაქციას.. ეს უკვე საინტერესოდ მომეჩვენა და ცოტა გავთამამდი. ერთხელაც მყისიერად აუჩქარა ნაბიჯს და მო-სახვევს იქით გაუჩინარდა. მეც „ავკრიფე“ სიჩქარე და შევუხვიე თუ არა, მაჯაში მტაცა ხელი და ისე მომიჭირა, ტკივილი ვიგრძენი. დავიბენი, აღარ ვიცოდი რა მექნა.

– რას დამდევ, რატომ მოსვენებას არ მაძლევ – მომახალა გააფ-თრებულმა და ჯიქურ ჩამხედა თვალებში.

– მე... მე.... ისე.

– რა ისე და ასე აგიტყვა... გინდა, ჩემს ძმას ვუთხრა, რომ ერთი მაგრად გაგბერტყოს?! აღარ დაგინახო ადევნებული, თორემ, რაც მო-გივა შენს თავს დააპრალე. მითხარი რა გინდა, რა ჩრდილივით დამდევ?

– ხელი გამიშვი და გეტყვი, რაც მინდა, ამოვლერლე როგორც იქნა და ახლა მე ჩავხედე ცისფერ თვალებში და მუხლებში სისუსტე ვიგრძენი.

– რა მინდა და შენი მშვენიერებით ვტკბები.

– ოხ, ოხ... დამიწყო ამანაც ქათინაურები – გამოსცრა ბროლის კბილებს შორის.

– ხომ იცი, რომ ძალიან ლამაზი ხარ; ბუნებამ დაგაჯილდოვა ჯადოსნური მშვენიერებით და რა მოხდება, რომ მეც დავტკბე შენი

შორიახლოდან ცქერით, ამით ხომ არაფერი დაგაკლდება, მე კი გავიხარებ...

— ოს, მომინდომა ტკბილი ჩაი; მე ჩამომშორდი და სხვასთან გაიხარე; გახსოვდეს, რომ ჩემი ძმა მოკრივეა.

მოკრივე კი არა, ტანკი რომ წამოსულიყო ჩემს გასანადგურებლად, ზედ შევახტებოდი და მუშტებს დავცხებდი – ისეთ ხასიათზე ვიყავი.

— მომისმინე ერთ წუთის (ახლა მე ვტაცე მაჯაში ხელი და ოდნავ მოკუჭირე მარჯვენა), რაღაცას გეტყვი და მიპასუხე ისე, როგორც გული გიკარნახებს. მერე შეგეშვები და ჩემი გზით წავალ „ტკბილი ჩაის დასალევად“.

— მითხარი, აბა რა გინდა (დაინტერესება აშკარად გამოსჭვიოდა მისი თვალებიდან).

— ახლა მოიკრიფე გონება და ძალა... წარმოიდგინე, კარგად წარმოიდგინე, რომ დანარნარებ ამ გრძელ დერეფნებში და არცერთი ბიჭი ზედაც არ გიყურებს და საერთოდ ვერავინ გამჩნევს, რა ხასიათზე დადგება?!?

პაუზა დიდხანს გაუგრძელდა... ვერ წარმოედგინა ის, რაც მე ვუთხარი... უცბათ ორივე ხელი კისერზე მომხვია, ცისფერი თვალებიდან მუდარა გადმოაფრქვია და ოდნავგასაგონი ნაზი ხმით მითხრა:

— ოლონდ ეგ არა, ოლონდ ეგ არა... გამომგლიჯა ხელი და სირბილით გამშორდა.

ერთი კვირა აღარ გამოჩენილი „ჩვენს“ დერეფანში.

ვნანობდი – იქნებ გული ვატკინე და ჩავიფიქრე – თუ კიდევ ვნახავ, ბოდიშს მოვუხდი და პატიებას ვთხოვ-მეთქი.

ერთ-ერთ შესვენებაზე, როგორც იქნა, გამოჩნდა. ჯგუფელმა გოგოებმა ჩამჩურჩულეს – მოემვი ფანჯარაში ცქერას, გაიხედე ვინ მოდისო.

სიხარულისგან ლამის ჭერს მივარტყიონსობისთვის გადადებული თავი. აიარა ჩვეულებისამებრ გედისებრი ნარნარით ისე, რომ არც შემოუხედავს. მალევე ჩამოიარა და მანიშნა გამომყევიო. სიხარულის ურჟოლამ ჩამირბინა ტანში და შორიახლოს დავედევნე სტუდენტებით გადატენილ დერეფანში. სადღაც მიაგნო მყუდრო ადგილს, შემომიტრიალდა და წინასწარმოფიქრებული

სიტყვებით მომმართა: „...თუ გინდა ჩემთან იარო ყოველდღე, ლექ-ციების მერე სახლამდე უნდა მიმაცილო. მეც ეს მინდოდა. მაშინ ქუჩაში და თავშეყრის ადგილებში გოგოსთან ერთად სიარული უკვე რაღაცას ნიშნავდა.

ამჯერად უკვე გვერდიგვერდ ვედექით ერთმანეთს და საუბარ-იც კარგად გამოგვდიოდა. ვამჩნევდი, რომ მოსწონდა ჩემი ყურ-ადლება და გულწრფელობა. თუმცა, მრავალჯერადი გაცილება-მი-ცილების შემდეგ ისიც შევამჩნიე, რომ ეამაყებოდა ბიჭის გვერდით ყოფნა და გამომწვევად გადახედავდა ხოლმე შემხვედრ გოგონებს. ერთი კვირის შემდეგ მის უპანში დამეძაბა სიტუაცია. უკან გამო-ბრუნებულს ნინ ამელობა ოთხი-ხუთი ბიჭი და კატეგორიულად მომთხოვეს თავი დამენებებინა იმ გოგოსთვის. შევატყვე, რომ საცემრად იყვნენ გამზადებულები (გამახსენდა მამაჩების სიტყვე-ბი – ქალს უნდა პატივი სცე; უნდა დაიცვა მისი და შენი ლირსე-ბაც; ცივი ნიავი არ მიაკარო; ხელის გულზე უნდა ატარო და ა.შ.). არაფერი უჟპასუხე და წავედი სტუდებლაქისკენ.

მეორე დღეს ჩვეულებრივ მივაცილე, შევუდე სადარბაზოს კარი და გამოვბრუნდი. შევამჩნიე, თუ როგორ მითვალთვალებდნენ მისი უბნელი ბიჭები (მაშინ ერთი დაუწერელი წესი არსებობდა – გოგოს თვალინ და მასთან მყოფს არაფერს გეტყოდნენ და არც ფიზიკუ-რად გაგისწორდებოდნენ, არ დაგამცირებდნენ; ცალკე გაგიყვანდ-ნენ და ისე იყრიდნენ ჯავრს). მისი სახლიდან ოდნავ მოშორებით დამხვდნენ და დამეხვივნენ – არც მუშტები და არც წიხლები დაი-შურეს. თუმცა, ჩემიც მოხვდა ზოგიერთს.

მომდევნო დღეს კვლავ გავაცილე ცისფერთვალება. გზაში მე-კითხება – რა გაქვს თვალისძირში, რატომ გაქვს დალურჯებული. არაფერია, გუშინ სალამოს კალათბურთი ვითამაშე და ხელი მომხ-ვდა-მეთქი.

ეშმაკურად ჩაიღიმა და სხვა თემაზე გავაგრძელეთ საუბარი.

მისი კორპუსის ნინ შორიდანვე შევნიშნე ის ოთხი თუ ხუთი ბიჭი. ჩემი „დაცვისქვეშ მყოფი“ შევაცილე სადარბაზოში და მოვემზადე თავის დასაცავად. იმ დღეს უფრო ბევრი მომხვდა და თან მუქარაც გამომაყოლეს – იცოდე, მისმა ძმამ თუ გაიგო, მოგკლავსო.

სამი თუ ოთხი დღე დამჭირდა ცხვირ-პირის წესრიგში მოსაყ-ვანად და ისევ გავაცილე. ამჯერად უკან ჩემი ძმაკაცები მომყვე-

ბოდნენ. შევედით ეზოში. მივაცილე სადარბაზომდე და გამოვბრუნდი. უპნელმა ბიჭებმა შეამჩნიეს ჩემი ძმაკაცები და ადგილიდან არ დაძრულან. ვიფიქრე – მომეშვენენ-მეთქი და გათამამებულმა თავი ლალად ვიგრძენი. თითქოს რაღაც ძალა მომემატა და რაღაცნაირი, უცნაური შვებაც ვიგრძენი.

პირობის თანახმად, ყოველდღე ვაცილებდი სახლამდე. უპნელი ბიჭები ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. გაბედულად მივდიოდ-მოვდიოდ მათ ეზოში. ჩემში დუღდა და თუხთუხებდა იქამდე უცნობი რაღაც გრძნობა, თავი მეშვიდე ცაზე მეგონა. მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა ჩემი სიხარული და საამო განწყობა.

ერთ-ერთი გაცილებისას, მისი სახლის სიახლოვეს წინ ამეღობა ახმახი აგებულების, ერთთავად დაკუნთული ახალგაზრდა. ჩემზე მთელი თავით მაღალი იყო და ასაკითაც 4-5 წლით უფროსი იქნებოდა.

– შენ ადი სახლში, ამას მე დაველაპარაკები და მერე შენც მოგივლი – მიმართა ცისფერთვალებას.

– რა ვქნა, არ მეშვება, მოსვენებას არ მაძლევს. რამდენჯერ ვაცემინე უპნელ ბიჭებს და თავს არ მანებებს. ერთი შენებურად გაუსწორდი ამ გომის და მეც მოვისვენებო – შესჩივლა ძმას ცისფერთვალებამ და სირბილით წავიდა სახლისკენ.

ამ სიტყვების გაგონებას ის მერჩინა, მინა გამსკდარიყო და თან ჩავეყოლე. თვალთ დამიბნელდა. გონება დამებინდა, ნისლი გადაეფარა ყველაფერს. გულში საშინელი ტყივილი ვიგრძენი. ვიფიქრე, ჯობია, აქვე მომკლას-მეთქი მისმა ძმამ.

– ახლა რასაც გეტყვი, კარგად დამახსოვრე და შეასრულე. კარგი ბიჭი ჩანხარ, ერთგული და ლირსების მატარებელი. ჩემს დას საქმრო ჰყავს, ჯვარი აქვთ დანერილი; მალე ჩამოვა ჯარიდან და ქორწილიც შედგება. ისე, რომ ეს გაცილება-მიცილება არ გამოვა. შეეშვი, გოგოების მეტი რა არის თბილისში. თუ რამეში დაგჭირდე, არ მოგერიდოს, იცი, სადაც უნდა მომნახო, მხარში ამოგიდები. აბა, შენ იცი, იმედია ყველაფერი კარგად გაიგე. მხარზე ხელი მომითათუნა, გატრიალდა და ორმეტრიანი ნაბიჯებით წავიდა სახლისკენ.

მას შემდეგ აღარც ცისფერთვალება მინახავს და აღარც მისი გოლიათი ძმა. ასე დამთავრდა მამრისა და მდედრის დევნა-დადევნების

მეორე ეპიზოდი. ისე რომ, უსულო მანეკენიც დავკარგე და ცოცხალი მანეკენიც გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. მაშინ 18 წლის ვიყავი.

თავაწევით დადიხარ,  
დანარნარებ გედივით.  
ჩემი ყრმობის დარღი ხარ,  
უცნობი ხარ ბედივით.

ჩემკენ არ იხედები,  
სად გაგირბის თვალები?!  
მითხარ დაიმედებით,  
რომ არ მომკლავ წვალებით.

მინდა ვიყო მეგზური,  
რომ გაგითბო საგულე,  
ნეტავი რას მემდური,  
ნეტავი რას მაგულებ.

ნუ გამწირავ ბოლომდე,  
მკერდს ნუ მინგრევ ურნალით,  
გახსოვდეს, რომ მხოლოდ მე,  
მე ვარ შენი მკურნალი.

## ჩინურ რესტორანში

უფროსმა გამომიძახა და მითხრა – ზევ მოსკოვში მივდივარ მივლინებით, შენც უნდა გამომყვე. ეს შენი პირველი მივლინება იქნება და გაგაცნობ იქაურობას და მუშაობის პირობებს. ხშირად მოგიწევს სხვადასხვა ქალაქში სამივლინებო პირობებში ყოფნა და მინდა, რომ შეეჩიოო.

გამეხარდა და დავიწყე სამზადისი.

მოსკოვში ჩავთრინდით 4 აპრილს, სალამოხანს. მოვენწეთ სასტუმროში. ოციოდე წუთის შემდეგ უფროსი მეუბნება – წამოდი, გამომყვევი მეგობრობის ინსტიტუტში, ჩემ საცოლეს გაგაცნობო (ეს ის ინსტიტუტი იყო, სადაც უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლობდნენ). მივედით ინსტიტუტის საერთო საცხოვრე-

ბელში. სტუმართა მისაღები ოთახიდან დარეკა ჩემთა უფროსმა და ხუთიოდე წუთში გამოგვეცხადა საოცრად პატარა ტანის ვინრო-თვალებიანი გოგონა (მერე გავიგე, რომ კორეელი იყო).

გადაეხვივნენ ერთმანეთს კოცნა-კოცნით. უფროსმა ჩემი თავი წარუდგინა. სავარძელში მოკალათებულებმა კარგა ხანს ვისაუბრეთ. მერე უფროსმა უთხრა საცოლეს – წადი, მოემზადე, რესტორანში ვივახშმოთო. კორეელი ხტუნვა-ხტუნვით წავიდა. ერთ საათზე მეტი გვალოდინა – ასე იციან ქალებმა. ისე შეეცვალა გარეგნობა, რომ ძლივსლა ვიცანი.

ტაქსი დავიქირავეთ. მე პირველად ვიყავი მოსკოვში და სად რა იყო, არ ვიცოდი. ჩემი უფროსი კარგად იცნობდა იქაურობას.

მოსკოვში ჯერ კიდევ საკმაოდ ციონდა. ხალხი თბილი ტანსაცმლით დადიოდა. უკვე დაღამებული იყო, როცა რომელიღაც რესტორანთან შეჩერდა ტაქსი. მგზავრობის ფული გადავიხადე და კარი გამოვულე კორეელ სარძლოს. ხელკავით შეწყვილებულებს უკან გავყევი.

ჩინური რესტორანი უყვარსო ჩემ საცოლეს, ხაზგასმით მითხრა უფროსმა. გაგებული მქონდა რესტორან „პეკინის“ შესახებ, რომ საკმაოდ ეგზოტიკური კერძები ჰქონდათ.

რესტორანში შესვლის წინ ჩემს უფროსს მივმართე ოდნავ მუდარაშერეული თხოვნით – დღეს ჩემი დაბადების დღეა და დამდეთ პატივი, რომ მე ვიყო თქვენი მასპინძელი-მეთქი. კარგიო, მიპასუხა, მომილოცა და თავის საცოლესაც ამცნო სასიხარულო ამბავი.

ყვავილის გვირგვინივით ჩამომეკიდა ბელურასტოლა კორეელი კისერზე და პომადით ამიქრელა ლოყები.

წავედით შესასვლელისკენ. უფროსი და მისი საცოლე წინ გავატარე. შევიცარმა ჩვეული მოძრაობებით შეაღო კარები და თავის ქნევით შეაცილა ისინი. მე კი წინ ამელობა და არ შემიშვა. მითხრა, მარტოს ვერ შეგიშვებო. ასეთ რამეს აშკარად არ ველოდი. ვეუბნები, მარტო არა ვარ, მათთან ერთად ვარ-მეთქი.

არაო, შენ ვერ გაგვიგე, უქალიდ ვერ შეგიშვებთ, ასეთია წესი. ვერც ჩემი უფროსის ახსნა-განმარტებებმა გასჭრა. ვატყობ, ცუდად არის საქმე. დაბადების დღეს მიმწარებენ. დავიბოლმე.

უფროსმა მითხრა, მიდექ-მოდექი, რა, ქალი ვერ უნდა მონახო ამხელა ქალაქში.

ვაი, შენს პატრონს, ჩემო თავი, ეს რა დღეში ვარ...

უფროსს ვეუბნები – კარგი, თქვენ შედით, რაც გინდათ და გაგეხარდებათ შეუკვეთეთ, არ მოიწყინოთ, რაღაცას მოვახერხებ.

ვდგავარ სასტუმროს წინ. თან მოსკოვური სიცივე მანუხებს, თან შექმნილი სიტუაცია. შვეიცარმა ულვაშებზე ხელი აისვ-ჩაისვა და რჩევას მაძლევს – გაიარ-გამოიარე, ვიღაცას ნახავ, გენაცვალე.

კარგა ხანს ვიარე აქეთ-იქით. არ გინდა ასეთ დროს შენი შეს-აფერი ქალი ჯერ მოძებნო და მერე დაითანხმო, რომ რესტორანში გამოგყვეს?

რუსული ენა რუსებზე კარგად ვიცი, მაგრამ მარტო ეს საკმარი-სი რომ არ იყო, დიდისანია ვიცოდი.

ბევრი გოგო გავაჩერე – ვუხსნი, ჩემი დაბადების დღეა, ახალი ჩამოსული ვარ, არავის ვიცნობ, გამინიეთ პარტნიორობა და ა.შ., მაგრამ ზოგმა რა მოიმიზება და ზოგმა რა. დრო მიდის, ცხვირპირი მეყინება. რესტორნიდან კი საცეკვაო მუსიკის ხმები ისმის.

დავინახე სანდომიანი ქალბატონი ახალგაზრდა გოგონასთან ერ-თად. ნელი ნაბიჯებით და საუბრით მოდიოდნენ ჩემსკენ (დედა და შვილი აღმოჩნდნენ).

მივმართე საქმაოდ სიმპათიურ ქალბატონს და ავუხსენი ვითარება. გაოცებული მისმენდა. მერე მიპასუხა, რომ მე ვერ წამოვალ, არ შემიძლია და თუ ეს (შვილზე მიმითითა) წამოგყვება, მე წინააღმდეგი არ ვიქნებიო. გოგომ სიხარულით განაცხადა თანხმობა. მეც ეს მინდოდა, ხელი გავუწოდე და ვთხოვე, გამომყოლოდა.

არა, არა... ასე როგორ შეიძლება. ჩემი ქალიშვილი სარესტორ-ნოდ არ არის ჩაცმული – მკაცრი ტონით განაცხადა დედამ.

წამოგყვევი სახლში, აი, იქ ვცხოვრობთ და თითი გაიშვირა მაღლივი შენობისკენ. გადაიცვამს ტანსაცმელს, თავს წესრიგში მოიყვანს და მერე წადით.

მეტი რა გზა მქონდა, გავყევი. სანამ გოგო ემზადებოდა, სიმპა-თიური ქალბატონი რუსული ჩაით და „ფოჩიანი“ კანფეტით გამი-მასპინძლდა. საათზე დავიხედე. ღამის თერთმეტ საათს აღარაფერი უკლდა. შევწუხდი, ვიფიქრე, როგორ ნერვიულობს ჩემი უფროსი.

ამ დროს შემოვიდა სარესტორნედ გამოწყობილი გოგონა. 20-21 წლის იქნებოდა. მე ასეთი სილამაზე იშვიათად მინახავს. გუნებაში „ჩრდილოეთის დედოფლალი ვუწოდე. მოხიბლული ვიყავი მისი ღი-

მილით, საუბრის ტონით, მიხვრა-მოხვრით და უაღრესად დახვეწილი სამოსით.

გამოსვლისას დედამისმა მთხოვა – მარტო არ გამოუშვა, აუცილებლად გამოაცილეო.

ულვაშებიანმა შვეიცარმა ლიმილით გამიღო კარები და ყურში ჩამჩურჩულა – „მალადეც, გენაცვალე“.

გაიხარეს ჩემმა უფროსმა და მისმა საცოლემ. წარვუდგინე „ჩრდილოეთის დედოფალი“ და სწრაფად შევაფასე სიტუაცია.

რესტორანში მყოფნი უკვე საკმაოდ იყვნენ შეზარხოშებულები. იყო ხმაური და სიცილ-კისკისი. ოფიციანტი ბიჭები საოცარი მანევრირებით დაქროდნენ მაგიდებს შორის და იყო ერთი ჩხაკუნკაკუნი და აღტაცების შეძახილები.

ჩემმა უფროსმა მოიხმო ოფიციანტი და სთხოვა მოგვმსახურებოდა მე და ჩემ პარტნიორ გოგონას.

„ჩრდილოეთის დედოფალმა“ ყურში ჩამჩურჩულა, პირველად ვარ რესტორანში და დამხემარე, რომ არაფერი შემებალოსო.

ყველაფერი კარგად იქნება-მეტქი, ვუპასუხე და ისევ ცხონებული მამარემის სიტყვები ამოტივტივდა გონებაში: „გახსოვდეს, რომ კაცი დაბადებულია ქალის სათაყვანებლად, მისი სურვილების აღსასრულებლად და ხელის გულზე სატარებლად“.

რესტორნის დიდ დარბაზში მხიარულებამ პიკს მიაღწია. ეს-ტრადის მუსიკოსები ერთიმეორეზე უკეთეს და პოპულარულ საცეკვაო მუსიკას ჩუქნიდნენ გალალებულ სტუმრებს და არც ეს უკანასკნელი რჩებოდნენ ვალში – დაუფარავად უტენიდნენ ჯიბეებში ტკიცინა ათ და ოცდახუთმანეთიან კუპიურებს.

სუფრაზე ყველანაირი სასმელი გვქონდა და არც უცნაური, მაგრამ გემრიელი, ჩინური კერძები გვაკლდა. ოლონდ „ჩრდილოეთის დედოფალი“ გამეხარებინა და სიამოვნება მიმენიჭებინა – არაფერს ვიშურებდი. ოფიციანტი დავლალე აქეთ-იქით სირბილით, გასამრჯველოსაც საკმაოდ ვაძლევდი (აქვე ვიტყვი, რომ ფული ბევრი მქონდა ჩემიც და სხვისი გამოტანებულიც. სია საყიდლებისა ცალკე მედო ჯიბეში. რის ჩატანა აღარ მთხოვეს ჩემმა თანამშრომლებმა: ელექტროსაპარსი, მოდური პერანგები, სუნამოები, კოლგოტკები, ფეხსაცმელები, სანადირო თოფის გილზები, მაგნიტოფონი და ათასი სხვა რამ).

„ჩრდილოეთის დედოფალი“ მხოლოდ შამპანურს მიირთმევდა. გამხიარულდა და საოცარი ჭიკვით გაგვაოცა. მალე გაუშინაურდა ჩემი უფროსის საცოლეს და არც კომპლიმენტები მოაკლო. მოკლედ, ქეიფი გახურდა.

გინდა, გიმლერო-მეთქი, ჩავჩურჩულე „ჩრდილოეთის დედოფალს“. მართლა... ძალიან გამახარებო, ასევე ჩურჩულით მიპასუხა.

მივედი მუსიკოსებთან და ვთხოვე მათი აკომპანიმენტის ქვეშ მემღერა. კი ბატონოო, მითხრეს, მაგრამ მაგას ხომ იცი, რა სჭირდებაო. ორმოცდაათმანეთიანი ჩავუდე ჯიბეში, მიკროფონი გამოვართვი და ლეონიდ უტიოსოვის ცნობილი რომანი „სერდცე“ შევუკვეთე.

დარბაზი ტაშის კვრამ შეაზანზარა. მუსიკოსების ხელმძღვანელმა დარბაზის ამცნო, რომ ჩემი დაბადების დღე იყო. მეორედ იქუხა ტაშმა. „ჩრდილოეთის დედოფალმა“ გადამკოცნა და მითხრა – ძალიან გამახარე.

სუვადასხვა სუფრიდან მოლოცვას მითვლიდნენ, ფეხზე ადგომით მადლეგრძელებდნენ და საპაერო კოცნას მიგზავნიდნენ. იმ წუთებში ძალიან ბედნიერი ვიყავი ყველაფრით, განსაკუთრებით კი იმით, რომ დიდი სიხარული მივანიჭე „ჩრდილოეთის დედოფალს“.

ჩვენს სუფრაზე შეისვა მორიგი სადლეგრძელო. ერთხელ კიდევ დავიმსახურე მისი კოცნა, როდესაც ქალების სადლეგრძელო შევთავაზე და განსაკუთრებული თბილი სიტყვებით მოვიხსენიე მისი დედა, რომელიც დიდი ხანია, რაც ქმართან გაშორებულია და მარტოდ ზრდის თავის პირმშოს.

ლუკმა დავაყოლე შესმულ ღვინოს და გაისმა რაღაც პომპეზური მუსიკის ხმა, არა ესტრადიდან, არამედ სადლაც მოფარებული გამაძლიერებლიდან. დამთავრდა ჩემთვის უცნობი ჰანგების უღერადობა, წამოიშალა ხალხი და ნელი ნაბიჯებით წავიდნენ გარდერობისკენ. ვერ მივხვდი, თუ რა ხდებოდა.

ჩემმა უფროსმა ამიხსნა – ეს ჩინეთის ჰიმნი იყო. ახლა ყველამ უნდა დავტოვოთ აქაურობა, წესია ასეთიო. ოფიციანტიც გვეახლა და ანგარიში წარმოგვიდგინა (საოცარი თანხა იყო შეჯამებული, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე სხვა რესტორნებში).

შექმნილი სიტუაციით გაოცებულმა და აღშფოთებულმა გა-

დავხედე „ჩრდილოეთის დედოფალს“ – ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან, მისი სახე სასონარკვეთას გამოხატავდა.

რა მოხდა, რატომ ტირი-მეთქი. ძალიან მინდოდა მეცეკვა შენ-თან ერთადო. გულში რაღაც ჩამწყდა უეცარი ტკივილისგან. გავიხედე ესტრადისკენ. მუსიკოსები ალაგებდნენ ინსტრუმენტებს და წასასვლელად ემზადებოდნენ.

ერიჰაა, გავიფიქრე და ნაბიჯი გადავდგი ესტრადისკენ, თან ჩამესმის მამაჩემის სიტყვები – „მოეფერე და აუსრულე ყველა სურვილიო“. ჩემმა უფროსმა შემაჩერა, ტყუილად გაირჯები, არაფერი გამოგივა, უფრო მეტიც, შეიძლება დაგსაჯონ კიდეც, რადგან ეს შინაგანანესის დარღვევა იქნებაო.

არაფრად ჩავაგდე უფროსის გაფრთხილება. ოდნავშემთვრალმა ესტრადისკენ გავიქაჩე და მუსიკოსები შევაჩერე – ერთადერთი ცეკვა მაჩუქეთ-მეთქი – შევევედრე.

რომ იტყვიან „ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს“. რა გინდა, სამსახურიდან გინდა რომ გაგვყარონო. ავტეხე ერთი ამბავი. ვეუბნები უურნალისტი ვარ და ხვალვე დავწერ წერილს, თუ როგორ ემსახურებით-მეთქი ხალხს. გასჭრა დაშინებამ. მოიყვანეს ვილაც აწონილი, სათვალიანი კაცი. ეს თუ გადაწყვეტს, თორემ ჩვენ მზად ვართო. იმანაც დამიწყო მორალის კითხვა, ასეო და ისეო... უკმერხად მივახალე – უნდა წამოხვიდეთ დათმობაზე, სულ ერთი ცეკვა მინდა „ჩრდილოეთის დედოფალთან“ და დანარჩენი ჩემზე იყოს-მეთქი. დანარჩენში რას გულისხმობო – დაინტერესდა სათვალიანი.

ჩავიყავი ხელი მარცხენა შიდა ჯიბეში და ცხვირწინ დავუყარე ოხცდახუთმანეთიანების ბლუჯა. გაოცებისგან თვალები შუბლზე მოექცა. სასწრაფოდ დააბრუნა მუსიკოსები თავის ადგილებზე.

– რა გნებავთ, რას იცეკვებთ?

– რაც გინდათ დაუკარით, მე ყველაფერს ვცეკვავ. – მიგახალე გახარებულმა და სწრაფი ნაბიჯებით მივაშურე „ჩრდილოეთის დედოფალს“.

დარბაზში ულერდა გენიალური შტრაუსის ვალსი. გარდერობში გასული ხალხი უკან შემობრუნდა. მიუსხდნენ თავიანთ მაგიდებს და გაკვირვებულებმა, თუმცა გახარებულებმა გააგრძელეს ლინი.

ავიტაცე „ჩრდილოეთის დედოფალი“ და გამამხნევებელი შეძა-

ხილების ფონზე, დიდხანს ვაბზრიალე მაგიდებს შორის სივრცეებში.

გაიხარა „ჩრდილოეთის დედოფალმა“. მომეჩვენა, რომ ბედნიერებისაგან ცაში დაფარფატებდა. არასდროს დამავიწყდება მისი სიხარულით სავსე თვალები და მადლიერი გამოხედვა. მისმა სიცილ-კისკისმა და ოქროსფერი თმის ფრიალმა ნაადრევად დააყენა გაზაფხული მოსკოვში.

ყინული გალლვა, ახლა უკვე ვერაფერი შეაჩერებდა საზეიმო მხიარულებას. ცეკვას ცეკვა მოჰყვა, შეძახილებს შეძახილები, ტაში ტაში და შიდა მარჯვენა ჯიბეც თითქმის დაცარიელდა.

დილის ოთხი საათი სრულდებოდა, როცა „ჩრდილოეთის დედოფალი“ სახლში მივაცილე. დედამისს ერთი ბოთლი შამპანური და ტკბილეული მივართვი.

მიმიპატიუქს სახლში, მაგრამ არ შევედი, მელოდებიან-მეთქი. დავემშვიდობე და შევპირდი, რომ მალე ვინახულებდი. ეს იყო და ეს.

კორეელი საცოლე საერთო საცხოვრებელში მივიყვანეთ და დავბრუნდით სასტუმროში.

ცხრა საათზე სამივლინებო დაწესებულებაში მივედით. ჩემ-მა უფროსმა წარმადგინა იქაურ მესვეურებთან, გააცნო ჩემი მი-ვლინების მიზანი.

მეორე დღეს დილით აეროპორტში გავაცილე უფროსი. ის საქართველოში დაბრუნდა. მე ხუთი დღე კიდევ დავრჩი მოსკოვში სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად. ცოტა გამიჭირდა, რადგან შემორჩენილი ფინანსები საკმარისი იყო მხოლოდ შავი პურისა და მოთუშული კომბოსტონსათვის. ჭირი მომჭამა კოლგოტკებმა, ელექტროსაპარსმა, წინდებმა და ა.შ.

სამაგიეროდ, ამაყად ვგრძნობდი თავს, რადგან როგორც მამრმა, ღირსეულად მოვიხადე ვალი მდედრის წინაშე. ის მდედრი აღარც მინახავს.

როგორც იტყვიან ხოლმე – „დღევანდელი გადასახედიდან“ ცოტა მიუღებლად მიმაჩნია ასეთი საქციელი. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ახალგაზრდული აღტკინებისა და ზოგჯერ ძნელადპროგნოზირებადი სურვილების შესახებ?!

## კიეველი სტუმარი

1952 წლის ზაფხულში, მთაწმინდის პლატოზე (ფუნიკულიორზე) გავიცანი თბილისში სტუმრადმყოფი კიეველი გოგონა. თბილი ნაცნობობა გამოგვივიდა. მე, როგორც ყოველ ქართველს სჩვევია, „თავი მოვიქაჩილე“ და მაქსიმალურად შევეცადე სტუმრისთვის მეცა სათანადო პატივი.

ერთი კვირის განმავლობაში ვიყავით ერთად. ბოლომდე ამოვ-იფხიკე სტუდენტური ჯიბეები, მაგრამ ოდნავადაც არ ვნანობდი, რადგან ყველა ღირსშესანიშნაობა დავათვალიერებინე – მყავ-და მცხეთაში, ჯვარზე, ზედაზენში, ბეთანიაში, ოპერისა და გრი-ბოედოვის თეატრებში და მუზეუმებში. პარალელურად ვაცნობ-დი საქართველოს ისტორიას (რამდენიც შემეძლო) და, რაღა თქმა უნდა, ქართულ სამზარეულოს. მოკლედ, პირნათლად ვასრულებდი მასპინძლის მოვალეობას.

თანადათანობით ჩვენი ურთიერთობები უნებლიერ გასცდა სტუ-მარ-მასპინძლობის ტრადიციულ ზღვრებს და ჩვენს შორის გაჩნ-და რაღაც აუხსნელი, მაგრამ ფრიად საამო და კეთილშობილური გრძნობა. სულსწრაფობა გამოვიჩინე და შევთავაზე – კახეთში ნავი-დეთ, ჩემს ახლობლებს გაგაცნობ-მეთქი, მაგრამ ცივი უარი მივიღე. გული მეტკინა, მაგრამ მოგვიანებით მივცვდი, რომ ასეც უნდა ყო-ფილიყო და რომ იმ უარში არაფერი იყო არაბუნებრივი

ასე იყო, თუ ისე – ორი დღე კიდევ ვიყავით ერთად. უფრო დავ-ვახლოვდით და გავუთამამდით ერთმანეთს. მერე კი მოხდა ის, რასაც თითქოს არ ველოდი. სახლში რომ მივაცილე, ხელს არ მიშვებდა. მერე პატარა ჩანთა გახსნა, რაღაც ქაღალდი ამოილო და მითხრა – ამაღამ მივდივარ მატარებლით ბათუმში, აი ჩემი ბილეთი, ხომ გამაც-ილებო. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, რა დღეში ჩავვარდი. რატომძაც მეგონა, რომ სამუდამოდ ერთად ვიქებოდით და ერთი წუთითაც არ დავშორდებოდით ერთმანეთს. გული ჩამეწვა. ახლა მე აღარ ვუშვებდი ხელს. იქნებ კიდევ დარჩე ერთი-ორი დღე. მერე მე თვითონ გაგზავნი კიევში, თუ გინდა, სახლამდეც ჩამოგყვები-მეთქი. არა, ჩემი ძვირფასო, ჩემი წასვლა აუცილებელია, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს თუ მოინდომებო. გავფუჭდი ბიჭი, ყურები კახური სახე-დარივით ჩამოვყარე და ხმის ამოღებას ვეღარ ვპედავდი.

კარგი ახლა, მითხრა მუდარით. მოსამზადებელი ვარ. გადამკოცნა, შეტრიალდა და სადარბაზოში შეირბინა. ხელის დაქნევით მომაძახა – არ დაიგვიანო, გამაცილე. გავაცილე, მაგრამ ვაი ასეთ გაცილებას. არასდროს ვყოფილვარ ისე დათრგუნტული და გაუგებრობაში მყოფი, როგორც იმ წუთებში ვიყავი. ცრემლებით დამისველა მკერდი, იმდენი მკოცნა, რომ მთელ შემდეგ ცხოვრებაში არავის უკოცნია ამდენი ერთად აღებული. ძალა მოვიკიფე, მასაც ხომ უნდა გაუგო, იმისთვისაც ხომ რაღაც უცნაური ხდება-მეთქი, გამიელვა თავში. მკერდზე მივიკარი, თმებზე ხელი გადავუსვი და ვუთხარი – კარგი, დამშვიდი, მალე გნახავ-მეთქი, თან ვფიქრობ – როგორ ნახავ, სად და როდის შეჯიბებამოფეხეილო სტუნდენტო-მეთქი.

დაიძრა მატარებელი, ხელი მივაშველე და გამცილებელს მივაძახე – ყურადღება მიმიქციე, სტუმარს არავინ აწყენიოს-მეთქი. ყვითელალმიანი მოკლე ჯოხი ასწია მაღლა თანხმობის ნიშნად ულვაშებიანმა გამცილებელმა.

ვიდექი პერონზე და გავყურებდი მიმავალ მატარებელს. მალე ბოლო ვაგონიც გაქრა მხედველობის არედან და ნელი ნაბიჯებით წავედი სადგურის გასასვლელისკენ.

არავის ვუსურვებ ასეთ ვითარებაში ყოფნას.

გამახსენდა ჩემი დაპირება – მალე გნახავ-მეთქი. ვაი, ჩემს თავს, უბედურს... როგორ უნდა ვნახო მალე, რანაირად, როდის... ამე-კვიატა ეს სიტყვები და მდგომარეობა უფრო დამიმძიმდა. სი-ტყვის შეუსრულებლობა როგორ უნდა ვიკადრო?.. არადა, რომ დავპირდი... რას იტყვის, რას იფიქრებს?.. მაშ, რა ვქნა, რა ძალა მსჯიდა, ვერ გავაჩერე ენა?.. ამ ფიქრებით დამძიმებულმა გავიარე მოსაცდელი დარბაზი და უცებ გონება გამინათდა. ვიცი, როგორ უნდა ვნახო მალე. გავიფიქრე ეს და შურდულივით მოვწყდი ადგილიდან. მოსაცდელში მთვლემარე მგზავრები შეშინებულები შემომცექროდნენ, იფიქრეს ალბათ – მოსაკლავად ხომ არ მის-დევენო.

სადგურიდან სულ რაღაც ორ კვარტალში ცხოვრობდა ერთი ჩემი კარგი ძმაკაცი, გოდერძი ჩეკურიშვილი. „ზაპროჟეცის“ მარკის, ერთავად დაფეხვილი და დაჭეჭყილი მანქანა (კონსერვის ქილა შეარქვეს მაშინ იმ მანქანას) ჰქონდა. შიგ რომ იჯექი, ისეთი შეგ-

რძნება გიჩნდებოდა, თითქოს რაღაც ინგრევა ან იშლება. დასაძინებლად ემზადებოდა, როცა თავს დავატყდი.

– ჩქარა ძმაო, უნდა მიშველო; დაქოქე მანქანა, ბათუმში მივდივართ... ჩქარა, ჩქარა, ყველაფერს გზაში მოგიყვები.

– შენ ხომ არ გაგიჟდი, ჩემი „კონსერვის ქილით“ ბათუმში როგორ ჩავალწევთ?!.

– თუ ძმა ხარ, ჩქარა, მატარებელს უნდა გადავასწროთ. არ მიღალატო, თორებ დაგკარგავ...

– ჰო, კარგი, კარგი; მართლა გაგიჟებულხარ და ეგ არი; გასაღები უჯრაშია, მიდი გამოაგორე და გაამზადე. ახლავე მეც გამოვალ.

მატარებლის გასვლიდან დახლოებით ნახევარი საათი იქნებოდა გასული, როცა ჩვენმა „ზაპოროჟეცმა“ დასავლეთისკენ აიღო გეზი და სულ თუხთუხ-ხტუნაობით გაგიყენა გზას. რომ იტყვიან, სული კბილით გვეჭირა და პირჯვრის წერით ღმერთს ვევედრებოდით – არ ეღალატა „კონსერვის ქილას“.

გზადაგზა დაწვრილებით მოვუყევი ძმაკაცს ის, რაც მჭირდა. ხმა აღარ ამოუღია, სიჩქარეს მოუმატა. სადღაც სამტრედის მიდამოებში გადავასწარით თბილისი-ბათუმის მატარებელს.

ნამსვლელებისა და დამხვდურების სიმრავლე იგრძნობოდა ბათუმის რეინიგზის სადგურისწინა მოედანზე და ბაქანზე. ძრავა გამორთული გვქონდა. მანქანა კი ისევ თუხთუხებდა და ორთქლის ჭავლს აფრქვევდა.

მალე მოვალ-მეთქი, მივაძახე გოდერძის და სირბილით შევვარდი სადგურის შენობაში, მოვნახე დალაქი, ჩამოვაპარსინე ბაკები (მაშინ მოდაში იყო) და უღლვაშები. თმა გადავავარცხნინე მარჯვნივ და იმდენი „ბრიოლინი“ წაგასმევინე, რომ ალბათ ათ კაცს ეყოფოდა. სარკეში ჩავიხედე და კმაყოფილი დავრჩი – ძლიერს ვიცანი ჩემი თავი. მერე შევიძინე ყვავილების უზარმაზარი თაიგული და მანქანის საგარძელზე ფრთხილად დავდე. გაოგნებული მიცქერდა ძმაკაცი, პირი ღია დარჩა და ხმის ამოლებას ვერ ახერხებდა.

– აბა, ახლა ტანისამოსი გავცვალოთ-მეთქი, ღიმილით ვუთხარი ძმაკაცს და უცბად გავიძრე შარვალი და პერანგი.

– რა მოიფიქრე კიდევ – ამოსცრა როგორც იქნა და დაიწყო გახდა. „ზაპოროჟეცი“ აღარ თუხთუხებდა.

ცხვირშინაჭერილი ქალის ხმამ მოაღწია ბაქნიდან. მგონი მატარე-

ბლის შემოსვლა ამცნეს დამხვდურებს. ხელი ვტაცე თაიგულს და ერთ წუთში გავჩნდი ბაქანზე. მატარებელი გამოჩნდა, გაჩერდა, ამოისუნთქა. საკუთარო გულის ბაგა-ბუგი მესმოდა. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას ვეტყოდი ან როგორ. მივუახლოვდი სასურველი ვაგონის კიბეს. ულვაშიანმა გამცილებელმა გაკვირვებით შემომხედა, კარგა ხანს მიცეირა და მერე რაღაცის ბურტყუნით მიუბრუნდა თავის საქმეს.

აპა, ისიც. გამოჩნდა. ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირა. ზემოდანვე მოავლო თვალი ბაქანზე მოფუსფუსე ხალხს და დაკვირვებით ათვალიერებდა იქაურობას, თითქოს ვიღაცას ეძებდა. მერე ჩემი ვეებერთელა თაიგული შენიშნა და მეც ყურადღების ცენტრში მოვექცი. რაღაც დაემართა, გამცილებელს ხელი რომ არ მიეშველებინა, კიბიდან გადმოვარდებოდა. ახლოს მივედი, თაიგული გავუწოდე და თვალებში ჩავხედე. ერთიანად შემძრა იმან, რაც მე მის თვალებში დავინახე. თავი დამნაშავედ ჩავთვალე, რომ ასეთი რამ ჩავიდინე. არ ვიცი, როგორ აღვწერო ის, რაც მოხდა. მისი თვალები ერთდროულად გამოხატავდნენ გაკვირვებას, დაუჯერებლობას, შეშაც კი და კიდევ რაღაცა უცნაურს, რისთვისაც სახელი ვერ შემირჩევია. კარგა ხანს მიცეირა, მერე თვალები რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა, თავიც გააქან-გამოაქანა, მაგრამ ცხადში დაბრუნება კარგა ხანს ვერ შესძლო. როგორც იქნა მოახერხა და მუდარაშერეული ხმით მკითხა:

– ვინა ხარ, რა გნებავს?! – ჩემოდანი მიწაზე დადო და თაიგული ხელიდან ხელში გადაიტანა. ჩაშტერებული მზერის გაძლება გამიჭირდა. ნელ-ნელა იკრებდა ძალებს, მე კი გამბედაობა მღალატობდა. როგორც იქნა ამოვლერლე...

– მე ტყუპის ცალი ვარ. ჩემმა ძმამ დამირეკა – დახვდი და ყურადღება მიაჰციეო.

როგორც ჩანს, ჩემი ძმის გაგონებამ გამოაფხიზლა. ჯერ თვალების გამომეტყველება შეეცვალა სასიკეთოდ, მერე ლიმილმაც გადაურებინა სახეზე და მივხვდი, რომ სიცხადეში დაბრუნდა.

სწრაფი მოძრაობით ულვაშებიან გამცილებელს მიაჩერა თაიგული, გადამეხვია და კოცნით რომ იჯერა გული, მერე ყურში ჩამჩრერჩულა: „შენ და შენს ტყუპის ცალს, როგორ ერთიდაგივე ადგილებში მოგხვედრიათ ბავშვობაში ნასროლი ქვაო“ (წარბებს შო-

რის შუბლზე შრამი მაქვს დარჩენილი მოხვედრილი ქვით). მიცნო; მიცნო და გაიხარა. მეც ხომ ეს მინდოდა, რომ ჯერ გამეოცებინა და მერე გამეხარებინა.

ახლა ჩემი რიგია, რომ გაგაოცოო – მითხრა ეს, თაიგული გა- მოართვა გამცილებელს, ხელკავი გამიყარა და ბაქნის შუაგულისკენ წამიყვანა. აი, იმ ორ ადამიანს ხომ ხედავ, ჩვენსკენ რომ იცქირებიან და ინტერესით გვადევნებენ თვალს... ეგენი ჩემი მშობლები არიან, ორ საათში ჩვენი თბომავალი გადის, ადგილები დაჯავშნული გვა- ქს... ოდესიდან კი მატარებლით გავემგზავრებით სახლშიო – ჩამო- მიჭიკვიკა კიეველმა სტუმარმა.

სიტყვა აღარ დამიძრავს აღაც მის დარჩენაზე და აღარც კახეთ- ში წაყვანაზე. დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მისი ბოლო სიტყვები იყო: „იმედი მაქვს, არ დამივინწყებ და თუ ოდესმე კიევში მოხვდები, აუცი- ლებლად მინახულებ; მისამართი და ტელეფონის ნომერი გაქვს; აბა შენ იცი, მომიკითხე ტყუბისცალი, გადაეცი, რომ ძალიან კარგი ბიჭია“.

ახლა კი მსურს მივმართო ყველა პროფესიის, ეროვნების, სხვა- დასხვა რეგალიების მქონე მამაკაცებს ლექსით:

„ხუროს, ხარატს, მიწის მომვლელს,  
პედაგოგებს, თერძებს, დენდებს,  
მსახიობებს, პოეტ-მგოსნებს,  
ცოლშვილიანთ, ყოფით კენტებს:  
ნუ მოაკლებთ მანდილოსნებს  
ყვავილებს და კომპლიმენტებს...“

## ყიამყრალი ვიგინდარა

ეს ამბავი ახლახანს მოხდა.

გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ვიყავი სტუმრად საკმაოდ ხალხმრავალ სუფრაზე მიპატიუებული. თავიდან ყველაფერი ზომი- ერად მიმდინარეობდა. საოცრად თბილი ატმოსფერო სუფევდა ოჯახში. კარგად მოვილხინე და საკმარისზე მეტი ღვინო დავლიე. მერე კი დაიწყო „განსხვავებული“ სასმისების ტრიალი და შემთვრა- ლი მოქეიფეების გაუთავებელი ხმაური და გნიასი. აღარავინ უსმენ-

და თამადას. ყველა „თავის სიმართლეს“ ამტკიცებდა და იდგა ერთი კაკაფონია. ისე მოხდა, რომ დავილალე და გადაუწყვიტე დავმშვიდობებოდი მასპინძლებს. არ მიშვებდნენ, ცოტა ხნით კიდევ დარჩიო – მთხოვდა დიასახლისი, მაგრამ ჩემი გავიტანე.

მთავარ ტრასაზე, გზაჯვარედინთან მიმიყვანეს მანქანით. დიდი მადლობა მოვახსენე პატივისცემით და იქვე, ჯიხურთან დავდექი და დაველოდე გორისკენ მიმავალ სამარშრუტო ავტობუსს.

სიგარეტი გამითავდა და ჯიხურშიმდგომ ლამაზი გარეგნობის გოგონას ვთხოვე სიგარეტი მოეცა. ვიღაც ახმახი, წვერგაუბარსა-ვი მამაკაცი ლუდს ისე გემრიელად და მადიანად სვამდა, რომ მეც მომინდა. ვიყიდე ლიტრანახევრიანი „ნატახტარი“ და ის იყო განზე უნდა გავსულიყავი, როცა ახმახმა, თავისი ბანჯგვლიანი ხელი ჩამჭიდა და გამომეცნაურა.

– ამა და ამ ქალს ხომ იცნობო – მეკითხება და რაღაც ცუდის-მომასწავებელი უინიანი თვალებით ლამის შემჭამოს.

– კი, ვიცნობ, ვუპასუხე და დავინტერესდი, შენ საიდან მიცნობ-მეთქი.

– მამაჩემი დამყავდა მასთან სამკურნალოდ. შენც ხომ მკურნალობდი მასთან, ჰოდა იქ გნახე და დაგიმახსოვრე.

– როგორ არის მამაშენი?!

– მამაჩემი აღარ არის, იმ ქალმა მოკლა, მე იმისი ..... და მოჰყვაუშვერი სიტყვებით ლანძლვა-გინებას.

არ მესიამოვნა იმ ახმახის საქციელი, რომელიც უცენზურო სიტყვებს აფრქვევდა იმ ექიმი-ქალის მისამართით, რომელსაც კარგად ვიცნობდი, პატივს ვცემდი მის პატიოსნებას და პროფესიას და, რაც მთავარია, მის ადამიანობას და შრომისმოყვარეობას. ხასიათი წამიხდა. ვცადე დამენტნარებინა. ღვინითგაულენთილ გონებაში აზრები აირია, მაგრამ თავი მოვთოვე და მშვიდად ვუთხარი:

– არ გეკადრება მამაკაცს ქალის ასე უდიერად მოხსენიება და მითუმეტეს გინება. ჯიხურშიმდგომი ახალგაზრდა გოგონასაც ესმის ყველაფერი და უხერხულია-მეთქი.

– ერთი იმისიც... და ამისიც – მოაყოლა ხმამაღალი გინება და ღრენა.

არ ვიცი, რა დამემართა. რაღაცამ შემძრა, რაღაცამ გამთიშა და გონება დამიბნელა. სად ვიყავი და რას ვაკეთებდი, არ ვიცოდი. ის

კი ჩამრჩა მეხსიერების სილრმეში, რომ პოლიეთილენის ლიტრანასევრიანი, გაუხსნელი „ნატახტარის“ ბოთლი მთელი ძალით დაცუხე გაჩეჩილ თავში. ჯერ ენა ჩაიგდო, მერე თვალებით სადღაც ზემოთ დაიწყო ცქერა, მერე კი მოცელილივით გაიშხლართა მიწაზე. უცბათ გამოვიდებიზლდი. გავიფიქრე – ვაი, შენს თავს უბედურს, ეს რა ჰქენი-მეთქი. ჯიხურის გოგომ მორთო წივილ-კივილი. სად იყო და სად არა – ჩემს წინ შეჩერდა საპატრულო ეკიპაჟი. ხელები გადამიგრიხეს და წამიყვანეს. შეკითხვები დამაყარეს. პასუხებს ვერ ვასწრებდი. რაღაცეცხი დაწერეს, მერე დახიეს, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეავსეს რაღაც ქალღალდი, ისევ დახიეს. ვიღაცამ მიცნო და დაცვა სცადა – რა გინდათ ამ კაცისგან, ქალის სახელი და ღირსება დაუცვია, აფერუმ მის ვაჟეაცობასო. გამომიშვეს, მაგრამ ის ახმახი თურმე არ ისვენებდა და ჩიოდა – დაიჭირეთ და დასაჯეთო.

ორი კვირა მაჭანჭყარეს და ბოლოს მითხრეს – წადი, ის კაცი ნახე და გააჩუმე, თორემ მოსვენებას არ გვაძლევსო.

წავედი, სახლში მივადექი იმ ახმახს.

– რა არის, ვეღარ უნდა მორჩე ჩივილს?! აპა, მოვედი და მიდი ერთი დამარტყი და დაშოშმინდი. ახალგაზრდობაში არ გიჩხუბია, რა მოხდა ისეთი...



ჯიქურ შევუტიე, ხმის ამოლება არ ვაცალე... ხომ ამბობენ – „გალმა შეედავე, გამოლმა დაგრჩებაო“.

ხმაურზე გოგონა შემოვიდა ოთახში. იქნებოდა ასე 16-17 წლის.

დამინახა თუ არა, მეკითხება:

– თქვენ ხომ ის ხართ, ტელევიზიონით, ლიტერატურული გადაცემა რომ მიგყავდათ?!

კი-მეთქი – ვუპასუხე.

– ერთხელ დედაჩემა მომიყვანა თქვენთან. ცხრა წლის ვიყავი მაშინ. თქვენ ჩემი ლექსები შეასწორეთ და დახვეწეთ. მასნავლებელმა უმაღლესი ნიშანი დამინერა. ახლა გეუბნებით დიდ მადლობას; დაბრძანდით – მითხრა ეს და სკამი მომიჩოჩა.

ოჯახის დიასახლისიც შემობრძანდა. ლიმილით მომესალმა და მომიკითხა. თბილი საუბარი შესდგა. „იმას“ მე მივხედავო, დამამშვიდა. ველარ გაბედავს ჩივილსო.

ოთახში მიმოვიხედე. ახმახი არსად ჩანდა.

„...მადლი ქენი, ქვაზე დადე – ჩამოივლი, წინ დაგხვდება“.

კარგად არის ნათქვამი.

## ჩვევები, ნიშან-თვისებები

ადამიანის ჩვევები და ნიშან-თვისებები ის შტრიხები და სიმპტომებია, რომლებიც ამა თუ იმ პიროვნებაზე ქმნის საერთო საზოგადოებრივ აზრს მის ავ-კარგიანობაზე თუ პოტენციურ შესაძლებლობებზე და ყოფის შინაარსზე. ამასთან, ზოგიერთი ჩვევა თუ ნიშანთვისება (მემკვიდრეობითია თუ შეძენილი) საზოგადოებისთვის მისაბაძია და საქები, ზოგი კი დაცინვისა და გაკიცხვის საგანიც კი ხდება.

განმარტებით ლექსიკონებში სიტყვა „ჩვევა“ განმარტებულია, როგორც „ვარჯიშით, წვრთნით გამომუშავებული უნარი“. თავს უფლებას ვაძლევ და ამ განმარტებას დავამატებდი იმას, რომ ამა თუ იმ ადამიანის ესა თუ ის ჩვევა, შედევი უნდა იყოს (ნაწილობრივ მაინც) გენეტიკური მემკვიდრეობისა. რატომდაც არა მგონია, რომ ადამიანმა ივარჯიშოს, გაიწვრთნას იმ მიმართულებით, რათა ჩვევად იქციოს: თითების გაუთავებელი ტკაცუნი, გაშლილი თითებით ტა-

შისკვრა, სასმელის ხრუპუნ-ხრუპუნით და საჭმლის ტყულაპა-ტყულუ-პით მირთმევა, რომელიმე ფეხის ოდნავ განზე დადგმა, წამნამების ხშირი ხამხამი და ა.შ.

კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი თავის თავში მოიცავს ათეულ მილიონბით უჯრედს, რომელიც თავის მხრივ გახლავთ, ჩემის აზრით, ბუნების მიერ შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო მატერიალური ფენომენი, რადგან სწორედ ეს უჯრედები მართავენ მთელ ბიოლოგიურ სასიცოცხლო პროცესებს. ყოველ უჯრედს თუ უჯრედთა ჯგუფს გააჩნია „თავისი“ ფუნქცია და პირნათლად ასრულებენ რა თავის მოვალეობებს, მკაცრად აკონტროლებენ ბიოლოგიური ორგანიზმის ნებისმიერ სასიცოცხლო პროცესს.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი უჯრედის რთულ შემადგენლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ე.ნ. ნუკლეინის მჟავას, რომელიც აქტიურად მონანილეობს ცილების სინთეზში და გვევლინება ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და, რაც მთავარია, გადაცემის ერთ-ერთ მექანიზმად.

ახლა, თავს უფლებას ვაძლევ, უფრო მეტი გასაქანი მივცე ჩემს ფანტაზიას. ხომ არ უკავშირდება ნუკლეინის მჟავის უნიკალურ (მეხსიერებაში შენახვა) უნარს და მის ფუნქციურ დანიშნულებას – შესაბამისი გარემო პირობების (აუცილებლობის, მიზანშეწონილობის და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში გახსნას თავისი „სკივრი“ და „გამოამზეუროს“ დიდიხნით ადრე შენახული ინფორმაცია, ან მოახდინოს რეაგირება რაღაც სპეციფიურ (ვიტყოდი – ჩვევადეცეულ და ღრმადმივიწყებულ სიმპტომებზე) სიგნალებზე. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მოვიყვან ორ მაგალითს. ერთი გახლავთ იაკობ გოგებაშვილის კარგადცნობილი მოთხობა „იავნანამ რა ჰქმნა“, როდესაც ქეთომ „იავნანას“ ხმაზე, მრავალი წლის შემდეგ, გაიხსენა ბავშვობაც და დედაც. მეორე ამბავი კი მოხდა სულ ახლახანს (2014 წ. მარტი).

ცნობილია, რომ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ავტომრბოლელი შუმახერი, უმძიმესი ტრავმის გამო, იმყოფება კლინიკური სიკვდილის პირობებში (კომაში).

მსოფლიო მედიცინა იბრძვის მისი ნორმალურ ცხოვრებაში დასაბრუნებლად, მაგრამ მრავალი თვის შემდეგაც კი არ ჩანდა

არავითარი სასიკეთო ნიშანი, ორგანიზმი არ რეაგირებდა არანაირ სიგნალზე თუ მედიკამენტზე.

2014 წლის მარტში კი გავრცელდა მეტად მოულოდნელი და იმავდროულად საოცარი ამბავი. შუმახერის ორგანიზმა რეაგირება გააკეთა „ფორმულა-1“-ის ძრავის ღმულ-წივილზე და საბურავების ჭრიჭინზე, ანუ იმაზე, რასაც იგი შეეჩინა ათეულობით წლების განმავლობაში.

ცნობილია მოსაზრება, რომ ადამიანის ჩვევები, რომლებიც ყალბდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გადაეცემოდა შთამომავლობას და ასე მოალწია ჩვენამდეც. აქვე, ვფიქროს გასათვალისწინებელია ევოლუციური (აღმავალ-დაღმავალი) პროცესებისათვის დამახასიათებელი ნიუანსები, რომელთა შედეგად ზოგიერთი ჩვევა, დროთა განმავლობაში, შესაძლოა გაქრეს, ზოგი კი ჩამოყალიბდეს (მტკიცება მიჭირს, რადგან არ გახლავართ შესაბამისი სპეციალისტი და ვეყრდნობი მხოლოდ ლოგიკას).

როგორც ცნობილია ადამიანს, დედამიწაზე წარმოშობის საწყის პერიოდში (დაახლოებით 30-35 მილიონი წლის ნინ) ჰქონდა კუდი, რომელსაც მესამე საყრდენად იყენებდა. ხიდან ნაყოფის მოკრეფის დროს (აქვე მინდა გამცნოთ ერთი მათემატიკური მცნების შესახებ, რომ „სამი წერტილი ყოველთვის არის ერთ სიბრტყეში“. სამფეხა სკამი არასდროს ყანყალებს, არ კოტაობს. სწორედ ამიტომ ამზადებენ სამხედრო საველე და ტოპოგრაფიულ ხელსაწყოებს სამფეხიანი სადგამებით) სჭირდებოდა მყარი დგომა (ჯდომა). დროთა განმავლობაში (და ეს დრო აითვლება ალბათ მილიონი წლებით) ადამიანის ორგანიზმა მოიშორა კუდი, ანუ დაივინება „მესამე“ ფეხზე დგომის ჩვევა, რადგან თანდათანობით ისნავლა მყარად დგომა ორ ფეხზე და აღარც ხის ნაყოფის კრეფა იყო მისთვის ყოველდღიური აუცილებლობა, რადგან მიაგნო და აითვისა საკუთარი თავის გამოკვების დღევანდელი ტექნოლოგიები და ხერხები.

ასევე, ადამიანის ორგანიზმი მილიონობით წელია შეჩვეულია იმას, რომ მის შიდაორგანოთა შორის თავისი გარკვეული ადგილი და ფუნქცია გააჩნდა და დღესაც აქვს აპენდიქსს. ამ ბოლო დროს კი გაჩნდა ცნობები მის შესახებ, რომ დადგება დრო, როცა ბავშვები დაიბადებიან აპენდიქსის გარეშე და თითქოს მსოფლიოში უკვე იყო

რამდენიმე ასეთი შემთხვევა. ფაქტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ რამდენად მართალია, არ ვიცი. გამოდის, რომ ადამიანის ორგანიზმაც, დროთა განმავლობაში, შეიძლება უარი თქვას ზოგიერთ მემკვიდრეობითობაზე და გადაეჩვიოს (სიტყვა ჩვევა ხომ საწყისია სიტყვისა შეჩვევა) მისით სარგებლობას.

ვფიქრობ, რომ ცოტა შორს წავედი და გადავუხვიე ძირითად თემას, ამიტომ დავპრუნები ისევ ჩვევის ჩვეულებრივ გაგებას ჩვენს ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში.

ჩვევებს (დადებითს თუ უარყოფითს; სასარგებლოს თუ უსარგებლოს) მე წარმოვადგენდი სამ პირობით ჯგუფად.

მემკვიდრეობით მიღებული, აუცილებლობით (იძულებით) გამომუშავებული და სურვილით ან მიბაძით შეძენილი.

დავინწყოთ მემკვიდრეობით მიღებული ჯგუფით. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ პირადად მე ასეთ ჩვევებად მიმაჩნია: თითების ტკაცუნი, სასმლის ხრაპა-ხრუპით დალევა, საკვების ჭყლაპა-ჭყულუპით ჭამა, გაშლილი თითებით ტაშის კვრა, წამნამების ხშირი სამსამი, რომელიმე ფეხის განზე გადგმა, ენის ტუჩებზე გამოსმა, ცალი მხრის მაღლააწევით სიარული, ფეხის წვერების ერთ-მანეთისკენ მიწეული (ან პირიქით – განზეგანეული) დგომა და სიარული და ა.შ.

აქვე, ამ ჯგუფს მივაკუთვნებ დაკვირვებულობის უნარს. ხშირად გაგვიგონია – „თვალლია ბავშვიაო“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ბავშვი ადვილად და სწრაფად ხედავს და აღიქვამს ყველაფერს, ვიდრე სხვა მისი თანატოლი (აქ, რაიმე სისტემატურ ვარჯიშზე ან წვრთნაზე ლაპარაკი ზედმეტია ასაკიდან გამომდინარე, ამიტომ ვძედავ და ვიტყვი, რომ დაკვირვებულობაც განკუთვნება მემკვიდრეობითობით მიღებულ ჩვევათა ჯგუფს (პირადად ჩემი დაკვირვებულობის შესახებ ცალკე მოგახსენებთ, ქვემოთ). მყავს ერთი მეზობელი პატარა გოგონა, რომელიც ჩვენთან ხშირად შემოდის. საკმარისია ოთახში თუნდაც ერთ რომელიმე ნივთს ჰქონდეს შეცვლილი მისთვის განკუთვნილი ტრადიციული ადგილი, რომ ეს ბავშვი შემოსვლისთანავე ამჩნევს ამ ცვლილებას. რაღა თქმა უნდა, ეს არ გახლავთ წვრთნითა თუ სისტემატური ვარჯიშით შეძენილი უნარ-ჩვევა; აქ, მე ვფიქრობ, რომ სწორედ მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტორს მიუძღვის დიდი წვლილი.

ახლა ვნახოთ რა შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრეობით გადა-ცემულ ჩვევათა შორის „დადებითი მუხტის მატარებლად“, ანუ მის-ალებად და სასარგებლოდ. ჩემის აზრით ესენია: დაკვირვებულობა, შრომის განსაკუთრებული სიყვარული, თბილი მისალმება, პუნქტუ-ალობა, ერთგულება, სიკეთის კეთების სურვილი და უნარი, ბუნების სიყვარული, სამართლიანობისკენ სწრაფვა, თავშეკავებულობა, ხმადაბალი საუბარი, თავმდაბლობა და მრავალი სხვა.

ჩემი აზრით, ეს ჩვევები და ნიშან-თვისებები მეტწილად სწორედ რომ მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას.

აბა, გავიხსენოთ ბრძნული გამონათქვამი „კვიცი გვარზე ხტი-სო“. მგონია რომ ამ ფრაზით ყველაფერია ნათქვამი. ანდა, ვაუა-ფშაველას ხევისბერი გოჩას სიტყვები, შვილისთვის ნათქვამი „... გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ...“. რაღა თქმა უნდა, რომ სიტყვა „გორის“ შიგნით მოიაზრება მემკვიდრეობით გადმოცემული საა-მაყო ნიშან-თვისებები და ჩვევები და ტრადიციები.

მემკვიდრეობით მიღებული ჩვევები (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) სტაბილური ხასიათის მატარებელია და მათი შეძენა ან მოშორება (გადაჩვევა) ძალიან ძნელია, თუმცა, ზოგიერთ შემთხ-ვევაში – შესაძლებელი (თუნდაც ნაწილობრივ).

ვფიქრობ, რომ დადებითი (მისაღები) მემკვიდრეობითი ჩვევე-ბის გააქტიურება (გაძლიერება), არეალის გაფართოება, შესაძლე-ბელია, თუნდაც მცირე დოზით, თუ არსებობს სურვილი, ნებისყო-ფა და თვითკონტროლი. რაც შეეხება მემკვიდრეობით მიღებულ, უარყოფით (მიუღებელ) ჩვევებს, ჩემის აზრით, აქაც შეიძლება მათი აქტიურობისა და არეალის შემცირება, მაგრამ ეს ძალიან ძნელ საქმედ მიმარნია, რადგან იგი მოითხოვს არამარტო სურვილს, არა-მედ ადამიანთა დიდი ჯგუფის (ოჯახის წევრების, საზოგადოების, პედაგოგების, მეგობრების, მეზობლების და ა.შ.) სერიოზულ და სისტემატურ ძალისხმევას დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ახლა ზოგადად შევეხოთ აუცილებლობით (იძულებით) გამო-მუშავებულ (შეძენილ) ჩვევებს.

ვფიქრობ, რომ იშვიათი და განსაკუთრებული გამონაკლისის გარდა, აუცილებლობით ან საკუთარი თავის იძულებით შეძენილი (გამომუშავებული) ჩვევები მხოლოდ დადებითი მუხტის მატარებე-

ლია და მისაღები საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის (არა მეონია, ვინმე ცდილობდეს უარყოფითი მუხტის მატარებელი ჩვევების გამომუშავებას, ისიც სისტემატური ვარჯიშით და წვრთნით?!).

აუცილებლობით ან საკუთარი თავის იძულებით, სასარგებლო (მისაღები) ჩვევების გამომუშავებას და შეძენას კი ნამდვილად სჭირდება ურყევი ნებისყოფა, პრინციპულობა, თანმიმდევრობა და სისტემატიურობა. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი შეიძლება (სურვილისა და სხვა ფაქტორთა გამო) გაგრძელდეს სიცოცხლის ბოლომდე, რადგან უკვე თავად ასეთი სწრაფვა გადაიქცეს ჩვევად.

რაც შეეხება ჩვევათა მესამე პირობით ჯგუფს (სურვილით ან მიბაძვით შეძენილს) – ესეც საკმაოდ საინტერესო და ფართოდ-გავრცელებული კატეგორიაა და მოიცავს როგორც უარყოფით (მიუღებელ), ისე დადებით (მისაღებ) ჩვევებს.

სურვილით ან მიბაძვით შეძენილ ჩვევებს შეიძლება მივაკუთვნოთ: თამბაქოს წევა, მასტურბაცია, ალკოჰოლის სისტემატური მიღება, წვერის მოშვება, დილის ვარჯიში, უზმოზე სიგარეტის მოწევა, სხვისი გაუთავებელი კრიტიკა „თავის გამოჩენის“ სურვილით, მისალმება ხელის აღმართვით, თმის გადავარცხნა მხოლოდ ერთ მხარეს, ანთებული სიგარეტის დაჭერა მხოლოდ ერთი რომელიმე ხელით, ფულის თვლის დროს თითების დანერწყვება, მცირედ ხურდაზე უარის თქმა („სდაჩი წე ნადო“, „ი მნე წე ნადო“. კინოფილმი „მიმინონ“), თითზე ბეჭდის გაუთავებელი ტრიალი (ეს უკანასკნელი შესაძლოა ეკუთვნოდეს იძულებით გამომუშავებულ ჩვევათა კატეგორიას, რადგან ხორცშესმის მომატებულობის დროს ბეჭედი მარწუხივით ავინწროვებს თითს და იწვევს მოთხანის აუცილებლობის გაჩენას, რაც საბოლოოდ, დროთა განმავლობაში, გადადის ჩვევაში), სათვალეების შუბლზე აწევა, ფეხსაცმლის თასმების ბოლოების წინდის ყელში ჩატენვა, ჯინსების კვირისთავებზე და ბარძაყებზე დაგლეჯა-შემოპრდღვნა, რომელიმე სიტყვის აკვიატება (არის შემთხვევაბი, როცა ასეთი სიტყვა ქცეულა თიკუნად), პერანგის ან ქურთუკის აწეული საყელო, ბინის ტელეფონის, მობილური ტელეფონის, დაბადების წლისა და ავტომანქანის ნომრების ერთიდაიგივე ციფრებით კომბინაციის შერჩევისკენ ლტოლვა, სასადილო მაგი-

დასთან და ტელევიზორთან „საკუთარი“ ადგილის დამკვიდრება, მაჯის საათისთვის ხელის შერჩევა და ა.შ.

ახლა კი მოვიყვან ჩემს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ რამდენიმე რეალურ ამბავს ჩვევებისა და ნიშან-თვისებების სამივე პირობითი ჯგუფიდან (კატეგორიიდან)

## სადაზვერვო სკოლაში

### „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“

თელავის სამხედრო კომისარიატში მიგვიყვანეს სკოლადამთავრებული ბიჭები რეგისტრაციისთვის. გარკვეული ფორმალური შემოწმების შემდეგ (სიმაღლე, წონა, ტერფის ფორმა და სხვა), ყველას ერთიდან აგივეს გვეკითხებოდნენ – სად აპირებთ სწავლის გაგრძელებასო.

ზოგმა რა უპასუხა და ზოგმა რა. ძირითადად კი, მაინც რაღაც-ნაირ გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავით და აბნეულ-დაბნეულ პასუხებს ვაძლევდით.

მერე მიგვითითეს კედელზეგაკრულ, რუსულენოვან განცხადებაზე, რომელშიც ეწერა, რომ სასწავლებლად იწვევდნენ სამხე-



დრო-სადაზვერვო სკოლაში რუსეთის რომელიღაც ე.ნ. „საფოსტო ყუთში“ (მაშინ, გასაიდუმლოებულ სამხედრო დაწესებულებების ადგილმდებარეობას მაინც არ ახმაურებდნენ და რაღაც კოდური ნომრით მოიხსენიებდნენ ხოლმე, მაგალითად – „საფოსტო ყუთი №---“).

აბა, ბიჭებს მეტი რა გვინდოდა. ასაკი გვიპიძებდა გმირობისაკენ, მითუმეტეს, რომ იმ წლებში საკმაოდ ვიყავით განებივრებულები მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებზე შექმნილი კინოფილმებით (როგორც ნაალაფარი, ისე სამამულო), რომელთა შორის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ფილმი „მზვერავის გმირობა“ (მთავარ როლს ასრულებდა ბრწყინვალე მსახიობი კადოჩიკოვი). მოკლედ, ძალიან რომ არ გამიგრებდეს ამბავი, ვიტყვი, რომ ოთხმა ბიჭმა გადავწყვიტეთ, მშობლების დაუკითხავად, წავსულიყავით (გავპარულიყავით) და გვეცადა ბედი. ბიჭები მეუბნებოდნენ – შენ რა გენალვლება, ოქროს მედლით სადაც გინდა გააგრძელებ სწავლასო (გვიან აღმოჩნდა, რომ იმ სასწავლებელში ოქროს მედალი არ „სჭრიდა“). ორი თვე ვიმუშავეთ მშენებლობაზე. ვზოგავდით ყოველ კაპიკს. კომისარიატიც დაგვეხმარა და შეუაგვისტოში თავი ამოვყავით №... „საფოსტო ყუთში“, ქ. როსტოკიდან 40-50 კილომეტრით დაშორებულ რაღაც უცნაურ დასახლებულ პუნქტში.

გულთბილად დაგვხვდენ ი. სტალინის სამშობლოდან ჩასულებს. საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში მოგვათავსეს ოთხივე. საცხოვრებელი და მისი ეზო-გარემო სავსე იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბიჭებით, თუმცა შევამჩნიე რამდენიმე გოგოც.

სამი დღის განმავლობაში გვამოწმებდნენ ფიზიკურ მომზადებაში („თავისი“, უფრო მეცნირი, ვიდრე სამოქალაქო ცხოვრებაში, ნორმები და სტანდარტები ჰქონდათ): სირბილი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ღერძზე აჭიმვა და ტრიალი, ფეხბურთი, კალათბურთი, აჭიმვა, სიმძიმეების აწევა, კრივი, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა, მაღალი დაბრკოლებების გადალახვა, ცურვა, თოკზე ახოხება, შუბისა და ბადროს ტყორცნა, ხელყუმბარის (სასწავლო) სროლა და სხვა.

ჩვენი სპორტული მიღწევებით კმაყოფილები ჩანდნენ პედა-გოგ-გამომცდელები.

მესამე დღის ბოლოს ოთახში გვეწვია საერთო საცხოვრებლის ჭალარაულვაშიანი, ომგამოვლილი შუახნის კომენდანტი და საგანგებოდ გამოგვიცხადა – ხვალ გადაწყდება თქვენი ბედი, მთავარი გამოცდა გელითო. ვკითხეთ თუ რა იგულისხმებოდა „მთავარ გამოცდაში“, მაგრამ არაფერი გვითხრა. ოთახიდან გასვლისას კი მოგვაძახა – წვერი გაიპარსეთ, თავი წესრიგში მოიყვანეთ, გარეგნულ ელფერსაც მიხედეთ, აბა, თქვენ იცით, „**ნი پუხა, ნი პერა**“-ო და კარები გაიხურა.

ლამე შფოთიანი გამოდგა. ძილი გაგვიფრთხა, არ ვიცოდით, რა გველოდა.

დიღილით ოთახში შემოვიდა უნიფორმაში გამოწყობილი, საოცრად ლამაზი და სასიამოვნო შესახედაობის ქალბატონი-ოფიცერი და გვთხოვა გავყოლოდით. მიგვიყვანა ერთ ოთახთან, რომლის კარებზეც ეწერა „**комната математики**“. მივხვდით, რაშიც იყო საქმე. გველოდა გამოცდა მათემატიკაში. ასეც მოხდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ არსებობდა არავითარი საგამოცდო ბილეთები. პირველად მე შემიშვეს ოთახში, როგორც ჩვენი მიკროჯგუფის ე.ნ. ხელმძღვანელი.

ოთახში დამხვდნენ ორნი: შუახნის, ინტელიგენტური შეხედულების მამაკაცი და ზემოთ რომ აღგინერეთ, იმაზე კიდევ უფრო ლამაზი, ოქროსთმიანი და ცისფერთვალებიანი ქალბატონი.

მომცეს ცარცი და მიმიყვანეს დაფასთან. თხუთმეტიოდე შეკითხვა დამისვეს. აქტიურობდა მამაკაცი. ქალბატონს საერთოდ არ ამოულია ხმა, თუმცა შევამჩნიე, რომ დაკვირვებით მიცექრდა.

ქალიან კარგია – შემაფასა მამაკაცმა და მიმითითა მეორე ოთახში გამავალი კარებისკენ. კარებზე ეწერა „**комната физики**“. ორი მამაკაცი დამხვდა და ერთიც არანაკლებ მომხიბვლელი ქალბატონი, ვიდრე ზემოთხსენებული. რატომდაც არც ამ ქალბატონს ამოულია ხმა. მამაკაცებმა დადებითად შეაფასეს ჩემი ცოდნა და შემდეგი კარებისკენ მიმითითეს. ასე გავიარე ქიმიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, საბჭოთა კავშირის ისტორიის, უცხო ენისა და კიდევ ერთი განსაკუთრებული ოთახი. ყველა օთახში უმაღლესი შეფასება მივიღე. ამ ოთახებშიც, როგორც წესი, აქტიურობდნენ მამაკაცები, ხოლო „**ლამაზმანები**“ კვლავ დუმდნენ. მაშინ ვერაფრით ავხსენი მათი ფუნქციური დანიშნულება, მაგრამ გამოცდების დამთავრების შემდეგ და იმ შედეგით, რაც ჩვენთ-

ვის დადგა, ცხადი გახდა, რომ მათ ჰქონდათ მინდობილი განსაკუთრებული მისია, რის შესახებაც მყითხველი თავად მიხვდება ამ ეპიზოდის ფინალში.

შევეძი ე.წ. განსაკუთრებულ ოთახში. იქ არავინ დამხვედრია. კარები მივხურე თუ არა, საიდანლაც მომესმა რადიოს ხმა: „მოითმინეთ, ზუსტად ხუთ წუთში დაგიძახებთ“.

საკმაოდ მოზრდილი ოთახი გადაჭედილი იყო სხვადასხვა ნივთებით – ნემსიდან დაწყებული, ტანკებისა და თვითმფრინავების მაკეტებით და ხელოვნების ნიმუშებით დამთავრებული. დრო მქონდა და დავიწყე ყურადღებით დათვალიერება. ყველაფერი ორიგინალური და საინტერესო იყო – თითქოს მრავალფეროვნების და მრავალსაგნობრიობის გამოფენაზე ვიყავი. რომელიდაც მომენტში ვიგრძენი, რომ ხუთ წუთზე მეტი გავიდა (საერთოდ, ბავშვობიდანვე მქონდა დროში ორიენტაციის უნარი. 10-11 წლის ვიყავი, როდესაც ომიდან დაბრუნებული, არტილერისტი ბიძაჩემი, ჩემთან საუბარში ხაზს უსვამდა ხოლმე თითოეული წამის მნიშვნელობას და გამოცდილებიდან გამომდინარე მეტყოდა ხოლმე – ერთ წამში შეიძლება ათასობით ადამიანს შეუნარჩუნო ან წაართვა სიცოცხლეო. იმავდროულად მასწავლიდა, თუ როგორ შეიძლებოდა, საათის გარეშე, წამების ათვლა. მაშინ გავითავისე და შემდეგ ცხოვრებაში, სისტემატური ვარჯიშით განვითარებული ის, რომ ერთი წამის ხანგრძლივობა, დიდი სიზუსტით ტოლია ორი ოთხასობერიანი და ორმარცვლიანი წებისმიერი სიტყვების ზომიერი ტემპით წარმოთქმის ხანგრძლივობისა. მაგალითად: ოცდა-ერთი, ან ოცდა-სამი, ერთი-კილო, სამი-დანა და ა.შ. ეს ჩვევა დღესაც მახასიათებს და ხშირადაც მოუტანია პრაქტიკული სარგებლობა). ცოტა ხნის შემდეგ დავიწყე ნერვიულობა – არ ვიცოდი რა ხდებოდა ან რა მელოდა.

როგორც იქნა გაისმა იგივე რადიოხმა – შემოდითო და კარებიც გაილო. ისევ ორი მამაკაცი და ერთი ლამაზმანი. დაბრძანდითო, მითხრეს და რბილ სავარძელზე მიმანიშნეს. როგორც იქნა შევასვენე მუხლები თითქმის სამსაათიანი ფეხზე დგომის შემდეგ.

საუბარი დაიწყო სათვალიანმა ჭალარა მამაკაცმა.

– თქვენ, ეს-ესაა, გამოხვედით მრავალფეროვანი ნივთებით და საგნებით მოწყობილი ოთახიდან. ჩვენ გვაინტერესებს, იქ ყოფნის ხუთი

წუთის („ხუთ წუთს“ ხაზი გაუსვა) განმავლობაში, რა და რამდენი...

სიტყვა შევაწყვეტინე – ხუთი კი არა, არამედ ასე 8-9 წუთი ვიმუოფებოდი-მეთქი იმ ოთახში.

გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს. ჭალარა მამაკაცმა სათვალე მოიხსნა, ახლოს მოვიდა და მექითხება:

– კი, მაგრამ ოთახში საათი არ არის, მგონი არც თქვენ გაქვთ საათი და როგორ შესძელით ასე ზუსტად დროის აღრიცხვაო.

დამაჯერებლად ვუპასუხე, რომ ეს უნარ-ჩვევა პავშვიბიდან გამოვიმუშავე-მეთქი.

კარგიო, სთქვა და დაუბრუნდა თუ არა თავის ადგილს, გააგრძელა შეკითხვა.

– რა და რამდენი ნივთი დაგამახსოვრდათ იმ ოთახიდან.

– რამდენი მახსოვს, ვერ გეტყვით; ჩამოგითვლით და თქვენ თვითონ დათვლით, ალბათ, ვუპასუხე და დავინყე ჩამოთვლა.

ნანახი საგნების ჩამოთვლას მოვრჩი თუ არა, წამოდგა მეორე მამაკაცი, მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და გადამეხვია.

– თქვენ, სულ ახლახანს დაამყარეთ ჩვენი სასწავლებლის რეკორდი. სამი წლის განმავლობაში არავის ჩამოუთვლია 30 საგანჩე მეტი, თქვენი მიღწევა კი 36-ია. ჭალაროსანმაც მომილოცა. ლამაზმანი კი მანეკენივით უმოძრაოდ იჯდა და მხოლოდ წამწამებს აფახულებდა.

გათამამებულმა და ფრთებშესხმულმა კიდევ ერთხელ გავაოცე ის სამეული, როდესაც 20-ზე მეტი საგნის ზუსტი ადგილმდებარეობა დავააფიქსირე იმ ოთახში.

ალერსით გამომაცილეს „ბოლო“ ოთახიდან და მითხრეს, რომ ჩემს ამხანაგებს დავლოდებოდი.

მეორე დღეს დილით შეგვერიბეს ეზოში და შეგვატყობინეს, რომ სასწავლებელში მიღება-არ მიღების საკითხს უახლოეს დროში გადაწყვეტდა რექტორი და რომ ამის შესახებ წერილობით ეცნობებოდა შესაბამის სამხედრო კომისარიატებს. ჩვენ კი შეგვეძლო გავმგზავრებულიყავით სახლებში.

რენიგზის სადგურში გაგვაცილა ხელჯოხიანმა, ომგამოვლილ-მა ახალგაზრდა და საკმაოდ სიმპათიურმა ოფიცერმა, რომელიც ძალიან დაგვიახლოვდა, სულ ჩვენთან ყოფნას ცდილობდა იმ 5-6 დღეს და გამუდმებით სტალინზე გვესაუბრებოდა.

მატარებლის მოლოდინში ცალკე გამიყვანა გამცილებელმა ოფიციურმა და მორიდებულად მითხრა:

– ღმერთმა იცის, რომ ძალიან მომწონხართ. თქვენ ყველაფერი კარგად ჩაატარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ სასწავლებელში მიღებაზე უარი გითხრეს.

– კი, მაგრამ ჩემი პასუხებით კმაყოფილები ჩანდნენ, თითქოს...

– ყველაფერი საუკეთესოდ ჩააბარეთ, მაგრამ ერთ „უჩინარ“ საგანში ვერ დააკმაყოფილეთ მოთხოვნები და ამან გადაწყვიტა თქვენი ბედი.

– რა იყო ასეთი „უჩინარი“ საგანი?

– მომისმინე, ჩემო კარგო... მითხრა ეს, მხარზე ხელი დამადო და განაგრძო: ასეთი ტიპის სასწავლებელში დაუწერელი წესია დამკვიდრებული – მზვერავი გარეგნულად საშუალო სიმაღლეზე დაბალი, შეუხედავი და ისეთი უნდა იყოს, რომ ყურადღებას არავინ აქცევდეს და მისით არავინ ინტერესდებოდეს, რათა საჭირო ინფორმაცია შედარებით უმტკივნეულოდ და წინასწარდაგეგმილი ეშმაკური ხერხებით მოიპოვოს, ან გარეგნულად უნდა იყოს მაღალი, ლამაზი გარეგნობის, მომხიბვლელი და დახვეწილი მანერების მქონე, რათა იოლად დაიპყროს საინტერესო და საიდუმლო ინფორმაციის უხვადმცოდნე მაღალჩინოსანთა მეუღლეების გულები და მათი საშუალებით შესარულოს თავისი მისია.

– კი, მაგრამ, როცა პირველად შეგვხვდნენ, მაშინ ვერ შეაფასეს ჩვენი გარეგნობა? – ვკითხე გაოცებულმა.

პასუხისავან თავი შეიკავა. ყველას მაგივრად მომიხადა ბოდიში და მთხოვა – საიდუმლოდ შემენახა ის, რაც მოვისმინე. დამეტვიდობა და კოჭლობით გაუყვა გზას.

ახლა უკვე ცხადი გახდა იმ ლამაზმანების ფუნქცია ე.ნ. გამოცდებს რომ ესწრებოდნენ და მანეკენებივით უხმოდ ისხდნენ.

ორმოცი წელი სმა არ ამომილია იმ „საიდუმლოს“ შესახებ. ერთ-ხელ კი სუფრასთან მოვუყევი მეგობრებს. ბევრი იცინეს.

იმ დღეებიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, არ მავიწყდება ჩემი ცხოვრების ის 5-6-დღიანი მონაკვეთი, რამაც ბიძგი მისცა ჩემს შიგნით არსებული რაღაცნაირი დაკვირვებულობის განვითარებისა და განმტკიცების სურვილს და დავიწყე სისტემატური ვარჯიში-დაკვირვება, დათვლა, შედარება, გაზომვა, დამახსოვრება და ა.შ.

ვითვლიდი და ვითვლი ყველაფერს: კიბის საფეხურებს, სართულებს, ფანჯრებს, ხეებს, მანქანებს, ჯგუფადმდგომ ადამიანებს, მფრინავ მტრედებს, წიგნებს საწერ მაგიდაზე, ხურდა ფულს ხელის გულზე, აუზში მოჭყუმპალავე ბავშვებს, ღილებს კოსტიუმებზე ან მის სახელოებზე, სიგარეტებს უკვე გახსნილ კოლოფში და ა.შ. ალსანიშნავია, რომ ყოველივე ამას ვაკეთებ თითქმის ავტომატურად, ყოველგვარი წინასწარ დასახული მიზნის გარეშე. ანუ ჩვევად მექცა და სრულიად არ ვნანობ, რადგან ბევრჯერ სასიკეთო საქმე გამიკეთა ამ, ერთი შეხედვით უცნაურმა, ჩვევამ. სისტემატურმა ვარჯიშმა და ახლა უკვე ჩვევად ჩამოყალიბებულმა თვისებამ მიმიყვანა იმ კონდიციამდე, რომ დაახლოებით 10-12-მდე ჯგუფურად განლაგებულ ნივთს, საგანს ამ რაიმე სხვა ნიშანს კი არ ვითვლი, არამედ ერთი შეხედვით „ვხედავ“ და აღვიქვამ ზუსტ რაოდენობას (უფრო დეტალურად ჩემი ამ თვისების შესახებ მოთხოვობილია წიგნში „აჯაფსანდალი“, გვ. 52. გამომცემლობა „ცის ნამი“, თბ. 2009 წ.), სხვა ნიუანსებზე, დეტალებზე და ფაქტებზე რომ აღარაფერი ვთქვა.

## დილის შხაპი

ერთ-ერთ ჩემს მეგობარს, დაახლოებით 25-30 წლის წინ, მოულიდნელად გაუჩნდა ჯანმრთელობის პრობლემა. ექიმებმა, სხვა მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად, აუცილებელ შესასრულებელ პირობად დაუსახეს ცივი შხაპის მიღება ყოველდღე, საუზმის წინ. მახსოვს, ცივი ზამთარი იყო და არც სააბაზანო ჰქონდა მოწყობილი კომფორტულად, მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა. პირველი ორი კვირა გაუჭირდა (გასაგებია), მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ხუთიათას დღეზე მეტია ამ პროცედურას იტარებს და თავს ისე გრძნობს, რომ იტყვიან „კაჟივითა ვარო“. აღარც ექიმი სჭირდება და აღარც მისი შერჩეული მედიკამენტები.

სისტემატურად ერთიდაიგივეს კეთებამ (ერთიდაიგივე დროს) მრავალი წლის განმავლობაში საუკეთესო და სასარგებლო ჩვევად დაუტოვა ყოველდღე ცივი შხაპის მიღება. იმედია. ბოლომდე შეინარჩუნებს ასეთ სასიკეთო ჩვევას.

## მამლის ყიფილზე

დიდიხნის უმუშევარ ჩემს ახლობელს, როგორც იქნა, შესთავაზეს სამუშაო, თუმცა, საჭირო იყო ყოველ დილით ამდგარიყო დილის ექვს საათზე. ასეთი იყო მისი სამუშაო რეჟიმი, მაგრამ ამ „სირ-თულეს“ ვინ ჩიოდა, კაცმა შვებით ამოისუნთქა – მძიმე ტვირთად აღარ დააწვებოდა ოჯახს.

ოცი წლის განმავლობაში, როგორც წესი, იღვიძებდა დილის ექვს საათზე და პირნათლად ასრულებდა თავისი სამსახურებრივ მოვალეობას. ხელმძღვანელობა კმაყოფილი ჰყავდა. შემდეგ დაუსწრებდა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, დაეუფლა პრესტიულ სპეციალობას და სამსახურიც შესთავაზეს ახალი და საინტერესო, სადაც მუშაობა იწყებოდა ცხრა საათზე და მთავრდებოდა თვრამეტ საათზე ერთსაათიანი შესვენებით. თანაც სულ ხუთიოდე წუთის სავალზე იყო მისი სამსახური. მიუხედავად ახალი ხელსაყრელი რეჟიმისა, იგი მაინც დილის ექვს საათზე დგებოდა და ათასნაირი საოჯახი წვრილმანით ირთობდა თავს.

იგი, ჩემი ახლობელი, ამჟამად პენსიონერია და მაინც, რომ იტყვიან, „მამლის ყიფილზე“ დგება და სხვადასხვა წვრილმან საქმეს გულდასმით აკეთებს ეზოში, სარდაფში, ავტოფარეხში თუ სახლში.

აი, ასე – სამოციოდე წლის წინ აუცილებლობით (შეიძლება ითქვას, იძულებით) გამოწვეული დილის რეჟიმი სისტემატური ვარკვიშისა და აღსრულების წყალობით ჩამოუყალიბდა მტკიცე და ურყევ ჩვევად.

## ულვაშები

ნაფარეულში სტუმრად ვიყავი სტუდენტობის დიდიხნის უნახავ მეგობართან. გაიხარა მრავალწევრიანმა ოჯახმა, გაიშალა გულუხვი კახური სუფრა. სტუმართმოყვარეობის დამტკიცებას ყველა თავისებურად ცდილობდა. ოჯახის სიძეები სხვადასხვა „განსხვავებულ“ სასმისებს მაჩეჩებდნენ, რძლები წამდაუწუმ მიცვლიდნენ საინებს, მთავარი დიასახლისი სიმღერაში აყოლას მთხოვდა, ოჯახის ახლომეზობელი თავისთან მეპატიურებოდა, შვილიშვილები და შვილთაშვილები ლექსების წაკითხვას მთხოვდნენ და მობილური ტე-

ლეფონით განუწყვეტლივ იღებდნენ სურათებს, ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი მწვადითა და ცივი ღვინით ამარაგებდა სუფრას და ა.შ.

სუფრას, ცოტა მოგვიანებით, შემოუერთდა ოთხმოციოდე წლის სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. სუფთად და კოხტად, საზეიმოდ ჩაცმული, ოდნავ წელში მოხრილი, ნელი ნაბიჯებით მოგვიახლოვდა, ერთიანად გაჭალარავებული თავის დახრით მოგვესალმა და მისთვის წინასწარგამზადებულ სკამზე ჩამოჯდა. ახლადგაპარსულ სახეზე ნაოჭების სიმრავლე შეიმჩნეოდა. დალლილი კაცის იერსახე ჰქონდა.

დაეხვივნენ ყოველი მხრიდან, ვინ რას აწვდიდა და ვინ რას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ასე 7-8 წლის შვილთაშვილები და ნამეტანად გოგონები.

ახალი ძალით გახურდა ქეიფი. სიმღერებიც აეწყო და ცეკვა-თამაშიც გაიმართა. უხუცეს ჭალაროსანს მაღლე ღანვები აუწიოთ-ლდა და ერთხანობას ცეკვაც სცადა.

მართალია გვარიანად გახლდით ნასვამი, მაგრამ ჩემს, დაკვირვებაში გაწვრთნილ მზერას არ გამოჰქმდა ერთი უცნაური რამ ჭალაროსანი უხუცესის ქცევაში. დაახლოებით ყოველ ათ წუთში ერთხელ, ორივე ხელის საჩვენებელი თითები მიჰქონდა ზედა ტუჩის ორივე დაბოლოების სიახლოვეს, სპირალივით ატრიალებდა (თითქოს ძაფს იხვევს თითზე), მერე ცერა თითებს მიაშველებდა (ასევე უცნაური მოძრაობით, თითქოს ქალალდში თამბაქოს ახვევდა) და ოდნავ ზევით ასწევდა, ღანვებისკენ, საჩვენებელი თითისა და ცერის ორივე კომბინაციას და ამის შემდეგ ხელებს დაუშვებდა და მუხლებზე იწყობდა. თვალებში რაღაცნაირი ნაღველის ნაპერნკალი გაუელვებდა ხოლმე.



უცნაურად მომეჩვენა მისი თითების საიდუმლოებითმოცული მოძრაობა და ცოტახნის შემდეგ შევეკითხე ჩემს სტუდენტობის-დროინდელ მეგობარს, თუ რას ნიშნავდა უხუცესის ასეთი ქცევა. ცალკე ოთახში გამიყვანა, სურათების ალბომი გადაქექა, რამდენიმე ფოტო ამოიღო და ღიმილით მიიხრა – ნახე, როგორი იყო პაპაჩემიო. სურათები ქრონოლოგიურად დაალაგა და სიამაყით შემომხედა.

სურათებში აშკარად იხატებოდა ასაკის ცვლა და შესაბამის-ად იერსახის ცვლილებაც. უცვლელად მეორდებოდა ყოველ ფოტოზე მხოლოდ ბოლოებში გადაგრეხილი და ნამგლის პირივით ზე-მოდანკეპილი ულვაშები. შევეკითხე, რა მოხდა, რატომ აღარა აქვს ულვაშები-მეთქი.

ეჰო, ჩაიბურდლუნა ნაღვლიანად... ამ სამი თუ ოთხი წლის წინ, შვილთაშვილებს შეჰქირდა – რასაც მოისურვებთ, ყველაფერს შეგისრულებთო. იმის შემდეგ აღარ მოუსვენეს დიდ პაპას პატარა კუდრაჭა გოგონებმა.

დღე ერთი იყო და თხოვნა-მუდარა უამრავი. მოსვენება დაუკარგეს მოხუც კაცს: ულვაშები დღეს ვინდა იცის, არ გიხდება, სირცხვილია, ნავიდა ულვაშების ეპოქა. თანაც, პირობა გაქვს მოცე-მული, რომ ყველაფერ სურვილს აგვისრულებ... პოდა, გაგვახარე და მოიპარსე ეგ ულვაშებიო. არ ეშვებოდნენ ბავშვები. ვეღარ გაუძლო მოხუცმა პატარების გაჯიუტებულ თხოვნას და ორი წლის წინ გამოემშვიდობა ათეულწლობით ნალოლიავებ ულვაშებს. ბოლოების გადაგრეხისა და ზემოთ აწკების ჩვევა კი შემორჩია და, ალბათ, ვერც გადაეჩვევაო – დაამთავრა საუბარი ჩემმა მეგობარმა.

ფოტოები ისევ ალბომში ჩავაწყეთ და დავუბრუნდით გალადე-ბულ სუფრას.

## დაბადების დღე

ბავშვობიდანვე (ბაგა-ბალში, ოჯახში, სკოლაში, პიონერთა ბა-ნაკებში) მასწავლიდნენ, რომ დაბადების დღის მილოცვა ახარებს და სიამოვნებას ანიჭებს ნებისმიერ ასაკშიმყოფ იუბილარს. იმა-საც მეუბნებოდნენ, რომ არ არის საჭირო მაინცდამაინც ძვირფა-სი საჩუქრის მირთმევა, მთავარია – გახსოვდეს შენი ახლობელის დაბადების დღე და თუნდაც ერთი ფანქარი აჩუქერო.

ჰოდა, მეც ადრეული ასაკიდანვე გავითავისე ეს დამოძღვრა და მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ვცდილობ მიულოცო დაბადების დღე ყველას, ვისაც ვიცნობ, ოღონდ ისინი გავახარო. კარგი შეგრძნებაა, როცა ახსოვხართ და გილოცავენ.

უკვე თითქმის 60 წელია ვულოცავ და ვულოცავ იმ რწმენით, რომ მავანს ვანიჭებ სიხარულს და მეც ვხარობ. ბოლოსდაბოლოს სისტემატიური ხასიათის მილოცვები გადაიზარდა ჩვევაში. ზეპირად მახსოვს ალბათ ორასზე მეტი დაბადების დღე და ვამაყობ და ვახარებ. იმავდროულად ვცდილობ, თუნდაც, მცირედი საჩუქარი მივართვა იუბილარს – არა აქვს მნიშველობა, რა იქნება ეს – სან-თებელა, წიგნი, ლექსი, საპარტიუმერიო ან საგალანტერიო ბრენდი, კულინარული ნაწარმი, თუ სხვა რამ.

მივაქციოთ ერთხელ კიდევ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ერთიდაი-გივე აქტის სისტემატიური (ყოველდღიური, ყოველთვიური, ყოველ-წლიური) განხორციელება მექცა ჩვევად, სასიამოვნო და მისაბაძ ჩვევად. გულს მიხარებს ის შეგრძნება, რომ ტელეფონით თუ უშუალო მილოცვით მაქვს შესაძლებლობა, რომ ადამიანს მივანიჭო სიამოვნება.

### **ორიოდე კომენტარი:**

- ტრადიციის (დიახ, ტრადიციის) მიხედვით, ადამიანები წელიწადში ერთხელ აღნიშნავენ ხოლმე „დაბადების დღეს“. მაგალითად: 1 სექტემბერი, 10 ოქტომბერი, 4 აპრილი და ა.შ. მე ასე ვაყენებ საკითხს: ეს არ არის დაბადების დღე, არამედ არის დაბადების თვე და რიცხვი. ნამდვილი დაბადების დღე კი ის არის, თუ კვირის რომელ დღეს დაიბადა ადამიანი – სამშაბათს, ხუთშაბათს თუ შაბათს.

რატომღაც მე ასე მწამს.

წელიწადში ერთხელ საფუძვლიანად (განსაკუთრებულობით) შეიძლება აღინიშნოს დაბადების თვე და რიცხვი.

ასეთმა მოსაზრებამ შეიძლება ბევრს მოპევაროს ღიმილი, რას ვიზამთ – „ძნელია დინების სანინააღმდეგოდ ცურვა“ („მინიატურების აღლუმი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2009 წ.).

- ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც მიმილოცავს დაბადების დღე (თვე და რიცხვი) და პასუხად მომისმენია: „უი, მადლობა, დიდი მადლობა; სულ არ მახსოვდა“ (განსაკუთრებით ქალბატონებს ახასიათებთ ასეთი რამ).

არ დაიჯეროთ (მე არ მჯერა). არ მეგულება ადამიანი, რომელსაც არ ახსოვდეს თავისი დაბადების თვე და რიცხვი.

კარგად მესმის, თუ რა მიზეზების გამო შეიძლება ხდებოდეს, ზოგჯერ, ასეთი რამ, თუმცა, აქ ამაზე არ ვისაუბრებ.

## შატალო

მოხდა ისე, რომ თელავის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის მერვე კლასში ვიყავით მხოლოდ რვანი. ორიოდე კვირის შემდეგ შეგვემატა მეცხრე ბიჭი, ვახტანგ კაკულაშვილი, საინგილოდან. იდგა 1948 წელი.

კლასში ტანითაც და ასაკითაც ყველაზე პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად სწავლისა და გარკვეული ავტორიტეტის გამო დამნიშნეს კლასის ორგანიზატორად, რაც საქმეს მიმატებდა და დიდ პასუხისმგებლობასაც მავისრებდა.

ომის წლებში (1941-1945) საგრძნობლად აირია სიტუაცია სკოლაში – ზოგი სხვა სკოლაში გადავიდა, ზოგმა მიატოვა სკოლა და 1 ან 2 წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა, ზოგი რამდენჯერმე დარჩა კლასში სწავლისადმი ყურადღების მოდუნების გამო და ა.შ. ისე, რომ ჩემს კლასში იყვნენ რამდენჯერმე დარჩენილებიც, გაცდენის შემდეგ დაბრუნებულებიც და სხვა სკოლებიდანაც (ასევე რამდენიმეჯერ დარჩენილები) გადმოსულებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რვავე ბიჭი ჩემზე უფროსი იყო, ერთი მათგანი სამი წლითაც კი. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ის, რომ მათ დავხმარებოდი სწავლაში და რაც უმთავრესი გახლდათ, განმეორებინა მათში დისციპლინა და სასკოლო შიდაგანაწესის უცილობელი დაცვის ჩვევა. ამ მეორე ფუნქციის შესრულება მიჭირდა – ჩემზე „გამოცდილები“ იყვნენ, ფიზიკური უპირატესობის დემონსტრირებასაც არ ერიდებოდნენ, თამბაქოს და სასმელსაც ეტანებოდნენ და არც გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა იყო მათთვის „უცხო ხილი“.

მონდომება და გარჯა არ მომიკლია ჩემი ფუნქციების შესასრულებლად. ერთ თვეში სასიკეთოდ წავიდა საქმე. იმედი მქონდა, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნებოდა. სკოლის დირექცია კმა-

ყოფილი იყო ჩემი საქმიანობით, მაგრამ ერთ დღეს, ჩემთვის მოულოდნელად მოხდა ის, რაც მოხდა.

დილით ადრე მისულს რვავე ბიჭი სკოლის შესასვლელში დამხვდა. გვერდზე გამიყვანეს და მოთხოვნის კილოთი მაუწყეს, რომ მათთან ერთად უნდა წავსულიყავი ე.წ. „შატალოზე“ და თუ არ წავიდოდი, ცუდად მექნებოდა საქმე.

იმდენად თავზარდამცემი იყო ჩემთვის ეს ამბავი, რომ უცბად ვერც კი მივხვდი, რა ხდებოდა, ან რა უნდა მომხდარიყო. ყოყმანი და სახეზე პროტესტის ნიშნები შემამჩნიეს თუ არა, ორივე მხრიდან მაგრად ჩამჭიდეს ხელი და ძალით წამიყვანეს ქალაქის ცენტრალური ნაწილისკენ. სუსტადდაცული მხრიდან გადავხოხდით სტადიონზე. შედარებით მოფარებულ ადგილზე მიყარ-მოყარეს ჩანთები, წელსზევით გაშიშვლდნენ და მზეს მიუშვირეს გასარუჯად ჯერ კიდევ ბოლომდეჩამოუყალიბებელი მამაკაცური ტორსები. მხოლოდ ერთს (ის, რომელიც სამი წლით იყო ჩემზე უფროსი) ჰქონდა დაკუნთული ნაკვთები და მკაცრად გამოკვეთილი ძლიერი მკერდი. მასვე შევამჩნიე სხეულზე რამდენიმე ე.წ. „ნაკოლკა“ (მაშინ ეს იშვიათობა იყო და რატომღაც ასოცირდებოდა ციხეში გარკვეული დროით ყოფნასთან). გაიბა მხიარული საუბარი. ზოგი რას ჰყვებოდა და ზოგი რას...

რა დღეში ჩავარდება სილვა (ინგლისურის მასწავლებელი) ცარიელი კლასი რომ დახვდებაო – ჩაიქირქილა ერთმა.

ხოხონიკა (ფიზიკის მასწავლებელი) მთელ ქვეყანას შესძრავს, აღნიშნა მეორემ. ჭიმია (სკოლის დირექტორი) გადაირევა და აუცილებლად დაიბარებს მშობლებს – სოქვა მავანმა და მორთო ხითხითი.

მე ყურადღებას არავინ მაქცევდა, ვიყავი ჩემთვის – გაოგნებული და გულნატკენი.. ვერ წარმომედგინა, თუ როგორ, ან რატომ უნდა გამეცდინა გაკვეთილები. წარმოუდგენელი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რასაც, იმ მომენტში სკოლისა და მშობლების ლალტის ტოლფასად აღვიქამდი.

კარგახნის ლაზღანდარობის შემდეგ „ნაკოლკიანმა“ მიმართა ერთ-ერთს – აბა ამოიღე და გაგვინაწილე, გავსინჯოთ, როგორია ლაგოდების თამბაქო. ყურები ვცევიტე – აჲა... აქ რაღაც საინტ-

ერესო მოხდება-მეთქი, გავიფიქრე და გავიტვრინე მონადირისგან თავდალწეული გვრიტივით.

ჭორფლიანმა გრძელცხვირამ საიდანლაც ამოაძვრინა ნაჯრის გაბერილი ქისა და გაშლილ გაზეთზე დაყარა ჯონჯოლივით დახუნძლული ლაგოდეხის ცნობილი თამბაქო. ისეთი სასიამოვნო არომატი ეცა ჩემი ცხვირის ნესტოებს, რომ დღემდე მიღიტინებს ის საოცარი სუნი და მოსვენებას არ მაძლევს. სწრაფად ამუშავდა ცერა და საჩვენებელი თითების თექვსმეტი წყვილი და ჰაერი გაიუღინთა საოცრად მიმზიდველი და გამაპრუებელი ჰაერნაერთით. ნერწყვი ჩავყლაპე უნებურად.

მაგასაც გაუმზადეთო, გასცა მითითება „ნაკოლკიანმა“. ერთ-ერთმა გამიმზადა და კარგად დანერწყვილი მომაწოდა – აბა შენ იციო... და ასანთს გაჰკრა.

როგორ უნდა მოვიქცე-მეთქი, ვკითხე და პასუხს დაველოდე.

გამოქაჩავ თუ არა, მაშინვე უნდა ღრმად ჩაისუნთქო და სთქვა „ჰა.. მლვდელი მოდის...“?! მაშინ ვერ მივხვდი, რა შუაში იყო მლვდელი, თუმცა არც დღეს ვიცი ეს.

მოვქაჩე და მხოლოდ „...ჰას“ თქმა მოვასწარი, ამიტყდა საშინელი ხველა, მერე თავპრუ დამესხა და გულისრევის შეგრძნებაც გამიჩნდა. კარგა ხანს ვერ მოვედი გონზე, ვგრძნობდი, რომ რაღაც უცწაური რამ ხდებოდა ჩემს თავს.

სიცილით გაიგუდნენ. მანყნარებდნენ – ეგ არაფერი, ჩვენც მაგ დღეში ვიყავით, როცა პირველად ვიგემეთ ეს საოცრებაო. მამშვიდებდნენ – მორჩა, დაწყნარდი, მთავარმა მომენტმა უკვე გადაიარა, ამის შემდეგ სულ რიკინ-რიკინით წავა საქმეო.

მართლაც რომ, ისე წავიდა საქმე, როგორც მიწინასწარმეტყველეს. იმ დღიდან შემიყვარდა შატალოც და ლაგოდეხის თამბაქოც (სადღაა, თორემ კი....).

სამოცდაათი წელია რიკინ-რიკინით მომდევს ეს ყოვლად უსარგებლო ჩვევა. აკი ვამბობდი ზემოთ, რომ ძნელია სისტემატური წვრთნითა და გარჯით შეძენილი ჩვევისგან თავის დაღწევა-მეთქი. ჰოდა, ასეც არის, ძნელია, მაგრამ – შესაძლებელი.

## ექსპერიმენტი ქათმებზე

ვიცოდი, რომ წებისმიერი რეფლექსი არის ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია (რეაგირება) გარეგან ზემოქმედებაზე, გალიზიანებაზე, სიგნალზე. მაინტერესებდა, თუ გარეგან გაღიზიანებას (ზემოქმედებას) ექნებოდა სისტემატიური (ხანგრძლივი დროის განმავლობაში) და იმავდროულად ერთგვარი ხასიათი – გადაიზრდებოდა თუ არა რეფლექსი ჩვევაში.

შვიდი თუ რვა ქათამი გვყავდა სახლში, ისე რომ ორი-სამი კვერცხი გვქონდა გარანტირებული ყოველდღე და საუზმეც გემ-რიელი და ნოუიერი. მსოფლიო ომმისშემდგომი პერიოდი იყო და ჯერჯერობით ისევ იგრძნობოდა პროდუქტების დეფიციტი. ჭირდა ქათმების საკვების შოგნაც, ამიტომ განსაკუთრებული ეკონომიური რეჟიმით ვკვებავდით მათ. შეღავათს გვაძლევდა ეზოს ბოლოში პატარა ბალ-ვენახი, სადაც ქათმები მთელი დღის განმავლობაში „ჩალიჩობდნენ“ და საკუთარი ძალებით იგსებდნენ დანაკლისს.

ერთხელ, ცხონებულმა დედაჩემმა შემომჩივლა – „ჯუგ-ჯუგის“ ძახილზე ფართხა-ფურთხით და თავაწყვეტილები მორბიან მე-



ზობლების ქათმებიც და ჩემებს პირდაპირ ნისკარტიდან გლეჯენ საკვებს, არ ვიცი, რა ვენა, მშივრები მრჩებიანო.

ნუ გედარდება, მაგას მე მოვუვლი-მეთქი, ვუპასუხე და შევუდ-ექი სამოქმედო გეგმის შედგენას. სულ რაღაც ორ დღეში მოვაწყე საექსპერიმენტო პოლიგონი. კერძოდ: საქათმის ჭერში ჩამოვკიდე ქათმების საკვების (სიმინდი, ქერი, შვრია და სხვა) თუნუქის ჭურ-ჭელი, რომლის ფსკერის თანდათანობით გახსნა შემეძლო დისტან-ციურად (თოკით, ბაზრით); იქვე მოვაწყე მექანიკური ზარი, რომლის ქანქარასაც ასევე ვმართავდი თოკით; ჩემი სამყოფი ადგილიც ისე მოვიწყე, რომ ქათმებს ჩემი დანახვა არ შესძლებოდათ.

დადგა ექსპერიმენტის პირველი დღე. ქათმები არ გამოვუშვი საქათმიდან და ზუსტად დილის რვა საათზე გავუხსენი ყუთი და ნე-ლინელ ვუყრიდი საკვებს და იმავდროულად ვრეკდი ზარს შედარე-ბით დაბალ ხმაზე. სანამ კუთვნილ ულუფას კენკავდნენ, გამუდმე-ბით რეკდა ზარი.

გავიდა ათი დღე. დადგა გადამწყვეტი მომენტი. დილის შვიდ საათზე გავუდე საქათმის კარი და მივეცი საშუალება, გასულიყვნენ ბალ-ბოსტანში, მაგრამ შევატყე, რომ არ აპირებდნენ და ზანტად იყურებოდნენ აქეთ-იქით. როგორც იქნა დაიძრნენ და მიაშურეს შეჩვეულ კუთხე-კუნჭულებს. ზუსტად რვა საათზე დავიკავე ჩემი „სამუშაო“ ადგილი და დავიწყე ზარის რეკვა. სულ რაღაც რამდენ-იმე წამში თავპირისმტვრევით შეცვივდნენ საქათმეში და მინის ია-ტაკზე დაყრილი საკვები რომ ვერ ნახეს, კისრები გადახარეს და ცალი თვალით ზემოთ იცქირებოდნენ. შემეცოდნენ და გავხსენი საკვების ყუთი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ექსპერიმენტმა შედეგი გა-მოილო. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ასე ვაჭმევდი – ავ-ტეხავდი ზარის რეკვას (ზუსტად დანიშნულ დროზე) და მორბოდნენ თავპირისმტვრევით (მეზობლების ქათმები საბოლოოდ ჩამოვიშორე. ისინი რაღა თქმა უნდა, აზრზე ვერ მოდიოდნენ, თუ რა ხდებოდა). ჩვენი ქათმები მომენტალურად რეაგირებდნენ გარეზემოქმედებაზე (სიგნალზე), ანუ სახეზე იყო მყარი და უტყუარი რეფლექსი, ვიტყო-დი – სისტემატური რეფლექსი, რადგან თავად გარე ზემოქმედება (სიგნალი) იყო სისტემატური, ერთგვაროვანი და დროის ერთიდაი-გივე მონაკვეთში.

დადგა უამი გამერკვია გადაიზრდებოდა თუ არა სისტემატური რეფლექსი ჩვევაში, ანუ ქათმები შეიძენდნენ თუ არა ახალ ჩვევას, ჩამოყალიბდებოდა თუ არა მათში საკვების მიღების ჩვევა დროის გარკვეულ მომენტში.

სიმართლე გითხრათ, არ მეჯერა და ვნერვიულობდი. ჩემი კლასელები მოვიწვიე კვირა დღით და გავანდე ჩემი ექსპერიმენტის შესახებ. დილის შვიდ საათზე ყველანი ჩემთან იყვნენ. ხელის კანკალით გავაღე საქათმის კარი და ისევ აივაზზე ავედი კლასელებთან. ქათმები დინჯი ნაბიჯებით გამოვიდნენ და მიმოიფანტნენ ბალ-ბოსტანში. ერთ-ერთმა კლასელმა იხუმრა – კარგი, რას ნერვიულობ და განიცდი. რა გემართება, ქათმების ჭკუაზე უნდა გვატარო?.. მიდი, დომინო გამოიტანე, დავცხოთო. ჯერ ვისაუზმოთ-მეთქი.

ვისაუზმეთ, ვითამაშეთ, ვიკამათეთ... დრო საოცრად ნელა გადიოდა. ერთადერთი საათინი კლასელი გამუდმებით მაჯაზე იყურებოდა – დავიღალე, მოდი გადავხედოთო. არა – ვუთხარი მკაცრად, ათი წუთიც დავიცადოთ და მერე მოხდეს, რაც მოხდება-მეთქი.

გული ვეღარ ეტეოდა საგულეში. აივნის მოაჯირს გადავეყუდეთ და ბალ-ბოსტნისკენ მივაპყარით მზერა. არ გასულა ხუთი წუთიც და დავინახეთ ჩემი ქათმები. რიგში ჩაწყობილები ჯარისკაცებივით მიდიოდნენ საქათმისკენ, სადაც უკვე ელოდათ წინასწარ ჩამოყრილი საკვები. ამჯერად ზარი არ რეკდა. აივაზზე ატყდა ერთი ამბავი. ბიჭები მილოცავდნენ გამარჯვებას. ატყდნენ – ეს ამბავი აუცილებლად სკოლის დირექტორს და მასწავლებლებს უნდა გავაგებინოთ.

ამასობაში ქათმებმა „მიირთვეს“ კუთვნილი ულუფა და ისე-თივე ნელი ნაბიჯებით დატოვეს საქათმე, როგორითაც შევიდნენ. ახლა მათ დესერტი (ჭია-ლუა, მატლები, ბალახი და სხვა ბუნებრივი ნარჩენები) ბალ-ბოსტანში ელოდათ.

ორი კვირის განმავლობაში ვაკვირდებოდი მოვლენებს. დილის შვიდ საათზე ვაღებდი საქათმის კარებს. ქათმები მიდიოდნენ ბოსტანში. ვყრიდი საკვებს და მორჩა, ამით იმ დღის საქმე დამთავრებული იყო. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, საქათმეში ბრუნდებოდნენ ქათმები, „ისაუზმებდნენ“ და ისევ ერთად უბრუნდებოდნენ საჩიჩქ-საქექს.

სისტემატიურმა, ერთგვაროვანმა და დროის ერთ მონაკვეთში ჩატარებულმა წვრთნამ თავისი შედეგი გამოიღო – რეფლექსი გა-

დაიზარდა **ჩვევაში**. უკვე გარეზეგავლენის (ზარის რეკვა) გარეშე ქათ-მები დანიშნულ დროზე შედიოდნენ საქათმეში საკვების მისაღებად.

ახლოვდებოდა პირველი სექტემბერი და მე, როგორც პირველი კურსის სტუდენტი, შევუდექი გასამგზავრებელ მზადებას.

როგორც მოგვიანებით შემატყობინეს – გაწვრთნილი ქათმები, სანამ ცოცხლები იყვნენ, არ ლალატობდნენ თავის ახლადშეძენილ **ჩვევას**.

## მაჯის საათი

ახალაგზრდობაში ზღვაზე ხშირად დავდიოდი ჩემს ახალაგზრდა მეგობართან ერთად. მახსოვს როგორ ტრაბახობდა თავისი შვეი-ცარული ნაკეთობის საათით. გამუდმებით პირზე ეკერა – „გან-საკუთრებულა, გინდ ქვაზე დაგივარდეს, გინდა ზღვაში ჩაგყვეს, არაფერი მოუვაო“. მართლაც ასე იქცეოდა – წყალში ჩასვლის შემთხვევაშიც არ იხსნიდა და მგონი საერთოდაც სულ მაჯაზე ეკე-თა, მგონი ძილშიაც. თავს იწონებდა და ნატრულობდა – ხშირად მკითხონ დრო, არ მეზარება პასუხიო.

ერთხელაც ის ჩემზე ერთი კვირით ადრე ჩავიდა ქობულეთში და უკვე შეჩვეულ ბინაში მელოდებოდა.

რკინიგზის სადგურში დამხვდა, გადამეხვია უკვე საკმაოდ გარუ-ჯული და გულითადად მომიკითხა.

მარცხენა მაჯაზე მოთეთროდ დარჩენილი ზოლი შევამჩნიე. გავიფიქრე, ალბათ, ამ დღეებში დაკარგა ან გაუფუჭდა-მეთქი. ვი-ფიქრე, „გავამაიმუნებ“ – და ვკითხე, რომელი საათია-მეთქი. მან მარცხენა მაჯა ასწია და დახედა.

ფუ შენიო, წამოსცდა. სულ დამავიწყდა, რომ მესაათესთან მი-ვიტანე გუშინ, მითხრა, რაღაცას მოვუხერხებო. სახლში მისვლამ-დე რამდენჯერაც ვკითხე, რომელი საათია-მეთქი, იმდენჯერ ასწია მარცხენა მაჯა და დახედა.

მიხვდა ბოლოს და ლამის გაიგუდა სიცილით, აი, ასეთია შეძე-ნილი ჩვევა.

აბა დააკვირდით.

ადამიანმა, დროის გაგების მიზნით, დახედა საათს და დაუშვა ხელი. აბა სცადეთ და იმწამსვე შეეკითხეთ, თუ რომელი საათია. ის

ისევ დახედავს საათს და გიპასუხებთ. დიახ, ისევ დახედავს, თუმცა, არ გასულა 5-6 წამიც კი.

ასე იქცევა საათის მატარებელ ადამიანთა უმრავლესობა. ესეც, სწორედ რომ შეძენილი ჩვევაა, რომელიც ძალაშია მაშინაც კი, როცა დროებით არ გიკეთია საათი.

## კიბის საფეხურები

ადამიანის თვალი წარმოადგენს სპეციფიური კონსტრუქციის უნიკალურ ოპტიკურ სისტემას, რომლის საშუალებითაც აღვიქვამთ გარეშე სამყაროს ისე, როგორც სინამდვილეშია. ამასთან, არა მარტო აღვიქვამთ, არამედ გარკვეული სიგნალები იგზავნება მეხსიერების ყულაბაში და ინახება იქ მანამდე, სანამ მათი თვალხილულად წარმოჩნდების საჭიროება არ დადგება.

ადამიანის თვალი, დღევანდელი გაგებით, ერთგვარი ვიდეოკამერაცაა, რომელიც „გადაღებებს“ მხოლოდ მაშინ აჩერებს, როცა გვძინავს.

თვალი, როგორც ადამიანის ნებისმიერი სხვა ორგანო, დროთა განმავლობაში „იღლება“, „ცვდება“ და თანდათან კარგავს ფუნქციონირებას, თუმცა „მაშველ რგოლად“ გვევლინება სამედიცინო მეცნიერება, რომელიც სასწაულებს ახდენს უკვე რამდენიმე ათეული წელია.

მხედველობის პრობლემები, ახლომხედველობა, შორსმხედველობა, კატარაქტა, გლაუკომა და ა.შ. ძირითადად დამახასიათებელია ხანდაზმული ადამიანებისათვის და სწორედ ამიტომ, მათი უმრავლესობა სარგებლობს ამა თუ იმ დანიშნულების სათვალით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, სამსახურებრივი საქმიანობის გამო, კვირაში ერთხელ მაინც მიწევდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ყოფნა. სწორედ ამ უწყებაში ვნახე ერთად თავმოყრილი მხედველობადაზიანებული ადამიანები. ვნახე, თუ როგორი სიფრთხილით ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ კიბეებზე.

ახლა კი ვიტყვი მთავარს, რის გამოც წამოვიწყე ეს საუბარი.

ერთხელ, იმ სამინისტროში, კიბეებზე ჩამოსვლისას ხანდაზმული მამაკაცი დაგორდა და ფეხი მოიტეხა. შევესწარი ამ ფაქტს და გავესაუბრე შენობის კომენდანგს, რომელმაც ის-ის იყო დაშვებული სასწრაფო დახმარების მანქანით გააგზავნა საავადმყოფოში.

აი, რა მომიყვა მან: „ყოველ წელიწადს შვიდი-რვა შემთხვევა მაინც გვაქვს ასეთი, ყველა მათგანი მხედველობადაქვეითებული იყო; რა ქნან მოხუცებმა, ასეთი ძნელი ყოფილა სიბერეო“.

ჩემი აკვიატებული თუ თანდაყოლილი დაკვირვებულობის წყალობით, ერთი იდეა ამომიტივტივდა გონიერაში, რომელზედაც ადრეც მქონდა ნაფიქრი სხვადასხვა მიზეზთა გამო.

მოგეხსენებათ, რომ ე.ნ. საჯარო დაწესებულებებში, კიბეების აპსოლუტური უმრავლესობა გაწყობილია მუქი, რუხი ფერის ფილებით (რუხი ფერი ჭუჭყის „ამტანია“ და ხშირად ჩერდება მასზე არჩევანი).

სწორედ რუხი ფერის გამო უჭირთ მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს (განსაკუთრებით ჩასვლისას) საფეხურებს შორის ზღვარის გარჩევა (მითუმეტეს თუ არ არის ნორმალური განათება) და ამიტომაც ხდება არასასურველი ფაქტები.

ვიყავი რა ამ მოსაზრებაში ღრმად დარწმუნებული, შევთავაზე კომენდანტს შეეღებათ ყოველი მეორე საფეხური ნათელი (რუხის-გან განსხვავებული) ფერის საღებავით.

პატარა ბავშვივით გავიხსარე, როცა ერთი კვირის შემდეგ ჩავედი იმ სამინისტროში. ჩემი იდეა პრაქტიკულად იყო განხორციელებული – მე-5 სართულის ჩათვლით (ზედა სართულებზე რატომ არ შეღებს, არ ვიცი) – ყოველი მეორე საფეხური შეღებული იყო რუხისგან მკვეთრად განსხვავებული ფერით.

ერთი წლის შემდეგ კომენდანტმა მითხრა – დაგორების ერთად-ერთი შემთხვევა გვქონდა, ისიც ერთმანეთს შეეჯახენ სიჩქარეშიო.

## გააჩნია ვინ ამბობს

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სისტემატურად მანუხებდა უამრავი (თეორიული თუ პრაქტიკული) იდეა, რომელთა ცხოვრებაში განსახორციელებლად არასაკმარისი იყო ჩემი შესაძლებლობები (არასდროს ვყოფილვარ მაღალი თანამდებობის პირი და არც მქონია შესაბამისი უფლებამოსილებები და სათანადო ბერკეტები). სამწუხაროდ, არსებული საკანონმდებლო აქტები არ იძლეოდნენ (დღესაც არ იძლევა) იდეებზე საავტორო უფლებების მიკუთვნებას და მეც, რომელსაც მსურდა რაიმე სიახლე

(თუნდაც მცირე) შემეტანა საზოგადოების ყოველდღიურობაში – წლიდან-წლამდე, შემთხვევიდან შემთხვევამდე საჯაროდ ვწერდი (გაზეთებში) ან ვახმიანებდი ჩემს იდეა-მოსაზრებებს თუ რეკომენდაციებს.

როგორც წესი, მათზე იშვიათად რეაგირებდნენ ზემდგომი სახელისუფლებო ორგანოები. სამაგისტროდ შევამჩნიე, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ე.წ. „ჩემი იდეები“ დროდადრო გაიუღერებდა ხოლმე (უმნიშვნელო მოდიფიკაციით) მაღალი თანამდებობის პირის მიერ, ასევე ე.წ. მაღალი ტრიბუნიდან, რასაც მოჰყოლია აღტაცება, ქება, უურნალისტების გააქტიურება, ტელეგადაცემების მიძღვნა და ა.შ. სამწუხაროდ, არსად ყოფილა ჩემი ხსენება.

გული გეტკინება კაცს. როგორც ჩანს, უმაღურობის გრძნობა ღრმად არის ფესვებგადგმული ჩვენს ორგანიზმში.

ე.ი. რა გამოდის?! – თუ პატარა კაცი ხარ (არ ვგულისხმობ ფიზიკურ პარამეტრებს), რამდენიც გინდა იძახე – არავინ მოგაქცევს ყურადღებას, ხოლო თუ ხარ მაღალი თანამდებობის პირი, მაშინ იგივე მაღალი ტრიბუნიდან საკმარისია თუნდაც ერთხელ შესთავაზო რაიმე იდეა (სხვისი ან „შენი“ – თუ მოგივიდა თავში საერთოდ), რომ მაშინვე აიტაცებენ, გაახმიანებენ და „დიდების გვირგვინსაც“ მოირგებენ. აღარავინ იხსენებს საწყის წყაროს.

„დიდი კაცის“ სიტყვას, დიდი ძალა და ფასი აქვს.

## ქვაბი

აბა დააკვირდით (თუ გაქვთ სურვილი და დრო) ქუჩაში, ბაზარში ან სხვა ადგილებში გასაყიდად წარმოდგენილ სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის ქვაბებს – განსაკუთრებით დიდ ქვაბს, რომლითაც მეოჯახე ადამიანი უფრო მეტად არის დაინტერესებული.

პოტენციური ათი მყიდველიდან 8-9 მათგანი მაინც აუცილებლად ახდის სუფს (სახურავს) და შიგ (ქვაბში) ჩაიხედავს!

ნეტავ, რას ელიან იქ?!

## ფეხბურთის მატჩზე ლენინგრადში

ს. კიროვის სახელობის სტადიონის ტრიბუნაზე ვიჯექი და თვალს ვადევნებდი ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოსა“ ფეხბურთელთა მატჩს.

ცა მოწყრიალებულ-მოსუფთავებული იყო და მზე შუშხავდა ირგვლივ ყველაფერს. ჩემს გვერდით ხნიერი და საოცრად გამხდარი კაცი იჯდა. რეზინის ჩემები ეცვა და ბრეზენტის შარვალ-ხალათი. მუხლებზე ლაბადა პეტონდა გადადებული და ფეხებშეა მომცრო ჩანთა ედგა რაღაცებით გამოტენილი.

— ალბათ სათევზაოდ იყავით და სახლში შესვლა ვერ მოახერხეთ-მეტექი, — შევეკითხე მისი ჩაცმულობით გაკვირვებულმა.

მიმიხვდა შეკითხვის მიზეზს, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მითხრა:

— გეტყობა, რომ აქაური არ ხარ, თორემ მარტო თეთრი, გაპინკინებული პერანგის ამარა არ წამოხვიდოდი. აქ ისეთი ამბები მოხდება, რომ...

უცბად იგრიალა ოთხმოცათასიანმა სტადიონმა. „ზენიტმა“ ბურთი გაიტანა. ისეთი კაკაფონია გაიმართა, რომ ლამის ტრიბუნები დაინგრა.

ვერ მივხვდი, რა უნდა მომხდარიყო ჩემთვის იმაზე უარესი, რაც უკვე მოხდა — თბილისის „დინამო“ აგებდა.

ტრიბუნები ჩაწყნარდა თუ არა, ჩემმა „მეზობელმა“ ჩანთაში დაიწყო ფათური. ამოაჩოჩა არყით სავსე ბოთლი, დალია და მერე მე მომაწოდა სავსე პატარა ჭიქა.

— აბა, დასცხე... ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოსო, — მომაძახა და „ვობლა“ თევზის კუდი მომაჩეჩა.

სიამოვნებით გადაკვარი და თევზის ნაჭერიც გავწინკნე.

ახლა კი კარგად მომისმინე, მითხრა „მეზობელმა“, საათზე დაიხედა და დაიწყო.

— გაიხედე იქით (თითო გაიშვირა დასავლეთისკენ), იმ პატარა, საოცრად შავ ღრუბელს ხედავ?!

— კი, ვხედავ...

— ეგ ღრუბელი თანდათან გაიზრდება და ჩვენსკენ წამოვა. პირველი ტამის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე სტადიონის თავზე იქნება და ისეთ წვიმას დასცხებს, რომ გუბენები დადგება. ძლიერი

წვიმა 15 წუთს გაგრძელდება. ეგ ღრუბელი გადაინაცვლებს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ამასობაში თბილისის „დინამომ“ გაქვითა ანგარიში. მოპირდაპირე ტრიბუნაზე ოცდაათამდე კაცი წამოხტა ფეხზე და მორთეს ყვირილი და ტაშისკვრა. ძალა მომემატა ამ ხმების გამგონეს. გამარჯვების იმედი გამიჩნდა.

ჩემმა „მეზობელმა“ ერთიც გადაჰქირა და მეც მომაწოდა – „ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოსო“ – მომაძახა და „ვობლა“ თევზის ნაჭერს დასუნა.

ჰოდა, იმას გაუბნებოდი, გააგრძელა „მეზობელმა“, – მეორე ტაიმი დაიწყება თუ არა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ლადოგის ტბის მხრიდან, წამოვა არცთუისე შავი ღრუბელი, მე-60 წუთისთვის გაჩნდება სტადიონის თავზე და წამოვა წვიმა, რომელიც არ შეწყდება თამაშის დამთავრებამდე. მერე ეს ღრუბელი წავა დასავლეთით და ჩვენც წავალთ სახლებში. „ვოტ ტაკ, მო ღრუგო“, დააყოლა ნათქვამს. იმ წუთიდან სულ საათზე ვიყურებოდი. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ჩემი „მეზობლის“ პროგნოზი ახდა. ყველაფერი წუთი-წუთის სიზუსტით მოხდა. მისმა ლაბადამ გადამარჩინა დასველებას.

თამაში ფრედ დამთავრდა.

## უდანაშაულო დამნაშავე

უნივერსიტეტში ერთი ინგილოელი კოსტა ყულოშვილი სწავლობდა ჩემთან ერთად. საერთო საცხოვრებელში მეზობელ ოთახებში ვცხოვრობდით და ფაქტიურად ერთად გავატარეთ 5 წელი.

ერთი ასეთი თვისება ჰქონდა კოსტას – გამუდმებით იჩიჩენიდა ყურებს ასანთის ღია ღერით. ხშირად ვაძლევდით შენიშვნას, მაგრამ ამაოდ – ვერ გადავაჩიირთ იმას, რასაც წლების განმავლობაში მიეჩვია.

ერთხელ ფეხბურთის მატჩზე წავედით დინამოს სტადიონზე. მაშინ სტადიონი სულ 35 ათას მაყურებელს იტევდა, მატჩზე დასწრების მსურველი კი 2-3-ჯერ მეტი იყო.

საშინელი ზედახორა იმართებოდა ხოლმე შესასვლელებში. ცხენოსან პოლიციასაც კი უჭირდა წესრიგის დამყარება.

მაყურებლები ჯაჯგურ-ჯაჯგურით იკვლევდნენ გზას, პერანგ-შემოხულები და გაოფლილები აწყდებოდნენ ტურნიკეტებს. არც

რკინის მესერებზე გადახოხებას ერიდებოდნენ და არც ურთიერთ-შეურაცხყოფას.

აჩქარებული ნაბიჯებით მივძუნძულებდით მე და კოსტაც. ის, როგორც წესი, აუღელვებლად და აუჩქარებლად განაგრძობდა ყურების ჩიჩქნას ასანთის ღერით.

გულმა რაღაც ცუდი მიგრძნო და კოსტას ვთხოვე, რომ შეეწყვიტა ყურების ქექვა – ემანდ, ვინმემ მხარი არ გაგკრას-მეთქი.

არაფრად ჩააგდო ჩემი გაფრთხილება და მოხდა ის, რისიც ძალიან მეშინოდა – ვიღაცამ მხარი გაჰკრა და კოსტამ საშინლად იყვირა. ყურზემიდებული ხელისგულიდან, თითებს შორის სისხლი მოთქრიალებდა.

ვიღას ეცალა ფეხბურთისათვის, „სასწრაფოთი“ წავიყვანეთ. ღმერთმა დალოცოს ექიმ ხეჩინაშვილის თითები.

ყური კი გაუმთელეს, მაგრამ იმ დღიდან სმენადაქვეითებულთა არმიას შეუერთდა.

გამინყრა და გამებუტა – შენი ბრალია, შენ დამთარსეო. ექვსი თვე ხმას არ მცემდა, დამნაშავედ მთვლიდა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გამახსენდა ერთი ანეკდოტი. მიხო ხეზე ავიდა და იმ ტოტის მოხერხვა დაიწყო, რომელზედაც იჯდა. მეზობელმა გაიარა, შეხედა და შესძახა: რას შვრები, მიხო, ძირს გაადენ ბრახანს, იმ ტოტს ჭრი, რომელზედაც ზიხარო.

წადი შენიო... გაპრაზებით მიაძახა მიხომ. მეზობელმა გზა განაგრძო. ცოტა ხანში მიხო მოწყვეტილი ვაშლივით დაენარცხა მინას.

დამთარსა იმ შობელძალმარ... ძლივს გამოსცრა კბილებს შორის გამნარებულმა მიხომ.

„რაც მოგივა დავითაო,  
ყველა შენი თავითაო“  
(ხალხური სიბრძნე)

## პრიმიტივიზმი თუ ე.ნ. „პროტოეოლი“

ტელე თუ კინოეკრანებიდან ყველას გვინახავს (და არაერთ-ხელ) როგორ მიაქვთ ე.ნ. ჩინოსნებს (სახელმწიფო ლიდერებს, სხვა მაღალი რანგის მოღვაწეებს, სტუმრადმყოფ დელეგაციებს და ა.შ.) გვირგვინები ამა თუ იმ მემორიალთან.

უფრო სწორად, მიაქვს სხვას, შედარებით დაბალი რანგის ჩი-

ნოსანს და დებს გარკვეულ ადგილზე, რის შემდეგაც მაღალი რანგის ჩინოსანი მივა გვირგვინთან, შეასწორებს წარწერიან პაფთას, დაბრუნდება „თავის“ ადგილზე და წუთიანი დუმილის შემდეგ თავდახრილი, ნელი ნაბიჯებით ტოვებს იქაურობას.

ეს არის და ეს.

ამ დაზეპირებულ პროცედურას, პირადად მე, ვუყურებ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია და მიკვირს: წუთუ არ შეიძლება წარწერიანი ბაფთის შესწორების გარდა (რომელსაც ხშირად არაფერი აქვს შესასწორებელი) სხვა რაიმე განსხვავებული, თუნდაც ელემენტარული, პროცედურის ჩამატება ამ შაბლონადქცეულ ციკლში?!

მაგალითად, იმ მაღალიჩინოსანმა თავად მიიტანოს 3-4 კილოგრამიანი გვირგვინი, ან უკვედადებული გვირგვინი მიატრიალ-მოატრიალოს, ადგილი ოდნავ შეუცვალოს, ან ხელში ეჭიროს ორიოდე ყვავილი და დამატებით ჩაამაგროს, ან პატარა სამახსოვრო წერილი დატოვოს ან და ან... რამდენი რამის გაკეთება შეიძლება კიდევ?!.

არა, ჯიუტად იმეორებენ ერთიდაიგივეს და არ ბეზრდებათ. მე პირადად, ასეთი რობოტიზირებული პროცედურა მიმაჩნია პრიმიტივიზმის გამოვლინებად, თუ ყოველივე ეს არ არის **მკაცრად რეგლამენტირებული ე.წ. „პროტოკოლით“**.

## აგრარული ბაზრიდან სახლისკენ

ბაზრიდან პროდუქტებით დამძიმებულნი ვბრუნდებით საკმაოდ შორს მდებარე სახლისკენ. როდესაც მაჯაში ან ზედა კუნთებში ვგრძნობთ დაღლილობას, ან მცირე ტკივილსაც კი, მაშინვე ტკირთი გადაგვაქვს ერთი ხელიდან მეორეში (ეს ჩვეულებრივი ამბავია და არაფერია ახალი). ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ორივე ხელი გაქვთ დაკავებული პროდუქტებით სავსე პოლიეთილენის რამდენიმე (4-5) პარკით და იგრძენით მაჯებში, ან ზედა კუნთებში ოდნავი ტკივილი, რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს?! პარკებს ასფალტზე ვერ დააწყობ (პროდუქტები მიიფანტ-მოიფანტება), ვერც სადმე ჩამოჰკიდებ (კარგი იყო მოწნული კალათები), არადა ამკარად გრძნობ, რომ მაჯებიც დაგეღალა და ოდნავი ტკივილიც გაწუხებს კუნთებში. სახლამდე კი ჯერ კიდევ შორია.

ასეთ დროს საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა უბრალო რამ – მაჯეპი შევატრიალოთ 80-90 გრადუსით, რაც სიმძიმეს გადაიტანს კუნთების სხვა ჯგუფზე, რომელიც ამ მომენტამდე „ისვენებდა“.

სასიკეთო შედეგს იგრძნობთ მომენტალურად.

ჩვევებზე და ნიშან-თვისებებზე, ასევე ამ მიმართებით ჩემს მოკრძალებულ გამოცდილებაზე საუბარი ახლა დავამთავროთ. ერთსღა ვიტყვი – ღრმად მწამს, რომ თუ ადამიანი გამოიჩინს სიმტკიცეს, ნებას, აღიარებს თანმიმდევრულობის და სისტემატიური წვრთნისა და ვარჯიშის ეფექტურობას – იგი აუცილებლად შესძლებს მავნე ჩვევებისგან თვის დაღწევას და სასიკეთო ჩვევების შეძენას.

## სიცრუე ცუსარგებლო, სასარგებლო, რაპირობა, მკრახელობა

„სიცრუე და ორპირობა  
ავნებს ხორცსა მერმე სულსა“  
(რუსთაველი)

სიცრუე, ორპირობა და მკრეხელობა ადამიანის წარმოშობის უძველესი დროიდანვე ითვლებოდა და დღესაც ითვლება სამარცხინო და საზოგადოებისთვის ყოვლადმიუღებელ ნიშან-თვისებად. უამრავი ლიტერატურული ნაწარმოებია მიძღვნილი ამ მართლაც სამარცხვინო და საყოველთაოდ დასაგმობი თვისებებისადმი. მიძღვნილი – იმიტომ კი არა, რომ ამ მცნებების პოპულარობას შეუწყონ ხელი, არამედ იმიტომ, რომ ხაზი გაუსვან მათ უარაყოფით ზევალენას ადამიანების ურთიერთობებზე, დასახული მიზნების შესრულებაზე, სამშობლოსა და ხალხისადმი ერთგულებაზე, ოჯახურ სიწმინდეებზე, კეთილგანწყობაზე და ა.შ. ხაზს უსვამენ და ერთხელ კიდევ, მხატვრული ფორმებით მოუწოდებენ ადამიანებს – გონის მოეგონ და უკუაგდონ ეს მავნე ჩვევები, იცხოვრონ სიმართლისა და ამაღლებული სულიერების ატმოსფეროში, სრულად წარმოიდგინონ და გაი-

თავისონ ჭეშმარიტების, ერთგულებისა და სინმინდის ღირებულებები და ურყევად ისარგებლონ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რათა პირნათლად მოიხადონ ლვთიური ვალი თანამოძმეთა და ღმერთის წინაშე.

ჩემი აზრით, სამივე ზემოთხსენებული თვისება მანიშნებულია სულიერების დეფიციტისა და გაუგონარი უპასუხისმგებლობისა, როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოების წინაშე. ასევე, მიმაჩნია, რომ როგორც სიცრუე, ისე ორპირობა და მკრეხელობაც შეიძლება იყოს მძიმე (ტრაგიული, მტკივნეული) შედეგების მომტანი, ან შედარებით მსუბუქი (უმტკივნეულო, ადვილადასატანი) ხასიათის.

მოვიყვან რამდენიმე რეალურ მაგალითს ჩემი ცხოვრებიდან და იმედი მაქს, რომ მკითხველი თავად განსჯის სიცრუის, ორპირობისა თუ მკრეხელობის „ხარისხსა“ და „წონადობას“.

## ყველის გადამყიდველი

დილით მეუღლემ ბაზარში გამაგზავნა და სხვადასხვა პროდუქტებთან ერთად კარგი ყველის ყიდვაც დამავალა. სახლიდან გასულს კიბეებზე მომაძახა – შეეცადე, კარგი ყველი იყიდო და იაფად, ისწავლე ვაჭრობაო.

კავშირგაბმულობის სახლთან ჩავიარე სიგარეტის ბოლებით. დავინახე, რომ ადამიანთა ჯგუფი თავზე ადგა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარ გლეხს, რომელსაც ყველი ჩამოეტანა გასაყიდად. ორი ვედრა ედგა მარლაგადაფარებული და ერთიანად მყიდველს ელოდა. ყველა ერთი ან ორი კილოს შეძენას ლამობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არ უსვენებდნენ, ხან ერთი აფრიალებდა მარლას და ხან მეორე, იყო ერთი განევ-გამოწევა. როგორც ჩანდა, ყველიც მოსწონდათ და ფასიც. გლეხი მოკლედ და მოწყვეტით აცხადებდა – ვინც სულ წაიღებს, ერთ კილოში ოთხ ლარს ვუანგარიშებო. ტროტუარი ლამის გადაკეტეს, იმდენი იყვნენ. მე შორიახლოდან ვადევნებდი თვალყურს – დავალება მქონდა შესასრულებელი – იაფად მეყიდა.

სად იყო და სად არა, ქლოშინით მოვარდა ერთი ქალი, თავზე ჩოგბურთის ჩოგნებით მოხატული თავსაფარი ჰქონდა მოხვეული. ხელში დიდი ჩანთები ეჭირა. იქნებოდა, ასე 30-35 წლის.

– აბა, დაიშალენით, ამ კაცის კლიენტი მე ვარ, უკვე შეთანხმებულები ვართ...

– სადა ხარ ამდენხანს, ქალო, რამდენი უნდა მალოდინო... სოფელში უამრავი საქმე მაქვს, ამ მზის გულზე ჯდომა რა ხეირს მომიტანს?!.. ნაწყენი კილოთი მიმართა ყველის პატრონმა.

– ხომ იცი, პატარა ბავშვები მყავს... იქ საუზმეო, იქ სკოლაო, მერე სახლის დალაგება და ათასი რამ... ჰოდა, ცოტა შემაგიანდა. ეს სთქვა და ჩანთიდან ხელის სასწორი ამოილო, 2-3 თავს ერთად წონიდა და იწერდა.

თავშლიანმა საბოლოოდ მოიშორა თავიდან თითოოროლა კილოს ყიდვის მსურველები და ქორივით გადაეფარა იქაურობას. მე განზევიდექი და თვალს ვადევნებდი, მათი საუბარიც კარგად მესმოდა.

ბოლოს თავშლიანმა თავის ჩანთებში გადაანაწილა ყველი და განუცხადა გლეხს:

– სულ ოცი კილოა და აპა შენ სამოცდაათი ლარი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

– ქალო... ეხდა წონასწორობიდან არ გამომიყვანო. მაღაზიაში ავწონე და ოცდასამი კილოა, ჰოდა გამოუშვი ოთხმოცდათორმეტი ლარი, თორემ უკან წავიღებ და აღარასოდეს გამეკარო.

– უიმე, რა უცნაური კაცი ხარ... სამნახევრად ხომ შევთანხმდით... სამი კილო, ჯანდაბას, დაგიმატებ...

ყველის გამყიდველი, რომ იტყვიან, გაცოფდა. ეცა ჩანთებს და გადალაგება დაიწყო ისევ ვედრებში.

– ჰო, კარგი... აპა შენ ოთხმოცდაათი ლარი და შენც კარგად და მეც კარგად.

ვუსმენდი, ვუცქერდი და „ვაჭრობას ვსწავლობდი“. თავშლიანმა ორი ლარი მაინც „შეიტყყაპუნა“ და გზას გაუდგა საკმაოდ მძიმე ტვირთით.

იმ დღით ბაზარში ვერ წავედი, რაღაც „ვარიანტი ავარდა“ და გვიან საღამოს დავბრუნდი სახლში.

მეორე დღეს დილაადრიან შემოვიარე ბაზარი. ყველაფერი შევიძინე, რაც სახლში დამავალეს და ყველილა დამრჩა საყიდელი. ავათვალიერ-ჩავათვალიერე ყველის დახლები და უცბათ თვალში მომხვდა ჩიგბურთის ჩიგნებით მოხატული თავშალი.

მივედი და ვეუბნები:

– ქალბატონო, გამასინჯეთ თქვენი ყველი.

– ამაზე კარგ ყველს მთელს ბაზარში ვერ ნახავთ, განსაკუთრებულია, აი ნახეთ...

მითხრა ეს და სიგარეტის ქალალდივით მონათალი გამომიწოდა.

დავაგემოვნე და მგონი მომენტია.

– რა ლირს კილო?!

– კარგი კაცი ჩანხარ, თან გეტყობა არჩევა გცოდნია, სახლში აუცილებლად მოგიწონებენ. გაჭირვებას დაუდგეს თვალი, თორემ პედაგოგი ქალი აქ უნდა ვიდგე... საიდანლაც მეცნობი.

– ქალბატონო, რა ლირს?! შევაწყვეტინე ლაქლაქი და თითები შევიწმინდე რაღაც ჩვარზე.

– არც შენი და არც ჩემი... ბოლო ფასი ექვსი ლარი იქნება, ისიც შენისთანა კარგი კაცისთვის...

ხასიათი გამითუჭდა. გამახსენდა გუშინდელი სცენა კავშირგაბ-მულობის სახლთან.

– ძვირია, ცოტა იქნებ დამიკულოთ....

– არა, ვერ დაგიკლებ; გაიარ-გამოიარე და ნახავ, რომ ამისთანა კარგ ყველს ვერ იშოვი.

– ქალბატონო, ორი კილო მინდა და ათ ლარს გადაგიხდით. ვიცი, რომ ოთხ ლარად გაქვთ შეძენილი და კილოზე ერთი ლარი რომ მოიგოთ, ხომ საკმარისი იქნება?!

– უი, უიო... თავში შემოირტყა ორივე ხელი; **ჩემს ორივე შვილს გეფიცები,** ხუთნახევრად მაქვს აღებული და კილოზე ათი შაური რომ მოვიგო, განა ეს ბევრია?!

ახლა კი ნამდვილად ამემლვრა გონება, ლამის წონასწორობა დავკრგე. რაღაცას ჩამჩიჩინებდა, მაგრამ არ მესმოდა. ალარაფერი მითქვამს, დავლუნე თავი და სახლისკენ ავიდე გეზი. გზაში ვფიქრობ-დი – კი, ბატონო, ვისაც როგორ უნდა, ისე გაყიდის საქონელს. აქ გასაკვირი თითქოს არაფერია. მე ის მანუხებდა, თუ რა გარემოებებმა შეიძლება მიიყვანოს ადამიანი იმ დონემდე, რომ რაღაც ერთი-ორი ლარის გულისთვის იკადროს ამდენი სიცრუე, მკრეხელობა და უსინდისობა. ვერ ხვდებოდა ის საცოდავი, თუ რა ცოდვას იღებდა თავზე და რა დანაშაულს სჩადიოდა ღმერთისა და ხალხის წინაშე საკუთარი შვილების უადგილო და ყოვლადგაუმართლებელი დაფიცებით.

## ეკლესიასთან

არასდროს ვყოფილვარ გამორჩეულად ეკლესიური და ეს, მეტწილად განაპირობა კომუნისტურმა რეჟიმმა, რომელშიც და-ვიბადე და პენსიაზეც გავედი. სენებული სისტემის პირობებში ბავშვებს გვზრდიდნენ ოქტომბრელობის, პიონერობის, კომკავშირელობის, დაბოლოს კომუნისტურობის სულისკვეთებით.

წარმოუდგენელი იყო რაიმე ცხოვრებისეული, ან საზოგადოებრივი საქმიანობის უმაღლესი საფეხურების მიღწევა-დაპყრობა, თუ კი თანმიმდევრულად არ გექნებოდა გავლილი, ყველა თუ არა, ბოლო ორი მაინც იმ ეტაპებიდან, რომელიც ჩამოვთვალე.

სამოცნლოვანი ასაკის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ძნელი იყო ჩემთვის სრულფასოვან და ჭეშმარიტ ეკლესიურ პიროვნებად ჩამოყალიბება, თუმცა, ადრეც და შემდგომშიც მუდმივად მქონდა ამის სურვილი და მოკრძალებული მცდელობებიც, ალმენიშნა საეკლესიო დღეები, დამენთო სანთელი, წამეკითხა ზოგიერთი ლოცვა თუ შე-საბამისი ლიტერატურა, გადამეწერა პირჯვარი და ა.შ.

მნამდა და ახლაც მნამს, რომ რაც ეკლესიასთან არის დაკავშირებული, ყოველივე არის წმინდა და სათაყვანებელი, ასევე ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის – სიცოცხლის მთავარი არსი და მიზანი და ამიტომაც მტკიცნეულად განვიცდი ყოველგვარ არაგულწრფელ, მოჩვენებით, პომპეზურ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ეკლესიისა და მისი სიწმინდეების მიმართ.

გორიდან თბილისისკენ გაჭიმულ ავტომაგისტრალის იგორეთის მონაკვეთზე, კასპის გადასახვევიდან ასიოდე მეტრში, მარჯვენა მხარეს მდებარეობს პატარა ეკლესია.

სამარცხვინო და ვიტყოდი საზარელი ამბავი ხდებოდა იმ ეკლესიასთან ყოველდღე და წლის ნებისმიერ დროს. გაუთავებლად ის-როდნენ (ეკლესიის მიმართულებით) მანქანების ჩამოწეული ფანჯრებიდან ხურდა ფულს და თან დიდის ამბით ინერდნენ პირჯვარს ვაიმორნმუნენი, უაზრონი და უვიცნი. უამრავჯერ გავხდი (სამსახურიდან გამომდინარე კვირაში 2-3-ჯერ მაინც მივდიოდი თბილისში) ამ ამაზრზენი სცენის მოწმე.

საშინელი სანახავი იყო, თუ როგორ თავქუდმოგლეჯილები დას-დევდნენ მოგორავე და მობზღვრიალე მონეტებს იქ მყოფი ვითომ-

და ლვთისმსახურები და ოფიციალური მორიგეები და ერთმანეთის ჯობნის უინით შეპყრობილნი ხშირად თავს იგდებდნენ საფრთხე-ში მანქანების თითქმის უწყვეტი ნაკადის პირობებში. ალბათ ისევ ღმერთი იცავს ამ საცოდავებს ტრაგიკული შედეგებისგან.

შე კაი კაცო (ქალო) – მივმართავ მანქანების მძლოლებს და მგზავრებს, თუ გსურს ჩაატარო შენირულობის პროცედურა, განა ძნელია, სულ 2-3 წუთით შეაჩერო მანქანა, გადმოხვიდე და ღირ-სეულად შეასრულო ის, რის დამტკიცებასაც ცდილობ ყოვლადმი-უდებელი და შეურაცხმყოფელი ფორმებით?

ის, რაც აღნიშნულ ეკლესიასთან ხდებოდა (ახლა ტრასამ მიმარ-თულება შეიცვალა და მეც იშვაიათად მიწევს მანქანით მგზავრობა, ამიტომ გრძელდება თუ არა ეს სამარცხვინო ფორმის „რიტუალი“ – არ ვიცი) წარმოადგენს მკრეხელობას და ჭეშმარიტ მორწმუნეთა მიერ აღიარებულ სიწმინდეთა შეურაცხყოფას.

განსჯა თქვენთვის მომინდვია.

## ფერადი ჯართი

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი იყო. ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ბობოქრობდა. ხალხს ძალიან დაუმძიმდა ყოფა. არსებობისთვის გარჯამ და ბრძოლ-ამ, ხშირ შემთხვევაში, მიღლო მახინჯი და სამარცხვინო ფორმა.

ერთ დღეს, სახლში რაღაცის შესაკეთებლად თუ გასაკეთებლად, დამჭირდა სპილენძის მიღლი, სულ რაღაც ნახევარი მეტრის სიგრ-ძის. ჩხირკედელაობა ბავშვობიდანვე მაქვს ჩვევად და არც ახლა ვარიდებ თავს ოჯახში მრავალი წვრილმანის საკუთარი ძალებით მოგვარების საქმეს. მეზობელი ჩხირკედელაობის მოყვარულების ავტოფარეხებში და სარდაფებში ჩემთვის საჭირო მიღლი ვერ აღმო-ვაჩინე და მივაკითხე ფერადი ჯართის მიმღებ ერთ-ერთ პუნქტს. საკმაოდ შესამჩნევი ხალხმრავლობა იყო ჯართის მიმღებ პუნქტ-ში. რას აღარ აბარებდა ხალხი ორიოდე გროშის შოვნის იმედით. ისეთ რამეებსაც კი მოვკარი თვალი, რომ მათი ჯართად ჩაბარება, მართლაც რომ საცოდაობა იყო.

ჩემთვის სასურველი სპილენძის მიღლი სწრაფად მომიძებნა ჯართის მიმღებმა და კმაყოფილი გამოვტრიალდი. სულ რამდენი-

მე ნაბიჯი მქონდა გამოვლილი, როცა მომესმა საკმაოდ მკვახე და ხმამაღალი სიტყვები.

— ამას არ მივიღებ, მოშორდი თავიდან; წაიღე ისევ იქ, საიდანაც მოიტანე...

— ძია, ძალიან გთხოვ, თუნდაც ნახევარი ფასი მომეცი...

— წადი-მეთქი, გეუბნები... არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა.

ახლოს მივედი. თხუთმეტიოდე წლის, საოცრად გამხდარ და ძველმანებით ტანთცმულ ბიჭს რაღაც ტომარის მსგავსში ჩაეყარა „ჩასაბარებელი“ და წელმოხრილი მუდარის თვალებით შესცეროდა ჯართის მიმღებს, რომელსაც გაბრაზება ჯერაც არ განელებოდა.

— თუ ძმა ხარ — მომიბრუნდა მე, მოაშორეთ ეს ბიჭი აქედან, თორემ დავაჭერინებ.

ბიჭმა ნაღვლიანი თვალებით შემომხედა და ლასლასით წავიდა ეზოდან გასასვლელისკენ. შორიახლოს მივდიე. გული მეწოდა მის შემხედვარეს. მინდოდა მენუგეშებინა, მაგრამ როგორ?..

შევაჩერე და ვკითხე — ძალიან გჭირდება ფული?!

არაფერი მიპასუხა. ერთად გავაგრძელეთ გზა. არ მოვეშვი და ისევ გავესაუბრე.

— რატომ გითხრა მიმღებმა უარი, რა არ მოეწონა?!

იგი კვლავ დუმდა, მერე კი დანამული თვალებით შემომხედა და სლუკუნ-სლუკუნით მთხოვა:

— იქნებ თქვენ შეიძინოთ, ძალიან გვიჭირს და არ ვიცით, რა ვქნათ... (ზმნის მრავლობით რიცხვში ხმარებამ მიმანიშნა, რომ საკუთარ ოჯახზე საუბრობდა).

— აბა, მაჩვენე... შეიძლება გამომადგეს...

იმედის ნაპერწკალმა გაუელვა თვალთა მისუსტებულ მზერაში. ტომარა ტროტუარზე დადო, ჩაიჩიქა და გახსნა...

ლამის ელდა მეცა. რატომლაც არ ველოდი იმის ნახვას, რაც ჩანთაში ეყარა.

საფლავების მესერებიდან აგლეჯილი სხვადასხვა ნახატისა და ზომის ფიგურების მოთეთრო-მოვერცხლო ფერმა გონება დამიბნელა და მეტყველების უნარი დამიკარგა. ვგრძნობდი, რომ ძალიან ცუდად გავხდი და ტროტუარზე ჩამოვჯექი.

ის დუმდა, მერე გვერდით მომიჯდა და რაღაცეებს მეუბნებოდა, რაც ჩემამდე არ აღწევდა.

ცოტა ხანში გამოვთხიზლდი. მივხვდი, რომ გაპრაზებას და საყ-ვედურებს ან მორალის კითხვას აზრი არ ჰქონდა.

შევეკითხე – რამდენი კილოა, ალბათ, აწონილი გექნება?! რვა კილოაო – მიპასუხა და თავი მორცხვად დახარა.

ერთხელ კიდევ ვიგრძენი გულში რაღაც ჩხვლეტა.

შევეცადე, რაც შეიძლება მეგობრული და თბილი ტონით მესაუბრა:

– ახლა, კარგად მომისმინე და იმდი მაქვს შეასრულებ, რასაც გეტყვი. აი, შენ შესაბამისი თანხა, მეტი არ მაქვს, თორემ...

– არა, არაო...

შევაწყვეტინე.

– მომისმინე, ასეა საჭირო, ოღონდ იმ პირობით, რომ წაიღებ მაგ დეტალებს და ისევ თავის ადგილებზე დაამაგრებ, მხოლოდ რაც შეიძლება სწრაფად, რომ ჭირისუფლებმა არ შეამჩნიონ.

გადამეხვია, ჩამკოცნა, დაავლო ჩანთას ხელი და აჩქარებული ნაბიჯებით გამშორდა. ორჯერ მოიხედა უკან და ხელი დამიქნია.

აღარ მინახავს ის ბიჭი. არც ის ვიცი, შეასრულა თუ არა ჩემი თხოვნა.

## როგორ ვიცრუე პროფესორთან

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი 1951-1956 წლებში. სახელგანთქმული მეცნიერები და პროფესორ-პედაგოგები გვასწავლიდნენ საგნებს და ჩვენც თავგამოდებით ვსწავლობდით. საერთო სიტუაცია ისე იყო დარეგულირებული, რომ ვერავინ გაპე-დავდა გამოცდაზე მოუმზადებლად მისვლას, ეს უდიდეს სირცე-ვილად იყო მიჩნეული მაშინ.

საკმაოდ პოპულარული სტუდენტი ვიყავი შედარებით კარგი სწავლის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ფაკულტეტის მასშტაბით ვეწ-ეოდი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას (ვიყავი კედლის გაზე-თის რედაქტორი, ფიზკულტურული და კულტმასიური სექტორების ხელმძღვანელი, აქტიური სპორტსმენი, ექსკურსიების სულის ჩამ-დგმელი და ა.შ.), რის გამოც საერთო ყურადღების ცენტრში ვიყავი მოქცეული და დეკანატიც სათანადოდ აფასებდა ჩემს გარჯას.

ლექტორებს შორის გვყავდა ზომაზე მეტად მკაცრი და მომთ-ხოვნი პროფესორ-პედაგოგები (ა. ხარაძე, ნ. ვეკუა, პ. ზერაგია,

გ. ვეფხვაძე, გ. თევზაძე და ა.შ.) და შედარებით რბილი და ლიბერალური ხასიათით გამორჩეულნი (ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძე, ე. ხარაძე, ა. ჩახტაური, მ. კუკულაძე, ა. კეკელია და სხვა). თუმცა, ყველა მათგანი, როგორც წესი, გახლდათ უაღრესად ობიექტური და სამართლიანი, როგორც მასწავლებელი, ისე გამომცდელი. სტუდენტებთან სიახლოვისა და მეგობრობის სურვილით განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა უმაღლესი აღგებრის (მათ შორის წრფივი და ტოპოგრაფიული აღგებრის) დარგში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გიორგი ჭოლოშვილი, რომელიც არცერთ სტუდენტურ ექსკურსისა არ სტოვებდა და ყველანაირად ცდილობდა ჩვენთან ყოფილიყო. სიგიურემდე უყვარდა ტყეში, მწვანე გარემოში გაშლილი მოკრძალებული ქართული სუფრა. შეყვარებული იყო ჩემს თამადობასა და გიტარის აკომპანემენტით შესრულებულ რუსულ რომანსებზე, თუ სერენადებზე. გამორჩეულად მოსწონდა ლუტიოსოვის და მ. ბერნესის სიმღერები.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ შედარებით წარმატებულ სტუდენტად ვითვლებოდი-მეტქი და დადგა კიდეც მომენტი, როცა უნდა დამეცვა ჩემი რეპუტაცია. საქმე იმაში გახლდათ, რომ მეოთხე კურსის საგაზაფხულო სესიებზე ცხრა გამოცდა გვქონდა ჩასაბარებელი სულ რაღაც ოცდაუთ დღეში. გასულ სემესტრებში, დაახლოებით ასეთივე ვადებში, გვინწვდა სამუალოდ ხუთი გამოცდის ჩაბარება. ახლა კი რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე.

ისიც ცნობილია, რომ სტუდენტები ძირითადად იმედს ამყარებენ გამოცდებს შორის ინტერვალებზე. ზუსტად ეს შუალედური დღეების რაოდენობაა ხოლმე ხშირად გადამწყვეტი ჯეროვნად მომზადებისათვის.

მძიმე სიტუაციაში ვიყავით. პირადად მე ვმეცადინეობდი 18-19 საათს დღელამეში. შვიდი გამოცდა კარგად ჩავაბარე. დადგა მერვეს ჯერი. ძალა გამომელია, გამოვიფიტე, რომ იტყვიან – წაქცევაზე ვიყავი, მაგრამ თავს არ ვზოგავდი. ვერც კი წარმომედგინა რა მოხდებოდა, თუ კი ნახევრადმომზადებული წარვდგებოდი გამოცდაზე. კახურად რომ იტყვიან – „შარცხვენის“ საფრთხე რეალური იყო, მითუმეტეს, რომ ჩასაბარებელი მქონდა ერთ-ერთი ურთულესი საგანი. იმის იმედზე არასოდეს ვყოფილვარ, რომ შემხვდებოდა ე.წ. „იღბლიანი“ ბილეთი. უამრავი თეორემა იყო დასამტკიცებელი (ჯერ

წერილობით და მერე დაფასთან, ცარცით) და კიდევ უფრო მეტი ფორმულა მისაღები. მოკლედ, რთულ მდგომარებაში ვიყავი. აშკარა იყო, რომ ვერ ვასწრებდი სათანადოდ მომზადებას, შერცხვენა შერცხვენად, მაგრამ სტიპენდიის დაკარგვა ჩემთვის იქნებოდა საშინელება, რადგან ის იყო ჩემთვის ერთადერთი საარსებო წყარო.

ტვინი დუღდა, გამოსავალს ეძებდა. ისევ ჩემმა დაკვირვებულობამ მაპოვნინა „გადარჩენის“ გზა, თუმცა, არცთუ მთლად პატიოსნური და მისაღები – ვიკადრე სიცრუე (ხომ გაგიგონიათ „გაჭირვება მიჩვენე – გაქცევას გიჩვენებო“), რომელიც მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში არ მაძლევდა მოსვენებას და როგორც ხედავთ, დღესაც მახსოვს და ვნანობ.

პროფესორს ჰქონდა ერთი გამორჩეული თვისება.

ბილეთის შეკითხვებზე წერილობითი მასალების ძირფესვიანად გამოჩერეკისა და უამრავი ზეპირ შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, სტუდენტს უხმობდა დაფასთან და სთხოვდა დაეწერა ესა თუ ის ფორმულა და აეხსნა თითოეული სიმბოლოს (პირობითი აღნიშვნის) ფიზიკური არსი, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობები ან რომელიმე მათგანის ვარიაციებით მოსალოდნელი შედეგების კორექტირების გზები და სასურველი ზღვრები.

საოცრად კმაყოფილი რჩებოდა, როდესაც სტუდენტი ზეპირად, ცარცით ხელში, ჩამოაჭირებდა თავის „ცოდნას“.

ჰოდა, მეც გადავწყვიტე გამომეყენებინა პროფესორის ეს „სუსტი“ ადგილი. ორი დღე საკმარისი იყო იმისათვის, რომ თუთიყუშივით ზეპირად დამემახსოვრებინა ოცდაათიოდე ძირითადი ფორმულა და მათში შემავალი სიდიდეების ფიზიკური არსი და პრაქტიკული გამოყენების გზები.

დადგა გამოცდის დღეც. დაგვიანებით მივედი უნივერსიტეტში. ვნერვიულობდი მოსალოდნელი შედეგის გამო. სულის სილრმეში რაღაც მაწუხებდა, მოსვენებას არ მაძლევდა. საგამოცდო აუდიტორიის წინ დერეფანი სავსე იყო სტუდენტებით. პირველი ჯგუფი უკვე შესული იყო გამოცდაზე.

სადა ხარ ამდენს ხანს, უკვე გიკითხაო – მომაძახეს „ჩემებმა“.

ჰოო, ეს უკვე კარგია, ჩემს გეგმას ემთხვევა – გავიფიქრე და მაჯის საათზე დემონსტრაციული ცქერით მივადექი საგამოცდო ოთახის კარებს. მაშინდელი გულის ცემის ხმა დღესაც მესმის.

კარები ოდნავ გამოვალე და ისევ მივხურე. გამოხმაურება აგვი-ანებდა. მომეწვენა, რომ უკვე საუკუნეა, რაც კართან ვდგავარ. გული კი ზარივით რევდა.

ერთხელ კიდევ გამოვალე კარი და უცებ მივხურე. მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, გული ბაგი-ბუგობს...

გაჭრა როგორც იქნა ონმა. კარები ფართოდ გაიღო.

— ოჳ, შენა ხარ ვახტანგ, რატომ აგვიანებ, შენ ხომ ყოველთვის პირველად გიყვარს გამოსვლა, რა მოხდა, რა ფერი გადევს? შემო-დი, შემოდი...

მომკიდა ხელი და კარები შემოხურა. მე ხშირ-ხშირად ვიხედები საათზე.

— აღარ მეტყვი, რა მოხდა, რაშია საქმე?

პატივცემულო (მაშინ არ იყო „დანერგილი“ ბატონობით მიმართვა) — მივმართე რაღაცნაირი ჩახლეჩილი, სუსტი ხმით. მერე ჩავახველე და საათზე ერთხელ კიდევ დავიხედე.

— პატივცემულო, ცუდი ამბავი შემემთხვა, კახეთში ნათესავი გარდამეცვალა, დაკრძალვაზე მივიჩქარი, ცოტა დრო მაქვს (ისევ საათს დავცქერი) და თუ შეიძლება ურიგოდ მიმიღოთ და გამომცა-დოთ...

— კი, კაცო, კი... მოდი, ჩქარა, აიღე ბილეთი, თუმცა არა, რა ბილე-თი, სადა გაქვს ამდენი დრო... აიღე ცარცუი და მიდი დაფასთან, ჩქარა...

გაჭრა, გაჭრა — ვფიქრობ ჩემთვის და უცნაური სიხარულის შეგრძნებამ დამიარა ტანში.

აბა, ეს ფორმულა დაწერე. დავწერე.

ეს რა არის? უუპასუხე, რაც არის.

ეს დაწერე, დავწერე. ეს მითხარი, ვუთხარი...

ხუთ წუთში დამთავრდა ჩემი გამოცდაც და ტანჯვაც.

— მომეცი ჩათვლის წიგნაკი.

— ინებეთ.

ლამაზი კალიგრაფიით ჩამიწერა „ხუთიანი“, მხარზე ხელი მომი-თათუნა გამხნევებისა და მოფერების ნიშნად.

მადლობა მოვუხადე გაგებისათვის და დავპირდი, სექტემბერში სრულად ჩაგაბარებთ მთელ პროგრამას-მეთქი.

— არ არის საჭირო. მე შენ გენდობი. აბა, იჩქარე, არ დაგაგვიანდეს, არ შერცხვე (რა იცოდა მაშინ, რომ უკვე შერცხვენილი ვიყავი).

გაოცებული და პირდაღებული სტუდენტების თვალწინ, მაღლა ანუ ჩატვლის წიგნაკით, სირბილით გავეცალე იქაურობას.

ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ თბილისში ვიკრიბებოდით კურსდამთავრებულები და აღვნიშნავდით საიუბილეო წელს. მოვიკითხავდით ერთმანეთს, ვგებულობდით ვინ დაოჯახდა, ვის რამდენი შვილი ჰყავდა, ვინ სად მუშაობდა და ა.შ. შემდეგ შემოვივლიდით აუდიტორიებს, შემოვუსხდებოდით მერხებს, ვიხსენებდით სტუდენტური წლების საინტერესო ამბებს. ბოლოს სასწავლო კორპუსის წინ ვიღებდით საერთო სურათს. ბოლო აკორდი კი გახლდათ რომელიმე პრესტიულ რესტორანში მოლხენა ჩვენს საყვარელ და პატივსაცემ პროფესორ-ლექტორებთან და აკადემიკოსებთან.

1972 წლის მაისში თბილისიდან დამირეკეს და შემატყობინეს, რომ 15 წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ვიყავი მიპატიურული და რომ აუცილებლად ჩავსულიყავი.

დათქმულ დღეს მივედი უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ. ნაწილი უკვე შეკრებილიყო და გულთბილად საუბრობდნენ. მაღეთითქმის მთელი შემადგენლობა შეიკრიბა.

ტრადიციული ცერემონიის შემდეგ შემოვუსხედით ბარაქიან ქართულ სუფრას რესტორან „არაგვში“ მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

პროფესორმა გ. ჭოლოშვილმა სუფრის თავში დამსვა და ხმამაღლა განაცხადა, „ვინც აქ ვახტანგის გარდა თამაღლებას მოინდომებს, ჩემთან ექნება საქმეო“. საერთო სიცილ-ხარხარში მიიღეს პროფესორის შეთავაზება და ერთხმად ამირჩიეს თითქმის ოთხმოცკაციანი სუფრის თამაღლად.

აკადემიკოს ვ. კუპრაძეს თან ახლდა სამი ინგლისელი ასპირანტი, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ, თუ რა ხდებოდა, მე რა სტატუსი მომანიჭეს ან რატომ და, საერთოდ, დამსწრენი ფეხზე რატომ წამოდგნენ და ჩემსკენ რატომ იმვერდნენ სასმისებს. ვ. კუპრაძემ მალევე დააკმაყოფილა მათი ცნობისმოყვარეობა.

გახურდა სუფრა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა. ქართული სუფრის ტრადიცია ფრთხებს შელიდა. ვ. კუპრაძე თარჯიმნობდა, ინგლისელი ასპირანტები ღვინოს წრუპავდნენ და ბლოკნოტებში ჩანაწერებს აკეთებდნენ.

პროფესორი გ. ჭოლოშვილი გვერდიდან არ მშორდებოდა. ხან მარცხნიდან მომიჯდებოდა და ხან მარჯვნიდან. მერე სადღაც გაქრა და 10-15 წუთის შემდეგ დაბრუნდა. ყურში ჩამჩურჩულა, მალე მოგიტან გიტარას, აბა შენ იციო.

ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, ვიმხიარულეთ. უმაღლესი დონის საზეიმო შეხვედრა გამოგვივიდა. საყოველთაო აღტაცება და ქების შეძახილები გაისმა, როდესაც ჩემი „დამტვრეული“ ინგლისურით ვადლეგრძელე ვ. კუპრაძის ინგლისელი ასპირანტები.

ლამის ორი საათი სრულდებოდა. გეზი ავილე სუფრის დამთავრებისკენ და მოვემზადე შესაბამისი სადლეგრძელოსთვის. პროფესორმა გ. ჭოლოშვილმა ალღო აუღო ჩემს განზრახვას და ერთი სადლეგრძელო ითხოვა. უარს როგორ ვეტყოფდი?!?

ახლა კი, დრო დადგა ყველამ გაიხსენოს სტუდენტობის დროინდელი რაიმე სასაცილო, კურიოზული და საინტერესო ეპიზოდებიო – განაცხადა გ. ჭოლოშვილმა და იქვემჯდომ მიშა საგინაშვილს უთხრა, დაიწყეო. მიშას მოჰყვა ლევანი, მერე ლამარა, გაიოზი, გივი და ა.შ. მართლაც საინტერესო და სასაცილო ამბებს იხსენებდნენ. მხიარულებამ ზენიტს მიაღწია. ვ. კუპრაძე ვერ ასწრებდა თარგმნას, ინგლისელები კი ჩაწერას.

სადაცები ისევ გ. ჭოლოშვილმა აიღო ხელში:

– ძვირფასო სუფრის წევრებო, თუ დააკვირდით, ჩვენმა თამა-დამ არც გასულ ორ შეხვედრაზე გაიხსენა რაიმე კურიოზი და როგორც ვატყობ, არც ახლა აპირებს. აბა, ერთხმად ვთხოვოთ რაიმეს მოყვესო.

გთხოვთ, გთხოვთ, ყურადღებით გისმენთო – გაისმა შეძახილები.

გამიფუჭდა ხასიათი. რაღაც ეშმაკი შეძვრა ჩემს მეხსიერებაში და მიბიძგებდა ჩვიდმეტი წლის წინანდელი, დაფასთან ზეპირი გამოცდის ეპიზოდის გახსენებისკენ. გამიჭირდა. ვერ ვბედავდი. გავიხედე იმ პროფესორისკენ, დაფასთან რომ გამომცადა ზეპირად. კარგ ხასიათზე იყო. სახე ვარდისფრად უსხივებდა, იცინოდა და სრულად იყო ჩართული სადღესასწაულო და საზეიმო ფერხულში. შემეცოდა. ისევ უკან დავიხიე. მახსოვდა მისი სიტყვები „მე შენ გენდობიო“.

მოყვევი რამე კურიოზი, რატომ აყოვნებ, ნუთუ არაფერი გაქვს გასახსენებელი? – მესმოდა შეძახილები.

მე ისევ ეშმაკი შემიჯდა სულში და მიჩიჩხინებს; მას საკმაოდ მიღებული ღვინოც ეხმარება და შემაცდინეს. ხომ შემეძლო სხვა რამის მოყოლა?! არა, გინდა თუ არა, ის უნდა მოჰყვე როგორ იცრუე პროფესორთანო – არ მისვენებდა ეშმაკი, ღვინომ კი გამბედაობა შემმატა და გავპედე იმის მოყოლა, რასაც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ვინახავდი ტვინის ჩახლართულ ლაპირინთებში.

სუფრა გააყრუა ტაშის გრიალმა. ის, მოვარდისფრო სახის პროფესორი ჯერ გათეთრდა, მერე მუშტი დასცხო მაგიდას და გააფთრებული წამოხტა მაგიდიდან.

– ეს როგორ გამიბედე, ეს როგორ ჩაიდინე, შე უსირცხვილო, ასეთი რამ ჩემთვის არასდროს უკადრებიათ. თავს როგორ მიეცი უფლება შე, შე... ველარ დაამთავრა და ლონემიხდილი დაეშვა სკამზე.

ინგლისელი ასპირანტები ბლოკნოტებს ეცნენ. შევატყე, რომ ამ-ჯერად უჭირდა ვ. კუპრაძეს თარგმნა. დაძაბული სიტუაცია განმუხ-ტა ისევ ყოვლისშემძლე პროფესორმა გ. ჭოლოშვილმა. დაუყვავა, მიეფერა, ყურშიც ჩასჩურჩულა რაღაც და მხრებზეც მოუთათუნა ხელი.

ის პროფესორიც მალევე დამშვიდდა და სახეზე ვარდისფერიც დაუბრუნდა. მერე სიტყვა ითხოვა და აღნიშნა, რომ სტუდენტური წლები ყველაზე საინტერესო პერიოდია ახალგაზრდობაშიო. მეც ვიყავი სტუდენტი და ბევრი საინტერესო მოგონებაც მაქვს, მაგრამ მათ შესახებ სხვა დროს მოგიყვებით. სიცილით დაამთავრა: „რას არ მოიფიქრებს გაჭირვებული სტუდენტიო“.

ლხინი გაგრძელდა უფრო ამაღლებულ ტემპში. გათენებისას და-ვიშალეთ სიკეთისა და მალეშეხვედრის სურვილით.

ახლა კი მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ რამდენად მძიმე (ტრაგიკული, მტკიცნეული), ან შედარებით მსუბუქი (ადვილადასატანი, უმტკიცნეულო) შედეგების მომტანი იყო ის სიცრუე, რომელიც მე ვიკადრე მრავალი წლის წინ.

## მოსკოვის მილიციის სამორიგეოში

1956 წლის ივნისის თვე იდგა. სტუდენტთა ერთი ჯგუფი გავე-  
მგზავრეთ ქ. ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საწარმოო  
პრაქტიკის გასავლელად. ორი დღით ქ. მოსკოვში შევჩერდით სა-  
შუალედო საქმეების მოსავარებლად. დავბინავდით წინასწარ და-  
ჯავშნულ საერთო საცხოვრებელში. საღამოს კი, კინოფილმის ნახ-  
ვის შემდეგ, ოთხი წავედით ახლომდებარე რესტორანში.

თბილისში გაგვაფრთხილეს, რომ ფრთხილად ვყოფილიყავით,  
რადგან ქართველების მიმართ ძალიან აგრესიულები გახდნენ რუსე-  
ბი ამ ბოლო დროს, სტალინის კულტთან დაკავშირებით. ჩვენც  
ვფრთხილობდით შეძლებისდავარად, მაგრამ შეურაცხყოფა ვერ  
ავიტანეთ და რესტორანში ჩხუბი ავტეხეთ.

ოთხივე მილიციის განყოფილებაში მოვხვდით. მეცნიოთ  
შეგვხდა მორიგე მაიორი. მრგვალი და გალაუდაჟებული სახე ჰქონ-  
და, საკმაოდ მაღალი და ხორცსავსე გახლდათ. უნიფორმის გაღე-  
ლილი საყელო ფუნჩულა თითებით ბოლო ღილამდე ძლივს შეიკრა  
მორგვივით კისერზე და მიმყვან სერუანტს შეეკითხა – საიდან არიან  
და რა დააშავესო. სერუანტმაც მოახსენა: საქართველოდან არიან,  
რესტორანში ჩხუბი ატეხეს, ლამის თავზე დაამტვრიეს სკამები მე-  
ზობელ სუფრასთან მსხდომებს, ადმინისტრაციასაც არ დაემორ-  
ჩილნენ და ქუჩაშიაც ერთი-ორს გაჰკრესო.

„ლადნაო“ – ჩაიბურტყუნა და უთხრა – თავისუფალი ხარო.  
სერუანტმა სწრაფად გაიხურა კარები. სკამებზე ჩამოჯდომას ვა-  
პირებდით, მაგრამ ლომივით დაიღრიალა „სტოიატ“-ო და ადგილზე  
გავშეშდით. მივიდა მაგიდასთან, მიალაგ-მოალაგა რალაც ქაღალ-  
დები, მაგიდის ლამპა რატომლაც ჩააქრო და მაშინვე აანთო, ტელე-  
ფონის აპარატი მისწი-მოსწია, ორივე ცერი ბალთასთან ჩაიყო ქა-  
მარსშიგნით და ხერხემლამდე ჩააცურა, ჩამოჯდა თავის სკამზე და  
მკაცრი გამომეტყველებით ჩაგვაშტერდა. მომეჩვენა, რომ ცოტას  
ნერვიულობდა, თითქოს არ იცოდა, რა გაეკეთებინა, რით დაეწყო,  
ან რით დაემთავრებინა. აი, დამთავრება კი შეიძლება საკმაოდ  
ტრაგიკული ყოფილიყო ჩვენთვის.

– თქვენ საქართველოში ხომ არ გონიათ თავი. როგორ ბე-  
დავთ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ხულიგნობას. იცით თუ არა,

რა მოგელით. ციხეში ამოგაყოფინებთ თავს. თქვენ იცით, ალბათ, რომ...

გააგრძელა მორალის კითხვა, ჩვენც ჯარისკაცებივით „სმენა“-ზე ვიდექით და ვითომ ძალიან განვიცდიდით მომხდარის გამო.

მაიორი კვლავ ლაპარაკობდა. მოგვწყინდა მისი მორალი. დავიღალეთ ფეხზე დგომით. სერგოს ცხვირიდან სისხლი სწვეთავდა და მიშას ცხვირსახოცი სთხოვა.

– აბა, შეწყვიტეთ ქართულად ლაპარაკი, დაიღრიალა მაიორმა; ილაპარაკეთ რუსულად, თორემ...

თორემ, ახლა „ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრა“ – გავიფიქრე მე და ვინანე, რატომ რუსულად არ ვიცი ზუსტი თარგმანი-მეთქი.

მაიორი მორჩის „ლექციის“ კითხვას, საწერი ქაღალდები ამოილო უჯრიდან და მისწვდა კალამს.

– აბა, ერთ-ერთმა უნდა მიპასუხოთ შეკითხვებზე, რომელი იქნებით, წინ წამოდგით ნაბიჯი.

ბიჭებმა მუჯლუგუნი წამკრეს, მიდიო.

უამრავი შეკითხვა დასვა, მეც სწრაფად ვპასუხობდი. ნუ ჩქარობო – გამაფრთხილა და კალმის წვერს წამდაუწუმ ყოფდა სამელნეში. წრიპინებდა კალმის წვერი და ვინ იცის ჩვენს უახლოეს მომავალს აგვირისტებდა.

საწერი მაგიდის მინის ქვეშ სურათები იყო შეჩრიებული, ვიფიქრე, ალბათ, ღრიალ მაიორის მეუღლე და შვილებია-მეთქი. მაიორის მარცხნივ კედელზე ჭიკარტებით იყო მიმაგრებული ცნობილი რუსი ფეხბურთელების ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები.

მომენტალურად დამებადა ერთი იდეა. იქნებ... იქნებ ვცადო არაერთხელ გამოყენებული ეშმაკობა... იქნებ წამოეგოს ანკესზე... ვნახოთ, „ცდა ბედის მონახევრეან“ – ნათქვამია.

შეკითხვებზე ზერელედ ვპასუხობდი. გონებაში სამოქმედო გეგმას ვქარგავდი. როგორ, ან რით დამეწყო ჩემი ნაცადი ხერხის გამოყენება, რომელიც, ძირითადად, სიცრუის კორიანტელზე იყო დაფუძნებული.

რაღაცის შეკითხვას აპირებდა კვლავ, მაგრამ დავასწარი და მოკრძალებული, ღიმილნარევი ხმით შევეკითხე – ალბათ, მოგზონდათ მათი თამაში და ალიარებთ მათ ოსტატობას. კისერი მარჯვნივ მივატრიალე და სურათებზე მივანიშნე.

კალმის წვერმა წრიპინი შეწყვიტა. შემოგვხედა, კარგად აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა და კვლავ საწერად მოემზადა. მე ისევ დავასწარი და მორიდებული ხმით შევერითხე.

– მაინც, ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ და ვისი თამაში გხიბლავთ-მეთქი.

კალმის წვერი ჩამოდო სამელნის კიდეზე, დაწერილი ქალალდები შეაჯგუფა და ცნობისმოყვარე მზერა მესროლა. ვიგრძენი, რომ ახლოს ვიყავი ჩანაფიქრის განხორციელებასთან.

– ვისაც ხედავთ, ყველაზე ვარ შეყვარებული. ეგენი რუსი ხალსის სიამაყენი არიან. მოსკოვში მათი არცერთი თამაში არ გამიცდებია. ჩემი ნამდვილი კერპი კი ბობროვია – ნალდი ზარბაზანი. მასთან ვმეგობრობდი, გასვლით თამაშებზეც კი თან დავდევდი.

– მერე, ყველაზე საყვარელი ფეხბურთელის გარდა, უამრავი სხვა სურათი გაქვთ-მეთქი გაკრული.

– როგორო და მიაშერდა კედელს.

ბობროვის სურათი რომ ვერ აღმოაჩინა, რაღაცნაირად შეწუხდა. მერე წამოდგა, მაგიდის ქვეშ შეიხედა, სახაზავიც მოიმარჯვა და იპოვა. ჩამოვარდნილა, აილო და მომაწოდა.

– მე სახლში ამაზე კარგი სურათი მაქვს, თუ გნებავთ, გამოგიგზავნით...

ვუთხარი ეს და გონებაში დავაფიქსირე, რომ „სიცრუის პირველი პენალტი“ დავარტყი; „გეგმით“ მიდის ყველაფერი.

– გეტყობათ, რომ როგორც მილიციის ყველა თანამშრომელი, მხოლოდ „დინამოს“ არ გულშემატკიცრობთ?!

– რა თქმა უნდა... მე ჭეშმარიტი გულშემატკიცვარი ვარ ყველა კარგი ფეხბურთელის, რომელი გუნდის წევრიც გინდა იყოს.

მერე, მცირე პაუზის შემდეგ, სკამი შემომთავაზა. ჩამოვჯექი და სალდათებივით გაჭიმულ ბიჭებს გავხედე. მაიორი მიმიხვდა.

– ჰო... კარგი, კარგი. აიღეთ სკამები და ჩამოსხედით.

ბიჭებმა შვება იგრძნეს და იმედის ნაპერნკალიც აკიაფდა მათ თვალებში.

– ქართველ ფეხბურთელთაგან, ნუთუ ვერავინ დაიშახურა თქვენი პატივისცემა, რატომ არ გაქვთ თუნდაც ერთი სურათი?

– კი, მქონდა, სოლომონოვიჩის (ბორის პაიჭაძეზე საუბრობდა) კარგი სურათი, მაგრამ უფროსმა მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი.

ისე, გახსენებაზე – სად არის ბორია, რას აკეთებს, რომელ ქალაქში ცხოვრობს?..

– სოლომონვიჩი საქართველოს ყველა ქალაქში ცხოვრობს და საქართველოს ყველა გუნდს ეხმარება წვრთნაში, უზიარებს თავის გამოცდილებას. აი, ჩვენც (ბიჭებს გადავხედე) არ გვაკლებს ყურადღებას.

– თქვენ რა, ფეხბურთს თამაშობთ?

– კი, „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ჩავირიცხეთ ცოტა ხნის წინ (დავარტყყი სიცრუის მეორე „პენალტი“).

– ჰომ, ეს ძალიან კარგია. მეც ვთამაშობდი ახალგაზრდობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გამომივიდა. დიდი გარჯა და აქტიური წვრთნა საჭირო, მე ეს ვერ შევძელო. სამაგიეროდ თავან-ყვეტილი გულშემატკივარი ვარ საყვარელი გუნდის (მოსკოვის „დინამოს“ გულისხმობდა), თან დავყვები სხვადასხვა ქალაქებში. ერთ-ხელ თბილისშიც ვიყავი. სოლომონვიჩი მაშინ გავიცანი პირადად. უცნაური ხალხი ხართ ქართველები. წაგებული მატჩის მიუხედავად, ძმებივით გვეხვევოდნენ, მატარებლის გასვლამდე იქვე სადგურის რესტორანში დიდებული სუფრა გაგვიშალეს და გზა დაგვილოცეს. მახსოვს, სოლომონვიჩიმა მითხრა, ჩამოვალთ და თქვენს მოედანზე მოგიგბოთ. ხელი ჩამომართვა და ვაგონში შემაცილა. სამწუხაროდ, აღარ შევხვედრივართ. დაამთავრა სათქმელი.

მოვემზადე შემდეგი შეტევისთვის. ვგრძნობდი, რომ ერთი ზუსტი და ძლიერი დარტყმა იყო საჭირო, რათა „ყინული დამდნარიყო“. მას არ გვიცანი დარტყმა იყო საჭირო, რათა „ყინული დამდნარიყო“.

– მახსოვს ეგ გამოსამშვიდობებელი სუფრა. დიდ დარბაზში ისხედით. მგონი თქვენც მახსოვხართ, გაგუას გვერდით იჯექით (შეცდომა დავუშვი, მაგრამ ვერ მიხვდა, იმდენად იყო გახარებული ჩემი მოგონებით) და მხოლოდ არაყს მიირთმევდით, ღვინოს არ ეკარებოდით.

სიხარულისგან ლამის თვალები ბუდეებიდან გადმოსცვივდა. სკამზე შესწორდა, დათვის ტორივით ხელი გამომინოდა და შემეკითხა:

– კი მაგრამ, თქვენ იქ რა გინდოდათ, როგორ მოხვდით ჩვენ სუფრასთან?

– უმაღლესში მოსაწყობად სამუშაო სტაჟს ვაგროვებდი და მიმტანად გამამწესეს. სხვებთან ერთად მეც ვემსახურებოდი თქვენს მაგიდას. მეც ძალიან მიყვარს ფეხბურთი (დავარტყყი „სიცრუის მე-სამე პენალტი“ და მგონი გამარჯვების ზარმაც ჩამოჰკრა).

კიდევ ერთხელ გამომიწოდა საოცრად თბილი და ფუნჩულა ხელი. მერქ კი...

– „ნუ ლადნო, რებიატა“. სკამიდან წამოდგა, საათზე დაიხედა, თავი გააქნია და მოგვმართა: კარგი ბიჭები ჩანხართ, რაღაცას მოვახერხებ. ახლა კი სახლში მაგვიანდება. უნდა წავიდე. ზარის ღილაკს მიაჭირა თითო. შემოვიდა ნაცნობი სერუანტი.

– ბიჭები წაიყვანე 24-ში. იქ საწოლებია. დილის ექვს სააათზე გაუღე კარები და გაუშვი სახლებში.

სერუანტი 24-ისკენ გაგვიძლვა. ნორმალური ოთახი იყო და ავეჯიც მოხერხებული. რადიოც ეკიდა კედელზე და წყლით სავსე გრაფინიც და ჭიაქებიც ეწყო სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე.

ვერ დავიძინეთ. გათენებამდე ესაუბრობდით. ბოლომდე გამოვფხილდით და შიმშილის გრძნობამაც შეგვახსენა თავი.

უკვე თენდებოდა, რიცა კარების ჩხაკუნის ხმა გავიგეთ.

– აბა, ბიჭებო, მოუსვით სახლში. თქვენს იღბალზე, მაიორი კარგ ხასიათზე იყო, თორემ სასჯელი არ აგცდებოდათ.

ქუჩამდე გამოგვაცილა. ხელის ჩამორთმევით დაგვემშვიდობა და გვთხოვა – პაიჭაძეს მოკითხვა გადაეციოთ.

აი, პატივცემულო მკითხველო, ასე გადაგვარჩინა „სიცრუის სამმა პენალტმა“.

## შესანირავის რვეული

„...მიცვალებულის ხსოვნის სიწმინდე,  
ყველა ჩვენგანის ვალის წილია  
და ამ ღვთისნაბოძ ადათს ვინც მისდევს,  
ან და მარადის დალოცვილია...“

ყოველ ქვეყანას, ხალხს თუ ერს გააჩნია მიცვალებულების ბოლო გზაზე გაცილების წეს-ჩვეულებები და ისტორიულად ჩამოყალიბებული და მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციები. ფრიად საყურადღებო და საინტერესო გახლავთ ეს ტრადიციები (რამდენიმე მათგანს ვიცნობ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან და პირადი

დაკვირვებიდან. საინტერესო იქნებოდა მათი შეკრება და ერთ წიგნად გამოცემა): არც ქართველები ვართ გამონაკლისები და ჩვენც გვა-ქვს გარდაცვლილის ბოლო გზაზე გაცილების და ჩვენი ეროვნული ღირებულებების შესაფერისი წესები, რომელთა დაცვასაც ყოველი ჩვენგანი საგანგებო ყურადღებას უთმობდა და უთმობს.

სამნუხაროდ, ბოლო 50-60 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა აღნიშნული ცერემონიალისა და პროცედურების ჩატარების ფორმაში და ელფერში. დიახ, ფორმაში და არა არსში, რომელიც ტრადიციულად ისევ ეროვნული ღირებულებების შესაფერისი გახდავთ.

რას ვგულისხმობ ფორმის შეცვლაში?!.. მოგახსენებთ.

## რეეული პირველი

გასული საუკუნის 70-იან წლებში გორში მოღვაწეობდა არაოფიციალურად აღიარებული მილიონერი, რომელმაც კარგად აუღო ალღო კომუნისტური რეჟიმის ეკონომიკურ-ფინანსურ თუ პოლიტიკური რეალობის სიღრმეში არსებულ ნიუანსებს და ეფექტური პრაქტიკული „მოღვაწეობით“, როგორც ამბობდნენ, იშოვა „დიდი“ ფული. ის არც ე.წ. ცეხავიკი იყო და არც მინისტრი, ან მისი მოადგილე. სადღაც „შუა ზონაში“ ჩაღიჩიობდა. არც უღერადი თანამდებობა ჰქონდა და მაინცდამაინც არც განათლებულობით ყოფილა გამორჩეული.

დედა გარდაეცვალა ს. ხიდისთავში არაოფიციალურ მილიონერს, რომელსაც მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. მეგობარმა მითხრა, გამოგივლი და ჩემი მანქანით წავიდეთ დაკრძალვაზე (მეგობარი ახლობლობდა მასთან).

სახლთან ახლოს ძლივს მივედით, იმდენი მანქანა იდგა გზებზე და შესახვევებში. გზაში „ზნატოკებმა“ ამიხსნეს, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან არიან ჩამოსულები. საქელეხო სუფრა სუთას კაცზეა გაშლილი.

პირველ სართულზე მივუსამძიმრეთ მთავარ ჭირისუფლებს და შევასრულეთ აუცილებელი რიტუალის ყველა დაწერილი თუ დაუნერელი წესი.

ეზოში, ხის ჩრდილში, მაგიდაზე დიდი თავღია ჩემოდანი იდ. მაგიდას ორი კუნთმაგარი გოლიათი მისჯდომოდა. სიცხისგან შეწუხებულებს გულმკერდი მოღელილი და სახელოები დაკაპინებული ჰქონდათ. ერთი მათგანი შეწირულ ფულს იღებდა, მეორე კი ე.წ. შესაწევარის რვეულში აფიქსირებდა.

დიდი რიგი იდგა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „ძლიერნი ამაქვეყნისანი“ და ერთიმეორის ჯიბრით თუ მიბაძვით, საკმაოდ დიდ თანხებს სწირავდნენ ოჯახის მხარდაჭერის ე.წ. ფონდს.

ჩემმა მეგობარმა რვეული გადაფურცლა პირველ გვერდზე. თვალი მოვკარი თანხებს, რომელიც ჩემს ერთი თვის ხელფასს აღემატებოდა. ცუდ ხასიათზე დავდექი მეცნიერ-მუშავის მსუბუქი ჯიბის გამო. მეგობარმა ამიხსნა, რომ სიას იწყებენ რეალური ან მოგონილი გვარებით და მათ გასწვრივ დიდ თანხებს წერენ, რათა ყოველმა მომდევნომ თავი უხერხულად იგრძნოს და ბოლომდე ამოიფხიკოს ჯიბებიო.

საცარია, საზიზღრობა რომ არ იყოს. მეგობარმა ისიც მითხრა, რომ მომდევნო დღეებში ეს რვეული განსჯის საგანი ხდება და შემომწირველებს კატეგორიებად ჰყოფენო: ძუნწი, ხელგაშლილი, უვარგისი, კაიკაცი და ა.შ.

ჩემოდანთან კვლავ რიგი იდგა. აფრიალებდნენ ფულებს და აქეთ-იქით იყურებოდნენ – შემომხედეთ, მე აქა ვარ; ისეთი სიამაყით გადასცექროდნენ ხალხს, თითქოს გადამწყვეტი ბრძოლა მოეგოთ. ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ისინი ყველას შეემჩნია. გვარს ხმამაღლა და დამარცვლით კარნახობდნენ – შეცდომა არ მოგივიდეთო.

ხასიათი წამიხდა იმ „პოკაზუხობისა“ და „უაზრო პომპეზურობის გამო, მოვიხადე ჩემი მოკრძალებული ვალი – შევწირე დროთა განმავლობაში დამკვიდრებული საშუალო თანხა, აღარ დაველოდე გამოსვეხბას და დავტოვე იქაურობა.“

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გამახსენდა გუშინდელი (2014 წ. 15 აპრილი) ერთ-ერთი ტელესიუჟეტი. აჩვენებდნენ სოფელ გლდანში, ფიცრულ ქოხმახებში შეხიზულ ოთხ ქართულ მრავალ-შვილიან ოჯახს, სადაც ერთადერთი საკვები, თვეების განმავლობაში, არის მოხარშული წინიბურა. ბავშვები გამოფიტულები არიან

საკვების სისტემატური დეფიციტით და ათასგვარი ანომალიური სენის მოლოდინში თვალები აქვთ გაფართოებული.

თანამედროვე, გაუკულმართებული ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ეჭვი მეპარება, იმ ქოხმახებთან რიგი დადგეს „ძლიერ-თა ამა ქვეყნისა“ ქართველი ბავშვების გადასარჩენად.

დახმარება, მხარში დგომა და მითუმეტეს ჭირისუფალთა სე-ვდა-ნალველის გაზიარება – ეს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ღვთიური მოწოდებაა და ვალდებულება – ჭეშმარიტი მართლმადიდებლისათვის და არა ისეთებისათვის, რომლებიც მქროლავი მანქანებიდან ხურდა ფულს ისვრიან ეკლესის მიმართულებით, პირჯვარს ნაჩქარევად იწერენ და თავი მოსწონთ, რომ აღასრულეს ღვთიური წესი.

ყველაფერი და ყოველი, ამქვეყნიურად საინტერესო და მიმზიდველია, თუ მასში ჰარმონიზებულია არსი (შინაარსი) და ფორმა. თუ არსი არ არის შემკული შესაბამისი ფორმით, მაშინ არასრულფასოვნებასთან გვაქვს საქმე და ზედმეტია სრულყოფილებაზე საუბარი. ვიმეორებ, ჭირისუფლის მხარდაჭერა და მორალურ-მატერიალური დახმარება ყოველი ჩვენგანის ვალია და ეს ვალი უნდა პირნათლად მოვიხადოთ ჭირისუფლისა და ღვთის წინაშე, მაგრამ ეს უნდა მოხდეს შესაბამისი ფორმებით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს შეჯიბრებითობის, „პოკაზუხობის“, უაზრო თავ-მომწონობის, თავის გამოჩენისა და, მითუმეტეს, სხვათა გაქილიკების ელფერს და ნიშნებს.

საკითხავია, ვინ უფრო მეტი პატივი მიაგო განსვენებულის ხსოვნას და ჭირისუფალს – მან, ვინც დიდი თანხა დააფიქსირა იმ რვეულში და საერთოდ აღარ ახსოვს აღარც ჭირისუფალი და აღარც განსვენებულის ძვალთსაცავი, თუ იმან, ვინც ტრადიციულად დამკვიდრებული საშუალო თანხა გაიღო, მაგრამ წელიწადში ორ-სამჯერ მაინც (თუ არა მეტჯერ) აკითხავს ოჯახს, ჭირისუფლებთან ერთად გადის საფლავზე და არ ავიწყდება არც ყვავილები, არც სანთლები და არც ღვინის დაწვეთება გამომშრალ მიწაზე.

კახეთში დღესაც ვერ ნახავთ (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა) შესაწირავის რვეულებს. 3-4 დღის განმავლობაში მეზობლე-

ბი, ახლობლები, მეგობრები, დიდი თუ პატარა ცდილობენ ოჯახს მიაწოდონ საქელეხო სუფრისთვის (ვის რა და რამდენიც შეუძლია) საჭირო პროდუქტები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა. ფულსაც აძლევენ, მაგრამ ვერ შეამჩნევთ, როგორ და რამდენს.

ჭირისუფალს ან გვერდით ოთახში გაიყვანენ, ან მოხერხებულად ჩაუდებენ ჯიბეში და ა.შ. მოკლედ, გამონახულია ფორმა, რომელიც გამორიცხავს საკუთარი თავის ზედმეტად წარმოჩინებას, ფსევდოთავმოწოდებას, სხვის დამცირებას და ქილიკისა და ულირსი ჭორების გავრცელებას.

რაც შეეხება, ზოგადად საქელეხო ტრაპეზს, ჩემი აზრით, აქაც საქმე გვაქვს (უმეტეს შემთხვევაში) სრულ ქაოსთან, ეროვნული ტრადიციების უგულვებელყოფასთან, თავაშვებულობასთან და, თუ გნებავთ, უკულტურობასა და უხამსობასთანაც კი, რაც თავის მხრივ, ასევე შეურაცხმყოფელია როგორც ჭირისუფლებისთვის, ისე განსვენებულის ხსოვნისათვის.

„...მდიდრის ცხედარს პატივსა ვცემთ,  
შესაწირავს ვიხდით ას ლარს,  
ხურდა ფულსაც კი არ ვაძლევთ  
ვინც დასტირის ლატაკ ასლანს...“

## რვეული მეორე

საქმე ეხება ისევ ე.ნ. შესაწირავის რვეულს. ზემოთაც აღვნიშნე და ერთხელ კიდევ მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ჭირისუფლისათვის დახმარება (ვის რითიც, ან როგორც შეუძლია) და მხარში ამოდგომა, ყველა ჩვენგანის წმინდათანმინდა ვალია. მძიმე დღეებში ადამიანისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და ადამიანური თანადგომა სულიერი დამშვიდებისა და გამხნევების გარანტია გახლავთ.

მეგობართან მივედი სახლში. მისი მანქანით ვაპირებდით ახლობელი ოჯახისათვის ძვირფასი ადამიანის გარდაცვალების გამო მისამდიმრებას და ჩვენი მოქალაქეობრივი ვალის მოხდას.

წვერი გაიპარსა, სუფთა საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვა, სიგარე-

ტის კოლოფი და სანთებელა მოიმარჯვა, საჩვენებელ თითზე მანქანის გასაღები დაიპზრიალა და მომმართა:

– აბა, წავედით, უნდა ვიჩქაროთ, სირცხვილი იქნება რომ დაგვაგვიანდესო.

გამოვედით ბინიდან და ის იყო უნდა ჩავყოლოდით კიბის საფეხურებს, რომ უცბათ შეტრიალდა სახლში და მომაძახა – დამელოდე, ახლავე გამოვალო.

კარგა ხანს არ გამოჩნდა. ავნერვიულდი, აშკარად ვაგვიანებდით. ვეღარ მოვითმინე და მეც შევტრიალდი ბინაში.

სადა ხარ, კაცი, დროზე ქენი, ვაგვიანებთ-მეთქი. ახლავე, ახლავეო – მიპასუხა და რაღაცის ძებნა განაგრძო. გადმოქექა კარადები, ამოჩხრიკა უჯრები, აურდაურია წიგნის თაროები, თან ბუტბუტებდა – სად ჯანდაბაშია, სად გადაიკარგაო.

– რას ეძებ ასე გამალებით, წამოდი, მერე იპოვნი.

– ახლავე, ახლავე.

– ბიჭო, ვერ გაიგე, გვაგვიანდება; განა რას ეძებ ისეთს?

– რვეულს ვეძებ, იმ დაწყევლილ რვეულს.

– რომელ რვეულს?..

– რომელს და ჩემი მეუღლის შესანირავის რვეულს, მაინტერესებს „მაგან“ რამდენი მემოიტანა, ხომ უნდა ვიცოდე, რამდენით მცა პატივი. ხომ არ შევრცხვები?!.

ჩემს თვალში ის უცბად შერცხვა. რაღაც მომენტში შემეცოდა კიდეც. როგორ შეიძლება ასე დამდაბლება და სულის გაღატაკება...

შე კაი კაცო, თუ დახმარება გინდა – დახმარე როგორც შეგიძლია. განა შეიძლება ამ საქმეში შეჯიბრებითობა ან „სამაგიეროს“ ადეკვატური გადახდისკენ ლტოლვა?!!. ეს ხომ მეშჩანობაა და მე ვიტყოდი – მკრეხელობაც კი!

საინტერესოა, რას მოიმოქმედებდა ჩემი მეგობარი, თუ „იმ რვეულში“ არ აღმოჩნდებოდა „იმ“ კაცის გვარი, სახელი და რაიმე ოდენობის თანხა?! რა, უარს იტყოდა შესანირავის გაღებაზე?!

არ ვიცი.

## რომორ პიყიძოთ

ყოველ ადამიანს როდი შეუძლია საკოლმეურნეო (დღეს აგრა-რული) ბაზარში საჭირო პროდუქტების ეფექტური და მომგებიანი ყიდვა, ანუ – რაც შეიძლება კარგი და რაც შეიძლება შედარებით იაფად. ეს ნამდვილი „ხელოვნებაა“ და გარკვეულ ცოდნას და დაკვირვებულობას მოითხოვს. გარდა ამისა, ვფიქრობ, რაღაც ნებაც და ხასიათიც არის საჭირო, რათა გაუძლო გამყიდველის მაცდურ (ხშირ შემთხვევაში იძულებით თავსმოხვეულ) შემოთავაზებებს და სიტყვათა მარაგის წინასწარ დაზეპირებულ კომბინაციებს და ა.შ.

მიუხედავად ჩემი დიდი ცხოვრებისეული პრაქტიკისა, მაინც ვერ ვისწავლე შედარებით იაფად და შედარებით კარგი პროდუქტის შეძენა. თითქოს ვერკვევი ძირითადი პროდუქტების ავკარგიანობაში, მაგრამ გამყიდველის (უფრო ხშირად კი გადამყიდველის) წინაშე ვიბენევი, ვერ ვიჩენ პრინციპულობას და ადვილად ვებმები ოსტატურად დაგებულ მახებში. განსაკუთრებით მიჭირს ისეთი პროდუქტების შეძენა, რომელთა ვიზუალური შეფასება არ არის საკმარისი. მაგალითად: ყველი, არაყი, თაფლი, ღვინო და ა.შ. ვერ ვისწავლე, ვერ ვიქციე ჩვევად საყიდელის გადატრიალებ-გადმოტრიალება და მცოდნეს თვალით დაკვირვება, ხელიდან ხელში გადატანა და რაიმე ხინჯის დაფიქსირება, დაყნოსვა, დაგემოვნება და მოკლედ – „იქით შეტევა“ („აქეთ“ დარჩენის იმედით). პირიქით, „აქეთ“ მიტევენ და ხშირად წარმატებასაც აღნევენ.

ასეა, თუ ისე, ცხოვრებამ მაიძულა მომექებნა გამოსავალი და ვიყენებ ერთ მარტივ ხერხს, რამაც ნამდვილად გაამართლა და რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობისას მასწავლა მამაჩემმა. ეს ხერხი ემყარება ადამიანის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და იძლევა საკმაოდ წარმატებულ ეფექტს.

მოგიყვებით ღვინის (საკმაოდ ძნელადშესაფასებელი პროდუქტის) ყიდვის ორ შემთხვევას.

## თელავის საკოლმეურნეო ბაზარში 1947-1950 წ.წ.]

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები იყო. ჯერ კიდევ იგრძნობოდა საყოველთაო გაჭირვება. განსაკუთრებით უჭირდათ ქალაქელებს, რომლებსაც არ გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და ძირითადად საკოლმეურნეო ბაზრის იმედზე იყვნენ. ასეთთა კატეგორიას განეკუთვნებოდა ჩვენი ოთხსულიანი ოჯახიც. მხოლოდ მამაჩემის ხელფასი იყო ჩვენი შემოსავლის წყარო. ბაზარში საყიდლებზე სიარული კი ჩემი მოვალეობა გახლდათ.

მამაჩემს ჩვევად ჰქონდა, შებათს ან კვირას ერთი-ორი თავისი თანამშრომლის მოყვანა და პატარა მეგობრული, მოკრძალებული სუფრის გაშლა. ჯერ ნარდს ითამაშებდნენ, მერე შემოუსხდებოდნენ მაგიდას და ტკბილ საუბარში ატარებდნენ სამ-ოთხ საათს. ასეთი საუბრის მოსმენა ძალიან მიყვარდა. ეს იყო, პირდაპირი მნიშვნელობით, ცხოვრებისეული გამოცდილების უშურველი ურთიერთგაცვლისა და გაზიარების სასწაული ასპარეზი და მოვლენა. ბევრი რამ მახსოვს იმ სუფრიდან და ბევრი რამ გამომადგა კიდეც ჩემს ცხოვრებაში.

ერთხელაც მოულოდნელად შემოუერთდა ამგვარ სუფრას სამი, ჩემთვის უცნობი მამაკაცი. მამაჩემმა თბილად მიიღო ისინი და სუფრასთან მიუჩინა ადგილი. მერე გამიყვანა ცალკე ოთახში და მითხრა: „შვილო, შეიძლება ღვინო არ გვეყოს, გაიქცი ბაზარში, აპა შენ ფული, აბა შენ იცი, ერთი ფეხი იქ, მეორე აქ“.

გავიქცი ბაზარში, რომელიც დაახლოებით ორი კილომეტრით იყო დაშორებული ჩვენი სახლიდან, თუმცა, რა არის ორი კილომეტრი თხუთმეტიოდე წლის ბიჭისთვის, ისიც ისეთისთვის, რომელსაც პატარაობიდანვე შეასწავლეს სტუმრის პატივისცემა.

დახლებთან, ღვინით მოვაჭრეთა შორის, ჩვეულ ადგილზე არ დამხვდა ძია დათა (ის მამაჩემის ნაცნობი იყო და მხოლოდ მისგან ვყიდულობდი ხოლმე ღვინოს. ერთხელ გამაცნო მამაჩემმა და უთხრა – ამას გამოვგზავნი ხოლმეო).

რა მექნა, არ ვიცოდი. ავიარე და ჩამოვიარე. იქნებ ადგილი შეიცვალა-მეტქი ძია დათამ, მაგრამ ამაოდ, ის არ ჩანდა. დრო მიდიოდა. შევნუხდი – ვაითუ გაუთავდეთ ღვინო, ვაი, სირცხვილო-მეტქი, გავიფიქრე და ის იყო რაღაც გადაწყვეტილების მიღებას ვაპირებდი, როცა მომესმა ხმა:

- ბალლო, შენ რეზოს ბიჭი არა ხაარ?..
- დიახ-მეთქი.
- ჰოდა, მაიტა ეგ დოქი, ისეთი ღვინო გაგატანო, რომ მამაშენ მისი გემო აღარ დაავიწყდეთ...
- რა ლირს ლიტრი?
- მეც ერთ მანეთად მოგცემ, როგორც დათა.

არა-მეთქი, ვუთხარი და ერთხელ კიდევ ჩაუკარე დახლებს – თან ძალა დათას ვეძებდი და თან შიგადაშივ ღვინოს ვაფასებინებდი. ზოგმა 10, ზოგმა 15 კაპიკის ფასდაკლება შემომთავაზა, მაგრამ ვერ ვბედავდი ყიდვას. დრო გადიოდა. თავის შერცხვენის საფრთხე სულ ახლოს მომეჩვენა.

ისევ იმ „პირველს“ მივადექი, რომელმაც მიცნო – მოდი აქ, ბალლო, მოდი. ამაზე კარგ ღვინოს აქ ვერ იყიდი. ფასსაც დაგიკლებ, ოთხმოც კაპიკად მოგცემ... სთქვა ეს და დოქი თითქმის ძალით გამომტაცა ხელიდან.

სანამ ის დოქს ავსებდა, ჩემთვის ვფიქრობდი: „რა კარგია, მორჩე-ნილი ფულით ძმაკაცებს დავპატიუებ-მეთქი კინოში“.

სადა ხარ ამდენ ხანს, რატომ დაიგვიანეო – შეშფოთებულმა მკითხა მამაჩემმა. ძია დათა არ იყო და მის გამოჩენას ველოდებოდი-მეთქი, ვუთხარი ეს და ხურდა ფული გაუცნოდე. ცოტა გაუკვირდა, მაგრამ მითხრა – ეგ შენი იყოს, კინოში წადი. თითქოს ჩემს გულში იჯდა. გამიხარდა და ორმაგი მონდომებით მოვემსახურე სუფრას.

მეორე სალამოს, ვახშმობის დროს, მამაჩემმა დამრიგებლური ტონით მითხრა:

– თუ ღვინის გამყიდველი მოგეფერა, მოგელაქუცა და ფასიც იოლად დაგიკლო, ის ღვინო არ იყიდო.

ხშირად გამომადგა მამაჩემის ეს შეგონება.

## არჩევანი ხიდისთავში

ეს ამბავი აღნერილი მაქვს პროზაულ კრებულში „ალმასა“ (გამომცემლობა „ცის ნამი“. თბილისი, 2009 წ.). აქ კი მოკლედ მოგახსენებთ ძირითადს.

ის დრო იდგა, როდესაც ღვინის ფალსიფიცირების მასშტაბმა ყოველგვარი ზღვარი გადალახა. ისე ოსტატურად აყენებდნენ ღვინოს („ქართველები ყველაფერში მაგრები ვართ“), რომ ძნელი იყო

ცუდისა და კარგის გარჩევა.

საპატივცემულო სტუმრებს ველოდებოდი. ძმაკაცებთან ერთად მანქანით წავედით სოფელ ხიდისთავში და ოცლიტრიანი ჭურჭელიც გავიყოლიეთ.

„ბირჟავიკებმა“ გვითხრეს – ყველა ყიდის ღვიძოს, მთავარია, არჩევა შესძლოთო, თან სიცილ-ხარხარი გამოგვაყოლეს, აქაოდა, ქალაქელებმა ღვინისა რა იცითო.

ოთხი-ხუთი ეზოს კარი შევალეთ. მასპინძლები გულთბილად გვლებულობდნენ და თავის ღვინოს გვიქებდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ სავსე ჭიქებს გვაწვდიდნენ – დააჭაშნიკეთო.

ფასზე როცა მივიდოდა საქმე – დაგიკლებთ ცოტასო. მაშინ ერთი ლიტრი ღვინის ფასი საშუალოდ ორი მანეთი იყო. ყველა მათ-განი თანახმა იყო 20-30 კაპიკი დაეკლო, ოლონდ გვეყიდა.

დიასახლისები აქტიურობდნენ. ზოგმა ყველი და პური მოგვაშველა, ზოგმა მწნილი. ერთმა ტაფამწვარიც შემოამატა კასრის თავზე თათარიახნად გაშლილ სუფრას, თან გაუთავებლად ტლიკინებდნენ: „ამაზე კარგ ღვინოს ვერ იყიდით ჩვენ სოფელში“, „მირონია, მირონი“, „აბა ერთი შეხედეთ, რა ფერი აქვს, იფ, იფ“, „ორი წლისაა, ჩემმა მზემ“, „კაი ქალაქელები ჩანხართ, მოვრიგდებით“, „ეგ თქვენი ბალონი ოცდაორლიტრიანია, ოცად გიანგარიშებთ“, „აი, ნახავთ, რომ კვლავაც ჩვენთან მოხვალთ“ და ა.შ.

თავბრუ დამეხვა ამდენი ლაქლაქის მოსმენით, თან ღვინომაც იძალა. ჩემი ძმაკაცები ხმას არ იღებდნენ, ყლურნავდნენ და ოხუჯობდნენ. მე კი ყურებში გამუდმებით მესმოდა მამაჩემის შეგონება: „თუ ღვინის გამყიდველი მოგეფერა, მოგელაქუცა და ფასიც იოლად დაგიკლო, ის ღვინო არ იყიდონ“.

სასიათი წამიხდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, როგორ დავხვედროდი კახელ სტუმრებს. გაბრაზებულმა მივიღე გადაწყვეტილება და ხელმოცარულები წამოვედით გორში. გზად მაღაზიაში შევიარე სიგარეტის შესაძენად.

„ბირჟავიკებმა“ გვიცნეს.

- რა ქენით, იყიდეთ ღვინო? მომმართა ერთმა.
- ვერა, ვერ ვიყიდეთ.
- კარგი გიქნიათ, თორემ ამათი ღვინო არ დაილევა, გაიფუჭეს ხელი და წაიხდინეს სინდისი...

— ეჭ, რას იზამ-მეთქი და მანქანისკენ წავედი. წამომენია, შემაჩერა და მითხრა: „ერთ კაცთან მიგასწავლი, საუკეთესო ღვინო აქვს, მაგრამ არ ჰყიდის. თუ რამეს მოუხერხებთ, თქვენ იცითო“.

მივადექით იმ კაცის ეზოს ჭიშკარს. თოთხმეტიოდე წლის გოგონა შემოგვევება. ავუსტენით, რისთვისაც ვიყავით მისულები. გოგონა მარნისკენ გაიქცა.

— პაპა, პაპა, შენთან სალაპარაკო აქვთ, გამოდი...

— არა მცალია სალაპარაკოდო, მოგვესმა მარნიდან.

ჩვენ არ მოვეშვით, გოგონაც გვეხმარებოდა და როგორც იქნა გამოჩენდა მარნის კარებში.

— რომლები ხართ, ახლო მოდით — მოგვაძახა საკმაოდ უკიეხად.

არ გვესიამოვნა ასეთი ტონი, მაგრამ რას ვიზამდით, „ჩავყლაპეთ“ და ავუსტენით ჩვენი გაჭირვება.

— თქვენი საპატივცემულო სტუმრები მე რაში მენალვლება?!

— გაგვიგე ძიაკაცო, გვიხსენი სირცხვილისაგან. კახელებს თავი უნდა მოვაწონოთ კარგი ღვინით, თქვენთვისაც ხომ საამაყო იქნება?!

— მე ისედაც ამაყი ვარ, მოსჭრა უცბათ და მარანში შესვლა დაპირა. გოგონა მივიდა და მიეფერა:

— პაპა, ხომ არ დაგავიწყდა, სასკოლო ჩანთისა და წიგნების ყიდვას რომ დამპირდი...

— მე ღვინოს არ გავყიდი, მორჩა და გათავდა...

არ მოვეშვით, ვეხვეწეთ, ვემუდარეთ.

გაბრაზდა ბერიკაცი და გამომწვევად შემომთავაზა:

— ჩემთან მოიყვანე ი შენი სტუმრები და ვაჩვენებ, როგორი ღვინო მაქვს.

— რას ამბობ, ძიაკაცო, ასეთი რამ ვის გაუგია, გინდა, რომ თავი მომეჭრას?!

— აბა, რა გიყოთ... ეს არ გინდათ და ისა... თქვენ იცით თქვენი საქმისა...

ჩემი ძმაკაცები შემოეხვივნენ და ეჩიჩინებოდნენ, არც გოგონა ეშვებოდა.

— კარგიო, გადაწყვეტით თქვა და გოგონას თავზე გადაუსვახელი. იფიქრა — ამ აბეზარა ქალაქელებს ამ გზით თუ მოვიშორებოდა...

– ხუთი მანეთი ლირს ჩემი ღვინოო, თქვა ეს და სიამოვნებით შეიშმუშნა „გამარჯვების“ მოლოდინში.

– შენ გაიხარე, ძიაკაცო; კაცი ყოფილხარ კაცური. გცოდნია გაჭირვებულისთვის ხელის გაწვდა. ვუთხარი გახარებულმა და მარცხენა მკერდის თავლია ჯიბეში ჩავუდე ტკიცინა ასმანეთიანი.

გოგონა სიხარულით ხტოდა. ბერიკაცი ხმას არ ილებდა, ოდნავ დაბნეულად გამოიყურებოდა და ნაღვლიანი თვალებით შემოგვცეროდა.

მეორე დილით, კახელმა სტუმრებმა ერთხმად აღიარეს – ასეთი კარგი ღვინო დიდიხანია არ დაგვილევიაო.

## ტაქტი ყველაზერთი, ყველგან ღა ყოველთვის

ცნობილია, რომ ადამიანები სხვადასხვა ღონით და სხვადასხვა ხარისხით, ან ინტერესით ეკიდებიან მათდამი გამოთქმულ შენიშვნას, რჩევას, რეკომენდაციებს, კრიტიკას, საყვედურს, დარიგებას და ა.შ.

ზოგი მტკიცნეულად რეაგირებს და ითვალისწინებს; ზოგი სრულად ლებულობს და თავს იდანაშაულებს; ზოგი, ახტება-დახტება და თავსაც შეურაცხყოფილად თვლის, აქაოდა – ეს როგორ გამიბედეო; ზოგი მშვიდად და გაგებით რეაგირებს და შეიძლება კმაყოფილებაც კი გამოხატოს და ა.შ.

ყველაფერი დამოკიდებულია ინდივიდზე, თავად შენიშვნის თუ რჩევის მიმცემზე და ე.წ. ადრესატზე.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ადამიანები სხვადასხვა ხარისხით და განსხვავებული ამპლიტუდით ამჟღავნებენ თავიანთ შინაგან განწყობილებას სხვადასხვა ატმოსფეროში და განსხვავებულ გარემოში, რაც ხშირად არ შეესაბამება მათ შინაგან ბუნებას და ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ჩვევებს.

ყოველი ადამიანი თავისისებურად რეაგირებს გარე ზემოქმედებაზე და გამაღიზიანებელ ფაქტორებზე.

ამ ბოლო დროს, დანაშაულთა უმრავლეს შემთხვევას საფუძვლად უდევს ურთიერთშელაპარაკება, რაც თანდათან გადადის

ურთიერთშეურაცხმყოფელ გამონათქვამებში, რასაც ასევე ხშირად მოსდევს ტრაგიული შედეგები.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ატმოსფეროს პირობებში, ადამიანები ზედმეტად არიან გაღიზიანებულნი და ხშირად არც ახსენდებათ ეთიკის ნორმებისა და ზომიერი სიტყვიერი ურთიერთობების დაცვის აუცილებლობა.

ვიცით, რომ ამა თუ იმ გადაცდომისთვის ადამიანები ისჯებიან, თუმცა, ისიც კარგად არის ცნობილი, რომ თუ სასჯელი შეუსაბამო და არათავსებადია დანაშაულის სიმძიმესთან, თუ ხარისხთან – ამას ხშირად მოაქვს უარყოფითი შედეგი. ანუ, სასჯელიც არის და სასჯელიც... სასჯელი იმ ფორმის და იმ დოზის უნდა იყოს, რომ დასჯილს ჰქონდეს შესაბამისი რეაბილიტაციის, გამოსწორების, არგამეორების და მონანიების.

ადამიანებს შორის სიტყვიერი ურთიერთობების ეთიკის ნორმების შესახებ ვრცლად არის საუბარი ნ. გორდიენტის წიგნში „ზრდი-ლობიანი ადამიანის მანერების შესახებ“ (თბილისი, 1958 წ.), რომელშიც ყოველდღიური საყოფაცხოვრებო სიტუაციებია აღნიერილი და ისიც, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს გამონახონ გამოსავალი მძიმე მდგომარეობიდანაც კი – თავისი გააზრებული, მოზომილი, ტაქტიანი, ზოგჯერ იუმორნარევი გამონათქვამებით, რჩევებით, მინიშებით და ა.შ.

ზემონათქვამიდან გამომდინარე და პირადი ხანგრძლივი გამოცდილების გათვალისწინებით მომეცა შესაძლებლობა, რომ ჩამოვაყალიბო ელემენტარული (საზოგადოებისთვის კარგადცნობილი) დასკვნა, რომ ადამიანებს შორის პირადი საყოფაცხოვრებო ურთიერთობა წარმოადგენს ჩვენი ყოფის უაღრესად ფაქტიზ სფეროს და რომ ამ ურთიერთობებში წარმატებისთვის აუცილებელია არაამარტო ის, რაც უკვე ვთქვი, არამედ სიკეთის კეთების სურვილი და ნებაც და კიდევ – ჰუმანურობა.

ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც ეხება შედარებით მსუბუქ საყოფაცხოვრებო „დანაშაულს“ და იმ მიდგომებს, რითაც თავიდან იქნა აცილებული უხერხული სიტუაციები. თუმცა, ერთ შემთხვევაში ეს ვერ შევძელი.

## მოფიქრებამ რა ჰქმნა

კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში გახლდით პროფესიონალის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე და როგორც მაშინ თვლიდნენ, დირექტორისა და მშრომელთა კოლექტივს შორის შუამავალი და იმავდროულად თანამშრომელთა უფლებების გამომხატველი და დამცველი.

ერთი, რომ იტყვიან, მოუწესრიგებელი მეცნიერ-მუშავი გვყავდა ვ.დ., რომელიც სისტემატურად აგვიანებდა სამსახურში გამოცხადებას და არაფრად მიიჩნევდა შენიშვნას თუ რჩევას.

მაშინ (1958-1970 წ.წ.) სამსახურის შესასვლელში იდგა სპეციალური მოწყობილობა, რომელშიც უნდა ჩაგვედო სამსახურებრივი პირადი ტაბელი, რათა მას დაეფიქსირებინა გამოცხადების დრო. დროულად მოსვლა ფიქსირდებოდა ლურჯი ციფრებით, ხოლო დაგვიანება – წითლებით. იმ მოწყობილობას გვერდს ვერ აუვლიდი, თანაც კონტროლს ახორციელებდა კადრების განყოფილების წარმომადგენელი, რომელსაც „წითელციფრებიანი“ ტაბელები, როგორც წესი, მიჰქონდა დირექტორთან შესაბამისი რეაგირებისათვის.

ინსტიტუტში ხმა გავრცელდა, რომ დირექტორი ძალიან არის გაბრაზებული ვ.დ.-ზეო და შესაძლოა სამსახურიდან გაანთავისუფლოსო. მე, როგორც ვ.დ.-ს ძმაკაცმა და პროფესიონალის კომიტეტის თავმჯდომარემ გადავწყვიტე ჩავრცელებისა და მიმღების მოსალოდნელი არასასურველი შედეგი.

ვ.დ.-ს რამდენჯერმე ვესაუბრე, მაგრამ უშედეგოდ. იგი თითქმის ყოველდღე აგვიანებდა ერთ-ორ საათს და არაფრად აგდებდა არც მეგობრების სიტყვიერ გაფრთხილებას და არც ინსტიტუტის შინაგანანებს. ერთ დღეს დირექტორმა დამიბარა, წინ დამიდო ვ.დ.-ს სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების პროექტი და მიბრძანა მეორე პირზე ხელის მოწერა. მე უარი განვაცხადე და დირექტორს ვურჩიე, რომ არ აჩქარებულიყო და ესარგებლა შინაგანანებსით, რომელიც უდისციპლინო თანამშრომლის საფეხურებრივ დასჯას არეგულირებდა და პროფესიონალის შეთანხმებასაც გულისხმობდა. საფეხურები კი ასეთი გახლდათ: სიტყვიერი გაფრთხილება, წერილობითი საყვედური, სასტიკი საყვედური, ხელფასიდან დაკავება ან პრემიის მოხსნა, სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით

და მხოლოდ შემდეგ, ისიც პროფესიონალთან შეთანხმებით – სამსახურიდან განთავისუფლება.

დირექტორმა მომისმინა, დამიჯერა და სულ რაღაც ერთ კვირაში ვ.დ.-მ გაიარა „დასჯის ერთი ციკლი“.

არაფერი გამოვიდა. ვ.დ. თავისას არ იშლიდა. დირექტორი ადგილს ვერ პოულობდა, მის გაბრაზებას ზღვარი არ უჩანდა, მაგრამ რა ექნა?! – ვ.დ.-ს პროფესიონიც იცავდა და ძმაკაციც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლამის მეც დამემუქრა სამსახურიდან მოხსნით.

ბევრი ფიქრის შემდეგ, მგონი მივაგენი გამოსავალს და დირექტორს შევთავაზე ერთი მარტივი ფანძი.

კარგიო, დამიჯერა და მითხრა: ხვალ ამომიყვანე, ოღონდ შენ წუ დაესწრები ჩვენს საუბარს, მე თვითონ მოვუვლი საქმესო. ასეც მოვიქეცი და მეორე დღეს (ვ.დ.-ს დაბადების დღეს), როცა ისურვა სამსახურში გამოცხადება, შევიყვანე დირექტორთან და დავტოვე კაბინეტი. მდივნის ოთახში დავჯექი და დაველოდე შედეგს. მათი საუბრის ხმა მესმოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევდი.

თხუთმეტიოდე წუთი მომიხდა ლოდინი. ბოლოს გაიღო კარები და გამოვიდა გახარებული და მომლიმარი ვ.დ., რომელსაც ხელში



მუყაოს ლამაზი კოლოფი ეჭირა. გავყევით გრძელ დერეფანს და აი, რას მომიყვა ჩემი ძმაკაცი.

„დირექტორმა ხელი ჩამომართვა, მომიკითხა. მერე სამუშაოს მიმდინარეობაზე მესაუბრა – ხომ არაფერი გიჭირს, დახმარება თუ გჭირდება, მითხარით. ისიც მითხრა, რომ მოსკოვში მივლინებაში მასთან ერთად წავსულიყავი – დაპირდა, იქაურ ცნობილ მეცნიერ-მუშაკებს გაგაცნობ, შენს საქმეში გამოგადგებიანო. ბოლოს წამოდგა და მითხრა – გავიგე, რომ დღეს შენი დაბადების დღე ყოფილა. გულით გილოცავ და გისურვებ წარმატებებს. საჩუქრად კი, აი, ეს პატარა ნივთი მიიღე ჩემგანო და გამომიწოდა ეს კოლოფი“.

რა არის-მეთქი, შევეკითხე მოუთმენელი ინტერესით. კოლოფი გახსნა და იქიდან განსაკუთრებული სიფრთხილით და ღიმილნარევი გამომეტყველებით ამოილო და მიჩვენა იაპონური ფირმის „მალვიძარა“ საათი.

მას შემდეგ ვ.დ.-ს სამსახურში აღარ დაუგვიანია.

## თავმომწონე ინუინერი

ერთ-ერთ სამრეწველო ობიექტის ხელმძღვანელად ვმუშაობდი. პირველ ეტაპზე ხშირად მიხდებოდა თათბირების მოწვევა, რათა ახლადდანიშნულს სწრაფად შემესწავლა საწარმოში არსებული პროცესების მიმდინარეობა, ტექნოლოგიური ციკლები, ფინანსური ვითარება, გეგმების შესრულების მიმდინარეობა, მუშათა შრომის პირობები, უსაფრთხოების ნორმების დაცვის დონე, თანამშრომლების საყოფაცხოვრებო პირობები და ა.შ.

შევამჩნიე, რომ ერთ-ერთი ინუინერი, გ.ქ. სისტემატურად აგვიანებდა თათბირზე მოსვლას. ისიც შევამჩნიე, რომ თავის თავზე ზედმიტად შეყვარებული იყო. სხვათაშორის, ძალიან კარგი გარეგნობის პიროვნება გახლდათ: მაღალი, მხრებგანიერი, ნორმალურად ხორცშესხმული, ყოველთვის წვერგაპარსული და სუფთად და გემოვნებით ჩაცმული. სახის გამომეტყველება მუდამ სერიოზული ჰქონდა და საუბრის დინჯი მანერა სჩვეოდა. ისეთი გარეგნული სილამაზი ჰქონდა, რომ მხოლოდ ქალები კი არა, მამაკაცებიც ტკბებოდნენ მისი ცქერით.

გ.ქ.-მ იცოდა რა ყოველივე ეს, საკუთარი თავი უფრო მეტად მოსწონდა და სულ იმის ცდაში იყო, რომ მიექცია (წებისმიერი ხე-რხით) დამსწრეთა ყურადღება. თავში კი, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი ეყარა და ხშირად ისეთ სისულელეს წამოროშავდა, რომ სასაცილო სუბიექტად ჩნდებოდა ხოლმე. სხვათაშორის, როგორც მოგვიანებით გამოვარკვიე, თათბირებზეც იმიტომ აგვიანებდა, რომ დამსწრეთ მყისიერი და ერთიანი ყურადღება მიექციათ მისი პერსონისათვის. რას ვიზამდი?! – „კაცია და გუნება“, მაგრამ მომაბეზრებელი გახდა მისი ქცევა – დისონანსი შემოჰქონდა თათბირის მუშაობაში, გამომსვლელი სიტყვას სწყვეტდა, იწყებოდა სკამების მიწევ-მოწევა და ა.შ.

გადავწყიტე მომეთათბირა პარტორგანიზაციის, კომკავშირისა და პროფესიულის ხელმძღვანელებთან.

ყველა ერთხმად მოითხოვდა მის სასტიკად დასჯას სამსახურიდან განთავისუფლების ჩათვლით. მე წინააღმდეგი ვიყავი რადიკალური ზომების მიღების, ახლადმისულს არ მინდოდა მკაცრი ვერდიქტის გამოტანა, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც ხომ ჰქონდა ზღვარი?!

ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა, მივაგენი ერთ მარტივ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეფექტურ ხერხს.

ერთ-ერთ მორიგ თათბირზე შეკრებილთ, ძირითადი მომხსენებლის სიტყვის დაწყებამდე, შევთავაზე, რომ როცა გ.ქ. ინებებდა მოსვლას და კარებს შემოალებდა, ყველა ერთად ავმდგარიყვათ ფეხზე.

თათბირი დაიწყო. მოზრდილ სამუშაო ოთახში მხოლოდ მომხსენებლის ხმადაბალი და მწყობრი საუბრის ხმა ისმოდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ოციონე ადამიანი რაღაც უცნაურის მოლოდინში იყო განაბული. დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ შემოილო კარები და გამოჩნდა ჩვენი „ერასავეცი“. შეთანხმების თანახმად, ყველა ერთად, მყისიერად და რაც მთავარია, დემონსტრაციულად წამოვდექით ფეხზე.

გ.ქ. ადგილზე გაშეშდა, სახეზე წითელმა ფერმა გადაპკრა. უაზ-როდ დაიწყო აქეთ-იქით ცქერა და როგორც სჩვეოდა ხოლმე – არ დაუწყია თავისუფალი სკამის თვალებით ძებნა. იდგა ერთ ადგილზე, უცბათ ვერ მიხვდა თუ რა მოხდა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ასეთი დაბნეული და საცოდავი ადამიანი იშვიათად თუ მენახა.

„წუთიერი დუმილის“ შემდეგ, ისევ მყისიერად და ერთად დავსხედით, როგორც წამოვდექით. ის კი განაგრძობდა ოთახის

ცენტრში დგომას და არაფრისგამომხატველ თვალთა მზერას მიაპყრობდა ხან ერთს და ხან მეორეს. სიმართლე გითხრათ, შემეცოდა.

როგორც იქნა მოახერხა და მისთვის უჩვეულო, ზიგზაგური ნაბიჯებით მიაღწია ოთახის შორეულ კუთხეში მდგომ სკამამდე. ჩამოჯდა, დიდი საწერი ბლოკნოტი მუხლებზე დაიდო და ხმის-ამოულებლად იჯდა თათბირის დამთავრებამდე.

ეგ იყო და ეგ, გ.ქ.-ს თათბირზე აღარასოდეს დაუგვიანია. ასეთი ეფექტური გამოდგა შედარებით მსუბუქი ხასიათის „სასჯელი“.

## უმეცრებისა და უტაქტობის ნიმუში

ერთი ნაცნობი მეწვია სახლში. მოვიკითხეთ ერთმანეთი, მერე „თითო ჭიქაც“ მივირთვით და საქმეზეც გადავედით.

ჩემი ნაცნობი დიდიხნის უმუშევარი იყო და ძალიან უჭირდა – სამი შვილის აღზრდა-პატრონობა არცთუ ადვილი ტვირთია კაცისთვის, მაგრამ რა ექნა?! თავისი განათლებულობისა და გამოცდილების დონიდან გამომდინარე, იგი არ ამჟღავნებდა პრეტენზიას რაიმე მაღალანაზღაურებად სამუშაოზე – უბრალოდ ე.ნ. რიგით სტატუსზეც თანახმა იყო, ოღონდ ჰქონილ მინიმალური შემოსავალი მაინც.

მითხრა, ამა და ამ ორგანიზაციაში ადგილი გამოჩნდა ჩემი პროფესიის შესაბამისი და თუ იცნობ უფროსს, იქნებ დამეხმარო და რეკომენდაცია გამინიოო. „იმ“ ორგანიზაციის ხელმძღვანელს კარგად ვიცნობდი და, რაღა თქმა უნდა, აღვუთქვი დახმარება. დარწმუნებული ვიყავი წარმატებაში.

მოკლედ, ჩემი ნაცნობი მიიღეს სამუშაოდ და მასზე მეტად მევიყავი ამაყი და გახარებული, რომ გაჭირვებაში მყოფ ადამიანს დავეხმარე.

მერე მოხდა ის, რაც მოხდა.

აღარ მეშვებოდა ჩემი ნაცნობი – პურმარილი უნდა ვიკისრო და დამიპატიუე ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მე უარზე ვიყავი – რა გეჩქარება, მოასწრებ, ჯერ მიდექ-მოდექი, ცოტა სული მოითქვი, მერე ვნახოთ-მეთქი. იმდენჯერ მოვიდა სახლში და იმდენი მიჩიჩინა, რომ ბოლოსდაბოლოს დამითანხმა.

კარგი, დაგიპატიუებ-მეთქი.

ახლა მე დამჭირდა ხვეწნა-მუდარა, რომ რამენაირად დამეყოლი-ებინა ორგანიზაციის ხელმძღვანელი – მხოლოდ შენი ხათრით, ჩემო ვახტანგ, თორემ, კარგად იცი, რომ მე ასეთი რამეები არ მიყვარსო – მითხრა და შევთანხმდით.

მანქანით წაგვიყვანეს ქალაქის გარეუბნის ერთ-ერთ პრესტი-ჟულ რესტორანში. კუპეები ცარიელი იყო და რატომდაც საერთო დარბაზში გაშალათ ჩვენთვის განკუთვნილი სუფრა. შევამჩნიე, რომ ეს ფაქტი თავიდანვე არ მოქმნა ორგანიზაციის უფროსს. ჩემი აკვიატებული დაკვირვებულობის წყალობით, ერთი შეხედ-ვისთანავე გავარკვიე, რომ სუფრა რვა პერსონისათვის იყო განყო-ბილი.

გაიცანითო, მოგვმართა სამუშაოზე ახლადმოწყობილმა ჩემმა ნაცნობმა – ეს მამაჩემია, ეს ბიძაჩემი, ეს სამი ვაჟკაცი კი ჩემი ბი-ძაშვილები არიანო და სუფრასთან მიგვიწვია.

უცნობი ადამიანების პირველი შეხვედრისათვის დამახასიათე-ბელი დაძაბულობის 15-20 წუთიანი პერიოდი უცბათ მიიღოა, ღვი-ნომ „თავისი საქმე“ გააკეთა და საერთო მხიარულებით, კეთილი განწყობითა და სიტყბოებით, სამიოდ საათში, გავედით ფინალურ ეტაპზე.

აქ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, ყოველ შემთხვევაში – ჩე-მთვის. ჩამიმნარდა ყველაფერი. მოხდა კი შემდეგი: ჩემმა ნაცნობმა მოსთხოვა ოფიციანტს ანგარიშის მოტანა.

ოფიციანტმა თავაზიანად შემოიტანა სინზე დადებული ანგარიში (დანახარჯი), მიაწოდა ჩემს ნაცნობს და გავიდა. მასპინძელმა დახე-და დანახარჯს და სახე მოელრიცა. მერე ამოიქექა ჯიბეები, ჩვენ თვალწინ, პირში თითის დასველებით გადათვალა ფული და გადახე-და „თავისიანებს“ – ოცდაათი ლარი მაკლდება, აბა, გამოუშვითო და ჩამოუარა მაგიდასთან მსხდომებს:

მომეცი ეგ ათიანი, აპა შენ ხუთიანი; მოიტა ეგ ოციანი, ნუ გენანება, აპა, შენ თხუთმეტი...

უკვე აღარ მესმოდა მისი სიტყვები. ნეტავ მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე. უცბათ გამოვფხიზლდი, მაგრამ რა უნდა მექნა – არ ვიცოდი. მასპინძლები ერთმანეთში რაღაცაზე კამათობდნენ, მაგრამ მათი მოსმენის კი არა და დანახვის სურვილიც კი აღარ მქონდა. სად გავქცეულიყავი ან სად დავმალულიყავი – აღარ ვიცოდი.

სამსახურის ხელმძღვანელი, მაგიდის ქვეშ ფეხით შემეხო რამ-დეჯერმე, მაგრამ რას მანიშნებდა, ვერ ვხვდებოდი.

ქართველები გამორჩეულები ვართ სტუმართმოყვარეობით. ყოველთვის მზად ვართ მაქსიმალურად ვცეთ პატივი სტუმარს და მისი სი-ამოვნებისთვის ყველაფერს ვაკეთებდით და ვაკეთებთ. მაგრამ ის, რაც გადაგვხდა მე და ორგანიზაციის ხელმძღვანელს – სცილდება უხა-მსობის ყოველგვარ ზღვარს. ეს იყო უტაქტობის, უვიცობის, უზრდე-ლობის და, თუ გნებავთ, თავხედობის აღვირასნილი დემონსტრირება.

სახლში როგორ მივედი, ალარ მახსოვს.

## შემთხვევითობა შემთხვევითობა

შემთხვევითობა საოცარი არის მოვლენა,  
თავბრუს დაგახვევს, გონს აგირევს, შეგაზანზარებს,  
გასჭირვებია, ბრძნენთაგანსაც მასთან მორგება,  
უცბათ შეგიტევს, დასახვედრად თავს ვერ ამზადებ.

როგორც უამრავ განმარტებით ლექსიკონშია განმარტებული – შემთხვევა, როგორც გარკვეული მცნება, წარმოადგენს გაუთვა-ლისწინებელ, არაპროგნოზირებად, ჩვენგან დამოუკიდებლად მომხ-დარ რამეს, ამბავს, სიტუაციას, ფაქტს და ა.შ.

შემთხვევის დრო, ადგილი, ხასიათი და სიხშირე არ ემორჩილება არავითარ გათვლას, ანალიზს, მოლოდინის განცდას და სხვა.

შემთხვევითობა კი შემთხვევითის თვისება და ხასიათია. რო-გორც ფილოსოფიური კატეგორია, შემთხვევითობა წარმოადგენს დროებით, ცალკეულ კავშირებს ისეთ მოვლენათა შორის, რომელთა ურთიერთობებსაც არ გააჩნია არავითარი საფუძვლიანი წინაპირობა თუ საფუძვლიანი მტკიცებულება, განსხვავებით მისი საპირისპირო (ასევე ფილოსოფიური კატეგორიისა) აუცილებლობისა, რომელიც მაღალი დონით არის პროგნოზირებადი.

ჩვენ ვიცით, რომ ელვას აუცილებლად მოჰყვება ქუხილის ხმა, მაგრამ არ ვიცით (ალბათ არასდროს გვეცოდინება) როდის, სად, რა ზომის აგურის ნატეხი ჩამოვარდება და ვის დაეცემა, ან საერთოდ დაეცემა?!

მოკლედ, შემთხვევა და შემთხვევითობა საკმაოდ უცნაური ბუნების მატარებელი ფენომენებია, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა და უტყუარი პროგნოზირებადობა შეიძლება ვერც მოახერხოს ჩვენი დროის კაცობრიობამ.

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება სავსეა შემთხვევებით და შემთხვევითობებით, რომლებიც როგორც წესი მოულოდნელია და ჩვენზე ზემოქმედების თვალსაზრისით, შეიძლება წარმოჩნდნენ, როგორც სუსტი, ნაკლებადძლიერი და ძლიერი ხასიათის მქონე შედეგების მომზადად.

## ორასიდან ერთში

ვფიქრობ, რომ გორისა და გორის რაიონის მოსახლეობას მნიშვნელოვანი, ისტორიული ფასეულობის საქმის წამოწყება შევთავაზე, როცა ვთხოვე მხარში ამომდგომოდნენ და გამოგვეშვა ანგარდაცვლილთა ხსოვნის წიგნების სერია.

ამჟამად გამოცემულია შვიდი წიგნი (პირველი სამი წიგნის სახელწოდებაა „და ვანთებ სანთელს“, ხოლო დანარჩენების – „ხსოვნის წიგნი“).

აღნიშნული სერიის ყველა ნაწილი (ამჟამად გამოსაცემად მზადდება მე-8 ნაწილი) განთავსებულია როგორც ქ. თბილისის საჯარო (ეროვნულ), ისე გორის ბიბლიოთეკებში („ები“ იმიტომ, რომ მაშინ ბევრი ბიბლიოთეკა იყო გორში).

ამ წამოწყების ერთადერთი მიზანი გახლავთ – ჩვენთვის ახლობელი ადამიანების ხსოვნის უკვდავყოფა. წარმომიდგენია, თუ რამდენად დიდ ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენს წიგნების აღნიშნული სერია დაახლოებით 30-40 წლის შემდეგ.

წიგნების სტრუქტურა ძალზე მარტივია: რამდენიმე ფოტოსურათი (ბავშვობის პერიოდიდან დაწყებული, სიცოცხლის ბოლომდე) და ბიოგრაფიული მონაცემები.

წიგნის მე-3 ნაწილი გამოვიდა ორასი ეგზემპლარის ტირაჟით და მოხდა საოცარი რამ, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

წიგნები ჩამოვიტანე თბილისიდან და ჩემს სამუშაო ოთახში დავაზაყე. იმავე საღამოს, თითქმის ყველა უშუალოდ დაინტერესებულ ოჯახს ტელეფონით გავაგებინე წიგნის გამოსვლის შესახებ და უკვე მეორე დღეს დავიწყე წიგნების გაცემა.

ყველას დავუბრუნე ფოტოსურათებიც, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მათ საოჯახო ფოტო-ალბომებში. არ დაუშურიათ მადლობა და მადლიერების გამოხატვა. ბედნიერი ვიყავი, რომ ადამიანებს გავუკეთე მცირედი რამ მაინც.

წიგნი, მეზობელი ბავშვის ხელით, გავუგზავნე შოთა ჯავახიშვილის ოჯახის წევრებსაც. ერთი საათიც არ იყო გასული, როცა ტელეფონით დამირეკეს და მაცნობეს – შოთას ფოტოსურათებს სხვა პიროვნების ბიოგრაფია აქვს მიწერილიო...

თავზარი დამეცა. ცოტახანს ვერაფერი ვუპასუხე. მერე, როგორც იყო მოვახერხე და შეძრნუნებული და ჩახლეჩილი ხმით ვთხოვე, მოეტანათ წიგნი და აღვუთქვი – რაღაცას მოვახერხებ-მეთქი. რა უნდა მომეხერხებინა?!.

ხასიათი წამიხდა. ტელევიზორი გამოვრთე და ფიქრებში ჩავიძირე.

დაინებას ვაპირებდი, როცა ის სატელეფონო ზარი მეხივით დამეცა თავზე. წარმოგიდგენიათ, რა განსაცდელი მელოდა წინ – წიგნის გამოცემა ხომ საკმაოდ „ძვირი სიამოვნება“?!

ვეცი ჩემს სამუშაო ოთახში მწყობრად მდგარ წიგნების სვეტებს და სათითაოდ შევამოწმე ყველა.

ვიღებდი, ვშლიდი, გაკვრით ვკითხულობდი და გვერდზე ვდებდი. ასე გადავჩერიკე მთელი ტირაჟი და შევბით ამოვისუნთქე, როცა აღმოსავლეთით ცა მტრედისფრად შეიღება. ყველა ეგზემპლარი წესრიგში იყო. საშინელებას გადავურჩი.

ახლა კი მთავარი...

შეიძლება, ზუსტად თუ არა, დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდა გამომცემლობაში (სტამბაში) – წიგნის ამწყობებმა ერთი გვერდი „იქ“ არ დადგეს, სადაც უნდა დაედოთ და ის ერთი ეგზემპლარი გამოდგა დეფექტიანი (შეიძლება სხვა ვარიანტიც იყოს).

უფრო საინტერესო და სრულიად უცნაური მოვლენა სხვა რამ გახლავთ – რას მივაწერო ის ამბავი (ფაქტი, მოვლენა, შემთხვევითობა), რომ წიგნების დასტიდან, მეზობლის ბავშვს, მაინცდამაინც ის ერთადერთი დეფექტიანი წიგნი გავატანე და მაინცდამაინც იმ კაცის ოჯახში, რომლის ფოტოსურათებსაც სხვისი ბიოგრაფია ჰქონდა მიბეჭდილი?!?

ხომ შეიძლებოდა, რომ სხვა ეგზემპლარი გამეტანებინა პავშვი-სათვის?!

ამ უცნაური და გამაოგნებელი „შემთხვევითობის“ ახსნა ჩემს შესაძლებლობებს აშკარად აღემატება.

## როგორ გავიცანი ბიძაშვილი

მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებულმა ბიძაჩემმა (დედის ძმამ), შალვა გოცირიძემ, გადაწყვიტა დაწყებულ თავისი ძმებისა და დების და მათი შთამომავლების ძებნა, საცხოვრებლის ადგილმდებარეობის დადგენა და შესაძლებლობის შემთხვევაში მათი გაცნობა და დაახლოება. გარკვეულ შედეგებს მიაღწია კიდეც – ზოგის საცხოვრებელი ქვეყანა დაადგინა, ზოგის შვილების რაოდენობა და ვინაობა და ა.შ. მოკლედ, ყველანაირად ცდილობდა ბიძაჩემი, რომ აღედგინა უგზო-უკვლოდ გაფანტულ-გადაკარგულ და-ძმებთან კავშირები. ძალიან ძნელი აღმოჩნდა საქმე, რადგან არ არსებობდა შესაბამისი საარქივო მასალები – ბევრი რამ გასაიდუმლობული იყო (საზღვარგარეთ გასულებზე) და ბევრიც საერთოდ გამრჩალი. სასურველი შედეგის მიღწევა გადაულახავ პრობლემად იქცეოდა, რომ არა ერთი ბედნიერი (მართლაც ბედნიერი) შემთხვევა.

1960-იანი წლების დასასწისში, ბიძაჩემი, შალვა გოცირიძე ოჯახთან ერთად დასასვნებლად ჩასულა ჩრდილოეთ კავკასიაში.

კერძო ბინის დიასახლისმა, როგორც მაშინ დადგენილი წესი მოითხოვდა, მოიმარჯვეა ე.წ. „საბინაო წიგნი“, რათა ჩაეწერა (რეგისტრაციაში გაეტარებინა) ახალი ბინისდამქირავებლები. წიგნის ფურცვლისას, ბიძაჩემს თვალში მოხვედრია გვარი გოცირიძე. შეაწყვეტინა თურმე დიასახლისს წიგნის ფურცვლა და დეტალურად შეისწავლა ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა, რომ 1963 წლის აგვისტოს თვეში, ამ სახლში ისვენებდა ალექსანდრე (საშა) ვალერიანის ძე გოცირიძე მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად. წიგნში მითითებული იყო ქ. მოსკოვის მისამართიც. რაც შეეხება ვალერიანს (ალექსანდრეს მამას), ის უნდა ყოფილიყო ოცდაშვიდ შვილთაგან პირველი, ყველაზე უფროსი – ვალერიან დავითის ძე გოცირიძე.

ნარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა ბიძაჩემს მას შემდეგ, როცა მიაგნო უფროსი ძმის შვილს, ალექსანდრეს.

გაიბა მიწერ-მოწერა, რამაც დაადასტურა ვარაუდი იმისა, რომ ალექსანდრე იყო ჩემი ბიძაშვილი.

ამ ამბიდან სულ ორიოდ თვეში მომიწია სამსახურებრივი მივლინებით მოსკოვში წასვლამ.

ბიძაჩემბა, შალვა გოცირიძემ, გამატანა წერილი და სხვადასხვა სუვენირები საჩუქრებად. თან წავიღე ასევე ბიძაჩემის არქივში შემონახული რაღაც-რაღაც ქაღალდები და საბუთები, ასევე საკმაოდ უხარისხო ფოტოსურათები, რომლებიც დაკავშირებული იყო ზემოთხსენებულ ოცდაშვიდშვილიან ოჯახთან.

ჩავედი მოსკოვში, ვიკითხე სად მდებარეობდა ეიზენშტეინის (ცნობილი კინორეჟისორი) ქუჩა. ამისსნეს, რომ ის ქუჩა იყო მოსკოვის გარეუბანში, კინოსტუდია „მოსფილმისა“ და „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის“ რაიონში და რომ იქამდე მისასვლელად ყველაზე მოხერხებული იყო მეტროთი სარგებლობა. ისიც მირჩიეს (თითქოს მე ვერ მოვიფიქრებდი), რომ მეტროდან ამოხვალ თუ არა, იკითხე და ზუსტად გეტყვიან, სად არის შენთვის საინტერესო ქუჩაო.

საკმაოდ დიდხანს ვიმგზავრე მეტროს ვაგონით (მაშინ ე.წ. „დიდი მოსკოვის“ ტერიტორია გადაჭიმული იყო დაახლოებით ას კილო-მეტრზე. მოსახლეობა კი 5 მილიონზე მეტი გახლდა) როგორც იქნა გავიგონე რადიოს ხმა – „მეტრო-სადგური ვДНХ“ (სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა).

ესკალატორით ვუახლოვდებოდი დედამინის ზედაპირს და, რა თქმა უნდა, ჩემი ახლადაღმოჩენილი ბიძაშვილის საცხოვრისს. ათასნაირი ფიქრი ამერია თავში: ნეტავ როგორია, როგორ მიმიღებს, რას ვეტყვი პირველად, რას მიპასუხებს, როგორი მეუღლე ჰყავს ან შვილები და ა.შ.

ამოვედი მინის ზედაპირზე. პატარა ჩემოდანი დავდგი ასფალტზე, სიგარეტს მოვუკიდე და გარშემო მიმოვიხედე. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო ცნობილი მოქანდაკის ვერა მუხინას 24-მეტრიანი ქმნილება „მუშა და კოლმეურნე ქალი“.

ფიქრი ისევ ბიძაშვილისკენ გამექცა. რაც უფრო ახლოვდებოდა მასთან შეხვედრის მომენტი, მით უფრო ვნერვიულობდი. ვერ წარმომედგინა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ჩვენი შეხვედრა.

სიგარეტის ნამწვი ურნაში ჩავაგდე, ავიღე ჩემოდანი და ჩემსკენ მომავალ ერთ საკმაოდ სიმპათიურ, მაღალი და ძლიერი აღნაგობის ქერა მამაკაცს ბოდიშის მოხდით ვკითხე:

– გეცოდინებათ, ალბათ, სად არის ეიზენშტეინის ქუჩა?

– კი, როგორ არ ვიცი. გამომყევით, მეც იქით მივდივარ, ოთხა-სი-ხუთასი მეტრი იქნება....

– სიამოვნებით გამოგყვებით-მეთქი და გავყევი.

ჩვენ შორის საკმაოდ თბილი საუბარი გაიბა. ხუთიოდე წუთის მერე მეკითხება:

– აქცენტზე გეტყობათ, რომ ქართველი ხართ.

– კი, ქართველი ვარ.

– მივლინებაში ხართ თუ ისე, ქალაქის დასათვალიერებლად?

– მივლინებაში ვარ ავტომატიკის ინსტიტუტში, მაგრამ უფრო საინტერესო პირადი საქმეც მაქვს.

– თუ საიდუმლო არ არის, რა პირადი საქმე გაქვთ, შეყვარებული ხომ არ გყავთ ჩვენს ქუჩაზე?..

– როგორ, თქვენ ეიზენშტეინის ქუჩაზე ცხოვრობთ?

– კი, იმ ქუჩაზე ვცხოვრობ, რატომ გაიკვირვეთ ასე? მალე მივალთ და თუ მეტყვით ნომერს, სახლსაც მიგასწავლით...

– მადლობა, ალბათ, ისედაც შეგანუხეთ ამდენი საუბრით.

– რა შეწუხება... რაც შემიძლია მზად ვარ დაგეხმაროთ... მაინც, რა პირადი საქმეა ისეთი, რომ არ ამბობთ?!

– ბიძაშვილი ცხოვრობს იმ ქუჩაზე და მინდა ვესტუმრო და გავიცნო...

– როგორ, ბიძაშვილს არ იცნობთ?!

მკითხა ეს, შეჩერდა და დაკვირვებით ამხედ-ჩამხედა.

– კი, არ ვიცნობ, ასე მოხდა...

– ქართველი რომ ხართ, გავიგე; იქნებ მითხრათ, რომელი რაიონიდან, ან ქალაქიდან და რა გვარია ის თქვენი ბიძაშვილი, იქნებ ვიცნობ კიდეც, რაკი ჩვენ ქუჩაზე ცხოვრობს?!

– მე წარმოშობით ქ. თელავიდან ვარ, ამჟამად ქ. გორში ვცხოვ-რობ; ჩემი ბიძაშვილი გოცირიძეა, სახელად ალექსანდრე, იგივე საშა...

ამის თქმა იყო და თითქოს მინა იძრაო, ისე შეტორტმანდა ჩემი გოლიათივით თანამგზავრი... ხელიდან გაუვარდა რაღაც საკვები პრო-დუქტებით გატენილი ქალალდის დიდი პარკები, ორივე ხელი შემომხ-

ვია წელზე და ჰაერში ამიტაცა... ხელები ისე ძლიერ შემომასალ-ტა წელზე, რომ ძვლების ჩხაკუნის ხმა გავიგე: – „მოი დარა-გო“, „მოი ხაროში“, „ვოტ ტი კაკო, მოი ბრატ“, „სკოლკო ია დუმალ ო ტეპე“...

გოლიათი მამაკაცი ბავშვივითი ტიროდა და სლუკუნებდა. მეც ავტირდი მოზღვავებული სიხარულითა და მოულოდნელობით გაოცებული.

გამვლელ-გამომვლელები გაძლიერებული ცნობისმოყვარეობით გვიცქერდნენ და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდნენ.

იმდენი ვიტირეთ და სიხარულის იმდენი ცრემლი დავლვარეთ, რომ მგონი ეიზენშტეინის ქუჩის დასაწყისს ახლაც ამჩნევია ბიძაშვილ-მამიდაშვილის საოცარი შეხვედრის კვალი.

ოჯახში მელოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ კონკრეტულად თუ როდის ვესტუმრებოდი. წარმოიდგინეთ რა ამბავი ატყდა ალექსანდრეს ოჯახში, როცა მან კარები შეაღო და წარმადგინა. მისი მეუღლე ქალბატონი ტონია და შვილები – იგორი და თამარი სიხარულის ცრემლებით დაიღვარნენ. ბავშვები კისერზე მეკიდებოდნენ და სლუკუნებდნენ – „დიადია ვახტანგ“, „დიადენკა“, აი თურმე როგორი ყოფილხარ, მამა სულ თქვენზე ფიქრობს და ოცნებობსო... რა კარგი დღე გაგვითენდა და რა ბედნიერები ვართო.

არც ერთმა მათგანმა არ იცოდა ქართული. რამდენიმე სიტყვა ჰქონდათ დაზეპირებული და წამდაუწუმ იმეორებდნენ თუთიყუშებივით. მერე ატყდა ფუსფუსი და აქეთ-იქით სირბილი. ერთ-მანეთს ეხეთქებოდნენ, ხელიდან უვარდებოდათ ჭიქა თუ ჩანგალი. სახელდახელოდ გაშალეს რუსული სუფრა. ალექსანდრე გავარდა და საიდანლაც მოიტანა რუსული არაყი.



მოკლედ, არნახული და გულისამაჩუყებელი შეხვედრა იყო. სან რას ვიგონებდით და სან რას. შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა. ყველაფერი აინტერესებდათ: ვინ ვიყავით და რამდენი, ვინ რას აკეთებდა, ვის რა სახელი ერქვა და ა.შ.

საჩუქრებად ჩამოვურიგე ქართული სუვენირები. ცრემლს ვერ იკავებდნენ. იგორმა ფანქარი მოიმარჯვა და ცდილობდა თავისი ყველა ქართველი ახლო ნათესავის სახელი და გვარი ჩაეწერა.

გავიხარეთ ერთმანეთისთვის უცნობმა ახლო ნათესავებმა...

მაშ ასე – ვიპოვეთ დიდი დავითის პირველი ვაჟის, ვალერიანის შვილი ალექსანდრე (საშა) და მისი ოჯახი.

იმ პერიოდში ალექსანდრე იყო მოსკოვის კინემატოგრაფიის ინ-სტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

## **ნუთუ ეს შემთხვევითობაა?..**

კახეთის ერთ-ერთ სოფელში ვესწრებოდი დაკრძალვის ცერე-მონიალს. გარდაიცვალა იქაურთათვის საკმაოდ კარგად ცნობილი ქალბატონი.

ჯგუფ-ჯგუფად მდგომი ადამიანების საუბრებიდან ბევრი რამ მოვისმინე ჩემდაუნებურად.

განსვენებულს ჯერ შვილი დაღუპვია ტრაგიკულად, მერე კი შვილზე დარდმა თურმე სიცოცხლე შეუმოკლა მეუღლეს და ისიც გარდაცვლილა. მამა-შვილი გვერდიგვერდ დაუსაფლავებიათ სოფ-ლის განაპირას მდებარე საკუთარი ვენახის ტერიტორიაზე; ასეთი ყოფილა ქმრის სურვილიც და ანდერძიც. ქმარს, განსაკუთრებული კატეგორიულობით მოუთხოვია ახლობლებისგან, რომ მეუღლე ჩემს გვერდით არ დაასაფლაოთო...

პროცესია მიადგა ვენახის ჭიშკარს და აქ მოხდა ის, რასაც არა-ვინ ელონდა. ჭიშკარი დიდი ბოქლომით იყო დაკეტილი. საკაცე მი-ნაზე დადგეს და ხმამაღალი გადაძახებებით დაიწყეს იმ კაცის ძებნა, რომელსაც დავალებული ჰქონია ადგილზე ყველაფრის მოწესრიგე-ბა და თადარიგი, როგორც იქნა იპოვეს და კინწისკვრით მოიყვანეს. საცოდავი შეხედულების იყო ის კაცი, თან გაშტერებულ-გაოცებუ-ლი – იფიცებდა, ღიად დავტოვე და ცოტახნით სახლში გადავირპი-ნეო...

გასაღები ვერ იპოვეს და იძულებულები იყვნენ ბოქტომი მოეგ-ლიჯათ.

ჭირისუფლებში ჩურჩულის ტალღამ გადაიარა – აკი იმ კაცს დაუპარებია, ჩემს გვერდით არ დაკრძალოთო!..

დამსწრე საზოგადობას მთავარი საოცრება მაინც წინ ელოდა, როცა ქმარ-შვილის გვერდით გათხრილ საფლავში უშვებდნენ ქალბატონის ცხედარს, ექვს ჯანმაგარ ახალგაზრდას ხელიდან გაუვარდა საკაცე, რომელიც საშინელი ხმაურით დაენარცხა საფლავის ფსკერს.

ნუთუ ეს შემთხვევითობაა?!..

## ერთგულება და ღალატი

კაცობრიობის მრავალმილიონიან არსებობას ლაიტმოტივად გასდევს ერთგულებისა და ღალატის ფენომენი. ჩვენს პლანეტაზე ყოველდღიურად ხდება, მეტ-ნაკლები ეფექტის მქონე, ერთგულებისა და ღალატის მაგალითები, რომელთაგან ზოგი ე.წ. ლოკალური ხასიათისაა, ზოგი კი – გლობალური. ზოგი შეიძლება მეორე დღეს აღარც გვახსოვდეს, ზოგი კი თავისი ბუნებით და მასშტაბებით წაუშლელ კვალს სტოვებს ადამიანების და ქვეყნების ისტორიაში.

განმარტებითი ლექსიკონები გვაუწყებენ, რომ ერთგული – ეს არის უსაზღვრო სიყვარულით განმისჭვალული, თავდადებული, საიმედო და სანდო ადამიანი, ხოლო ღალატი არის: გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა, სხვაზე გაცვლა, მოტყუება, მოვალეობის უგულებელყოფა, რწმენისა და წესის უარყოფა და ა.შ.

ადამიანებს, მათი არსებობის ისტორიაში, არასდროს დაუტოვებიათ უყურადღებოდ ეს ორი გაგება (მცნება), რაზედაც თვალნათლივ მიუთითებს მათ მიერვე შექმნილი უამრავი ლიტერატურული ნაწარმოები, მხატვრული ფილმი თუ მონუმენტური არქიტექტურული შედევრები, მუსიკალური თუ ფერწერული კომპოზიციები და ა.შ.

ერთგულება და ღალატი ერთდროულად და შეიძლება ითქვას, ერთმანეთისგან დამოკუიდებლად არიან ჩაქსოვილი ადამიანის (და არამარტო ადამიანის) შინაგან ბუნებაში და თავს იჩენენ, სხვადასხვა

დოზით, ყველა დროში და ვითარებაში. ჩვენც, მათი „დოზისა“ და „მასშტაბის“ მიხედვით ვრეაგირებთ მათზე. ერთგულებას შეუძლია აღამაღლოს ადამიანი, გააძლიეროს საზოგადოება და ქვეყანა, უკვდავჰყოს ადამიანების სახელი, შემოინახოს ეროვნული ღირებულებები, დაიცვას ხალხისა და ქვეყნის ღირსება და სხვა, მაშინ, როცა ღალატი სულ სხვა თვისებების მატარებელია და ყოველნაირად ამდაბლებს ადამიანებს, ანადგურებს ქვეყანას და საზოგადოებას, ხრწნის მომავალ თაობებს, ჩრდილს აყენებს ისტორიას, აფერხებს განვითარებას და ა.შ.

სასიხარულოა (ერთგულება) და იმავდროულად სამწეხაროც (ღალატი), რომ აღნიშნული ორი მცნება საკმაოდ მყარად არის ფეხმოვიდებული ჩვენს ცხოვრებაში და, აღბათ, ასე იქნება მანამ, სანამ ადამიანები (ფაუნა სხვაა და იგი განსაკუთრებული მსჯელობის საგანია) არსებობენ.

ადამიანების ერთგულებისა და ღალატის უამრავი მაგალითი იცის ისტორიამ. მათი ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია. არიან ადამიანები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და რომლებიც არასდროს იქნებიან დავიწყებულნი („ვეფხისტყაოსნის“ გმირები, თევდორე მღვდელი, დიდი მოურავი, დემეტრე მეორე-თავდადებული, ცოტნე დადიანი, სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, მაია წენეთელი, ქეთევან წამებული, ექვთიმე თაყაიშვილი, ზორა რუხაძე, თინა იოსებიძე, უიული შარტავა, შუშანიკი, ჯოულა ალხასტაიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ზუბალაშვილები, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომებში დაღუპული ახალგაზრდები და უამრავი სხვა).

მეორეს მხრივ კი: ფარსადანი, თიმსალ მაკო, მკითხავი ვარდო, კოლხი მედეა, კუჭატნელი, ბერბიჭაშვილი, ოსეფა ყორღანაშვილი და ა.შ. მათი ჩამოთვლაც კი არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევს ადამიანებში.

რაღა თქმა უნდა, მეც, როგორც რიგითი მოკვდავი, ხშირად ვყოფილვარ (ან მსმენია) ერთგულებისა და ღალატის მომსწრე, რომელთა ფართო წარმოჩინებით თავს არ მოგაპეზრებთ.

მოვიყვან მხოლოდ სამ ეპიზოდს ჩემი ცხოვრებიდან. ორი მათგანის თვითმხილველი გახლავართ, ხოლო ერთი ამბავი კი მოსმენილი მაქვს მადლცხებულ ქართულ სუფრასთან.

## ჯიხვთა დუელი

ჩვიდმეტი წლის ვიყავი, როდესაც მამაჩემი, მისი ორი მეგობარი და მე ცხენებით წავედით მთათუშეთში. მიზნად გვქონდა დასვენება და გართობა. უფროსები ძირითადად წადირობდნენ, თევზაობდნენ ან ახლადმოხარშულ ლუდს ან ჟიპიტაურს სვამდნენ. მე, ადგილობრივ თანატოლებთან ფეხბურთის თამაშით ვერთობოდი.

ერთხელ, მზის ამოსვლამდე კარგახნით ადრე, მასპინძელმა, იმავდროულად ჩვენმა გამყოლმა და ცნობილმა მონადირემ წაგვიყვანა ჭიუხების მიდამოებში ჯიხვზე სანადიროდ. უფროსებმა დაათვალიერეს მიდამო, მერე შეარჩიეს ჩასაფრების ადგილები და გაინაპნენ ლოდინის რეჟიმში – ხელებითლა ანიშნებდნენ ერთმანეთს რაღაც-რაღაცებს. მე მამაჩემის გვერდით წამოვწექი და რაღაც საინტერესოს (ჯერ არნახულის) მოლოდინში აღვიჭურვე მოთმინებით.

ჩემგან ათიოდე მეტრით წინ, საგანგებოდ შერჩეული ადგილი ეკავა ჩვენს გამყოლს და წამდაუწუმ დურბინდით ზვერავდა ჭიუხებს. მამაჩემიც იგივეს აკეთებდა და შიგადაშიგ მეც მაწვდიდა



დურბინდს. შიშველი კლდეების გარდა ვერაფერს ვხედავდი. მალე მომწყინდა. ისევ ფეხშურთის თამაში მერჩივნა და მამაჩემს ვთხოვე სახლში დავბრუნებულიყავით. ცოტაც მოითმინეო, მითხრა მან და რაღაცნაირი თანაგრძნობით შემომხედა.

გავიდა კიდევ რაღაც გარკვეული დრო. ის-ის იყო, როგორც იტყვიან, „ცა მტრედისფრად შეიღება“, როცა მასპინძელმა-გამყოლმა რაღაც ანიშნა თანამონადირებს და დურბუნდშიც კარგა ხანს იცქირებოდა.

მე და მამაჩემი რიგრიგობით ვსარგებლობდით დურბინდით და ახლა, თითქმის სამოცდაათი წლის შემდეგ, მინდა ვთქვა, რომ რაც მე მაშინ ვნახე – ეს იყო რაღაც, ენითაუწერელი სანახაობა. დახვეწილი მჭერმეტყველებისა და წერის დიდი ტექნიკის მფლობელი უნდა იყოს ადამიანი, რომ დეტალებში და ცველა ნიუანსით აღწეროს მართლაც საოცარი რამ, ანუ ის, რასაც ჯიხვების ორთაბრძოლა (დუელი) ჰქვია.

შევეცდები მიახლოებით მაინც აღვწერო ნანახი.

ჭიუხის მომცრო ტაფობზე ორი ჯიხვი გამოჩნდა. ჯერ ერთად იდგნენ, მცირე პაუზის შემდეგ კი ერთმა უფსკრულისკენ ზურგშექცევით, ზედ ქარაფის ნაპირზე დაიკავა ადგილი, ფეხები თითქოს ჩაალურსმაო მკვრივ საყრდენში, რქები ოდნავ დახარა დაბლა და მოემზადა იერიშის მოსაგერიებლად. მეორემ, დაახლოებით 25-30 მეტრის დაშორებით დაიკავა სასტარტო ადგილი, პირით უფსკრულისკენ და შეემზადა იერიშისთვის; მერე ოდნავ დახარა რქები და ნარმოუდგენელი სიჩქარით გაექანა „მეტოქისაკენ“. მიზნამდე 3-4 მეტრის დაშორებით გააკეთა დიდი ნახტომი და რქებით დაეტაკა მოწინააღმდეგეს. გაისმა საშინელი ჭახანის ხმა, როგორც გაგვიგონია ხოლმე ძლიერი ელვისშემდგომი ჭექა-ქუხილის დროს – ეგ იყო, რომ ელვის კლაკნილი და ნაპერნკლები არსათ ჩანდა.

უფსკრულის პირთან მდგომმა გაუძლო პირველ დარტყმას, ოდნავ შეირხა და ნელი ნაბიჯებით გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც, სულ რამდენიმე წამის წინ იდგა მისი მეტოქე. როლები გაცვალეს. ისევ დიდი სიჩქარე, ისევ ძლიერი ჭახანი და ისევ ადგილების შეცვლა.

დღემდე ვერ ამიხსნია თუ როგორ ჩატარდა „კენჭისყრა“ ანუ უფსკრულის პირას რომელი უნდა დამდგარიყო პირველი ან გამოსაქანებელი მანძილი როგორ შეარჩიეს, რომელსაც ზუსტად იცავდნენ, ან რამდენჯერ უნდა ეცადათ „ბედი“?

მასპინძელმა აგვიხსნა – ასეთი რამ მაშინ ხდება, როდესაც თა-

ნამოძმეთა შორის პირველობას (ყოჩობას) ცდილობენო.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რა დაემართებოდა მოიერიშე ჯიხვს, თუკი „დაცვის“ პოზიციაში მდგომი ჯიხვი ოდნავ გაიწევდა გვერდზე?! მოიერიშე ჯიხვი გადაიჩებოდა პირდაღებულ უფსკრულში და მის ნარჩენებს ორბებიც ვერ იპოვნიდნენ.

მოჯადოებულები ვუცქერდით იმ საოცარ სანახაობას, ხელიდან ხელში გადადიოდა დურბინდები. თვით ცნობილ მონადირესაც კი არ მოსვლია აზრად თოფის სროლა, თუმცა, ბოლომდე არ დაგვცალდა საოცარი „სპექტაკლის“ ყურება – შავმა, საწვიმარმა ღრუბლების გროვამ სწრაფად დაფარა ჭიუხები. მოვემზადეთ სახლში დასაბრუნებლად.

მრავლისმნახველმა მასპინძელმა-გამყოლმა ჩაილაპარაკა – ნეტავი ადამიანები ვიყოთ ასეთი ერთგულები კეთილი ურთიერთობების, ლირსებისა და წეს-ჩვეულებების დაცვის საქმეშიო.

„...ერთგული კაცი საგანძურია,  
მტკიცე ძმობის და იმედის ბურჯი.  
შური და ბოლმა არა სწყურია,  
თუნდ იყოს ბრმა და თუნდ იყოს მუნჯი.

ერთგული მუდამ საძებნელია,  
ვერ ეგუება ჩვეულ მონახაზს,  
იქ ვერ იპოვი, სადაც ბნელია,  
სადაც ანათებს, იქ თუ მონახავ...“

## მარათ

ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ლეგენდასავით ჩარჩა ჩემს მექსიერებაში. უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცი ჰყავს თუ არა ვინმე კონკრეტული ავტორი, არის თუ არა გამომზეურებული რომელიმე ლიტერატურულ წყაროში, ან საერთოდ – რეალობაა თუ მითი, ნამდვილად მოხდა თუ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია?!

ფაქტი ის გახლავთ, რომ ეს ამბავი მოვისმინე ქართულ სუფრაზე, დაახლოებით 70 წლის წინ და მას შემდეგ არ ქრება მეხსიერებიდან; უფრო მეტიც, ხშირად ვიყენებ სადღეგრძელოში. ამბავი კი კი ასე ჟღერს.



შორეულ წარსულში ერთმა კაცმა, სიკვდილის წინ მოუხმო თავის ულამაზეს მეუღლეს და მიმართა: „მე მალე მოვკვდები და ერთი უკანასკნელი თხოვნა უნდა შემისრულოო“.

— კერძოდ რაო — დაინტერესდა მეუღლე.

— შენ ძალიან ლამაზი ხარ. ჩემი სიკვდილის შემდეგ მამაკაცები მოსვენებას არ მოგცემენ და ეს არც იქნება გასაკვირი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და შესაფერისი თანამეცხედრე უნდა შეირჩიო. სანამ ჩემს საფლავზე მიწა ბოლომდე არ გამოშრება, სხვა მამაკაცისკენ თვალი არ გაგექცეს.

— აბა, ეგ რა სათქმელია, ასე მიცნობ მე? ნუ გეშინია, გამოჯანმრთელდები და ყველაფერი კარგად იქნებაო — სხაპასხუპით მიაყარა ლამაზმა.

ორ დღეში განუტევა სული მძიმე სენით დაავადებულმა კაცმა. დაასაფლავეს ყველა წესისა და რიგის დაცვით.

გათენდა მეორე დღე. ივლისის თაკარა მზემ სიცხის ბუღი დააყნა დილიდანვე. ისე ცხელოდა, რომ სუნთქვა ჭირდა.

გარდაცვლილის მეგობრებმა გადაწყვიტეს საფლავზე გასვლა, თან სანთლები და ორიოდე ლიტრი ლვინო გაიყოლეს.

ადგილზე მისულებს ასეთი სურათი დახვდათ – საფლავთან იჯდა შავებში ჩაცმული ქვრივი და მარაოს ინტენსიურად უქნევდა დაყრილ მიწას.

გაოგნებული მეგობრები პირდაღებულები შესცემეროდნენ ახალ-გაზრდა ქვრივის საქციელს, რომელიც მზეს ეხმარებოდა მიწის გამოშრობაში.

ახლა კი, ქალბატონები რომ არ გამინანყენდნენ, მოვყვები მამა-კაცის მიერ ჩადენილი ლალატის შესახებ.

## შუამავალი

1980-იან წლებში საქართველო ყელამდე ჩაიძირა მექრთამეობის ჭაობში.

ცნობილია, რომ ნებისმიერი (მითუმეტეს დიდი) საქმის წარმატების საწინდარია სისტემურად და სტრუქტურულად გამართული ორგანიზაციული სქემა. მექრთამეობის სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, „წვეთი არ გაუვიდოდა“. ყველა იღებდა ქრთამს, მერე ე.წ. „თავის წილს“ იტოვებდა და დანარჩენი მიჰეკონდა მისთვის შესაბამის ე.წ. „ზემო“ ინსტანციაში და პარალელურ ე.წ. მაკონტროლებელ ორგანიზაციებში. ეს უკანასკნელნი იტოვებდნენ „თავის წილს“ და დიდ ნაწილს მიაქანებდნენ ასევე „ზემოთ“.

ობობას ქსელივით იყო მოდებული აღებ-მიცემობა მთელი ქვეყნის მასშტაბით – იწყებოდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზებიდან (ფონდები), მერე „აღავერდი“ გადადიოდა „ცეხავიკებთან“, შემდეგ ცოტა „ზემოთ“, მერე კიდევ უფრო „ზემოთ“ და ასე შემდეგ, მანამ, სანამ არ მიაღწევდა იერარქიის უმაღლეს მწვერვალებამდე. შესადარებლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ ათიათასობით ნაკადული როგორ იყრის თავს და პოულობს თავის დანიშნულების ბოლო ადგილს ზღვაში და ოკეანეში.

ხელმარჯვე ოქრომჭედლების მიერ აკინძულ ჯაჭვს ჰგავდა აღებ-მიცემობის ის ვერტიკალური სტრუქტურა. ვაი მისი ბრალი, ვინც ნებსით თუ უნებლიერ ჩანაცვეტდა რომელიმე რგოლს – მას ელოდა, საშინელი კანონების შესაბამისად, უმკაცრესი სასჯელი თვით დახვრეტამდეც კი.

ერთ-ერთი ჩემი მეგობარი, პირობითად პეტრე, დანიშნეს საკმაოდ ძლიერი წარმოების ხელმძღვანელად. ის იყო უაღრესად განათ-

ლებული და პატიოსანი პიროვნება (ხელფასის გარდა არასდროს ჰქონია სხვა რამ შემოსავალი). რამდენიმე თვის განმავლობაში ენინააღმდეგებოდა აღებ-მიცემობის ღრმადფესვებგადგმულ სისტემას, მაგრამ „ძალამ აღმართი მოხნა“ და ისიც ჩაერთო „კარუსელში“. მანამდე კი „ცეხავიკებმა“ გააფრთხილეს – თუ არ აიღებ და არ მიიტან სადაც საჭიროა, ყველას დაგვიჭერენო. ორჯერ დაწერა განცხადება სამსახურიდან განთავისფლების შესახებ, მაგრამ თითო დაუქნიეს და უთხრეს: „კომუნისტები არ უნდა გაურბოდნენ სიძნელეებს, კეთილი ინებეთ და შეასრულეთ თქვენი მოვალეობაო“. და დაიწყო „მოვალეობის“ შეასრულების, პეტრესთვის სრულიად ახალი და მიულებელი პერიოდი.

თანდათან განიმუხტა პეტრეს გარშემო არსებული სიტუაცია, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და ყველაფერი იდო (მოდიოდა და მიდიოდა) თავის ადგილზე.

ერთი წლის შემდეგ კი პეტრეს თავზე გამოჩნდა შავი ღრუბელი – წარმოებას ერთდროულად თავს დაესხნენ რამდენიმე მაკონტროლებელი სტრუქტურის წარმომადგენლები, დალუქეს და აღნერეს ყველაფერი და ორთვიანი შემოწმების შემდეგ პეტრე დაიჭირეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს თხუთმეტი წლით პატიმრობა. მასთან თითქმის ერთდროულად დაიჭირეს მისი რამდენიმე კოლეგაც.

დიდი ხნის შემდეგ გაირკვა რაც და რატომაც მოხდა. შუამავალ, პირობითად პავლეს (მას მიჰქონდა ფული თავის „ზემოთ“ ვინმე ნიკიფორესთან) „სარწმუნო წყაროსგან“ გაუგია, რომ ნიკიფორეს „წყალი აქვს შეყენებული“ და სულ მაღე დაიჭირენო.

სიხარბემ სძლია პავლეს და შეგროვებული ფული (პეტრეს გარდა შუამავალი პავლე კიდევ ათი სხვა სანარმოდან აგროვებდა თანხას) არ მიიტანა დანიშნულებისამებრ.

ნიკიფორეს ირგვლივ აგორებული ჭორი არ გამართლდა და იგი განაგრძობდა მუშაობას თავის ადგილზე, მაგრამ ჯაჭვის რგოლი ჩაწყდა რამდენიმე თვით და „პასუხისმგებლობის“ საკითხიც მკაცრად დადგა.

შვიდი წლის პატიმრობის შემდეგ, ერთ დღეს პეტრეს ციხეში ენვია მისთვის უცნობი პიროვნება და გადასცა ასეთი ამბავი: „შენთვის კარგად ცნობილი პავლე (შუამავალი) ავტოკატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა. ექიმებმა ვერ შესძლეს მისი გადარჩენა. სიკვდილის წინ მთხოვა გადმომეცა, რომ შენი უბედურება მის კისერზეა.

მან იხარბა და მისატანი არ მიიტანა ადრესატამდე. მისი ბოლო სიტყვები იყო – „შევედრე, იქნებ მაპატიოსო“.

„...შევურიგდები ობლობას,  
მოსისხლე მტერსაც დავინდობ,  
ჭირსაც გავუძლებ, ოღონდაც,  
ლალატის ხმა არ გავიგონ.

ძველ ტანსაცმელსაც ავიტან,  
მასაც – არ მეცვას ხალათი.  
სხვა არაფერი არ მინდა,  
მოწმეს ნუ გამხდით ლალატის.

ახსნას ვუპოვი სიყალბეს,  
ბნელსაც მივიჩვევ მიგნებით,  
შევურგდები სიხარებეს,  
ლალატის ვერ შევურიგდები...“

## ჰულოდისხეობები

აპლოდისმენტები ნიშნავს ტაშისცემას, ტაშისკვრას.

ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებენ ტაშისკვრის (ტაშის-ცემის) ხერხს, როდესაც სურთ გამოხატონ თავიანთი სიხარული, აღტაცება, მოწონება, შექებისა თუ წახალისების სურვილი და ა.შ. ერთი კი მაინც საინტერესოა – ვინ, როდის, ან რა ვითარებაში განსაზღვრა, რომ ტაშისკვრა ყოფილიყო ჩამოთვლილი გრძნობების გამომხატველი?! თუმცა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ ძველთაგანვე შევეჩვიეთ, დიახ, შევეჩვიეთ ტაშისკვრას, თორემი იგი სულაც არ გახდავთ ბუნებისგან თანდაყოლილი აუცილებელი რამ (ვინმეს რომ დაედგინა აღტაცების გამოხატვა თავში ორივე მუშტის შემოხლით – იმასაც შევეჩვეოდით და სულაც არ იქნებოდა გასაკვირი). ისიც ფაქტია, რომ გამონაკლის შემთხვევებში, გამოიყენება ისეთი რაღაცები, როგორიცაა: მალაყი, მუცლით გაცურება მწვანეზე (ფეხბურთელები), ფეხების ბაკუნი, ტაშისკვრასთან ერთად ხმამაღალი შეძახილები (ე.წ. ოვაციები), გადახვევა-გადაკოცნა,

ლოყაზე ხელის შემოცაცუნება სიტყვიერი შექებით, ადგილზე ხტო-  
მა და ა.შ. (მინახავს კაცი, რომელიც გაშლილი თითებით უკრავდა  
ტაშს – ესეც გამონაკლისია).

ტაშისკვრას განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა კომუნისტური  
წყობის დროს. შეკრებებზე მივყვდით ძალით, ტაშს გვაკვრევინებდ-  
ნენ ძალით... არ წახვიდოდი, არ დაუკრავდი და მოგნათლავდნენ  
ანტისაბჭოთა ელემენტად. ჰოდა, ჩვენც შევეჩვიერ იმდენად, რომ  
ტაშისკვრა მიგვჩნდა ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად.

გვახსოვს, ალპათ, რომ მაშინდელი გაზეთების პირველ (აუცილებ-  
ლად) გვერდზე იქნებოდა ხოლმე ამა თუ იმ მაღალი პარტიული  
ბოსის გამოსვლა (მოხსენება, სიტყვა), რომელიც, როგორც წესი,  
მთავრდებოდა ხოლმე ფრჩხილებში მინაწერით, მხოლოდ სხვადასხ-  
ვა სიძლიერის სიტყვებით. მაგალითად, თუ ორატორი იყო მოკავ-  
შირე რესპუბლიკის ლიდერი, მაშინ – ხანგრძლივი ტაში, თუ იყო  
საკავშირო მინისტრი, ან ცენტრალური კომიტეტის მეორე მდი-  
ვანი, მაშინ – ხანგრძლივი, ძლიერი ტაში) და ბოლოს გენერალური  
მდივნის შემთხვევაში – ხანგრძლივი, ძლიერი ტაში, ოვაციებით.

დღეს, ვფიქრობ სასიკეთოდ იცვლება ყველაფერი და ეს ძალიან  
კარგია... ადამიანს თავისუფლად უნდა შეეძლოს თავისი შინაგანი  
განწყობილების გამოხატვა ამა თუ იმ გზით, მათ შორის – ტაშის-  
კვრით. თუმცა, ჩვევა იმდენად ძლიერია, რომ მისგან თავის დაღწევა  
არ არის იოლი და ძალიან ხშირად იქ ვუკრავთ ტაშს, სადაც საამი-  
სოდ არაფერი მომხდარა (თუმცა ინდივიდს გააჩნია) და იქ არ გვახ-  
სენდება – სადაც ამის აუცილებლობა აშკარად ჩანს (ეს გემოვნების  
და ტაქტის ამბავიც გახლავთ).

დღეს ხშირად ვხედავთ, თუ როგორ ცდილობენ პროგრამების  
თუ თავყრილობების წამყვანები პროცესების მეტი დინამიურობის  
მინიჭებისა და ე.ნ. ენერგეტიკის ამაღლების მიზნით, როგორ მოუ-  
წოდებენ მაყურებელს აპლოდისმენტებისაკენ.

უაზრობად მიმაჩნია ტაშისკვირსკენ მოწოდება. მთავარია ადამი-  
ანს უჩვენო ისეთი რამ, რაც მასში გამოიწვევს სიხარულს და აღტა-  
ცებას – დანარჩენს თვითონ მიხედავს.

აქვე ვიტყვი, რომ ტაშს უკრავენ ძირითადად (შიგადაშიგაც შეი-  
ძლება – გააჩნია რისთვის და როდის) ამა თუ იმ მოვლენის, ფაქ-  
ტის (მუსიკალური წარმოების, სპექტაკლის, სიტყვით გამოსვლის

და ა.შ.) დამთავრების შემდეგ, მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ტაშს შემოჰკრავენ ხოლმე უადგილო ადგილზე, როცა ვერ გებულობენ – დამთავრდა თუ არა ესა თუ ის მოვლენა. ასეთი რამ ხშირად ხდება. ურთულესი კლასიკური მუსიკის შესრულების დროს, როდესაც რიგითი მსმენელი ვერ სწვდება (უბრალოდ, არ იცის) ნაწარმოების ნიუანებს (სიღრმეს).

სამწუხაროდ, ტაშისკვრა ხშირად გამოიყენება, როგორც მილაქუცების, „კუდის ქიცინის“, მაამებლობის, „ფსევდომსარდაჭერის“, თუ „ფსევდოალტაცების“ იარაღი (მავანი შესაბამის ადგილსაც შეარჩევს დარბაზში, გაიქაჩ-გამოიქაჩება – „დამინახე, აქა ვარ და ნახე როგორ გიკრავ ტაშო“).

კარგად მახსოვს ერთი ამბავი, რომლის თვითმხილველიც გახლდით. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ქ. თელავში ელოდებოდნენ პარტიის რაიკომის ახალი პირველი მდივნის დანიშვნასთან დაკავშირებულ წარდგინებას.

თეატრის დარბაზი სავსე იყო (მაშინდელი ტერმინოლოგით) მუშების, გლეხობის და ინტელიგენციის წარმომადგენლებით. დაძაბული, ხელოვნურად შექმნილი მოლოდინის რეჟიმის პირობებში, როგორც იქნა გამოჩნდნენ ისინი, ვისაც ადგილი უნდა დაეკავებინა სცენაზე ე.წ. პრეზიდიუმში. იგრიალა ტაშმა. შეზანზარდა დარბაზი. უკანა რიგებში მსხდომებმა დაიგრძელეს კისრები. დარბაზს ნიავივით გადაუარა სიტყვებმა: „ნეტა რომელია“?

ვიღაცებებმა ილაპარაკეს: გეგმების შესრულებაზე, ხარისხიან ღვინოზე, პერსპექტივებზე, კადრების შერჩევაზე, შრომით გმირობაზე და ა.შ. და ა.შ. (შიგადაშიგ ისმოდა ტაში).

მერე, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა, სიამაყითა და რაღაცნაირი გამარჯვებულის პათოსით, ხმამაღლა განაცხადა:

„ახლა კი, წება მომეცით, წარმოგიდგინოთ თქვენი რაიკომის ახალი პირველი მდივანი, თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის აქტივისტი ამხანაგი თ.პ.“.

იგრიალა ტაშმა. სამასზე მეტი ადამიანი ფეხზე წამოხტა და წარმოუდგენელი სიხარულითა და ენერგიით უტყაპუნებდა ხელის-გულებს ერთმანეთს. ისეთი ყიუინა და ხმაური ატყდა, რომ ბროლის ჭალის ლოლუებმა წიკნიკი დაიწყო.

თ.პ. მივიდა ტრიბუნასთან და რაღაცნაირი გაბრაზებული თუ გალიზინებული ხმით მიმართა დამსწრეთ:

„რისთვის მიკრავთ ტაშს, როცა არ მცნობთ?! რა ტაშისკვრა აგი-ტყდათ; საერთოდ წარმოდგენა არა გაქვთ ვინ ვარ, რა გამიკეთებია, ან რა შესაძლებლობები მაქვს... რისთვის, რა დამსახურებისთვის მეგებებით ასეთი ოვაციებით, მე ხომ ჯერჯერობით არავითარი დამსახურება არ მიმიდლვის თქვენს წინაშე?!!“

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო კახელებს, ყველა უჩუმრად დაეშვა სკამზე. დარბაზს გადაუარა ახალმა ჩურჩულმა – „ეს დიდ-ხანს ვერ შერჩება თანამდებობასო“.

ე.ნ. პრეზიდიუმშიც გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს უაზრო ტაშისკვრის მოყვარულებმა.

## თამაზა და თამაზობა

თამაზა და თამაზობა განუყრელად არის დაკავშირებული სუფ-რის (პურის საჭმელად მოზადებული მაგიდა, რომელიც განყობილია სათანადო წესრიგით, ჭურჭლით და კერძებით) ხელმძღვანელობასა და შესაბამის გაძლილასთან.

ქართული ძირძეველი ტრადიციების მიხედვით, თამადას გააჩნია მნიშვნელოვანი უფლება-მოვალეობები და სწორედ ამიტომ თამადის შერჩევას ყოველთვის აქცევდნენ და აქცევენ დიდ ყურადღებას.

შეიძლება ითქვას, რომ დამთავრებული მაქვს „ქართული სუფრის აკადემია“, ვინაიდან, დაახლოებით 10-12 წლის ასაკიდან ერთგულად ვემსახურებოდი სუფრის (პურმარილის) განყობისა და წარმართვის „ხელოვნებას“, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ორი მიზეზით.

შვიდი წლის ასაკში (1940 წ.) გარდამეცვალა დედა და ოჯახი ხუთი წლის განმავლობაში დარჩა დიასახლისის გარეშე. მყავს და, რომელიც მაშინ სულ ორი წლის იყო და მისი აღზრდა-პატრიონბა, ისევე როგორც ჩემი, მინდობილი იყო ნათესავებსა და მეზობლებზე. სწორედ იმ წლებში მეტნაკლებად ვისწავლე ოჯახური საქმიანობის წარმოება და მოწესრიგება.

მამაჩემი სატყეო მეურნეობის დირექტორი იყო ომის წლებში (1941-1945) და შემდგომი 8 წლის განმავლობაში (დანგრეული და გაპარტა-ხებული უზარმაზარი ქვეყნის, სსრკ-ს, აღდგენისა და აღორძინების

პროცესების აქტიური თანამონაწილე გახლდათ), ამიტომ ძალიან იყო დაკავებული და შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის მოვლა-ბატრონობის მთელი ტვირთი ჩემი ასაწევი იყო. ჩემთვის სასიხარულო და საინტერესო იყო ყოველი შაბათ-კვირა, როდესაც მამაჩემი, თავის 3-4 ძმაკაცთან ერთად, შემოუსხდებოდნენ ხილმე მამაკაცურ ყაიდაზე გაწყობილ მოკრძალებულ სუფრას და გრძელდებოდა (განსაკუთრებით ჩემთვის) „აკადემიის“ ლექციები და სემინარები.


როგორც წესი, სუფრას უძლვებოდა მამაჩემი – გამორჩეული განათლებულობით და ქართული ადათ-წესებისა და სუფრის გაძლოლის ტრადიციების კარგი ცოდნით. ასეთი შეხვედრების დროს ჩემი ამოცანა იყო: სუფრის გაწყობა, ღვინის ჩამოსხმა-მიტანა და მწვადის შეწვა. დანარჩენ შემთხვევებში ვიჯექი სუფრასთან შორი-ახლოს და სმენად ვიყავი გადაქცეული.

რაც მე იმ წლებში, იმ პურმარილებზე მაქვს მოსმენილი, დღემდე არ მავიწყდება და უფრო მეტიც – ვსარგებლობ ყოველთვის, როცა ამის საჭიროება არსებობს.

მამაჩემმა სუფრასთან პირველად დამსვა, როცა გავხდი 17 წლის (1950) და მომცა საშუალება ჩემებურად განმევითარებინა წარმოთქმული სადღეგრძელო, ანუ პრაქტიკულად განმემტკიცებინა „ქართული სუფრის აკადემიაში“ მიღებული თეორიული ცოდნა.

„პრაქტიკული“ მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, რაღა თქმა უნდა, ვბაძავდი მამაჩემს და მის ძმაკაცებს, მაგრამ მერე თანდათან ჩამომიყალიბდა ჩემებური მიდგომები. შეიძლება ითქვას, რომ ერთდროულად დავამთავრე საშუალო სკოლა და „სუფრის აკადემია“ (1951).

მეთერთმეტე კლასში უკვე ჩემი ძმაკაცების გუნდი მყავდა და თვეში ერთხელ ან ორჯერ ჩავდიოდით ერთ-ერთი ძმაკაცის პაპის (საბა სეხნიაშვილი) დუქანში.



ძალიან კეთილი კაცი იყო. ყოველთვის სიხარულით გვხვდებოდა და არაფერს იშურებდა ჯიბეთხელი ჭაბუკებისთვის, ისე რომ გავიარე ერთნლიანი სადუქნე „კურსებიც“.

რამდენიმე ამონარიდი ლექსიდან „საბას სარდაფში“ („ნოსტალგია“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2010 წ.).

„...საბა პაპა სუფრის თავში  
დადგებოდა, როგორც ღმერთი,  
რკინა ულერდა დაბალ ხმაში –  
ინყებოდა „ალავერდი“...“

„...გვასწავლიდა: სუფრის ადათს,  
ლვინის დასხმას, სიტყვის სმენას,  
საფუძლიან თქმას და კამათს,  
რაინდობას, ჭირთა თმენას,

მომავალთა მოსაწონად  
აშენებას და კეთებას,  
წასულების მოსაგონრად,  
პურზე ლვინის დაწვეთებას,

მეგობრების, მეზობლების  
დაფასებას, შეყვარებას,  
საცხოვრისო შარაგზების  
გარჩევას და შედარებას...“

„...დავვაჟუაცდით ჩვენ დროულად  
(ასეთია უამთა რბოლა),  
სკოლის კურსთან ერთდროულად,  
დავამთავრეთ საბას „სკოლაც“...“

დიდად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, ალბათ, ათასზე მეტ პურმარილზე (დიდზე თუ პატარაზე) ვარ ნამყოფი და თამადაც ხშირად ვყოფილვარ, ანუ საკმაო სტაჟი გამარინია, რაც მაძლევს საშუალებას, რომ გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები იმის თაობაზე თუ: ვინ შეიძლება იყოს თამადა, როგორი უნდა იყოს იგი სუფრის წევრებთან ურთიერთობაში და როგორ უნდა დაინყოს და როდის ან როგორ უნდა დაამთავროს ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივი საპურმარილო ცერემონიალი.

დავინტერ იმით, რომ ქართული სუფრა მრავალფეროვანი და მრავალდანიშნულებიანი გახლავთ და ყველა შემთხვევაში საჭიროებს სპეციფიკურ მომზადებას და შესაბამის წარმართვას. ქართული სუფრა იმართება ძირითადად შემდეგ შემთხვევებში: ნიშნობა, ქორწილი, ძეობა, დაბადების დღე, მრგვალი საოუბილეო თარიღი, სასწავლებლის დამთავრება, სამხედრო სამსახურში გაცილება და იქიდან დაბრუნება, რაიმე მნიშვნელოვანი წოდების, პრემიის ან ჯილდოს მიღება, სამსახურებრივი დაწინაურება, სახელმწიფო დღე-სასწაულები, საეკლესიო დღეები, ნიძლავის მოგება-წაგება, სპორტული გამარჯვებები, მეზობლური ურთიერთობები, ე.ნ. „ნემეცკი სჩიოტი“, საინტერესო გაცნობის აღმნიშვნელი, გვარის წარმომადგენელთა შეხვედრა, ნებისმიერ შეჯიბრში (ბრძოლაში) გამარჯვება, საახალწლო ზეიმი, მიცვალებულის საპატივსაცემად (ლმერთმა ყველას აშოროს), წიგნის გამოშვება და წარდგინება, მშენებლობის დამთავრება, ავტომანქანის შეძენა და მრავალი სხვა.

ყველა ჩამთვლილ შემთხვევაში სუფრას ხელმძღვანელობს თამადა, რომელსაც ირჩევენ სუფრის ხასიათიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე. 5-6-კაციან სუფრას დაბალ ხმაზე მოსაუბრე თამადაც გაუძლვება, მაგრამ ხალხმრავალ სუფრას მჭექარე ხმისა და კარგი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული თამადა სჭირდება. სამხიარულო და სამგლოვიარო სუფრებს სხვადასხვანაირი გაძლოლა სჭირდება.

ყველა შემთხვევაში სასურველია, რომ:

1. თამადა იყოს განათლებული და გათვითცნობიერებული;
2. შეეძლოს სუფრის მართვა ტრადიციების შესამაბისად;
3. დაჯილდოებული იყოს ორატორული ნიჭით და თავისი მჭევრმეტყველებით შესძლოს ყურადღების ცენტრში ყოფნა და სუფრის წევრთა დაინტერესება;
4. შეეძლოს ლექსის კითხვა, სიმღერა, ცეკვა;
5. წარმოთქვას სიტუაციის შესაბამისი სადღეგრძელოები და თავი აარიდოს ტრაფარეტულ მიდგომებს და მიმდევრობას;
6. გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება მანდილოსნების მიმართ და მინიშნებით (საკუთარი მაგალითით) სხვასაც მოუწოდოს საამისოდ;
7. კარგად გათვალის სუფრის დამთავრების მომენტი;

8. არ შესთავაზოს (მითუმეტეს არ დააძალოს) სუფრასთან დაგვიანებულს დიდი (ან რამდენიმე) სასმისი „ჩამორჩენის“ საკომპენსაციოდ;

9. სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება მისცეს სუფრის სხვა წევრსაც, თუ ამის სურვილი ექნებათ.

10. ქუჩამდე გააცილოს სუფრიდან ადრენასული წევრები;

11. ნაკლებად (ან საერთოდ – არ) ილაპარაკოს თავის თავზე და შესაძლებლობებზე;

12. სისტემატურად აკონტროლოს ყოველი სიტყვა და ქცევა, რათა არ დაუშვას მცირე კონფლიქტიც კი;

13. პატივისცემა და დიდი ყურადღება გამოავლინოს სუფრის უხუცესი წევრების მიმართ;

14. თავი აარიდოს შენიშვნებს და ქილიკს (განსაკუთრებით ბილნ-სიტყვაობას) იმ ადამიანების მისამართით, რომლებიც არ არიან სუფრასთან;

15. თუ სუფრას ესწრებიან მომავალი თაობის წარმომადგენლები – წარმოთქვას რამდენიმე დიდაქტიკური ხასიათის სადღეგრძელო საკუთარი გამოცდილების დემონსტრირების გარეშე და ა.შ.

ვფიქრობ, საკმარისია, რაც ჩამოვთვალე, თუმცა, მოსაზრებები კიდევ ბევრია. ყველაფერი გემოვნების საკითხია და როგორც ვიცით „გემოვნებაზე არ კამათობენ“.

ზემოთ ვახსენე, რომ თამადად ხშირად ვყოფილვარ-მეთქი და, ბუნებრივია, ჩამომიყალიბდა სუფრის გაძლოლის „ჩემებური“ სტილი, კერძოდ:

- თუ სუფრა ოჯახშია გაშლილი, თამადა უნდა იყოს ოჯახის უფროსი, ან რომელიმე წევრი (იშვიათი გამონაკლისის გარდა);

არასწორად მიმაჩნია, როდესაც თამადობას შესთავაზებენ და სთხოვენ მაღალჩინოსან სტუმარს (ვინც უნდა იყოს!). ეს არის მლიქვნელობის, ლაქუცისა და მაამებლობის სურვილის ნიშანი.

- ოჯახგარე სუფრის თამადა კი შეიძლება იყოს ნებისმიერი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ თვისებებს და რომელსაც შეარჩევენ თავად სუფრის მონაწილენი;

- არ მიყვარს, როდესაც თამადობის შეთავაზებაზე ამბობენ უარს (სხვადასხვა რაღაცების მომზეზებით).



გასაგებია, რომ თამადობას თან ახლავს გარკვეული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა და, რაც მთავარია, დიდი პასუხისმგებლობა, მაგრამ თამადობაზე უარის თქმით უხერხულ მდგომარეობაში ვარდება შემომთავაზებელი – იგი იძულებულია სხვას შესთავაზოს თამადობა. ის „სხვა“ ფიქრობს – „აპა, იმან რომ უარი გითხრა, ეხლა გაგახსენდი?!“ და უარს ამბობს (ქართული მენტალიტეტის სამარცხვინო შტრიხი). უფრო მეტი „მოტივაცია“ უჩნდება მესამეს – „სხვები ჩემზე უკეთესები გეგონა, არა?! არ შემიძლია, მალე უნდა წავიდე“ და ა.შ.

ასე მოხდა ჩემი 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ სუფრაზე რესტორან „ალავერდში“. სამშა კაცმა უარი თქვა თამადობაზე. არ ვამტყუნებ, რადგან თავისუფლება სურდათ, მოლხენა და გართობა სწყუროდათ და თავი აარიდეს მძიმე და დამღლელი მოვალეობის შესრულებას, თუმცა, მე მიმაჩნია, რომ კარგი თამადა (ამ სიტყვის სრული გაგებით) არც უნდა დაიღალოს და არც სხვაზე ნაკლებ გაერთოს და იმხიარულოს. ბოლოს მე ვითამადე და როგორც მეორე დღეს მითხრეს – კარგადაც.

- არასდროს ვაძალებ სუფრის წევრებს ღვინის სმას. არასდროს მიმიცა შენიშვნა: „რატომ გამოტოვე“, „რატომ პოლომდე არ სცლი“ და ა.შ. ვისაც როგორ და რამდენიც უნდა, ისე მიირთვას;

- უზნეობად მიმაჩნია შემოსწრებულს მიემართო: „ჩვენ უკვე ამდენი დავლიეთ, აბა, შეუვსეთ დიდი სასმისი, დაგვენიოს, აბა მიდი, გისმენთ“.

მივესალმები, ადგილს მივუჩენ და ვაგრძელებ „ჩემ“ საქმეს. ცოტახანს საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას – რამდენიც უნდა ჭამოს და რამდენიც უნდა დალიოს, ოლონდ არ მივცემ უფლებას გარკვეული დისონანსი შეიტანოს სუფრის მიმდინარეობაში.

- ვცდილობ სუფრა წავიყვანო არაორდინალური, ექსპრომტული ხასიათის სადღეგრძელოებით. არ ვიცავ ე.წ. მიმდევრობითობას (გარდა სამგლოვიარო სუფრის შემთხვევისა) – „ჯერ ეს უნდა ეთქვა“, „ჯერ ის უნდა ედღეგრძელებინა“ და ა.შ.

- გაზეპირებული სადღეგრძელოები, გამოთქმები და სიტყვები არ მჩვევია, ყველა სადღეგრძელო ყალიბდება და წარმოითქმება თათარიახნად, სიტუაციიდან და სუფრის „ტემპერატურიდან“ გამომდინარე.

- სადღეგრძელოების ეფექტურობის გასაძლიერებლად ყოველთვის ვცდილობ ჩემი და სხვისი ლექსების წაკითხვას.

- სუფრიდან სუფრამდე იშვიათად ვიმეორებ ერთიდაიგივე სადღეგრძელოს, გარდა სამისა:

- უფლის დიდება (დასაწყისში)

- დედის სადღეგრძელო (წინა ნაწილში)

- ყველა წმინდის (ფინიშზე)

- სადღეგრძელოებს შორის ინტერვალებში სუფრის წევრებს ვანიჭებ სრულ თავისუფლებას, მაგრამ ვერ ვიტან და საშინალად მაღიზიანებს (სადღეგრძელოს დროს) უყურადღებობა და ხმაური.

- თავს ვიკავებ პერსონალური სადღეგრძელოებისგან (გარდა: იუბილარი, გამარჯვებული, სიძე-პატარაძელი, ახლადშობილი და მისი მშობლები, დაჯილდოებული, ჩემპიონი, უცხო სტუმარი და ა.შ.).

სუფრის შუა ნაწილში ყველას (ჩემი ჩათვლით) ვადღეგრძელებ

ერთად და განსაკუთრებული სიტყვებით. ამ გზით თავიდან ვიცილებ (ვცდილობ) ყოველგვარ არახმამაღლა გამოხატულ, მაგრამ ყველას გულში მბორგავ ფიქრებს: „აპა, ჩემზე ადრე ადლეგრძელა“, „იმის სადლეგრძელო დაავიწყდა“, „ნეტავ, ჩემზე რას იტყვის“, „ნეტავ, რითო დაიმსახურა ასეთი შექება“, „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ და ა.შ. (ისევ ქართული მენტალიტეტის შტრიხებიდან გამომდინარე).

- ყოველთვის ვცდილობ სიმღერის წამოწყებას და სხვების აყოლებას, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის.

- მივესალმები ჯანსაღ იუმორს.

- მანდილოსნებს ვუთმობ უპირატეს ყურადღებას. ხშირად ვიყენებ კომპლიმენტებს.

- არ მიმაჩნია აუცილებელ მოთხოვნად, რომ თამადა უნდა იჯდეს მაინცდამაინც სუფრის თავში.

მთავარია თამადობა და სუფრის გაძლილა შეგეძლოს და სადაც გინდა, იქ იჯექი, თუნდაც იქ, სადაც ორი მაგიდაა მიდგმული ერთმანეთთან და მათი ფეხების წყვილი მოქცეულია შენს ფეხებს შორის.

- საკუთარ სახლში პურმარილს ვაგრძელებ მაქსიმალურად დიდ-ხანს, რათა სტუმრებს მივცე საშუალება კარგად გაერთონ, დატკბნენ ერთმანეთის ხილვით და საინტერესო მოგონებებით. ამ დროს მაქსიმალურად ვიყენებ: საკუთარ ლექსებს და გიტარას.

სხვის ოჯახში თამადობის შემთხვევაში, ვცდილობ ლხინი არ გადაიზარდოს ხმაურსა და ქაოსში და დროულად დავემშვიდობო დიასახლისს.

- იშვიათად ვსარგებლობ ე.წ. განსხვავებული სასმისებით.

- მტკივნეულად განვიცდი: სიტყვის შეწყვეტინებას, არმოსმენას, ღორულ (დახარბებულ) ჭამა-თქვლეფას და ერთდროულად ლუკმის ლეჭვასა და საუბარს, როცა ნამცეცები სცვივათ პირიდან.

ადამიანი ყველგან და ყოველთვის უნდა ცდილობდეს ეთიკის ნორმების დაცვას.

## სიგარეტის ფილტრი

დაახლოებით 15-16 წლის წინ, საქართველოში მასშტაბური ხასიათი მიიღო ვირუსული ხასიათის, რაღაც ტიპის გრიპმა. ქვეყანა ეპიდემიის საფრთხის წინაშე იდგა.

**გვაფრთხილებდნენ:** მოვრიდებოდით თავშეყრის ადგილებს, გვეტარებინა პირბადე, ხშირად დაგვებანა ხელები, ხშირად მიგვეღო ლიმონი თუ ნიორი, ამა თუ იმ სიმპტომის გამოჩენისთანავე მიგვემართა ექიმისთვის და ა.შ.

მკაცრად ვიცავდი რა რეკომენდირებულ რჩევებს, მივაგენი თავდაცვის კიდევ ერთ საშუალებას.

მოგეხსენებათ, რომ სიგარეტები ჩაწყობილია ფილტრებით ზემოთ. გახსნით თუ არა კოლოფს, მაშინვე დაინახავთ აკურატულად განლაგებულ თამბაქოსფერ (არის თეთრიც, არის შავიც – მაგ. „ფილიპ მორისი“) ფილტრებს, ანუ სიგარეტის იმ ნაწილს, რომელსაც პირში ვიდებთ.

თამბაქოს არცერთი მწეველი უარს არასდროს ეუბნება სიგარეტის მთხოვნელს (თამბაქოს მწეველები განეკუთვნებიან ადამიანთა იმ „პროფესიას“, რომლებსაც ერთმანეთი არ ეჯავრებათ და ერთმანეთში კონკურენტს ვერ ხედავენ; განსხვავებით კალატოზე-ბისგან, მენაღებისგან, მებაღებისგან, ზეინკლებისგან და ა.შ.). ასე ვიქცევი მეც და მსიამოვნებს კიდეც.

ვიცი კიდეც ორი-სამი სტაჟიანი მთხოვნელი (დღეს, სამწუხაროდ, მომრავლდნენ ისინი), რომლებსაც, დავინახავ თუ არა, რომ შემხვედრად მოდიან, წინასწარ ვამზადებ და ვაწოდებ სიგარეტს მისალმებასთან ერთად. ამით მათ ვანთავისუფლებ სამარცხვინო თხოვნისგან.

ეპიდემიის მოსალოდნელი საფრთხის პირობებში ერთმა უცნობმა (ქუჩაში უსაქმოდ მოჩაღიჩემ) მთხოვა სიგარეტი. მაშინვე გავხსენი კოლოფი და გავუნოდე.

მან, თავისი ტურტლიანი თითები დიდხანს უცაცუნა ფილტრებს (მოგეხსენებათ, ძნელია სავსე კოლოფიდან ერთი ლერის ამოლება), ხან ერთს შეეხო, ხან რამდენიმეს და როგორც იქნა ამოილო. რომ იტყვიან – თითები შეიწმინდა ფილტრებზე, რომლებიც მე პირში უნდა ჩამედო.

მაშინ მივიღე გადაწყვეტილება და თითქმის 15 წელია, რაც კოლოფის გახსნისთანავე სიგარეტებს ვიღებ და თავდაყირა ვაწყობ, ანუ ფილტრებით ძირს.

რამდენიც უნდა უცაცუნონ მთხოვნელებმა თავიანთი თითები სიგარეტის იმ ნაწილს, რომელსაც მალე ცეცხლი უნდა წაეკიდოს.

არ ვიცი, რამდენად გავაძლიერე საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია – ეს წესი ჩვევაში გადაიზარდა, რითაც ჯერ კიდევ ვიწვევ ბევრის გაოცებას.

„...ნიკოტინს აქვს ცხრა მინუსი?!  
ფილტვში გრჩება კვალი,  
დაემატა თუ ვირუსიც,  
ვაი ჩვენი ბრალი...“

## ჩვენი ცოდნა

რასაც ახლა მოგახსენებთ, ალბათ, განეკუთვნება უცნაურ და არაორდინალურ მოვლენათა სფეროს. საქმე კი იმაში გახლავთ, რომ თითქმის 70 წელია, რაც ვიწონი მხოლოდ 55 კილოგრამს (ზამთრის თვეებში მემატება 400-500 გრამი, ხოლო ზაფხულში მაკლდება დაახლოებით იგივე წონა). ასე რომ, მამაკაცთა შორის გახლავართ საკმაოდ მცირებნინანი, რაც, სიმართლე რომ ითქვას – სრულებით არ მიშლის ხელს და არც არაფრით მაწუხებს.

ყველაფერი კი დაიწყო 1951 წლის 2 ივნისს, როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატები გადმოგცეს (ქ. თელავის ვაჟთა მე-2 სკოლა) და ყველანი წაგვიყვანეს პირდაპირ სამხედრო კომისარიატში რეგისტრაციისთვის.

გაგზომეს, აგვინწეს, ტერთუები შეგვიმოწმეს, კბილები მოგვის-ინჯეს და ა.შ. ჩემს სიცოცხლეში პირველად მაშინ ამწონეს და პირველად მაშინ გავიგე ჩემი წონის შესახებ, მაგრამ 55 კილოგრამი მაშინ არავის გაპევირვებია, რადგან ვიყავი 18 წლის სუსტი აღნაგობის ყმანვილი, ვთამაშობდი ყველა ჭაბუკურ თამაშებს, რაც კი მაშინ არსებობდა თელავში („მრგვალი ვირი“, „გრძელი ჯორი“, ლახტი და სხვა), ვიყავი სპორტსკოლის ფეხბურთელი, ვნადირობდი,

ვთევზიაობდი, ვბარავდი, ვთოხნიდი და ვუვლიდი ბალ-ბოსტანს და ა.შ. მოკლედ, საკმაოდ მოძრავი გახლდით.

ის დღე კიდევ ერთი რამით დამამახსოვრდა. როცა ამწონეს და დააფიქსირეს „ორი ხუთიანი“, კომისარმა შემომხედა და სთქვა: „თუ სკოლაშიც ხუთიანები გაქვს, ძალიან კარგი იქნება“.

„კი, როგორ არა“ – ნამოიძახა ჩემმა ერთ-ერთმა თანაკლასელმა, აიღო ჩემი ატესტატი და კომისარს მიაწოდა.


ოჰო, აი ატესტატი – ნამოიძახა ხნიერმა, ნაომარმა მაიორმა და დაინტყო ხუთიანების თვლა.

აქ თექვსმეტი ხუთიანი გინერია. ეს შენი წონის ორი ხუთიანიც მივამატოთ, სულ გამოვა თვრამეტიო. სთქვა ეს, მომიახლოვდა, მო- მილოცა, გადამეხვია და მისურვა – სულ ხუთიანებით გეარისო და მეც, იმ დღიდან, უკვე თითქმის 66 წელია დავდივარ სხეულის წონის ორი ხუთიანით.

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, 86 წლის გახლავართ და ჩემი სხეულის წონა კვლავ ორი ხუთიანის ფარგლებშია.

ახლა, ორიოდე სიტყვით მსურს მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება ამ უცნაური წონის გამო.

ვფიქრობ, რომ ჩემი წონის ფორმირებას და ხანგრძლივ სტაბილურობას ხელი შეუწყო და მნიშვნელოვნად განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:



- გენეტიკური მემკვიდრეობა (ნაწილობრივ).
- ჩქარი სიარული (ვენერვიულობ, თუ ვიწრო ტროტუარზე ჩემს წინ ვიღაც მიბაჯბაჯებს, ფეხბურთელივით გვერდს ვუვლი ხან მარცხნიდან და ხან მარჯვნიდან).
- ჩემთვის გორში არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ყოველგვარი დაფიქრებისა და დაღლის გარეშე ფეხით მივდივარ კვერნაქიდან კომბინატის დასახლებაში, წმინდაწყლიდან რკინიგზის სადგურში და ა.შ.
- ოჯახური საყიდლების საქმე ჩემს თავზე მაქვს აღებული და მეც დავდივარ (საკმაოდ სწრაფად) და ვყიდულობ.
- მადას ვუჩივი, მაგრამ ძალიან არ განვიცდი (მთელი დღე-და-მის განმავლობაში მიღებული საკვები არ აღემატება 600-800 გრამს, პურმარილზე ყოფნის შემთხვევების გარდა).
- 70 წლია, რაც თამბაქოს მწეველი ვარ, რაც, ალბათ, განაპირობებს ცუდ მადას. თუმცა, ერთხელ სამი თვით მივატოვე თამბაქო და წონაში მოვიმატე (მაღის „გაძლიერების“ გამო) სულ რაღაც ერთი კილოგრამით. გავიფიქრე: „რა მნიშვნელობა აქვს ვიქენები 55 თუ 56 კილო-მეთექი და მივუბრუნდი თამბაქოს.
- წყალი ბოლოს როდის დავლიე, კარგად არც მახსოვს (რასაც ნაღდი დალევა ჰქვია – რომ მოგწყურდება და დაეწაფები). მგონი ექსკურსიაზე ვიყავით სადღაც მთებში, დაახლოებით 35-40 წლის წინ. მაშინ ნაკადულის ცივი და ანკარა წყლით მართლაც ვიჯერე გული. დღეს კი რაიმე აბს დავაყოლებ ონკანის 2-3 ყლუბ წყალს. ეგ არის და ეგ. საერთოდ არ მაქვს წყალზე მოთხოვნილება, სამაგიეროდ ვსვამ (რაც, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის წყალს) ღვინოს, ღუდს, არაყს, შამპანურს, მინერალურ წყალს (იშვიათად და ისიც პურმარილზე) და ბევრი რაოდენობით ჩაის (თითქმის არც რძე დამილევია ბავშვობის შემდეგ).
- ვერ ვიტან (ვერ ვახერხებ) უსაქმოდ ჯდომას, იმდენად ვარ შეჩვეული ოჯახში ჩხირკედელაობას, რომ თუ არაფერია გასაკეთებელი – ჯერ გავაფუჭებ და მერე ვაკეთებ (აქ ღირს ჩაცინება).
- თუ შევამჩნიე, რომ ვინმეს სჭირდება დახმარება, დაუფიქრებლად და დაუყოვნებლივ ვეხმარები შესაძლებლობის ფარგლებში.

## გვასეის ერთმანეთის?

ადამიანების მუდმივი და ხანგრძლივი თანაცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ურთიერთგაგება. რამდენადც ღრმად და არსობრივად გვესმის ერთმანეთის, იმდენად მეტია ერთობლივი ქმედების, მოღვაწეობის წარმატების შანსი. ასეა სიყვარულში, შრომაში, ბრძოლაში, სპორტის კოლექტიურ სახეობებში, სწავლებისა და სწავლის პროცესში და ა.შ.

ურთიერთგაგებას, ხშირად, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ყოველდღიურ ცხოვრებაში და სიცოცხლის მთელ პერიოდში.

ადამიანების დეპრესიულ მდგომარეობაში ყოფნის ერთ-ერთ მიზეზად ხშირად გვევლინება სწორედ ურთიერთგაუგებრობა, ანუ ნებისმიერ ადამიანზე მტკიცნეულად მოქმედებს ის, რომ მისი არ (ვერ) ესმით, მას ვერ (არ) უგებენ. თუ ასეთმა მიდგომამ მიიღო სისტემატიური ხასიათი (დღეს, სწორედ რომ ზეიმობს ურთიერთგაუგებრობა, ადამიანებს აღარ ესმით ერთმანეთის, რაშის ჭერებით შემოიჭრა ჩვენში წარმოუდგენელი გულგრილობა, სრულ სვლაშია გამოთქმა „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი“), ადამიანი კარგავს იმედს, გული უცრუვდება ყველზე და ყველაფერზე და თანდათანობით თავად ხდება გულგრილი, უყურადღებო, გულდამძიმებული და იმედებგაცრუებული.

სამწუხაროა, რომ განათლებისა და განათლებულობის სრულმადეგრადაციამ ისევე, როგორც მატერიალური მდგომარეობის არნახულმა დაცემამ, საშინელი დარტყმა მიაყენა ადამიანების ურთიერთგაგების უნარს – აღარ გვცალია ერთმანეთისთვის, გვიჭირს ერთმანეთის გაგება, მთელი გონებით ვართ გადასული არსებობისათვის ბრძოლის პერიპეტიიბზე. მხოლოდ სულით ძლიერნი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები (რომელთა რაოდენობაც თანდათან სულ უფრო მცირდება, რადგან იზრდება მატერიალურად გაჭირვებულთა ოდენობა) ახერხებენ გაუმკლავდნენ ურთიერთგაუგებრობის საშინელ სენს. როდემდე?!

და მაინც, რა არის ურთიერთგაგება და ზოგადად – გაგება?!

ჩემი აზრით, სიტყვა „გაგებას“ რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს:

1) როცა ინტერესდები, მიიკითხ-მოიკითხავ და რაიმე, შენთვის საინტერესო ამბავს **გაიგებ** („როდის გადის მატარებელი“, „რომელი საათია“, „ნიკო როდის ჩამოდის“, „როგორ დამთავრდა მატჩი“ და ა.შ.).

2) სმენის ორგანოებით რაღაც ხმაურს **გაიგებ**, გაიგებ მხოლოდ ბერის გავრცელების მექანიკური სიხშირისა და ყურების ბუნებრივი მემბრანების შესაბამისი რეზონანსის წყალობით, ანუ **გაიგებ** ხმას და მრავალწლიანი შეგუებულობისა და ყოველდღიური ჩვევის გამო არ ინტერესდები მისი (ხმაურის) წარმოშობის მიზეზითა და მოსალოდნელი შედეგებით (ქუხილი, ავტომანქანის ხმა, ელმავლის კივილი, საათის წიკნიკი და სხვ).

დაბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი **გაგება**.

3) როდესაც ადამიანი გვესაუბრება თავისი ავ-კარგის შესახებ და შენ შეგწევს უნარი **გაიგო** მისი ნათევამი არა მხოლოდ მექანიკურად (ყურის ელემენტების საშუალებით), არამედ შინაარსით, მიზეზ-შედეგობრიობის გათვალისწინებით, გულთან ახლოს მიტანით, თანაგრძნობით და ტვირთის სიმძიმის გადანაწილების სურვილით და ა.შ.

ჩემი აზრით, **გაგების** პროცესი რომ გაადვილდეს, საჭიროა ადამიანმა შესძლოს შინაგანი ძალების მობილიზება, დაინტერესება და თავისი თავის წარმოდგენა მოსაუბრის ადგილზე, მის მდგომარეობაში.

სწორედ ასეთი უნდა იყოს, ჩემი აზრით, სიტყვა **გაგების** ყველაზე უფრო საინტერესო და აუცილებელი **გაგება**.

ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან.

მისალმებების ალბათ ოთხმოცდაათი პროცენტი ხდება ქუჩაში. შემსვედრად მოსიარულე ადამიანები სხვადასხვანაირად ესალმებიან ერთმანეთს: ხელის აქნევით, თავის დახრით, ხელის ჩამორთმევით, გადახვევა-ჩახუტებით, გადაკოცნით, ხელის მტევნების გადაჭდობით და მაღლა აწევით, შეძახილებით და ა.შ. ტრადიციული ქართული სიტყვები კი დაახლოებით ასეთია: „გაუმარჯოს“, „როგორა ხარ“, „სალამი“, „რას შვრები“, „სალამი და გამარჯვება“, „რასა იქ“, „ხომ კარგად ხარ“, „პეტრეს გაუმარჯოს“, „სალამი დიდებულ კაცს“, „როგორ გიკითხო“ და ა.შ. ზოგი რუსულსაც გამოურევს: „ზდრასტი“, „კაკ უიზნ“, „პაკა“, „პრივეტ“. არც იტალიურს ივიწყებენ – „ჩაო“.

მისალმებისას შეკითხვაზე „როგორა ხარ“ უმეტესად ვპასუხობთ ასევე ტრადიციულად დამკვიდრებული სიტყვებით „არა მიშავს რა“, „მადლობთ, კარგად“, „ისე რაა...“ „ნელ-ნელა“, „ღვთის წყალობით, კარგად“. ზოგი უსიტყვოდ, გამართულ ცერა თითს ასწევს ზევით – „აი, ასეო“, „ნელ-თბილად“, „კარგად, მტრის ჯინაზე“, „მე რომ მინდა, ისე არა, მტერს რომ უნდა, არც ისე“ და ა.შ. და ა.შ.

ათეული წლების განმავლობაში იმდენად შევეჩვიეთ ზემოაღნიშნული (და ზოგიერთი მსგავსი) სიტყვებით სარგებლობას, რომ უკვე ავტომატურად ვიყენებთ მათ და თითქმის ალარც ვაკვირდებით, თუ რას ვამბობთ ან რას გვპასუხობენ (შინაარსისა და არსის, ან ინტონაციის გათვალისწინებით).

რამდენიმე წლის წინ ჩავატარე ასეთი ექსპერიმენტი. ხუთი თუ ექვსი დღის განმავლობაში ვიარე ქალაქის ცენტრში და დაახლოებით ორას ადამიანს (ნაცნობს, ნაკლებადნაცნობს, ახლობელს, ძმაკაცს, მეგობარს და ა.შ.) მისალმებაზე და შეკითხვებზე, თუ „როგორ ხარ“, „რასა იქ“, „რას შვრები, როგორ არის ჯანმრთელობა“ („საქმეები“), ვპასუხობდი: „გმადლობთ, ცუდად“ ან „ვერა ვარ კარგად“ და ა.შ.

მოხდა საოცარი რამ (თუმცა არსებული დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე, ამას ველოდი). მხოლოდ ერთმა ადამიანმა მიაქცია ყურადღება ჩემს პასუხს. თხუთმეტიოდე მეტრის გავლის შემდეგ, შემოტრიალდა, წამომეწია, მხარზე ხელის დადებით შემაჩერა და მომმართა: „რაო, რა მითხარი, ცუდადა ხარ?! აბა, მითხარი რაშია საქმე, იქნებ რამეთი ამოგიდვე მხარში, არ მოგერიდოს, მზადა ვარ, თუკი რაიმეს შევძლებ“.

გულში სითბო ვიგრძენი, საამო შეგრძნებამ მოიცვა მთელი სხეული – ე.ი. ჯერ კიდევ არსებობენ ყურადღებიანი ადამიანები და ე.ი. ჯერ კიდევ აქვს აზრი სიცოცხლეს.

არადა, რა ცოტა რამ არის საჭირო საიმისოდ, რომ ადამიანს მივანიჭოთ შვება, ვაგრძნობინოთ თანადგომის სურვილი და კეთილი განწყობა, თანაზიარობა მისი ყოფისადმი.

\* \* \*

„...ბაქიბუქობს და რახრახებს  
უვიცი, ბრიყვი, უხეში,  
გაჭირვებულ კაცს ახარებს  
თბილი სიტყვა და ნუგეში...“

\* \* \*

„...ჩემს „ბაღნარში“ სხვისმა დარღმა  
„ძროხა“ თუ არ აძოვა,  
მაშინ დედამ რისთვის მზარდა,  
ძუძუ რისთვის მაწოვა?!.“

\* \* \*

„...ჩემი გარჯით თუკი მოყმეს  
დარდი შეუმცრიდება,  
ლმერთმა მეტი ძალა მომცეს,  
მადლობა არ მჭირდება...“

\* \* \*

„...საკმარისია ორიოდ სიტყვაც –  
გული სიამით თბება,  
ფრინის სიმცირე, მითხარით, ვინ სთქვას,  
მთავარი არის ნება...“

\* \* \*

„გულაჩუყება სულის არის ალბათ სიმდიდრე,  
გულგრილი კაცი ვერა გუობს ამა თვისებას,  
ლმერთო, მაღალო, გევედრები მარად იდიდე,  
შეგვაძლებინე სხვისი ჭირის გათავისება“. .

## **მისთვის ჩვეული, შეთვის უცხო, ან პირიძით**

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალაგზრდებს განათლების თითქმის ერთნაირი დონე აქვთ. რა თქმა უნდა, ნიჭიერმა და ბეჯითმა ოდნავ მეტი იცის და პირიქით – ზარმაცმა და ნაკლებად-ნიჭიერმა ოდნავ ნაკლები. ეს კი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ ასწავლიან ერთიდაიგივე პროგრამით და ერთიდაიგივე მეთოდიკით. ასეთ პირობებში ახალგაზრდები კარგად უგებენ ერთ-მანეთს (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

სულ სხვა სიტუაციასთან გვაქვს საქმე მას შემდეგ, რაც ახალ-გაზრდები ირჩევენ სპეციალობებს და სწავლას აგრძელებენ სხვა-დასხვა უმაღლესი რანგის სასწავლებლებში. ამ მომენტიდან იწყება მათი ცოდნის (დონისა და სპეციფიკის) განსხვავებულობის ეტაპი

და რაც უფრო „მაღლა“ (ასპირანტურა, დოქტორანტურა, აკადემია და ა.შ.) მიდიან, მით უფრო აშკარად იკვეთება ეს სხვაობა, თუმცა ზოგადი განათლების დონით ისინი კვლავ ახლოს არიან ერთმანეთთან.

წლების განმავლობაში, ამა თუ იმ პროფესიის სპეციალისტი, ამდიდრებს რა თავის ცოდნის მარაგს, თავის პრაქტიკაში იყენებს უამრავ ტერმინს თუ მცნებას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გაუგებარია სხვა პროფესიის ადამიანისთვის, მითუმეტეს ზოგადი განათლების დონეზე დარჩენილისათვის. სპეციფიკური ტერმინები კი, მოგეხსენებათ, უამრავი გააჩნია მეცნიერების ნებისმიერ დარგს (ასტრონომია, ფილოლოგია, ვეტერინარია, ავიაცია, მეტალურგია, გინეკოლოგია, მათემატიკა, ენათმეცნიერება, არქიტექტურა, ბიოლოგია და ა.შ.).

ხშირად შევსწრებივართ ფაქტს, როდესაც ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი ფართო აუდიტორიას ელაპარაკება პროფესიის შესაბამისი ტერმინოლოგიით, რაც, ხშირ შემთხვევაში ნაკლებად არის გასაგები ე.წ. „ფართო მასისთვის“, და რაც იწვევს გაუგებრობას და იმედგაცრუებას ორატორისადმი.

ხომ გვინახავს და მოგვისმენია ტელეარხის სტუდიაში მიწვეული ესათუის სპეციალისტი, როგორ გადმოაფრქვევს ხოლმე სპეციფიკურ ტერმინებს, მისითვის ცნობილ მცნებათა მარაგიდან. ტელეარხის კუნძული აჩერებს და სთხოვს – იქნებ ცოტა მარტივად ბრძანოთ, სხვა ენით აუხსნათ მაყურებელსო.

ისიც მინახავს, თუ როგორ მოსწონთ თავი ზოგიერთებს, როცა საუბრობენ მხოლოდ მათვის კარგად ნაცნობი და მრავალწლიანი პრაქტიკით გასისხლხორცებული სპეციფიკური ტერმინებით, მოსწონთ და ე.წ. თავის გამოჩენის მიზნით ხშირად მიმართავენ ამ „მეთოდს“, რაც საბოლოოდ ჩვევად ექცევათ ხოლმე.

ბევრ ასეთ შემთხვევას შევსწრებივარ და ბევრიც პირადად მე გადამხდომია. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, როდესაც ჩემს გათვითცნობიერებას ცდილობდნენ ზემოთნახსენები „მეთოდის“ წყალობით და მეც არ დავრჩი ვალში – გამოვიყენე იგივე „მეთოდი“ („მინიატურების აღლუმი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2009. 33 გვ.).

– ექიმო მეშვეობა რამე, რა დამინიშნეთ?!



— ამ პრეპარატის ანტიმიკოზურობა განპირობებულია კლოტრიმაზოლის, ზოგადად იმიდაზოლის მიერ ერგოსტერინის სინთეზის დარღვევით, რომელიც შედის უჯრედულ მემბრანაში, ინვევს ლიზისს. ეფექტურია დერმატოფიტების, ლიქენის ერითრიზმის გამოწვევების მიმართ. რეზისტენტობა კლოტრიმაზოლის...

ლამის თავპრუ დამეხვა. გაოცებულმა და გაოგნებულმა სუსტი ხმით მივმართე — ვერაფერი გავიგე-მეთქი.

გაკაპასებულმა შემომიტია:

— რა არის გაუგებარი, ყველაფერი კარგად აგიხსნით; უიმე, რა ხალხი მოდის...

ნარმოსთქვა ახალგაზრდა ექიმმა და ირონიით გადახედა გვერდითმჯდომ თეთრხალათიან ასისტენტს.

ძლიერს შევიკავე თავი, რომ არ ავთეთქებულიყავი ასეთი თავხედობის მომსწრე.

— როგორ ბედავთ თავხედობას?! ეს თქვენ „მოდიხართ“, ჯერ რომ დედის რძე არ შეგმრობიათ ტუჩებზე, თორემ მე დიდიხანია „მოსული“ ვარ და ალბათ „ნასვლის“ რიგიც მაღე მომიწევს თქვენის-თანების წყალობით...

მივახალე გაბრაზებულმა და ვიგრძენი, რომ ჩემი „რიგიც“ მოვიდა...

– ტყუილად კი არ მასწავლიდნენ, რომ „უკუმში სითხისთვის, ორი გეომეტრიულად მსგავსი მოძრაობა მექანიკურადაც მსგავსია, თუ მათ აქვთ ერთნაირი რეინოლდსისა და ფრუდის კოეფიციენტები... სიმეტრიული ტენზორის მხები კომპონენტები ნულია ორთოგონალურ სიბრტყეზე, რაც ტენზორის კერძო შემთხვევაა... ტენზორი ვექტორის განზოგადოებაა ისევე, როგორც ვექტორი სკალარისა... სინგულარული ინტეგრალის...“

ვედარ გაუძლო ექიმმა, თავზე ორივე ხელი შემოიჭდო, შესძახა – ვერაფერი გავიგეო და ბრძოლაგამოვლილივით მიესვენა სავარძლის საზურგეს; რაღაც ჩაიდუდუნა და თვალები მინაბა.

თეთრხალათიანმა ასისტენტმა გაფართოებული და პროტესტის გამომხატველი მზერა გამომაყოლა კაბინეტიდან გამოსულს.

## დრო და მისი გამოყენება

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ყოველი მოვლენა, ყოველ-გვარი სიტუაცია ხდება და ვითარდება (ხდებოდა, მოხდება, ვითარდებოდა, განვითარდება) **დროსა და სივრცეში**. მეცნიერ-ფილოსოფოსები (და არამარტო) ამ ორ მცნებას უწოდებენ მატერიის არსებობის ფორმებს.

ყოველ წამს (**დრო**) ყველა ჩვენგანი იმყოფება რომელიდაც ადგილზე, ანუ **სივრცის** რომელილაც წერტილში **სივრცისა**, რომელიც სამგანზომილებიანია (არსებობს მრავალგანზომილებიანი სივრცეც, მაგრამ ის სულ სხვა მსჯელობის საგანი გახლავთ).

ნებისმიერი ფაქტის, მოვლენის შედეგი სრულად არის დამოკიდებული იმაზე თუ სად ან როდის ხდება იგი.

ჩვენი სიცოცხლის ყოველწამიერი თანმდევია ეს ორი მცნება და ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა მათზე არის დამოკიდებული.

ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში ჩვენ ისე ვართ შეჩვეულები დროში ცვლილებას და ადგილმონაცვლეობას, რომ საერთოდ აღარ ვაქცევთ ყურადღებას ამ ორ (**დრო და სივრცე**) ფი-

ლოსოფიური კატეგორიის არსებობას და მათ ზეგავლენას ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე.

მსურს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმო დროის ფერომენს და ვისაუბრო იმაზე თუ როგორ გადის დრო, როგორ ვიყენებთ მას, რამდენად გვყოფნის დრო და ა.შ.

ბევრ ჩვენგანს არაფრად მიაჩნია ერთი წამი, ეს დრო ეჩვენება ძალიან მცირე დროდ და მას არ აქცევს არავითარ ყურადღებას (გამონაკლისს წარმოადგენებ მეცნიერები). არადა ერთ წამში სინათლის სხივს შეუძლია მოსკოვში ჩავიდეს და ჩამოვიდეს “100-ჯერ, დედამიწას „შემოუაროს“ 6-ჯერ, ერთ წამში სპორტსმენს შეუძლია გადაწყვიტოს ოლიმპიური ოქროს მედლის ბედი (წამის მეათედში და მეასედშიც კი); არის სიტუაციები, როდესაც, სულ რამდენიმე წამში, შეიძლება სიცოცხლის გადარჩენა; სულ ერთი წამი სჭირდება ყბადაღებულ და საბედისწერო „ლილაკზე“ თითის დაჭერას, რათა განადგურდეს ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე; სულ ერთი წამია საჭირო იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მფრინავმა მოახდინოს კატ-აპულტირება და თავიდან აიცილოს გარდაუვალი დაღუპვა და ა.შ.

ახლა წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი რამის გაკეთება შეიძლება წუთში, რამდენიმე წუთში და საათებში.

ყოველივე ამის შემდეგ უცნაურად და გაუმართლებლადაც მიმართავთ ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე; სულ ერთი წამია საჭირო იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მფრინავმა მოახდინოს კატ-აპულტირება და თავიდან აიცილოს გარდაუვალი დაღუპვა და ა.შ.

პატარაობიდანვე შემაჩვიეს გარჯას და სწავლას. გაკვეთილების მომზადებას ყოველთვის ვჩერაობდი, რათა მერე საოჯახო საქმეები-სათვის მიმეხედა. ყველაფერს ვაკეთებდი, რაც კი შემეძლო, ოლონ-დაც უსაქმოდ არ ვმჯდარიყავი. თუ რამიე პრაქტიკული არ მქონდა გასაკეთებელი, მაშინ წიგნს (ნებისმიერს) ვიღებდი ხელში და რომ იტყვიან – „წიგნის კითხვით ვერ ვძლებოდ“.

მაშინაც მჯეროდა და ახლაც ღრმად მწამს, რომ წიგნის კითხვა არის ე.წ. „თავისუფალი“ დროის რაციონალურად გამოყენების ყველაზე ეფექტური საშუალება.

იყო დრო, როდესაც ყოველ მე-4-5 ადამიანს ხელში ეჭირა გაზეთი, ჟურნალი ან წიგნი და კითხულობდნენ და კითხულობდნენ.

დღეს კი რა ხდება?! რა ხდება და საშინელება! ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ზურგი შეაქცია წიგნს, ვერ

ხედავენ მისი წაკითხვის აუცილებლობას. ურჩევნიათ უაზრო და გაუთავებელი საუბარი, „ბირჟაზე“ უსაქმოდ დგომა, სხვისა გაქილიკება, ტელევიზორიდან მოსმენილი პოლიტიკოსების გამონათქვამების წალმა-უკუღმა ტრიალი, გუშინდელი პურმარილის პერიპეტიიბის განხილვა და ა.შ.

ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში ადგილებია, სადაც „ჯიპები“, „მერსედესები“ თუ „ბეემვეები“ ჯგუფ-ჯგუფად დგანან. ჩამონიევენ მინებს და სავარძლებში ნებივრად მოკალათებულები გაუთავებლად საუბრობენ მართლაც რომ არაფრისმომტან საკითხებზე. დაიღლოებიან რა უსარგებლო საუბრით, შეანუხებთ შიმშილი და დაიშლებიან ყველა მიმართულებით. ერთი-ორი საათის შემდეგ ისევ შეიკრიბებიან, ოლონდ ახლა უკვე სხვა ადგილზე, რადგან წინა ადგილს მზე აქვს მიმდგარი და ასე შემდეგ.

ასეთი ადამიანებისთვის დრო ძალიან წელა მიდის, თუმცა ულევი ამქვეყნად არაფერია. თანდათან ქრება სასიცოცხლოდ „გამოყოფილი“ დაახლოებით 2,5 მილიარდი წამი; არადა რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთებაა შესაძლებელი აღნიშნულ დროში, რამდენი წიგნის წაკითხვა შეიძლება, რაც უტყუარი და ეფექტური საშუალებაა, როგორც დროის რაციონალური გამოყენების, ისე სულიერი განწმენდისა და ამაღლებისა.

დრო არასდროს მყოფნიდა და არც ახლა მყოფნის. ჩვევად მაქვს გადაქცეული, რომ მუდამ (ყოველ წუთს, საათს, დღეს) „რაღაც“ ვაკეთო, ოლონდ დრო უქმად არ დავკარგო და ეს „რაღაც“ შეიძლება იყოს ყველაფერი და ყოველი, რასაც კი ადამიანის გონება მისწვდება.

როგორც წესი, დროის სიმცირეს უმეტესად უჩივიან ხანდაზმულები და ეს იმიტომ ხდება, რომ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში: ბევრი იყითხეს და ისწავლეს, ბევრი ნახეს და განიცადეს, მოცულობითია მათი ინფორმაციული სკივრი, ბევრი გასაკეთებელი აღმოაჩინეს, განუვითარდათ დაკვირვებულობისა და ანალიზის ჩვევები, ითვალისწინებენ ისტორიულ ფაქტებს, აუცილებელ და საამაყო მოვალეობად მიიჩნევენ მომავალი თაობების აღზრდას, უწნდებათ მოთხოვნილება გამოცდილების გაზიარების და ა.შ. და ა.შ.

პროფესორი არჩილ ხარაძე ხშირად გვეუბნებოდა სტუდენტებს – „დრო ცხენი არ არის, რომ ღობეზე გამოაბაო“. ანუ, დროს ვერ


დააბამ, ვერ გააჩერებ. იგი უწყვეტად მიჰქრის და გზადაგზა აცარი-ელებს, ღმერთის მიერ ნაპოძებ დაახლოებით 2,5 მილიარდი წამით სავსე გუდას.

„ვერ შევაყოვნებთ, თუნდაც ფერებით,  
ემორჩილება სამყაროს წესებს,  
ირწმუნებიან მეცნიერები,  
ფარდობითობის არსში დგამს ფესვებს.

დროზე უხები არის კიდევ რა?  
ცხენი როდია მიაბა ღობეს,  
არ ისესხება, არ იყიდება,  
არცა კისკისებს და არცა გოდებს.

აინშტაინის დროც დროულია,  
აქვს უცნაური განზომილება.  
დროისთვის ვერვის ვერ მოუვლია,  
ჯერ არ ყოფილა ქვეყნად ქმნილება.

მიჰქრის თავის გზით, როგორც ისარი,  
არაფრად გიგდებთ ნაფიქრ-ნააზრებს,  
მწამს – უდიდესი კაცი ის არის,  
თავისი საქმით დროს ვინც გაასწრებს“.



ან:

„წუთი ქმნის საათს, წამს მისდევს წამი  
(ცხოვრების დავთარს შლიან),  
ჩვენი არსობა – ფოთოლზე ნამი,  
ქრება ადრე, თუ გვიან.

წლები კი მიპქრის, როგორც მერანი,  
ღვივის წუთების ბრძოლა,  
ვერ შეაჩერებს (მჯერა) ვერავინ  
ურჩი ისრების რბოლას“.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც ზოგადად და მოკლედ შევეხეთ დროის მნიშვნელობას, ვნახოთ თუ სად და როგორ შეიძლება დროის დაზოგვა, მისი ყოველი ერთი წამის გამოყენება ჩვენი და, ზოგადად, საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ბუნებრივია, რომ რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ნაკარნახევია ჩემს მიერ განვლილი ცხოვრებითა და სხვათა გამოცდილებაზე დაკვირვების უამრავი ფაქტით, რისი აღრიცხვაც, რა თქმა უნდა, არ მინარმოებია, ამიტომ მათი წანილის წარმოჩინება იქნება ქაოტური (არამიმდევრული) ხასიათის და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ზოგისთვის მიუღებელიც კი – მისი პირადი ჩვევებისა და ცხოვრების წესის გამო.

ბევრი ახლობელი ოჯახი მყავს, რომელთაგან ერთ-ერთში სტუმრობა (უბრალოდ მისვლა) და გარკვეული დროით იქ ყოვნა ყოველთვის იწვევს ჩემს გაოცებას. საქმე იმაში გახლავთ, რომ ოჯახის ყველა წევრი (უკლებლივ) მუდამ რაღაცას ეძებს: „რა იქნა ჩემი წიგნი“, „სად არის ჩემი მობილური“, „სად არის ჩემი სათვალე“, „სად გაქრა ის პასტა, აქ რომ იყო“, „სად არის ჩემი გასაღები“, „ვინ აიღო სანთებელა“ და ა.შ. და ა.შ. განუჟყვეტლივ რაღაცას ეძებენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იმ ოჯახში ბევრი რამ არ დევს „თავის ადგილზე“ და რომ მის ძებნაში უსარგებლოდ იყარგება არათუ წამები, არამედ წუთებიც კი.

ადამიანების უმრავლესობას სჩვევია ასეთი რამ: ისარგებლა რაღაც ნივთით და მერე მას ტოვებს იქ, სადაც გამოყენა და არ აბრუნებს ე.ნ. „თავის ადგილზე“.

ადამიანი ყოველდღიურად უამრავი ნივთით სარგებლობს და თუ მას „თავის ადგილზე“ არ დააბრუნებს – წარმოიდგინეთ, რა ქაოსი იქნება მის საცხოვრისში, თუ სამსახურში.

აქედან მოდის „რაღაცის“ მუდმივი ძებნის რეჟიმიც.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თითოეული მათგანი დლეში (!) უაზ-როდ ხარჯავს 4-5 წუთს ამა თუ იმ საგნის (ნივთის) ძებნაში. ოთხ-წევრიან ოჯახში დროის ჯამური დანაკარგი დლეში შეადგენს საშუალოდ 18 წუთს, რაც წელინადში იქნება 110 საათი, ანუ თითქმის 400 ათასი წამი. თუ ჩავთვლით, რომ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა 70 წელი, მაშინ გამოდის, რომ „იმ“ ოჯახში ერთ წელინადში უაზროდ იკარგება დაახლოებით 28 მილიონი წამი.

მას შემდეგ, რაც ვიცით, თუ რა „ფასი“ და „წონა“ აქვს ერთ წამს – ადვილად წარმოსადგენია, რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება 28 მილიონ წამში.

ზემოთ ვახსენე გამოთქმა „თავის ადგილზე“, ანუ სახლში ყველაფერს უნდა ჰქონდეს თავისი ადგილი, რათა თავიდან ავიცილოთ ძებნის, უკვე ჩვევადქცეული, აუცილებლობა. საქმე იმაშია, რომ ბევრი ჩვენგანი არაფრად აგდებს რამდენიმე წამს, ეჩვევა ამ გარემოებას და ვერც კი წარმოუდგენია სხვაგვარად ცხოვრება.

მე ვისაუბრე ერთ-ერთი ოჯახის წევრებზე. სამწუხაროდ, ასეთები ბევრია. ასეთ ადამიანებს, ხალხში, მოუწესრიგებლებს ეძახიან. მე ვახსენე სიტყვა „ეჩვევაზ“ და იქვე გამიჩნდა შეკითხვა – ხომ არ არის რაიმე გენეტიკური (მემკვიდრეობითი) ამ მოვლენაში. ამის მტკიცება მიჭირს, თუმცა არც ქართული ანდაზა მაძლევს დამშვიდების საშუალებას – „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“.

სამწუხაროდ, ადამიანები ძალიან ბევრ დროს ვკარგავთ უაზროდ და უმიზნოდ არამარტო ოჯახურ გარემოში, არამედ ბევრგან სხვაგნ: სამსახურში, ქუჩაში, კოტრიალ-ნებივრობაში, მივლინებაში და ა.შ.

ახლა ორიოდ სიტყვა ჩემს შესახებ ზემოთგანხილულ ასპექტში. უკვე ვთქვა, რომ პატარაობიდან შემაჩვიერ იმას, რომ უსაქ-მოდ არ ვყოფილიყავი და მუდამ რაღაც მეკეთებინა, იქნებოდა ეს მნიშვნელოვანი, თუ ნაკლებმნიშვნელოვანი. მძიმე სოციალურმა პირობებმაც მიბიძგა მუჟაითობისკენ და ასე მოვდივარ დღემდე.

ჩემს ოჯახში არასდროს არაფერს ვეძებ. ყველაფერი დევს „თავის ადგილზე“. დახუჭული თვალებით მივაგნებ ნებისმიერ ნივთს: სათვალეს, პასტას, მობილურს, ბრტყელტუჩას, სახრახნისს, ხერხს, ფეხსაცმელს, ქუდს, საყვარელ სასმისს და ა.შ და ა.შ.

წიგნი ბევრი არ მაქვს (დაახლოებით 900-1000) მაგრამ ისინი ისე მაქვს დალაგებული (თაროებში), რომ ნებისმიერ წიგნს ვპოულობ უმცირეს დროში. დალაგებული მაქვს თემატურად: ტექნიკა

და მეცნიერება, პროზა და პოეზია, ხელოვნება, სპორტი, ენციკლოპედიები, ცნობარები, ისტორიული ლიტერატურა, თარგმანები და სხვადასხვა.

ყველა მათგანი წაკითხული მაქვს და ზოგიერთი მათგანი რამდენჯერმეც, რაზეც მეტყველებს ის, რომ ფურცლები გაცრეცილია ხშირი ფურცლით – მათში ვერ ნახავთ ერთმანეთზე მიწებებულ გვერდებს (სტამბის დეფექტი), სამაგიეროდ ხშირად შეხვდებით ხაზგასმებს, კითხვის ნიშნებს და კომენტარებსაც კი (გაკრული ხელით). მათ უკვე ვცნობ ზომის, ფორმისა თუ გარეკანის ფერის მიხედვით, რაც მეხმარება დროის დაზოგვაში.

ზემოთაც აღვნიშნე და ახლაც მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ დრო არასოდეს მყოფნიდა, ახლაც არ მყოფნის მიზეზთა გამო.

გავიდვიძებ თუ არა, მაშინვე ვსახავ იმ დღის მოქმედების გეგმას (ვინ უნდა ვნახო, რა უნდა შევიძინო და სად, ვის უნდა დავურეკო და რაზე, რომელ ღონისძიებას უნდა დავესწრო, რა უნდა გადავიკითხო, რა უნდა დავწერო და ა.შ.).

ზეპირად ვიცი ჩემი სახლიდან გორის ნებისმიერ ობიექტამდე მისვლა-მოსვლის დრო (ალსანიშნავია, რომ საკმაოდ სწრაფად დავდივარ) და ამის მიხედვით ვანანილებ დროს ყოველდღიური გრაფიკის მაქსიმალური მოცულობით შესასრულებლად. ასეთ შემთხვევებში (ეს კი თითქმის ყოველდღიურია) ვერ ვიტან, როდესაც ვინმე უსაქმური შემხვდება და გამიბამს უაზრო საუბარს (მავანმა არ იცის, რაში გამოიყენოს დრო, გაუთავებელ და არაფრისმომცემ საუბარში ეძებს გამოსავალს, რაც არასდროს მანყობდა და არც ახლა მანყობს).

ამას წინათ, სახლისკენ მიმავალს, მარკეტიდან გამოსული ერთი ნაცნობი შემზედა. შევჩერდით, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ისეთი ნაცნობია, რომ დიდი სიახლოვე არ გვაკავშირებს და აქედან გამომდინარე, არც ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის გასაზიარებელი თუ გასარკვევ-დასაზუსტებელი. გზის გაგრძელება დავაპირე თუ არა, წინ გადამიდგა და გააგრძელა, უკვე აშკარად უაზრო საუბარი (ჩემთვის უაზრო): თუ როგორ მუშაობდა (კომუნისტების რეჟიმის დროს) ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ვინ ჰყავდა მოადგილები, ვინ იყო მინისტრი, როგორ წავიდა ერთხელ ქალაქ სარკოვში, როგორ ჩამოიტანა რალაცა, როგორ უსაყვედურეს, როგორ დაიძვრინა თავი სასჯელისგან და ა.შ.

გავიქაჩე სახლისკენ, ისევ წინ გადამიდგა. ლამის ცუდ ხასიათზე დავდექი. როგორც იქნა მოვახერხე და გადავდგი ნაბიჯები იქით, საითაც მივდიოდი. გამომყვა, არ მეშვება, შიგადაშიგ ჩერდება და მეც მაჩერებს. ხელების ქნევით ყვება რაღაცებს, რაც უკვე აღარც მესმის. მაიძულებს ვიარო ნელა და ენას არ აჩერებს. ნერვები მეშლება, მაგრამ ზრდილობის გამო თავს ვიკავებ, მაგრამ როდემდე?!

კარგა მანძილზე ვიარეთ ერთად. ვიფიქრე, ალბათ აქეთ რაიმე საქმე აქვს და დამემგზავრა-მეთქი. ველი, როდის გადაუხვევს „თავის საქმისკენ“, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს შემამჩნია (როგორც იქნა), რომ ვჩეკარობდი და შეჩერდა.

აბა, კარგად იყავიო, მითხრა, შეტრიალდა და უკან წავიდა, თავისი სახლისკენ (თურმე სახლში მიდიოდდა!).

სახლში მივედი თითქმის სირბილით, მაგრამ ვეღარ მივასწარი სატელევიზიო 5-წუთიან გადაცემას ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მოამზადა ქ. თელავის ტელეარხმა „Gorda TV.ge“-ზ.

გული დამწყდა, მაგრამ როგორც რუსები იტყვიან „ი ტო ხლებ“; ვიღაცას ხომ მივანიჭე რაღაც სიამოვნება; ხომ მივეცი საშუალება, რომ 15-20 წუთი „გაეხარჯა“ დროის იმ მარაგიდან, რომელიც მას საკმაოდ აქვს და არ იცის როგორ ან რაში გამოიყენოს. ალბათ იფიქრა (ახლა კი გამოვიყენებ უკვე ქართულ ანდაზას): „ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარაგიაო“. დაე, ჩათვალოს, რომ გამომტყუა „ერთი კაკალი“ და გაიხაროს, რომ შვება იგრძნო ადრენალინის გარკვეული დოზის გამომუშავებით და გახარჯვით. ღმერთმა შეარაგოს, მაგრამ რამდენ ადამიანს შეაჩერებს, რომ სრულიად გაანიავოს მისი „კუთვნილი“ ორნახევარი მილიარდი წამი?! დადგეს და იანგარიშოს, თუ მეტი საქმე მაინც არ აქვს.

კიდევ სად იხარჯება და იკარგება ძვირფასი წამები და წუთები, რის დევიციტსაც საოცრად განიცდიან ასაკოვანი ადამიანები?!

ჩემი რაღაც სტატუსებიდან და რეგალიებიდან გამომდინარე, ხმირად მიწევს ყოფნა საიუბილეო საღამოზე (დღეებზე), შეხვედრებზე, პრეზენტაციებზე, კონცერტებზე, სპექტაკლებზე და სხვადასხვა სახის ხალხმრავალ შეკრებებზე. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებელიც ნებისმიერი ადამიანისთვის. მაგრამ სამწუხაროა, რომ ათეული წლების განმავლობაში, ჩვენ, ქართველებს,

ჩამოვიყალიბდა მახინჯი ტრადიცია თუ ჩვევა, რაც გამოიხატება იმაში, რომ არასდროს ვიწყებთ დანონისებულ ღონისძიებას დანიშნულ დროზე. სისტემატიურად ვაგვიანებთ ღონისძიების დაწყებას მინიმუმ 15-20 წუთით (900-1200 წამით). ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თავმოყვარე და მოწესრიგებული ადამიანი, სულ ცოტა 10 წუთით ადრე მიდის ღონისძიების დაწყებამდე, ზის და ელოდება „ფარდის გახსნას“, მაგრამ ამაოდ გამოდის, რომ თითოეული ადამიანი, ასეთ შემთხვევაში კარგავს (დიას კარგავს, რადგანაც ვერაფერ სასიკეთოს და სასარგებლოს ვერ აკეთებს) არანაკლებ ნახევარ საათს. ძნელი არ არის იმის ანგარიში, თუ დაახლოებით რამდენი დრო იკარგება ჯამურად, მაშინ როცა ღონისძიებას ესწრება, ვთქვათ ასი ადამიანი და ა.შ.

ვფიქრობ, რომ ასეთი რამ არამხოლოდ დროის დაკარგვაა, არამედ ადამიანების აპუჩად აგდებაა და უკულტურობის მაჩვენებელიც გახლავს (არა მგონია, რომ გერმანელებმა ოდესმე თავის თავს მისცენ ასეთი რამის უფლება).

ვთქვი და ვიმეორებ, რომ ასეთი რამ ღონისძიების ორგანიზატორების მხრიდან არის ადამიანების უპატივცემულობა და შეურაცხყოფაც კი.

არაერთხელ დამიტოვებია ასეთი ღონისძიება პროტესტის ნიშნად და დემონსტრაციულადაც კი, მაგრამ რა, არაფერი გამოდის. პრძნული გამონათქვამი გვაქვს ქართველებს: „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“. დიახ, ძნელია „დინების წინააღმდეგ ცურვა“.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ უაზროდ და უსარგებლოდ ვკარგავთ ძეირფას წუთებს.

ქ. გორის რეინიგზის სადგურში გამოკრულია მატარებლის მოძრაობის გრაფიკი, სადაც აღნიშნულია, რომ ქუთაისი-თბილისის შემადგენლობა გორიდან გადის დილის 9 საათზე (ამ მატერებელს ეტანება ხალხი თრი რამის გამო: ერთი იმით, რომ შედარებით იაფია მგზავრობა და მეორეც – არც ისე ადრე გადის, რომ დაგვეზაროს გალვიძება და არც ისე გვიან, რომ თბილისში გასაკეთებელი საქმე ვერ მოასწრო).

ბუნებრივია, რომ იციან რა გასვლის ოფიციალური დრო, მგზავრები, როგორც წესი 10-15 წუთით ადრე მიდიან და თავს იყრიან სადგურის ბაქანზე, ან მოსაცდელ დარბაზში (ცუდ ამინდში) და ელიან და ელიან.

ერთი წლის განმავლობაში მომინია თბილისში ხშირად მგზავრობამ (კვირაში ერთხელ მაინც) და არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, რომ მატარებელი გასულიყოს დანიშნულ დროზე. როგორც წესი, მატარებელი გადის 20-25 წუთის დაგვიანებით (მრავალრიცხვან მგზავრთა გამოკითხვამაც დაადასტურა ეს ფაქტი). დგანან მგზავრები და მოუთმენლად ელიან ინფორმატორის ცხვირშინაჭერილივით გამოცემულ ხმას – „ესა და ეს მატარებელი შემოდის ამა და ამ ლიანდაგზე...“ ყველა შვებით ამოისუნთქავს და იქვე ავინყდებათ ის, რომ მათ სისტემატურად აბუჩად იგდებენ. არადა, ყოველ დილით მგზავრები უაზროდ კარგავენ ჯამურად დაახლოებით 25-30 საათს (!) (ისიც გავითვალისწინოთ, თუ რამდენი სადგური აქვს გასავლელი მატარებელს).

იმდენად შეეჩივნენ ადამიანები ამ მანკიერებას, რომ აღარც კი განიცდიან და წარმოიდგინეთ, ველარც კი „ამჩნევენ“.

მახსოვს, ერთხელ გაზეთში ამოვიკითხე, რომ იაპონიაში შეისწავლეს (დაკვირდნენ, აღრიცხეს) მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დაცვის სიზუსტე და აღმოჩნდა საოცარი რამ: მთელ ტერიტორიაზე ერთდღოულად მოძრავ 400-მდე მატარებლის ჯამურმა დაგვიანებამ შეადგინა სულ **28 წუთი (!) ერთი (!) წლის განმავლობაში.** ეს მართლაც საოცრებაა. აი, ეს გახლავთ: პასუხისმებლობის, მგზავრების (ზოგადად – ადამიანების) პატივისცემის, ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის მომსახურების უმაღლესი დონე, დიახ, უმაღლესი.

**ბრავო, იაპონელებო!**

თუ წარმოვიდგენთ, რომ იაპონელები (და არა მარტო) ასეთივე მოწესრიგებულნი არიან ყველა სხვა საკითხში და სფეროში – ადვილად წარმოვიდგენთ მათი (თითოეულის და საზოგადოების ზოგადად) „მარგი ქმედების კოეფიციენტის“ სიდიდეს, რომელიც საგრძნობლად მეტია ანალოგიურ მაჩვენებელზე ჩვენში, ქართველებში.

საქართველოში რამდენიმე ათასი სოფელია და ამდენივე ე.წ. „ბირჟა“ (და არამარტო სოფლად), სადაც მთელი დღის განმავლობაში უაზროდ სხედან ან დაბორიალობს ათიათასობით ადამიანი. მიკვირს და ასენა ვერ მომიძებნია საიმისოდ, თუ როგორ შეიძლება აუარებელი დროის უმიზნოდ ხარჯვა. ერთის მხრივ ლამის წამომცდეს – „რა ბედნიერები არიან, რომ ამდენი დრო აქვთ-მეთქი“, მაგრამ მეორეს მხრივ კი ვფიქრობ, რომ ადამიანი ვერ იქნება სრულად ბედნიერი, თუ

არ იცის როგორ ან რაში გამოიყენოს თავზესაყრელი დრო.

მავანი შეიძლება მომედავოს: „რა ქნას, სამსახური არა აქვს, დაუსაქმებელია“ და ა.შ. მაგრამ იმ მავანს მე ასე ვუპასუხებდი: „მაინც არა აქვს ოფიციალური, უფრო სწორად ანაზღაურებადი სამსახური (სამუშაო) და რა სჯობია – უაზროდ დაკარგოს უამრავი დრო (სიცოცხლის ნაწილი), თუ მიდგეს-მოდგეს და სულ მცირე რამ სასიკეთო მაინც გააკეთოს ან თავისთვის, ან სხვისთვის, ანდა საერთოდ ქვეყნისთვის. გასაკეთებელს რა გამოლევს სოფლად თუ ქალაქად, თუ კი მოინდომებ.

შე, კაი დედმამიშვილი: შეაკეთე ღობე, გაასწორე კრამიტი, გაამაგრე კიბის მოაჯირი, გამოცვალე ფანჯრის ჩატეხილი მინა, გამოცვალე გადამწვარი ნათურა, გამოთალე ჩაქუჩის ან სხვა ინვენტარის ტარი, გალესე დანები, ადი სახურავზე და გაასწორე ანტენა, შეაკეთე დაზიანებული ელექტროჩამრთველი, მოასუფთავე და დაალაგე ეზო, სპირალი გამოუცვალე გადამწვარ უთოს, გაამაგრე სკამის მორყეული ფეხი, ეზოში მოაწყე ბავშვების გასართობი კუთხე, შეაკეთე ონკანი, რომელიც განუწყვეტლივ წვეთავს, დაალაგე სარდაფი, მარანი, ავტოფარეხი, შელესე ჩამონგრეული ნალესი, სურათის ჩარჩოში ჩასვი მინა, დარგე ერთი ხე, ბავშვი წაიყვანე საბავშვო ბალში (ან მოიყვანე, ან ორივე), მიალაგ-მოალაგე და მოაწესრიგე სხვენი, საფეხვავი წაიღე წისქვილში (თუ ამის საჭიროება არის), დაალაგე და მოაწესრიგე ფოტოსურათების ალბომი, გაჭიმე ჩავარდნილი სარეცხის თოკი, შეაკეთე ან გამოცვალე კარების დაზიანებული საკეტი, მიეხმარე ბეზობელს, ნათესავს, ახლობელს და უცნობსაც, თუ კი ამის აუცილებლობას დაინახავ და ა.შ. და ასე შემდეგ.

მოკლედ, ხომ გაგვიგონია: „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო“. ჰოდა ასე – ვეცადოთ რომ არ დავკარგოთ უშინაარსოდ არცერთი წამი. ადამიანის სიცოცხლის არსი ხომ სწორედ მუდმივ მოძრაობაში და კეთებაში (!).

ზემოთ ვახსენე და ერთხელ კიდევ ვიტყვი, რომ თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ყველაზე ეფექტური საშუალება გახლავთ წიგნის კითხვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი საზოგადოების დიდი ნაწილი სერიოზულად ვეღარ აღიქვამს წიგნის უდიდეს მნიშვნელობას. უფრო მეტიც – წიგნის სსენება მათში გარკვეულ ალერგიას იწვევს, რაც არაფერ სასიკეთოს არ უქადის ქართულ საზოგადოებას.

## პრაკტიკული პუსევი

### (აქაც შეიძლება დროის დაზოგვა)

ადამიანებს გვჩვევია დასმულ შეკითხვებზე არაპირდაპირი (ჩემი აზრით) პასუხების გაცემა, მაშინაც კი, როცა შეკითხვა თხოულობს მოკლე (ლაკონურ) პასუხს, როგორებიცაა ან „კი“ ან „არა“, ან „ჰო“.

ასეთი ფაქტები კი უამრავია ყოველდღიურ ურთიერთობებში.

აქაც შეიძლება დროის დაზოგვა. ვნახოთ რამდენიმე ათეული მაგალითი.

(წუ იცინით! კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ წამებისგან შესდგება წუთები, წუთებისგან – საათები, საათებისგან დღე-დამეები და ა.შ.)

მაგონდება წაკითხული, თუ გაგონილი დიალოგი ორ ბავშვს შორის:

– რასა ჭამ?

– იმიტომ (!)

– გეკითხები, რასა ჭამ?

– იმიტომ (!!!)

როდესაც ბავშვს ჰეთებეს აეხსნა თავისი, ერთი შეხედვით უცნაური და არაპირდაპირი პასუხი, მან ჩამოარაკრაკა განმარტება:

მეკითხება: რასა ჭამ?

ვპასუხებ: ვაშლს.

მეკითხება: მაჭმევ?

ვპასუხობ: არა.

მეკითხება: რატომ?

ვპასუხობ: იმიტომ!!!

დაახლოებით ასეთი არაპირდაპირი, მაგრამ ლოგიკური და ტრადიციული პასუხების მოწმეზე ვხდებით ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო თემებზე საუბრის დროს.

**მაგალითები:**

\*

– ღუმელი ჩართე?

– არა ცივა.

\*

— ბანქო ვითამაშოთ?

— ფული არა მაქვს.

\*

— კომპიუტერი მუშაობს?

— შექი არ არის.

\*

— ინგლისური იცი?

— ქართულს ენაცვალოს ჩემი თავი.

\*

— ლუდს მიირთმევ?

— თირკმელები მაწუხებს.

\*

— ლატარიას თამაშობ?

— ბედი არა მაქვს.

\*

— „დათა თუთაშხია“ წაიკითხე?

— დრო არ მქონდა.

\*

— ლექსები გიყვარს?

— პროზას ვამჯობინებ.

\*

— სადაურია ეს კაცი?

— ჩვენებური არ არის.

\*

— სად არის გიგა?

— ორი დღეა არ ყოფილა სახლში.

\*

— კონცერტზე მოხვალ?

— რესტორანში მივდივარ.

\*

— თევზის თავი გიყვარს?

— მეშინა.

\*

— ჯარში იყავი?

— ორი წელი.

\*

-- მატარებელი გავიდა?

- ჯერ არ მოსულა.

\*

- რას ჭამს ბავშვი?

- ნუ გეშინია, არ აწყენს.

\*

- სტუმრდ იყავი?

- სიცხე მქონდა.

\*

- რა ლირს ვაშლი?

- არც ისე ძვირი.

\*

- სად მიდიხარ?

- მალე მოვალ.

\*

- სად იყავი?

- საქმე მქონდა.

\*

- მიდიხარ სტადიონზე?

- არ მიყვარს ფეხბურთი.

\*

- რომელი საათია?

- ჯერ ადრეა.

\*

- გოგი სად არის?

- წასულია.

\*

- თეატრში მიდიხარ?

- არა მცალია.

\*

- სერაფიონი მო გწონს?

- უვარებისი კაცია.

\*

- სად მიდიხარ?

- გამოცდა მაქვს.

\*

- რამდენი წლისაა?
- ჯერ ახალგაზრდაა.

\*

- იყავი შეხვედრაზე?
- ვერ ვიყავი კარგად.

\*

- პეტრე ჩამოვიდა?
- ჯერ ხომ სულ ორი დღეა, რაც წავიდა.

\*

- ლვინო გიყვარს.
- არაყი მირჩევნია.

\*

- მალე მოხვალ?
- აქვე, მეზობელთან მივდივარ.

\*

- იტალიელები მოიგებენ თუ ფრანგები?
- ბურთი მრგვალია.

\*

- თბილისში იყავი?
- გუშინ ჩამოვედი.

\*

- ზაფხული გირჩევნია თუ ზამთარი?
- სიცივეს ვერ ვიტან.

\*

- ჯარი მოიარე?
- ჯერ პატარა ვარ.

\*

- გია სად არის?
- საღამოზე იქნება.

\*

- ხერხი გაქვს?
- გასალესია.

\*

- გშია?
- მარხვაზე ვარ.

\*

- ხელფასი მიიღე?
- არა ვყოფილვარ სამსახურში.

\*

- გაკვეთილი ისწავლე?
- წიგნი ნინომ წაიღო.

\*

- საზამთრო გიყვარს?
- ალერგია მემართება.

\*

- სანადიროდ წამოხვალ?
- ვენახი უნდა გავთოხნო.

\*

- რასა ჭამ?
- ბაბომ მომცა.

\*

- ბათუმში იყავი?
- ხვალ მივდივარ.

\*

- ჩემთან გამოივლი?
- სოფელში მივდივარ.

\*

- ხელფასი რამდენი გაქვს?
- სიგარეტზე მყოფნის.

\*

- წასასვლელად ემზადებით?
- მამამ უნდა გვასეირნოს.

\*

- ძლიერები არიან?
- ჩვენები მირჩევნია.

\*

- ვანო არ მოსულა?
  - ბათუმშია.
- \*
- ცემენტი გაქვს?
  - გააჩნია, რისთვის გინდა.

\*

- გახსოვს, როგორ მოგნათლება?
- მაშინ პატარა ვიყავი.

\*

- მოეწყე ინსტიტუტში?
- ერთი ქულა დამაკლდა.

\*

- ყავა გიყვარს?
- წევა მიწევს მაღლა.

\*

- თემა დაწერე?
- ხვალ ვაპირებ.

\*

- წურწუმის კონცერტზე წამოხვალ?
- დრო არა მაქვს.

\*

- მიირთვი სადლეგრძელო?
- ჯერ უფროსებს ვუსმენ.

\*

- ჩამოხვალ ეზოში?
- ახლა მოვედი სკოლიდან.

\*

- გიორგი სახლშია?
- დეიდასთან წავიდა.

\*

- რომელ საათზე გავა მატარებელი?
- აგვიანებს.

\*

- ისაუზმე?
- ჯერ პირი არ დამიპანია.

\*

- ზღვაზე აპირებ წასვლას?
- შვებულებას არ მაძლევენ.  
და ა.შ.

ყველა ჩამოთვლილ შეკითხვაზე რომ გვეპასუხა პირდაპირ („კი“  
ან „არა“) დაიზოგებოდა დაახლოებით ორი წუთი.  
ასეთი გახლავთ რეალობა.

## პრიზიკა და თვითპრიზიკა

თუ გადავფრცლავთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, ამოვიკითხავთ, რომ: კრიტიკა არის რისამე განხილვა შეფასების მიზნით, რამეს უარყოფითი შეფასება, ნაკლიე მითითება. იგივე არის თვითკრიტიკაც, ოღონდ საკუთარი თავის მიმართ.

ფილოსოფოსები (და არამარტო ისინი) როდესაც განმარტავენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის არსს, ერთხმად და ცალსახად ამტკიცებენ (ვფიქრობ, სამართლიანადაც), რომ ორივე ერთად და ცალკ-ცალკე წარმოადგენს წარმატების საწინდარს ნებისმიერ სფეროში, თუ ვიწრო სპეციფიურ დარგში – ყველგან და ყოველთვის.

გონიერი, დაკვირვებული და შემოქმედი ადამიანისათვის კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლის ასეთი შეფასება გასაგებიც არის და მისაღებიც. რაც შეეხება უგუნურ, გაუთვითცნობიერებელ და თავის თავზე ზედმეტად შეყვარებულ ადამიანს (ამბიციურს, ყოყოჩის, კუდაბზიკას და ა.შ.), მისთვის ორივე მცნება ბურუსით არის მოცული და მათში ვერაფერს ხედავს სასიკეთოს და რაც მთავარია – თავისთვის სასარგებლოს.

ჩემი, როგორც რიგითი ადამიანის, ხანგრძლივმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ დამარმნუნა, რომ ჯანსაღი კრიტიკისა და დროული თვითკრიტიკის გარეშე ძნელია ახლისა და საინტერესოს შექმნა, წარმოუდგენელია ნორმალური წინსვლა და თითქმის შეუძლებელია კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიმნოთ, რომ კრიტიკაც და თვითკრიტიკაც მაშინ იძლევა მაღალ ეფექტს, როცა იგი დამყარებულია: ობიექტურ საფუძვლებზე, მყარ და უტყუარ არგუმენტებზე, ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე, საზოგადოების თუ ცალკე ინდივიდის სიბრძნეზე და ა.შ.

ადამიანები ხშირად იყენებენ კრიტიკას ღვარძლის გადმონთხევის, ნიმნის მოგების, შურისძიების, ქილიკის, შურის და დამცირების მიზნით და ამას აკეთებენ ჩასაფრებულის პოზიციიდან, რასაც არავითარი საერთო არ აქვს ჯანსაღი კრიტიკის არსთან.

თუ გვსურს, რომ ვიყოთ წარმატებულნი, უნდა ვისწავლოთ ჯანსაღი და სამართლიანი კრიტიკის მიღება და გათვალისწინება.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ ერთგული მეგობრებისგან წამოსული კრიტიკისადმი, თუმცა არც არაკეთილისმსურველის კრიტიკა უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ და ყოველგვარი გაბოროტებისა და ღვარძლის გარეშე საჭიროა მოვახდინოთ რეაგირება შესაბამისი არგუმენტებისა და მტკიცებულებების გამოყენებით, რაც ერთხელ კიდევ განამტკიცებს ჩვენს პოზიციებს.

როდესაც კრიტიკის აუცილებლობას და დიდ მნიშვნელობას ვუსვამ ხაზს, მიზანშეწონილად მიმაჩნია გავიხსენო გასული საუკუნის 50-70-იანი წლების პერიოდი, როდესაც საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ლიტერატურულ კრიტიკას (არა მარტო მხატვრულ-ლიტერატურულ, ასევე – სამეცნიერო, უურნალისტურ, საყოფაცხოვრებო და ა.შ.).

ვერც ერთი წიგნი ვერ მიაღწევდა გამომცემლობამდე და მითურებულებეს მაღაზიის თარომდე, თუ იგი არ გაივლიდა კრიტიკის ქარცეცხლში. საქმე მხოლოდ იდეოლოგიაში როდი გახლდათ. მთავარი აქცენტი კეთდებოდა წიგნის მხატვრულ ლირებულებაზე და საზოგადოების განვითარების პერიპეტიიბზე. სახელმწიფოს თავის ხელში ჰქონდა აღებული ეს საქმე და ჩემი აზრით, შედეგებიც საგულისხმო და მნიშვნელოვანი გახლდათ. ლიტერატურული (და არამარტო) კრიტიკა ბრნყინვალედ ასრულებდა დავისრებულ მოვალეობას.

დღეს კი რა ხდება?! აბსოლუტურად უგულვებელყოფილია კრიტიკა (აღარაფერს ვამბობ თვითკრიტიკაზე) და შედეგიც სახეზეა – ვისაც რა უნდა და როგორც უნდა, ისე წერს და გამოსცემს. ალბათ ასჯერ მეტი წიგნი გამოდის დღის სინათლეზე, ვიდრე ზემოხსენებულ პერიოდში, მაგრამ რა...?! ათ წელიწადში ერთხელ თუ გამოანათებს (მხსნელი ჩირალდანივით) მართლაც ლირებული ქართული მხატვრული ნაწარმოები (არაფერს ვამბობ თარგმანზე) – დანარჩენი კი... თქვენთვის მომინდვია მათი შეფასება, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, თუ გაგიჩნდათ სურვილი მათი წაკითხვის.

ახლა კი მოვიყვან თვითკრიტიკის ერთ პირად მაგალითს, რომელმაც, თუ შეუძლება ითქვას, მიხსნა გაუგებრობისა და მოსალოდნელი არასასურველი შედეგებისგან.

დისერტაციის დაცვის წინ, კეთილისმსურველებმა გამაფრთხილეს, რომ კათედრის წინ, პირველ რიგში, ზუსტად ჩემს ცხ-

ვირწინ, იჯდებოდა ორი ხანდაზმული პროფესორი (ერთის გვარი მახსოვეს – ბარამია), რომლებიც შეეცდებიან კრიტიკის ქარცეცხლში გაგატარონ და თუ შესძლებენ – ჩაგიგდონ პროცესი. ეს მათ არაერთხელ გაუკეთებიათ, თუმცა სამეცნიერო საბჭოს უფრო მეტი წევრი, ყოველთვის გაგებით ეკიდება ახალგაზრდა დისერტანტის მცდელობას და შეძლებისდაგვარად ცდილობენ ხოლმე გაკაპასებული პროფესორების „მოთვინიერებასო“. აბა, შენ იცი, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“ – დამმოძღვრეს და დაიკავეს თავიანთი ადგილები.

მაშინვე შევნიშნე ის პროფესორები. ერთ-ერთმა მათგანმა ახალგაზრდა წამოაგდო სკამიდან – ეს ჩვენი ადგილიაო. დასხდნენ, მოხერხებული პოზები დაიჭირეს და მუხლებზე მოიმარჯვეს კალმები და ბლოკნოტები.

მთელი ჩემი მოხსენების განმავლობაში, გამუდმებით რაღაცებს იწერდნენ და ინიშნავდნენ, თან შიგადაშიგ ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე რაღაცნაირი კმაყოფილებით.

საშინლად მაღიზიანებდა ასეთი გარემოება, მაგრამ რას ვიზამდი.

ზუსტად ჩავეტიე მოხსენებისთვის განკუთვნილ რეგლამენტში. ახლა უნდა დაწყებულიყო რაღაც საშინელება – შეკითხვები, შენიშვნები, შეფასებები და ა.შ.

თავმჯდომარემ მთხოვა დავმჯდარიყავი და ყურადღებით მომესმინა და ჩამენერა შეკითხვები, მაგრამ მე დავარღვიე არსებული წესები და მოვითხოვე კიდევ ხუთი წუთი. ასეთი რამ, თურმე, არასდროს მომხდარა. სიჩუმემ დაისადგურა ვებერთელა აუდიტორიაში. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა. ყველა თანახმა იყო, გარდა იმ ორი პროფესორისა – არავითარი ხუთი წუთიო, წამოიყვირა ერთ-ერთმა. უმრავლესობის აზრმა გაიმარჯვა და მომცეს ხუთი წუთი.

მოგეხსენებათ, რომ უნაკლო და აბსოლუტურად სრულყოფილი არაფერი გახლავთ ამ ქვეყანაზე. ჰოდა, ჩემზე და ჩემს ხელმძღვანელებზე კარგად ვის უნდა სცოდნოდა, თუ რა ხარვეზები და ნაკლოვანებები ჰქონდა ჩვენს ერთობლივ შრომას და ზუსტად ხუთი წუთი მოვანდომე მათ ჩამოთვლას – „ამ ფორმულაში, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა თუ გამოვიყენებდი სხვა კოეფიციენტს; ერთი 4-5

ექსპერიმენტიც რომ ჩამეტარებინა, დასკვნა უფრო მყარი იქნებოდა; შეიძლებოდა დისერტაცია გამემდიდრებინა კიდევ ერთი თავით, კერძოდ, იმ მონაცემებით, რომლებიც მრავლად არის წარმოდგენილი ამა და იმ ლიტერატურაში; მსურს, ბოდიში მოვიხადო იმის გამო, რომ შემთხვევით გამომრჩა ამ და იმ მეცნიერის გვარის მოხსენიება; სასურველი იქნებოდა, უფრო ფართოდ გამომეყენებინა ინფრანითელი სხივების შესაძლებლობები; ვფიქრობ, გარკვეულ სარვეზს შეიცავს დასკვნა ტემპერატურისა და ტენიანობის კორელაციის თაობაზე და ა.შ.

მოკლედ, ყველაფერი ჩამოვთვალე, რასაც თუნდაც მცირე ნაკლი ჰქონდა და დავამთავრე ასე: პირობას გაძლევთ, რომ თქვენი დახმარებით (ამ დროს გავიხედე იმ ორი პროფესორისკენ) მომავალ სამეცნიერო შრომებში შევძლებ სრულად აღმოვთხვრა აღნიშნული დეფექტები და მივაღწიო უფრო შთამბეჭდავ სამეცნიერო შედეგებს. დიდი მადლობა ყურადღებისათვის – დავამთავრე და დავჯერი.

კარგა ხანს სიჩუმე არავის დაურღვევია. ხელმძღვანელმა კაბუთფილი სახით გადმომხედა. მერე, აქა-იქ გაისმა ტაში. შემდეგ წამოვიდა შეკითხვების ნიაღვარი, თუმცა, შინაგანად ვიგრძენი, რომ რაღაც სერიოზული სირთულე გადავლახე. ორასამდე შეკითხვას ვუპასუხე სრულყოფილად და დამაჯერებლად. იმ ორ პროფესორს ხმა არ ამოუღია.

ტრადიციულ ბანკეტზე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი რამ არასდროს მომხდარა.

## სიკეთე

რა არის სიკეთე?! მივმართოთ ისევ განმარტებით ლექსიკონს (თბ. 1990 წ. ნაკვეთი მეორე). „სხვისთვის კარგის ქმნა“. იქვე ვნახოთ, რა არის მადლი – „სიკეთე, კეთილი საქმე“. ანუ გამოდის, რომ „სიკეთე“ და „მადლი“ იდენტური სიტყვებია, ერთი და იგივე არსის მატარებლები იმ განსხვავებით, რომ „მადლის“ განმარტებას არ ახლავს სიტყვა „სხვისთვის“.

ახლა ისმის კითხვა (სიკეთესთან დაკავშირებით) – რატომ მხო-

ლოდ სხვისთვის?! ხომ შეუძლია ადამიანს, რომ საკუთარი თავისთვისაც „ჰქმნას კარგი“?!

აქვს თუ არა სიკეთეს რაიმე განზომილება? შეიძლება თუ არა მისი განსაზღვრა ზომა-წონის რაიმე ერთეულებით?! (სანტიმეტრი, კილოგრამი, ჰერცი და ა.შ.). არა მგონია, რომ ეს იყოს შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები აუცილებლად მოიგონებდნენ რაღაც საზომ ერთეულს და ამა თუ იმ პიროვნებების ან საქმის დახასიათებისას გამოიყენებდნენ კიდეც.

ჩვენ, უბრალოდ, საუბარში ვიყენებთ სიტყვებს „დიდი“ (დიდი სიკეთე გააკეთაო...) და „პატარა“ (პატარა სიკეთეც კი არ გაუკეთებიაო...) და ასე ვქმნით წარმოდგენას სიკეთის „ოდენობაზე“, „ხარისხზე“, თუ კიდევ რაღაც სხვა განზომილებაზე, რომელსაც არ აქვს საზომი ერთეული. მაშ, თუ სიკეთეს არა აქვს განზომილება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიკეთე არის სიკეთე, რაღაც კარგი რამ – „მორჩა და გათავდა“.

ყველას შეუძლია თუ არა „კარგის“ ქმნა (გინდა სხვისთვის, გინდაც თავისთვის), ანუ სიკეთის კეთება?

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ – კი (დიახ); ვფიქრობ, რომ ბუნებად საკმარისი დოზით ჩაგვინერგა ყველა აუცილებელი საწყისები საამისოდ და ყველაფერი დამოკიდებულია დროზე, სივრცეზე, სიტუაციაზე და ყველა ჩვენგანის ნება-სურვილზე.

ვფიქრობ, რომ დაბადებისთანავე ჩვენს ორგანიზმში (უნიკალურ-სა და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელში) გარკვეული დოზებით არის ჩადებული ყველანაირი „კოდი“ (სიყვარულის, სიძულვილის, შურის, ცინიზმის, ვაჟყაცობის, სიმხდალის, პატრიოტიზმის, მეცნიერების, ტელეპათიის, სიკეთის, ბოროტების, სიზარმაციის, გონებამახვილობის, იუმორის და ა.შ.), რომელთა ნარმოჩინება-გააქტიურება დიდად არის დამოკიდებული იმ გარემოზე, რომელშიაც იზრდება და ყალიბდება ადამიანი და ეს პროცესი გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კეთილი ადამიანები იზრდებოდნენ, ყალიბდებოდნენ და საქმიანობდნენ უმეტესად კეთილგანწყობილ და ნაწილობრივ გენეტიკური მემკვიდრეობის გავლენით გამორჩეულ ატმოსფეროში, რამაც მისცა მათ მნიშვნელოვანი ბიძგი სიკეთის ქმნისათვის.

ვფიქრობ, ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ სიბოროტით, სიძულვილით, შურითა და ღვარძლით გამორჩეული ადამიანების მიმართაც, თუმცა, მაინც სასურველია ყურადღების გამახვილება სიკეთეზე, კეთილ ადამიანებზე და სიკეთის კეთებაზე, რამეთუ:

„...ბოროტსა სძლია კეთილმან,  
არსება მისი გრძელია“  
(შოთა)

„...რა არის ჩვენი სიცოცხლე,  
თუ არა საქმე კეთილი?..“  
(გრ. ორბელიანი)

„...რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...“  
(ილა)

მაშ ასე, რაკი შევთანხმდით, რომ „სიკეთე-სიკეთეა, მორჩა და გათავდა“, ქვემოთ უკვე ვისაუბრებ ყოველგვარი განსაზღვრებითი, თუ აღმატებითი (დიდი, პატარა, ბევრი, ცოტა, უამრავი, მნიშვნელოვანი, სასარგებლო და ა.შ.) ფორმების გარეშე.

შემოგთავაზებთ „სიკეთის ქმნის“ რამდენიმე ეპიზოდს პირადი ცხოვრებიდან. წინასწარ კი მსურს გულწრფელად მოგახსენოთ, რომ სიკეთის ქმნა დიდ სიამოვნებას მანიქებს და სიამაყის გრძნობას მიმძაფრებს. ბედნიერია ჩემთვის ის დღე, როცა კი რაიმე სიკეთეს

გავაკეთებ და საამისოდ ძალლონე არ დამიზოგავს. ხშირად გადამივადებია პირადი საქმე, სხვისთვის სიკეთის ქმნის გამო და არასოდეს მინანია.



„წმინდა სანთლებთან პირჯვარს ვიწერთ  
(ვინ არჩევს ეთნოსს),  
ვიმარჯვეთ ერთ დროს, ვმაღლდებოდით,  
ვჭედავდით ღირს დღეს,  
ეგები ღირდეს, რომ სანთლები  
გულებშიც გვენთოს,  
კაცი კაცს ენდოს და სიკეთის  
ზეიმი იდგეს...“

## მილოცვა

ზემოთ (გვ. 67) „ჩვევები, ნიშან-თვისებები“, „დაბადების დღე“) აღვნიშნე, რომ ადამიანებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს და ახარებს, როდესაც მათ ულოცავენ დაბადების დღეს და არამარტო ამ დღეს.

ჰოდა, მტკიცედ მჯერა-რა ამ მოსაზრების, არ ვუშვებ ხელიდან შესაძლებლობას მივულოცო (ტელეფონით, პირადი მონახულებით) დაბადების დღე ყველა მას, ვისკენაც და საითკენაც მიბიძგებს გული და თვალი (არც მცირე რაიმე საჩუქარს ვივინყებ, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს).

ასზე მეტი ადამიანის დაბადების დღე მახსოვს ზეპირად და ალბათ ორი ამდენი ჩაწერილი მაქვს ე.წ. ბლოკნოტებში.

ყოველ ასეთ დღეს მოუთმენლად ველი, რადგანაც ვიცი, რომ მეძლევა საშუალება სხვისი გახარების, სხვისთვის სიამოვნების მინიჭების, სხვისთვის სიკეთის ქმნის და, რა თქმა უნდა, ჩემთვის კარგის ქმნის, რამეთუ მეც ვხარობ მათთან ერთად.

საკუთარი ხელით გავაკეთე სპეციალური სტენდი და ჩამოვკიდე ჩემი სადარბაზოს შესასვლელთან. აյ ნახავთ სხვადასხვა სახის მილოცვებს. მისამართი: ქ. გორი, სტალინის 24. პირველი სადარბაზო.

## საჩუქარი გორის საბრძოლო დიდების მუზეუმს

2002-2004 წლებში, გორში ტელეკომპანია „თრიალეთში“ მუშაობის პერიოდში, ხელმძღვანელობას შევთავაზე, მეტი ყურადღება მიგვექცია მეორე მსოფლიო ომის (1941-1945) ვეტერანებისთვის. ამ მიზნით გავხსენით რუბრიკა სახელწოდებით „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“. იმ პერიოდისათვის შიდა ქართლის რეგიონში ათასზე მეტი ვეტერანი გახლდათ. შევადგინე სრული სია (ვეტერანთა საბჭოს დახმარებით) და შევუძექი მუშაობას.

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგეს, რომ საბრძოლო გმირობის შესახებ იქმნებოდა მოკლემატრაჟუანი (10-12 წელი) დოკუმენტური ვიდეოფილმები.

გადაღებისას, ზოგს თვალებიდან ცრემლიც კი სდიოდა, როდესაც იხსენებდნენ საბრძოლო ეპიზოდებს, დაღუპულ თანამებრძოლებს, ლოკალური თუ საბოლოო გამარჯვების პერიპეტიებს და ა.შ.

ფართო საზოგადოებას საშუალება ჰქონდა კვირაში ორჯერ ენახა ეს ვიდეოფილმები. გადაცემა მაღლე გახდა პოპულარული. მრავალი ოჯახი მოუთმენლად ელოდა გადაცემის დღეს. სიხარულმა და სიამაყემ დაისადგურა ვეტერანთა ოჯახებში. შვილები და შვილიშვილები დიდი ინტერესით უცქერდნენ წინაპრის შესახებ წარმოდგენილ ვიდეომასალას და გახარებულები ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ერთ-ერთი ვეტერანის მეუღლემ, თვალზე ცრემლმომდგარმა მითხრა – ფილმის ნახვის შემდეგ სულ შეიცვალა კაცი, ადრე დგება, ვარჯიშობს, წვერს იპარსავს ყოველდღე, წელში გაიმართა, თვალებში ღიმილის ნაპერნკალი გაუღვივდა, მეორე სუნთქვის პერიოდი დაუდგაო.

დიახ, ვიდეოფილმების მომავლის იმედი გაუათმაგეს ვეტერანებს, მათდამი გამოჩენილი ყურადღება ფრიად ეფექტური გამოდგა – იგრძნეს და დაიჯერეს, რომ მათ არ ივინწყებს სამშობლო და რომ ისინი არიან ქვეყნის საამაყო შვილები.

გაიხარა ვეტერანთა მონაგარმა.

2010 წელს ვიდეოფილმების მთელი კომპლექტი (საკუთარი დუბლიკატები) საჩუქრად გადავეცი გორის საბრძოლო დიდების მუზეუმს იმ იმედებით, რომ დაინიშნებოდა დღე, როცა კვირაში ერთხელ მაინც მუზეუმში აჩვენებდნენ ფილმებს და მოიწვევდნენ ვეტერანთა ოჯახის წევრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რის გამოც გამოვთქვამ გარკვეულ წუხილს. თუმცა, დღესაც ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ვქენი სიკეთე და ათეულობით ვეტერანის ოჯახს მივანიჭე სიამოვნება და სიხარული.

## ორი ღერი სიგარეტი

14-15 წლის ასაკიდან მივეჩვიე თამბაქოს წევას, ჯერ შიგადაშიგ უსისტემოდ (ყოველგვარი სტაბილური რიტმის გარეშე), მერე შედარებით ხშირად, თუმცა ისევ უსისტემოდ და უაზროდ. ხან რას ვეწეოდი და ხან რას – ნასესხებს, ნათხოვარს, ნაჩუქარს და ა.შ. დაახლოებით ორი წლის შემდეგ გავხდი ე.წ. სტაბილური მწეველი, მაგრამ გაჩნდა ფულის პრობლემა, რაც მოსწავლისთვის (მითუმეტეს ტოტალური გაჭირვების პერიოდში) ძნელად გადასაჭრელი პრობლემა გახლდათ. აი, სტუდენტი გავხდი თუ არა, მაშინვე მოგვარდა ეს პრობლემა, რამაც სტიპენდიის ნაწილი შეისრუტა.

ლექციებს შორის შესვენებებზე სიგარეტის წევამ გარკვეული პერიოდულობა განმიმტკიცა და წევა გადაიზარდა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მკაცრ რეჟიმში, რაც გამოიხატებოდა ასეთ პრო-პორციაში: ერთი კოლოფი ერთ დღეში (ანუ დღეში 20 ლერი). ამ რეჟიმით მოვედი 2009 წლამდე და მას შემდეგ გარკვეულ მიზეზთა გამო გადავწყვიტე დოზის შემცირება და დავიყვანე 20-დან 18 ლერამდე (მეტს არ ვენევი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვარ დროში განელილ პურმარილზე). უკვე 5 წელია ვენევი მაქსიმუმ 18 ლერს. გაგიკვირდებათ ალბათ, რატომ ვამახვილებ ყურადღებას სულ რაღაც ორი ლერის „ეკონომიაზე“ განა ისეთი რა ხდება?! ჩემი აზრით მივაღწიე ორი სასიკეთო საქმის გაკეთებას.

**პირველი** – დღელამის განმავლობაში ჩემს ორგანიზმში შედის 1,4 მილიგრამით ნაკლები ნიკოტინი, რაც არ არის ცუდი შედეგი და

**მეორე** – ყოველდღიური ორი ლერი თვეში შეადგენს 60 ლერს ანუ სამ კოლოფს, რაც თანხაში გამოიხატება მინიმუმ 6 ლარით. ტელევიზორს ვუცქერი ყოველ საღამოს და დიდ სიამოვნებას და სიამაყეს მანიჭებს ის, რომ კვირაში ერთხელ მაინც მობილური ტელეფონით ვაგზავნი ერთ ლარს გაჭირვებული ადამიანის ნომერზე.

ჩემი ნატვრა და სურვილი კი ის გახლავთ, რომ დღეში მოწეული სიგარეტების რაოდენობა იქნებ როგორმე შევამცირო 14-16 ლერამდე მაინც, რადგან გახშირდა, საოცრად მოიმატა მორბენალი სტრიქონებით მიწოდებული ინფორმაციათა რაოდენობამ გადაუდებელ ოპერაციებისა თუ სასწრაფო და ძვირადლირებული სამკურნალო კურსის ჩასატარებლად მოსახლეობისგან დახმარების თხოვნის შესახებ.

ღმერთო, მომეცი ძალა, რათა უფრო შევამცირო ნიკოტინის მიღება თუნდაც კიდევ 1,4 მილიგრამით.

## ხე – სიცოცხლის წყარო

ქართულ ფოლკლორში შემორჩენილია დაახლოებით ასეთი სიბრძნე – „კაცმა სიცოცხლეში ერთი ხე მაინც უნდა დარგოსო“. სიბრძნე კი, ჩემი აზრით, იმაში გამოიხატება, რომ გამოთქმა ირიბად მიგვანიშნებს სიკეთის ქმნის აუცილებლობაზე და რომ ხე არის თავად სიკეთე.

მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო და ადვილად დაგრწმუნდებით იმაში, რომ ყველა მატერიალურ ფასეულობებში ხის წვლილი არის განუზომ-

ლად დიდი და იგი შეადგენს დაახლოებით 30 პროცენტს. აქ აღარ ჩამოვთვლი იმას, თუ რა ეპოქიდან ისნავლა ადამიანმა ხის გამოყენება და რას გვაძლევს ხე. ხაზს გავუსვამ მხოლოდ ხის უმთავრეს ღირსებას – იგი გვაძლევს უანგბადს, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლეს.

ვერცერთი ცოცხალი ორგანიზმი ვერ იარსებებს უანგბადის გარეშე. ბუნება მოწყობილია ისე, რომ ატმოსფეროში არსებული უანგბადის რაოდენობა (დაახლოებით 18-19 პროცენტი) საკმარისი და აუცილებელია მაცოცხლებელი უჯრედებისთვის.

სამწუხაროდ, პლანეტაზე (დედამიწაზე) ინდუსტრიის მზარდი განვითარება იწვევს უანგბადის შთანთქმას (შემცირებას), რაც მომაკვდინებელია, პირველ რიგში, ადამიანებისთვის.

აი, სწორედ აქ გვევლინება უდიდეს მხსნელად ნებისმიერი ხე, რომელიც განუწყვეტლივ გამოყოფს უანგბადს და ავსებს დანაკლისს. ე.ი. თუ კაცი ხეს დარგავს, იგი სიკეთეს ქმნის თავისთვისაც და სხვისთვისაც. აქვე აღვნიშნავ, რომ ყველაზე მეტ უანგბადს გამოყოფს ალვისხე, შემდეგ ცაცხვი, მუხა და ა.შ.

ზემოთმოყვანილი სიბრძნის არსი, მართლაც რომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა (პირდაპირი გაგებით) თითოეული ჩვენთაგანისათვის და ჩვენი პლანეტის 7 მილიარდზე მეტი მოსახლისათვის.

ვის რამდენი ხე დაურგავს სიცოცხლეში? ამის აღრიცხვა შეუძლებელია. მთავარია, ერთი ხის დარგვაც კი, რომ სასიკეთო საქმე ჰქმნა.

ვილაპარაკებ ჩემს შესახებ. ზუსტი რიცხვი არ ვიცი, მაგრამ დარგული მაქვს დაახლოებით ორასამდე ხე, რაც გეოგრეფიულად ასე ნაწილდება:

– ქ. თელავში (სკოლის პერიოდი ე.წ. „შაბათობები“):

ზუზუმბოს გორაზე დაახლოებით 15;

ნადიკვრის გორაზე დაახლოებით 10;

„გიგოს გორაზე“ დაახლოებით 20;

საკუთარ ეზოში დაახლოებით 8;

– ქ. თბილისში (სტუდენტობის დროს, „შაბათობები“):

კუს ტბაზე დაახლოებით 20;

ვაკის პარკში დაახლოებით 15;

უძოს მთის კალთებზე დაახლოებით 12;

ვარაზის ხევში დაახლოებით 10;

სტუდენტაქის ტერიტორიაზე დაახლოებით 15;

- ქ. ლენინგრადში ზუსტად 2;
- ქ. მოსკოვში ზუსტად 2;
- დაბა იამპოლში ზუსტად 1;
- სოფელ შილდაში 4;
- სოფელ საბუეში 3;
- ქ. გორში (1957-2012 წ.წ.):

კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის ეზოში 4;

სოფელ ტინისხიდის თავზე (ტრასის მიდამო) დაახლოებით 12;

თბილისიდან შემომავალი ტრასის ორივე მხარეს დაახლოებით 20;

ყოფილი ტურპაზის მოპირდაპირედ დაახლოებით 12;

შავ მთაზე (ამ. მებალეობა) დაახლოებით 25;

ქალაქურ ეზოში ზუსტად 7.

ვფიქრობ, რომ არცთუ ისე ცოტაა ერთი კაცის კვალობაზე.

სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მოვახერხე სიკეთის ქმნა, როგორც სხვისთვის, ისე ჩემთვის და პლანეტა დედამიწას მივეხმარე ჟანგბადის დანაკლისის შევსებაში.

## **ერთ თეთრსაც შეუძლია სიკეთის ქმნა**

იყო დრო (1960-1993 წ.წ.), როდესაც ხელფასი თითქმის ყველა-ფრისთვის მყოფნიდა (დიდ ფუფუნებაზე მოთხოვნილება არასდროს მქონია) და მცირედი დანაზოგიც მქონდა ისე, რომ არც მოკრძალებულ პურმარილებს ვაკლებდი და გაჭირვებულთათვისაც (საბედნიეროდ, მაშინ (ცოტა იყო ასეთი) ყოველთვის ვახერხებდი ორიოდე კაპიკით დახმარებას. მაშინდელ ქუჩებში იშვიათად შეხვდებოდი ხელგამოწვდილს. აი, შემდეგ კი ყველაფერი აირია. ერთგვარად მოწესრიგებული სახელმწიფო მექანიზმი ბოლომდე მოიშალა, იმატა უმუშავერთა რაოდენობამ, ქუჩაში მომრავლდნენ ხელგამოწვდილები, თუმცა, არც იმდენი, რომ ისინი შემაწუხებელნი იყვნენ საზოგადოებისთვის. ყველაფერი შეფარდებითა – კი, დღეს შედარებით მეტნი არიან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ ზურგი შევაქციოთ, თავი ავარიდოთ ან ქილიკი ვიკადროთ. სანამ შევძლებთ, უნდა დავეხმაროთ, ვისაც როგორ შევგიძლია. შეუძლებელი კი თითქმის არაფერია (ზოგადად).

როგორც წესი, გაჭირვებულები ირჩევენ ხალხმრავალ ადგილებს და ეს გასაგებია.

დღევანდელ გორში ყველაზე ხალხმრავალია ჭავჭავაძის ქუჩა, განსაკუთრებით კი სამხედრო პოსპიტალიდან იუსტიციის სახლამდე მონაკვეთი. სწორედ აქ თუ ვნახავთ (ძირითადად) ორ-სამ ხელგამონვდილს.

უბრალო დაკვირვებამ მიჩვენა, რომ ერთიდაიგივე ადგილს (ვთქვათ ნ. ბარათაშვილის ძეგლთან) დღის განმავლობაში კვეთს (აქეთ-იქით) დაახლოებით 6-7 ათასი ადამიანი. ათიდან ერთმა დღეში რომ ერთი თეთრი (მხოლოდ ერთი თეთრი!) გაიმეტოს გაჭირვებულისათვის – საარსებო მინიმუმი გარანტირებულია. ბოლოსდაბოლოს, რა არის ერთი თეთრი, მას ხომ არაფრად ვაგდებთ (და სამართლიანადაც. ზოგს, მე მგონი, ჯერაც არ უნახავს ერთთეთრიანი მონეტა), მაგრამ შეკრებითობის ძალა უნიკალური რამ გახდავთ. ცალკე ერთთეთრიანი – არაფერს წარმოადგენს, მაგრამ რამდენიმე ასეული ერთად – უკვე ძალაა.

არ მეგულება ადამიანი, რომელსაც დაენანება დღეში საშუალოდ ერთი თეთრის გაცემა გაჭირვებულისათვის.

მაგრამ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველთვის გვიჭირდა (დღესაც ვერ ვახერხებთ) გაერთიანება, შესაძლებლობათა ერთ მუშტად შეკვრა, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩაგვძახიან – „ძალა ერთობაშია“ (გერბზეც ხომ გვაქვს ეს სიტყვები).

ბოლოსდაბოლოს, დღის განმავლობაში მობილური ტელეფონით საუბრისას 10-12 სიტყვით ნაკლები რომ ვილაპარაკოთ, ეს არის ზუსტად 1 თეთრის ტოლფასი, გაჭირვებულ ჩვენს თანამემამულეს



კი შვებას მოვგვრით და იქნებ შიმშილით სიკვდილისაგანაც ვიხსნათ.

მწამდა რა ერთიანობის ძალის, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვცდილობდი, სულ მცირედით მაინც ამოვდგომოდი მხარში ყოფით დამძიმებულებს და გაჭირვებულებს, ზეპირსიტყვიერ აგიტაციასაც ვეწეოდი და სულაც არ ვნანობ ამას. არასდროს დამნანებია არც ერთი და არც ორი თეთრი (კაპიკი და ა.შ.) და ამას არასდროს მოუყენებია ჩემი ჯიბისთვის სერიოზული დარტყმა. მერწმუნეთ, რომ ვერც თქვენ იგრძნობთ რაიმე დანაკლისს – გაჭირვებულს კი გადავარჩენთ.

მოგიყვებით ერთ ეპიზოდს და თქვენ განსაჯეთ – სწორედ მოვიქეცი თუ არა.

ოთხი თუ ხუთი წლის წინ მე და ჩემი მეგობარი წავედით სტადიონისკენ, ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. კავშირგაბმულობის (ფოსტის) სახლთან, ბორდიურზე ჩამომჯდარიყო წვერმოუპარსავი, გაქუცულტანსაცმლიანი ოცდაათიოდე წლის მამაკაცი. ამოყირავებული ქუდი ტროტუარზე დაედო და გამვლელ-გამოვლელებს მუდარის მზერით შესცეკროდა (ამ ადგილზე ხშირად მინახავს ხელგა-მოწვდილი, მაგრამ ეს კაცი არ მეცნობოდა, ალბათ „ახალი“ იყო). ხურდები მეგულებოდა და ხელი ჯიბისკენ წავიღე. მეგობარმა მირჩია – არ მისცეო. არ მოვუსმინე და მოვჩერიკე ხურდები. თითებში მომხვდა, მგონი 10-თეთრიანი იყო. მეგობარმა კიდევ შემახსენა – არ მისცე, თორემ ინანებო. მე ჩემი გავიტანე და შვება ვიგრძენი იმით, რომ ვიღაცას ვეხმარებოდი და ყოფას ვუმსუბუქებდი.

სტადიონიდან გახარებულები ვბრუნდებოდით – გორის „დილამ“ მოიგო მატჩი. თეატრის მხარეს მოუყენებოდით ჭავჭავაძის ქუჩას. უცპათ, მეგობარმა შემაჩერა და ხელით მიმანიშნა თეატრის ეზოსკენ – აი, შეხედე... ხომ გეუბნებოდი, არ მისცე-მეთქი, ახლა რას იტყვი?!

ახლოს მივედი. ვიცანი ის წვერმოუპარსავი მამაკაცი. ბუჩქის ძირში გულალმა ინვა და ფშვინავდა. იქვე ცარიელი ბოთლი ეგდო და ძეხვის და პურის ნარჩენები. ქუჩის მანანწალა ძალები თავს დასტრიიალებდნენ საცოდავს.

ცუდ ხასათზე დავდექი, მაგრამ რაღას ვიზამდი?!

ახლა მკითხველმა განსაჯოს – ჩემი ათთეთრიანი სიკეთის თანამონანილე იყო თუ სიბოროტის?!

## ხელნაწერები

ლიტერატურულ წრეებში დიდიხანია ფეხმოკიდებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ავტორმა, წიგნის დაბეჭდვამდე, რამდენჯერმე უნდა გადაიკითხოს ხელნაწერი, რათა გამორიცხული იქნეს ორთოგრაფიული შეცდომები, აბსურდული თუ არარეალური ფაქტები და ა.შ.

თუმცა, როგორც მრავალნლიანი პრაქტიკა ამტკიცებს, ეს არ გახლავთ საკმარისი, რადგან ავტორი ხმირად ვერ ამჩნევს თავის შეცდომებს. საჭიროა, რომ ხელნაწერი, ე.ნ. შავი მასალა წაიკითხოს, მინიმუმ „ერთმა უცხო თვალმა“ – სასურველია ლიტერატურათმცოდნები.

გამომდინარე კალიგრაფიის ინდივიდუალურობიდან, ხელნაწერის წაკითხვა „სხვა თვალისთვის“ წარმოადგენს ჯოჯოხეთურ შრომას, მითუმეტეს მაშინ თუ ავტორი არ წარმოადგენს გამოცდილ და მაღალი პროფესიული დონის შემოქმედს.

აბა, კარგად დაუკვირდით – სხვისი ხელნაწერის წაკითხვას და არამარტო წაკითხვას, როგორი და რამდენი ჯაფა და დრო სჭირდება, მითუმეტეს თუ საქმე გვაქვს ასეულობით გვერდთან.

გამომდინარე ჩემი შინაგანი მოწოდებიდან, რომ ვინმეს დავეხმარო (მხარში ამოვუდგე, საქმე გავუადვილ) და „კეთილი ვქმნა“ – არასდროს მითქვამს უარი სხვისი ხელნაწერების წაკითხვაზე და ამას ვაკეთებ განსაკუთრებული მონდომებით და ერთგულებით, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ „მესამე თვალისთვისაც“ დარჩეს „სამუშაო“.

წამიკითხავს ორასი, სამასი და ათასორასი გვერდიც კი და „სამუშაოს“ შესრულების შემდეგ ყოველთვის ვგრძნობ რაღაცნაირ სიამოვნებას და სიამაყესაც კი იმის გამო, რომ ვიღაცას დავეხმარე, ადამიანური ვალი მოვიხადე და რაც შემეძლო – გავაკეთე.

ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ არ გახლავართ „დიდი მცოდნე“, მაგრამ რაც ვიცი და რაც შემიძლია იმას ვაკეთებ მთელი გულით და სულით და ამისკენ მიბიძგებდა და მიბიძგებს „სიკეთის ქმნის“ დაუოკებელი სურვილი.

აქვე ვიტყვი, რომ რამდენიმე კეთილსინდისიერმა ავტორმა მაღლობა მითხრა განეული შრომისთვის, რითაც ძალიან გახარებული ვარ. კვლავაც მზად გახლავართ უანგაროდ ვემსახურო ყველას, ვისაც დასჭირდება ჩემი მოკრძალებული გარჯა.

## ავეთი

„...ავსა კაცსა ავი სიტყვა,  
ურჩევნია სულსა, გულსა“.  
„...კოკასა შიგან რაცა დგას,  
იგივე წარმოდინდების“.

(შოთა რუსთაველი)

ბრძენი ადამიანების გამონათქვამები იმიტომ არის სიბრძნე, რომ წარმოადგენს ყოველდღიურ ჭეშმარიტებას.

მინდა წარმოგიდგინოთ ბავშვობის პერიოდის ერთი ეპიზოდი მა-მაჩემის ნაამბობიდან!

ერთხელ, თურმე, ყოველგვარი შინაგანი თუ გარეგნული სიკე-  
თით შემკულმა, მოხდენილმა ახალგაზრდა კაცმა ლალი ნაბიჯებით  
ჩაუარა სავაჭრო დახლებს. შეამჩნია ნაცნობი მოვაჭრე და ხელისაწ-  
ევით ხმამალლა მიესალმა:

— გამარჯობა, საყვარელო კაცო, როგორ გიკითხოთ, როგორ  
მიდის საქმეები?!

— გმადლობთ, გმადლობთ... შენ თავად როგორ ხარ, არწივივით  
რომ მოაპობ სივრცეს და მიწა რომ ზანზარებს შენი ნაბიჯების  
სიმძიმით?!

გამოეპასუხა და გამომწვევად გადახედა კოლეგებს.

არ ელოდა ახალგაზრდა ასეთ თბილ სიტყვებს, რადგან ის მოვაჭ-  
რე გამორჩეული იყო ავსიტყვიანობით, უხეში ურთიერთობებით და  
ცინიზმით. ყველა თავს არიდებდა მასთან საქმის დაჭერას და სიახ-  
ლოვეს. ეს კარგად იცოდა ახალგაზრდა კაცმა და ამიტომაც გააკ-  
ვირვა მისმა სიტყვებმა. გაიფიქრა — კარგი კაცი ყოფილა და ალბათ  
რაღაც-რაღაცებს უგონებენო.

კომპლიმენტებით წახალისებულმა ახალგაზრდა კაცმა გადადგა  
რამდენიმე ნაბიჯი, მიუახლოვდა ნაცნობ მოვაჭრეს და ხმადაბლად  
სთხოვა:

— წავალ და ნახევარი საათის შემდეგ ჩემს შეყვარებულთან  
ერთად ჩამოვიყლი. მოგესალმებით, როგორც წელან და აბა თქვენ  
იცით, იქნებ იგივე სიტყვებით მომმართოთ, ძალიან გამახარებ-  
თო.

— კარგიო, უპასუხა მოვაჭრემ ხანმოკლე პაუზის შემდეგ და ორონიული ღიმილის თანხლებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ახალ-გაზრდა კაცი.

მართლაც სულ მალე ჩამოიარა ხელკავით გადაჭდობილმა საოც-რად ლამაზმა წყვილმა. სახეეგაბადრული ახალგაზრდა ბიჭი ისევ იმ სიტყვებით მიესალმა ნაცნობ მოვაჭრეს და სასიამოვნოს მოსმენის მოლოდინში ლამის სუნთქვა შეეკრა.

მოვაჭრემ ზანტად და რაღაც ქილიკით მიახალა:

— მე კი ვარ კარგად, მაგრამ აი შენ რა გეშველება, სირაქლემა-სავით რომ მოაყელყელავებ მაგ ჭიგოსავით კისერს და ტალახში ამოსვრილი ბატივით რომ მოათრევ მაგ ფეხებს?!

შეცბა ახალგაზრდა კაცი; მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა – ის ერჩია.

„...არ გათეთრდების ყორანი,  
რაც უნდა ხეხო ქვიშითა...“  
(ხალხური)

## ეზოს ბავშვები

ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა ჩვენი ეზოს ბავშვებთან. ისინი ყოველთვის ბევრნი არიან, ღმერთმა გვიმრავლოს. მიყვარს 8-10 წლის ბავშვებთან მეგობრობა, ხშირად ვესაუბრებოდი საინტ-ერესო მოვლენებზე, ვუძღვნიდი ლექსებს, ვულოცავდი დაბადების დღეს.

ერთხელ საზეიმო საღამოც მოვუწყე პირველ კლასში შესულებს. მერე გაზეთში გამოვაქვეყნე წერილი და კოლექტიური ფოტოსურა-თი და ა.შ. მათაც ყოველთვის აინტერესებდათ ჩემთან შეხვედრა. რამდენჯერმე ჩამრთეს დომინოსა და „ჯოკერის“ თამაშებიც. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ჩემი ფიზიკური კონდიციები მაძლე-ვდა სამუალებას.

მთავარი რამ კი ჩვენს კეთილ ურთიერთობაში იყო ის, რომ როცა ეზოში ჩავდიოდი, ფართოდ ვალებდი ავტოფარეხის კარებს და ვა-ძლევდი თავისუფალი ქმედების საშუალებას, რაც იმაში გამოიხა-ტებოდა, რომ: გოგონებს ვაძლევდი ცოცხებს, აქანდაზებს, წყლის ჭურჭელს, ჭინჭებს და სხვა საჭირო ნივთებს და თხოვნა-დავალებას

- დაელაგებინათ და მოენესრიგებინათ ავტოფარეხი თავიანთი გემოვნების მიხედვით.

ბიჭებს ვაძლევდი: ჩაქუჩებს, ხერხებს, ბრტყელტუჩას, ქანჩებს, სახრახნისებს, ფიცრის ნაჭრებს და თათარიახნად მოფიქრებულ დავალებას, რაც გამოიხატებოდა რაიმე სასარგებლო მოწყობილობის შეკეთებაში, ან ახლის დამზადებაში.

ორი-სამი საათის განმავლობაში იყო ერთი უივილ-ხივილი, სიცილ-კისკისი, გადაძახილების, შექების ტაში, გაჭრილი ან დაბეჭილი თითის გამო ჩივილი და ტკივილი, გაუთავებელი შეკითხვები და „მუშაობისთვის“ ახალი მასალის თუ ისტრუმენტის მოთხოვნები და ა.შ.

ასე გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში და არასდროს ვყოფილვართ ერთმანეთის უკმაყოფილო. ზოგჯერ მშობლების დაძახებასაც წაუყრუებდნენ ხოლმე, ისე იყვნენ გატაცებული მათ-თვის ერთობ საინტერესო საქმიანობით.

სამწუხაროდ, ბოლო დროს სათანადო და საკმაო ყურადღებას ვეღარ ვუთმობ ბავშვებთან მუშაობის „ჩემებურ მეთოდს“, მაგრამ ის, რაც უკვე გავაკეთე, ვფიქრობ, რომ ნაკარნახევი იყო სიკეთის ქმნის სურვილით.

ვინ იცის – როდის, სად ან რა სიტუაციაში გამოადგებათ ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც მათ გამოიმუშავეს „ჩემს გაკვეთილებზე“.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას.



## გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ძალიან მიყვარს ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ყოფნა. აქ ბევრ საინტერესოს ვნახულობ, რაც მეხმარება ისტორიული ცოდნის დონის ამაღლებაში. ვფიქრობ, არასდროს დავკარგავ ამ ინტერესს ორი რამის გამო:

პირველი ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ ინახება მუზეუმში ისეთი, რაც არ მინახავს.

მეორე ის, რომ ბოლო წლებში შესამჩნევად გააქტიურდა მუზეუმის თანამშრომელთა მართლაც რომ საოცრად შრომისმოყვარე კოლექტივი, რომელმაც უამრავი საინტერესო რამ შესთავაზა საზოგადოებას და მუხლმოუხრელი დღელამური მუშაობით მოიპოვა საყოველთაო აღიარება.

წლების განმავლობაში ვცდილობდი რაიმეთი ამოვდგომობი მხარში აღნიშნულ მუზეუმს, მაგრამ განსაკუთრებული სპეციფიკის გამო, ბევრი ვერაფერი შევმატე აღნიშნულ უწყებას. ერთს კი ვა-ხერხებ – მუზეუმს ვჩუქნი ჩემს საავტორო წიგნებს, რომლებიც, თუნდაც ირიბად უკავშირდება გორისა და გორელების ისტორიას. ამ ბოლო დროს კი მომეცა ბედნიერი შესაძლებლობა და მუზეუმს გადავეცი 1914 წელს, ქ. თელავში გამოცემული მცირე მოცულობის ლექსების კრებული სახელწოდებით „თელაველი ლამაზმანები“.

ვფიქრობ, რომ ნაწილობრივ მაინც მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი.

### ზედმეტი ხურდა

უამრავი შემთხვევის მომსწრე ვარ, როდესაც გამყიდველს არასწორად დაუბრუნებია ხურდა, რაც, ასევე ხშირად, გამხდარა ცხარე კამათის საგანი. ხმაურიანი გარჩევა კი მაშინ ხდება, როცა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, გამყიდველი აკლებს ხურდას. ხურდის დანაკლისით გაცემას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მიზეზი: შეგნებული (რომელსაც, მყიდველი თუ შეამჩნევს, მოჰყვება სიტყვები – უი, მაპატიეთ, შემეშალა, ბოდიშს გიხდით), გამყიდველის გადაღლილობა (ისიც ადამიანია, ფეხზე დგომით იღლება მთელი დღის განმავლობაში) და ელემენტარულ არითმეტიკასთან „მწყრალად ყოფნა“.

ბოლო წლებში საკმაოდ მოწესრიგდა ყიდვა-გაყიდვის პროცე-დურები და ისევიათად იძალება ურთიერთობები, რადგანაც თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტში აქვთ სალარო აპარატები, კალკულატორები და ღირებულების ქვითრები. ადრეულ წლებში კი სიტუაცია სხვა იყო.

არის კიდევ ერთი (ქართველებისთვის განსაკუთრებულად და-მახასიათებელი თვისება) სიტუაცია, რომელმაც შეიძლება წარ-მოშვას ხურდის არასწორად გაცემის შემთხვევა. კერძოდ, გამყიდ-ველს ერთდროულად ეკონტაქტება რამდენიმე მყიდველი: ზოგი ფასს კითხულობს, ზოგი თვითონ იღებს სასურველ პროდუქტს და პარკს ითხოვს, ზოგი ინტერესდება გამომშვები ფირმით და გულ-დასმით ათვალიერებს ეტიკეტს, მავანი ტელეფონში თანხის ჩარიცხ-ვას ითხოვს, ვიღაც თაროდან თვითნებურად გადმოიღებს რაღაცას და უამრავ შეკითხვას იძლევა და ა.შ. (ჩვენ ხომ ყოველთვის „გვეჩ-ქარება“ და არასდროს ვაკლით ერთმანეთს გამყიდველთან საქმის მომთავრებას). გამყიდველმაც, მეტი რა ქნას?! იგი ერთდროულად პასუხებსაც იძლევა, ფულსაც იღებს, ხურდასაც აბრუნებს, პარკ-საც აწვდის, საქონელსაც წონის, ტელეფონში თანხასაც რიცხავს, კალკულატორზეც ანგარიშობს, ქვითრებსაც იძლევა და ასე განუ-წყვეტლივ მთელი დღის განმავლობაში (თურქულ სერიალზეც ხომ უნდა გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები).

იღლება ადამიანი, გონება ეძაბება და უშვებს შეცდომას. მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოება. კამათი, ჩხები და აყალმაყალი ინ-ყება მაშინ, როცა მყიდველი აღმოაჩენს ხურდის დაკლების ფაქტს.

ახლა კითხვა დავსვათ ასე: გამყიდველი ხურდას მხოლოდ აკ-ლებს? იქნებ მეტსაც იძლევა? ის ხომ გადაღლილია და შეცდომებს უშვებს? საქმე იმაში გახლავთ, რომ გამყიდველები (თუ ამას შეგ-ნებულად არ აკეთებენ) სტატისტიკურად, თითქმის თანაბარი რა-ოდენობით „აკლებენ“ და ზედმეტს აძლევენ“, ეს ფაქტია. მაგრამ საქმე სულ სხვა რამეშია – მყიდველი, რომელსაც მისცეს ზედმეტი ხურდა, არასდროს კამათობს, არასდროს აცხადებს პრეტენზიას... შეამჩნევს რა ზედმეტად მიღებული ხურდის ფაქტს, უჩუმრად და სწრაფად გაეცლება იქაურობას და სახლამდე ისე მივა, ერთხელაც არ გაიხედავს უკან.

სამწუხაროა, რომ „ზედმეტხურდამიღებულების“ აბსოლუტური უმრავლესობა, ალბათ 99,9 % ასე იქცევა და ჩემი აზრით, ეს გახლავთ

უსინდისობა, ძარცვა, ყოველგვარი სისაზიზლობაც კი, რადგან მათ („ზედმეტხურდამილებულებს“) არ აინტერესებთ გადაღლილი გამყიდველის ყოფა (უმრავლესობა ხომ ქალბატონები არიან, მათ ხელფასს ხომ საფრთხე ემუქრება, სამუშაოდან განთავისუფლების საშიშროებაც ხომ არსებობს და ა.შ.).

განა რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს გადმოყოლილმა 20-30 თეთრმა, თუნდაც ერთმა ლარმა?! ლირს კი ამ ფასის სანაცვლოდ სინდისის წანებიდა, „შუბლის ძარღვის“ განვეტა, ყოველგვარი რაინდულის (პატიოსნება სწორედ რომ რაინდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება) უგულვებელყოფა?!

პირადად მეც მქონია შემთხვევები ხურდის როგორც დაკლების, ისე ზედმეტის გადმოყოლების, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი (წყნარად და მშვიდად) ჩემი კუთვნილის მიღებას და „სხვისი“ გადმოყოლებულის დაბრუნებას.

„გადმოყოლებულების“ უამრავი შემთხვევა მახსოვს, მაგრამ არასდროს შემირცხვენია თავი, სინდისი არ გამიყიდია „30 თეთრად“, მადლიერი გამყიდველების (ოდნავ გაოცებულების) მადლობაც ხშირად მიმიღია და ყოველივე ეს სიხარულს მანიჭებდა და სიამაყეს მმატებდა.

„30 თეთრის“ დედაც... გაუმარჯოს სინდისიერებას!

ახლა მინდა მოგახსენოთ „გადმოყოლებული“ ხურდის დაბრუნების პირველ შემთხვევაზე, რომელიც საქმაოდ ხმაურიანი და მართლაც კურიოზული აღმოჩნდა, რის შემდეგაც „ზედმეტი“ („გადმოყოლილი“) ხურდის დაბრუნების „მეთოდი“ შევცვალე.

ეს მოხდა 1965 წლის 15 სექტემბერს.

ქ. გორში, ყოფილი ლენინის სახელობის ქუჩაზე მდებარე ე.წ. გასტრონომში შევიძინე რამდენიმე სახეობის პროდუქტი (მაშინ ყველაფერს ზედ ეწერა ფასი).

გამყიდველმა ხურდა დამიბრუნა თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ზედმეტი მომცა. არ ავჩეარებულვარ. სანამ გამყიდველი სხვა მყიდველებთან აგვარებდა საკითხებს, გონებაში ერთხელ კიდევ შევკრიბე შეძენილის საერთო ლირებულება და დავრწმუნდი, რომ გამყიდველი შეცდა თავის საზიანოდ. დაველოდე ყველა მყიდველის წასვლას (არ მინდოდა სხვისი თანდასწრებით შემერცხვინა გამყიდველი). რამდენჯერმე ეჭვის თვალით შემომხედა, თუმცა არაფერი

უთქვამს. ბოლოს დავრჩით პირისპირ და მივმართე აქ მოვახდენ ერთ ამონარიდის ციტირებას ჩემი წიგნიდან „მინიატურების აღლუ-მი“, გვ. 29, თბ. 2009 6) – გოგონა, გენაცვალე, ხურდა შეცდომით მომეცით და მინდა, რომ...

არ დამაცადა სათქმელის დამთავრება, განიწმატდა და ისეთი დღე დამაყარა, რომ მტრისას...

– ოჲ, შენდა გვაკლდი... იცი, დღეს უკვე მერამდენე ხარ?! გა-მონახეთ რა, ფულის შოვნის იოლი გზა; თქვე უნამუსოებო, თქვე გარეწრებო, აღარა გრცხვენიათ, სხვის ხარჯზე გინდათ ცხოვრება, თქვე უვარგისებო?! ახლავე მოუსვი აქედან, თორემ...

მივხვდი ყველაფერს; ვაპატიე ის, რაც მაკადრა. რა ექნა გამ-ნარებულ ქალს თუ კი დღეში ათჯერ მაინც უწევდა საეჭვო ხურდის მთხოვნელთა მოგერიება.

მოვიყრიფე ძალლონე და დამშვიდებული ხმით მივმართე:

– არაფერს გედავებით; პირიქით, თქვენ ზედმეტი მომეცით და მსურს დაგიბრუნოთ...

– ხუმრობის ხასიათზე ხარ?! ახლა მე მკითხე...

არა, არ ვხუმრობ, აი აიღეთ. ვუთხარი ეს, ფული დახლზე დავდე და სახლისკენ წავედი.

ისეთი მადლიერი მზერა გამომაყოლა, რომ სითბო ვიგრძენი მთელ სხეულში. როცა კი იმ მაღაზიაში შევდიოდი, აშკარად ვგრძნობდი მის მომეტებულ ყურადღებას. ყოველთვის პირველს მემსახურებოდა, აკ-ურატულად შემიფუთავდა შეძენილს და როცა ხურდას მიბრუნებდა, საოცარი ლიმილი დასთამაშებდა ხოლმე სახეზე.

ზემოთ აღვინშნე, რომ ასეთი რამ ხშირად შემემთხვა და ყოვ-ელთვის ვაბრუნებდი ზედმეტს, თუმცა შევცვალე „გაპროტესტების“ ტექსტი და სათქმელს ვიწყებდი სიტყვებით – „ზედმეტი მომეცით“ (ნაცლად „შეცდომით მომეცით“), რაც არ იწვევდა მყისიერ განიწ-მატებას და მოსალოდნელ შეკამათებას თუ გაუგებრობას.

გორში ბევრი მადლიერი გამყიდველი მეგულება. ჩემდამი მად-ლიერების და მორიდებულ პატივისცემას მათ თვალთა გამოხედვაში ვგრძნობ და ვხედავ, რაც საოცარ სიხარულსა და სიამოვნებას მანი-ჭებს. მეტი რა უნდა კაცს!?

20-30 არამ თეთრს, ერთი მადლიერებით აღსავსე თვალთამზერა გვერჩივნოს.

## ხსოვნის წიგნი

ადამიანების ხსოვნის უკვდავსაყოფად კაცობრიობამ, მილიონობით წლის განმავლობაში, შეიმუშავა და პლანეტა დედამიწაზე პრაქტიკულად განახორციელა ბევრი ხერხი, საშუალება თუ მეთოდი, რითაც საფუძველი ჩაუყარა უნიკალურ ისტორიას. ასეთ საშუალებათა შორის დავასახელებდი პირამიდებს, სარკოფაგებს, სახელობით სალოცავებს, მონოგრაფიებს, ლექსებს, სიმღერებს, კინემატოგრაფიას, აუდიო თუ ვიდეოჩანანერებს, ძეგლებს, ქანდაკებებს, მემორიალებს, სახელობით მუზეუმებს, სკვერებს, ხიდებს, მოედნებს, ქუჩებს და ა.შ.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია და მისასალმებელი; თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან მრავალფეროვანი ისტორიის ამ ფრაგმენტებზე და მომავალშიც ასე იქნება.

თუმცა არსებობს ერთი „მაგრამ“ – საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ჩამონათვალიდან (და კიდევ სხვა...) თითოეული ცალკე აღებული უკვდავყოფს საყოველთაოდ ცნობილი და გამოჩენილი, ე.ნ. „დიდი ადამიანების“ (გმირები, პოლიტიკოსები, მხედართმთავრები, მეფეები, მწერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, სპორტსმენები და ა.შ.) ხსოვნას.

ვიმეორებ, ყოველივე ეს აუცილებელია, მისასალმებელია, რამეთუ წარმოადგენს მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, მაგრამ რა დააშავე ე.ნ. „რიგითმა“ ადამიანებმა!?

რაღა თქმა უნდა, სისულელე იქნება ყოველ ადამიანს დავუდგათ ძეგლი, ან მისი სახელი ვუწოდოთ რომელიმე მნიშვნელოვან ობიექტს და ა.შ. ამიტომაც ისევდაისევ ადამიანებმა მოიფიქრეს და გამოყვეს ცალკე ადგილები (ქალაქებისა და სოფლების სასაფლაოები), სადაც განისვენებს ყოველი მოკვდავი, თუმცა იქაც მიუჩინეს ადგილი ე.ნ. პანთეონებს, შედარებით გამორჩეულთათვის.

ყოველი ადამიანი იმსახურებს მისი ხსოვნის უკვდავყოფას, თუნდაც იმიტომ, რომ იგია ჩვენი პლანეტის ცოცხალ არსებათა შორის განვითარების ყველაზე მაღალ დონეზე მდგომი. კიდევ იმიტომ, რომ იგი ერთხელ მოვიდა და ერთხელ წავიდა და აღარასოდეს დაბრუნდება. ყოველი ადამიანი უნიკალური და ერთადერთია. მისი ზუსტი ანალოგი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება.

მოვიდა, ისნავლა, იშრომა, იბრძოლა, ოჯახი შექმნა, მონაგარი მოამრავლა, მოსავალი მოიყვანა, სახლი ააშენა, რკინიგზა გაიყვანა,

რეკორდი დაამყარა... და წავიდა, წავიდა სამუდამოდ.

12 წლის წინ გადავწყვიტე, რომ ყველა აწგარდაცვლილი (არ აქვს მნიშვნელობა ასაკს, სქესს, რეგალიებს, ეროვნებას, სტატუსს და ა.შ.) ადამიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად მესარგებლა წიგნის ფენომენით (წიგნი, ხომ საუკეთესო საშუალება გახლავთ საკმაოდ დიდი ინფორმაციის კონცენტრაციისა და შენახვის თვალსაზრისით).

დავინწყე აწგარდაცვლილი გორელების შესახებ მასალების შეგროვება (მეხმარებიან ოჯახის წევრები) და უკვე 2007 წელს გამოვიდა პირველი ნაწილი, სახელწოდებით „და... ვანთებ სანთელს“. დღემდე უკვე გამოიცა აღნიშნული წიგნის შვიდი ნაწილი და მათში უკვდავყოფილია 200-მდე აწგარდაცვლილი გორელის ხსოვნა. წიგნები გადაეცა ოჯახის წევრებს და ასევე საქართველოს ეროვნულ (საჯარო) და გორის საბიბლიოთები ფონდებს.

აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა აზრი აღნიშნული წიგნის შესახებ: „...ასეთი რამ პირველად გაკეთდა; საჭიროა საქმის გაგრძელება; წიგნი წარმოადგენს მნიშვნელოვან შენაძენს არა მარტო გორის ისტორიისათვის...“

აქვე აღვნიშნავ, რომ მეოთხე ნაწილიდან წიგნი გამოდის სახელწოდებით „ხსოვნის წიგნი“. ამჟამად ვაგროვებ მასალებს მე-8 წიგნისთვის.

აქვე სინაწულით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მოსახლეობა არ არის მაინცდამაინც აქტიური, მას ჯერ კიდევ კარგად ვერ წარმოუდგენია, თუ რა მნიშვნელოვანი საქმე კეთდება მომავალი თაობებისათვის. მე კი, კიდევ ერთი მცირედი ნაბიჯი გადავდგი იმ გზაზე, რომელსაც საყოველთაო სიკეთისკენ მივყართ.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.


## **ბავშვები, ბავშვები**

ბავშვებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, მათთან ერთად თამაში, მათთვის ლექსებისა თუ ზღაპრების კითხვა, აღზრდის დიდაქტიკური მეთოდების ელემენტების ქადაგება, საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების სწავლება და ა.შ. – რომ იტყვიან, ჩემი ჰობია და ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ნაწილობრივ. ახლა კი მინდა მოგითხოვთ სხვა ეპიზოდზე.

2004 წელს გადავწყვიტე, რომ გორელი ბავშვებისთვის მიმეძღვნა საბავშვო ლექსების კრებული.

გადავწყვიტე და შევასრულე კიდეც. ახალწლამდე ორი კვირით ადრე წიგნი მზად იყო. მისი სახელწოდებაა – „იხარეთ“. წიგნის წინა და უკანა გარეკანზე განთავსებულია გორელი ბავშვების ფერადი ფოტოები. ყველა მათგანს საახალწლო საჩუქრად გადავეცი ეს წიგნი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია მათ ოჯახებში. მადლობებით „გადაიტვირთა“ ბინის ტელეფონი, მადლიერების გრძნობის ტალღამ მეშვიდე ცაში ამიყვანა. ჩემზე ბედნიერი კაცი მაშინ არ მეგულებოდა (წიგნი დაცულია ბიბლიოთეკების ფონდებში).

გავიდა თხუთმეტი წელი. საახალწლო შენაძებით დატვირთული (ხუთი თუ ექვსი პილიეთილენის პარკი) გამოვედი სუპერმარკეტიდან და ფრთხილი ნაბიჯებით გავუყევი დათოვლილ ტროტუარს. ვიღაც შემეჯახა, პარკები ხელიდან გამიცვივდა, ზოგი გაისა და შენაძენი ტროტურაზე მიმოიფანტა. ამ დროს საიდანლაც ორმა გოგონამ მოირბინა (მგონი მარკეტში მოვკარი თვალი) და დაიწყეს მიმობნეულის შეგროვება. ერთ-ერთმა მაღაზიაში შეირბინა და პარკები გამოიტანა. ყველაფერი აკურატულად ჩამინებული იყო და აქეთიქიდან ამომიდგნენ – მიგაცილებთ სახლამდეო. მე უარი ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვნენ, სახლამდე მოყვნენ.



მადლობა მოვუხადე და ვკითხე, ვინ ხართ-მეთქი. მიპასუხეს – თქვენი წიგნის წინა ყდაზე ბოლო რიგში მაჯვნიდან პირველი და მეორე, ეს ჩვენ ვართ, წელს ვამთავრებთ საშუალო სკოლას. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა მშვენიერი წიგნისთვისო. გამიხარდა, ძალიან გამიხარდა, ლამის ცრემლი მომადგა თვალებზე.

ვერ ვიცანი; აბა, როგორ ვიცნობდი, მაშინ ხომ ისინი 6-7 წლისები იყვნენ.

ყველაზე ძალიან კი იმან გამახარა, რომ 15 წლის წინ „სიკეთის ქმნაში“ ახალი სიკეთე შობა – ეს არის მთავარი.

ტყუილად ხომ არ უთქვამთ: „მადლი ქენი, ქვაზე დადე, ჩამოივლი წინ დაგხვდებაო“ (მადლი და სიკეთე რომ ანალოგიური არსის მცნებებია, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით).

აქვე აღვნიშნავ, რომ გორელ ბავშვებს მივუძღვენი კიდევ ორი წიგნი – „იგავ-არაკები“ (ლექსებად. თბ. 2009) და „აბა, გამოიცანი“ (ლექსი-გამოცანები. თბ. გამომცემლობა „უნივერსალი. 2010).

## **საახალწლოდ**

პირველი წიგნი დიდი ტირაჟით გამოვეცი, მეგონა რიგში გაიყიდებოდა. „თქვენც არ მომიკვდეთ“ – სულ ათიოდე ცალი შეიძინეს, დანარჩენი კი საჩუქრებად გამოვიყენე. ვარიგებდი და ვარიგებდი ცალობით და ბითუმად. ზოგს ავტოგრაფით, ზოგს მის გარეშე – უცნობებს, ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს, ძმაკაცებს, მეზობლებს და ა.შ. ბიბლიოთეკებშიც მივუჩინე ადგილი და წლის ბოლოსთვის მაინც დამრჩა ასიოდე ცალი.

მეორე წიგნი გამოვეცი შედარებით მცირე ოდენობით, მაგრამ ზემოთჩამოთვლილი „ოპერაციების“ შემდეგ, მაინც შემომრჩა რამდენიმე ათეული.

ყოველი მომდევნო წიგნის ტირაჟს ვამცირებდი და 24-ე წიგნი დავბეჭდე სულ 100 ეგზემცლარად. მოკლედ, სახლში შემომრჩა საკმაოდ დიდი რაოდენობა წიგნების და 2006 წელს თავში მომივიდა, ჩემი აზრით, საკმაოდ ორიგინალური რამ, რის შესახებაც ახლა მოგახსენებთ.

31 დეკემბერს, დილით დავურეკე ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს (თამაზ კლიმიაშვილს და ედუარდ პატარიძეს) და ვთხოვე დამხმარებოდნენ „სიკეთის ქმნაში“.

შემორჩენილი წიგნების 200-მდე ცალი მუყაოს ყუთებით წავიდეთ კინოთეატრ „გამარჯვებასთან“, დავდექით თვალსაჩინო ადგილზე და გამვლელ-გამოვლელებს ვთავაზობდით ერთგვარ საახალწლო საჩუქრებად.

მობრძანდით, მიიღეთ საახალწლო საჩუქრად – მოუწოდებდა გამვლელებს ედუარდი, მაგრამ მოხდა საოცარი რამ...

რაღაც უნდობლობით გვიყურებდნენ... შეიძლება ფიქრობდნენ, რომ ვყიდიდით... ახლოს არ გვეკარებოდნენ.

შემოგვხედავდნენ, გაიღიმებდნენ და აგრძელებდნენ გზას. ბიჭებს ვთხოვე, იქნებ ხაზი გავუსვათ იმას, რომ არ იყიდება და რომ მხოლოდ საახალწლოდ ვჩუქნით.

როგორც იქნა ირწმუნეს, რომ საჩუქრად ვთავაზობდით და რკალად შემოგვევივნენ. ოციოდე წუთში მუყაოს ყუთები დაცარიელდა. ზოგმა ავტოგრაფიც ითხოვდა.

ასე დამთავრდა ჩემი პირველი მცდელობა, საავტორო წიგნების საახალწლო საჩუქრებად ჩამორიგებისა, რამაც დიდი სიხარული და სიამოვნება მომანიჭა.

## 30თომ ცვალილებაები

თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრება სავსეა უამრავი ე.წ. წვრილმანით. ხშირ შემთხვევაში მათზე ყურადღებასაც კი არ ვამახვილებთ და არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ბევრ მათგანს (ე.წ. წვრილმანს) შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს დროის ამა თუ იმ მომენტში, თუ ამა თუ იმ სიტუაციაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნებისმიერი ე.წ. „მსხვილმანი“ შედგება მრავალი წვრილმანისაგან, რომელთაგან თითოეული მათგანი ცალკე არ ტოვებს მნიშვნელოვანი „როლის მოთამაშის“ შთაბეჭდილებას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. თუ ინტერესით დავაკვირდებით და ღრმად ჩავწვდებით მოვლენებს, ვნახავთ, რომ მას, რასაც ჩვენ წვრილმანს ვეძახით, შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა (დადებითი ან უარყოფითი) იქონიოს ჩვენს საქმიანობაზე კერძოდ და ადამიანებთან ურთიერთობაზე – ზოგადად.

წიგნის ამ ნაწილში შევეცდები შევეხო ზოგიერთ, თითქოს მართლაც უმნიშვნელო წვრილმანს, რომლებთანაც ხშირად მქონია შეხება და შესაბამისი, ჩემეული დასკვნებიც გამიკეთებია.

## ღილის კილო („პეტლი“)

დიდი დაკვირვება და კვლევა-ძიება არაა საჭირო იმის შესამჩნევად, რომ პიჯაკების 99%-ს მარცხენა მკერდის ე.წ. ბორტზე აქვს ღილის კილო („პეტლი“) ამოქარგული შესაბამისი ფერის ძაფით.

ვფიქრობ, დღეს არავინ იცის მისი დანიშნულება, რადგან მოპირდაპირე მხარეს (მარცხენა მკერდის „ბორტზე“ არ არის შესაბამისი ღილი. მაში, რა საჭიროა ეს კილო („პეტლი“), თუ იგი არ ასრულებს თავის „მოვალეობას“? უფრო მეტიც – იგი ქმნის ასიმეტრიას და ამახინჯებს პიჯაკის საერთო ხედს, თვალში მოსახვედრია. თითქმის 30 წელიწადია ამ გარემოებას ვამჩნევ, მაგრამ მისი „წვრილმანის“ გამო დღემდე ვიკავებდი თავს მის შესახებ საუბრისგან.

თუმცა, რამდენად არის ის „წვრილმანი“ უბრალო ანგარიშით გამოჩნდება.

ცნობილია, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იკერება (მამაკაცის, ქალის, ბავშვის, სპეცდანიშნულების, სპექტაკლებისათვის, სპორტული და ა.შ.) დაახლოებით 15 მილიარდი პიჯაკი არაფრისმენტილი (უფუნქციო) ე.წ. პეტლით.

თუ, სულ მცირე, ერთი ცენტი ჯდება ერთი „პეტლის“ შექმნა (გაჭრა, ძაფი, საღებავი, ამოქარგვა, ელექტროენერგია, ხელფასი და ა.შ. ანუ თვითდირებულება), მაშინ ზემოაღნიშნული რაოდენობის „პეტლების“ შექმნაზე მსოფლოში ყოველ წელიწადს იხარჯება დაახლოებით 150 მილიონი დოლარი.

აბა, წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი სასიკეთო რამის გაკეთებაა შესაძლებელი ამ თანხით.

## საქაღალდე ბადურა

ერთხელ, პატარობისას მამაჩემმა სტუმრად წამიყვანა ახლობელ ოჯახში. გზაში მითხრა – მწერალი კაცია, მოთხრობებს და ნოველებს წერს და საბავშვო ლექსების წერაც ეხერხებაო. დიასახლისი ღიმილით შეგვეგება და მწერლის სამუშაო ოთახისკენ გაგვიძლვა.

მამაჩემის ზურგსუკან მდგარმა მოვარი თვალი, თუ როგორ იქნებოდა სათვალიანი კაცი დაჭმუჭნული ქაღალდებით სავსე ურნაში (ბადურაში).

გამიკვირდა, მაგრამ მაშინ არაფერი მიკითხავს. ვახშამზე კი დია-სახლისმა მორიცებით აღნიშნა: „ყოველდღე ასეა – დაწერს, ალბათ არ მოსწონს, მოჭმუჭნის და ურნაში აგდებს. მერე რაღაც გაახსენდ-ება, ეცემა იმ ურნას და დაინტებს ქექვას“.

არც იმჯერად მიმიქცევია დიდი ყურადღება დიასახლისის გამო-ნათქვამისთვის, მაგრამ მყარად კი დამამახსოვრდა ის ფაქტი.

გავიდა დრო – გავიზარდე, სასწავლებლები დავამთავრე, ვი-მუშავე, გავედი პენსიაზე, დავინტე ლიტერატურული მოღვაწეობა, გამოვეცი ორმოცამდე წიგნი...

ხშირად მახსენდება ზემოაღნიშნული ეპიზოდი, განსაკუთრებით ლექსის წერის დროს. არასდროს ვაგდებ შავადნაწერ მასალას, მანამ იგი არ მივა ბეჭდურ (გამოცემულ) კონდიციამდე, მერე კი იგი (შა-ვადნაწერი) სამუდამოდ ქრება ჩემი მხედველობის არეალიდან.

მაქვს სპეციალური საქალალდე, რომელშიც აკურატულად არის დალაგებული „შავი“ მასალა და არასდროს ვკარგავ დროს მათ ძებნაში.

## ტელეფონის აპარატთან

სულ სხვა ხიბლი აქვს ე.წ. ბინის ტელეფონს. იაფია და ისაუ-ბრე რამდენიც გსურს. სიტუაცია მყუდროა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) – არც გარეშე ხმაური განუხებს, არც კლიმატური პირობები (წვიმა, ქარი, ქუჩის ხმაური) გიშლის ხელს და მოხერხებულადაც ზიხარ სავარძელში.

როგორც წესი, ბინის ტელეფონები განლაგებულია ან პატარა მაგიდაზე, ან ტუმბაზე ან სპეციალურ თაროზე.

საკუთარი გამოცდილებიდან რამდენიმე რეკომენდაცია (დროის მოგების მიზნით):

– ტელეფონის აპარატთან, სასურველია, მუდმივად იდოს საწერი ქაღალდი და კალამი (ე.წ. პასტა) სხვადასხვა ახალი ინფორმაციის დასაფიქსირებლად.

– ახალი სატელეფონო ნომრების ჩაწერისას არ დაგავინტერ გასწვრივ მიაწეროთ მფლობელის ვინაობა, ურომლისოდაც მომა-ვალში გაგიჭირდებათ იმის გარკვევა, თუ რომელი ნომერი ვისია.

– მიზაშეწონილია ცალკე გქონდეთ ამონაწერი (იდოს ტელეფო-ნის გვერდით, ან კედელზე გაკრული) სპეცტელეფონების ნომრები-

სა (სახანძრო, სასწრაფო დახმარება, საპატირულო სამსახური, საინფორმაციო ცენტრი და ა.შ.).

არც ხშირადგამოყენებადი სატელეფონო ნომრების ცალკე ამონტერა იქნებოდა ცუდი.

**დაბოლოს:** ერთი შეხედვით, ყოველივე ზემოაღნიშნული არის ე.წ. წვრილმანი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში (ხანძარი, გულის შეტევა, წნევის აწევა, გაზის გაუსრვა, ფიზიკური შეხლა-შემოხლა და ა.შ.) ყოველ ერთ წამს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია ე.წ. წვრილმანებზე.

## გამადიდებელი


ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ადამიანებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა პრიალა ზედაპირის მქონე (მათ შორის ჩაზნექილი ან ამოზნექილი) საგნებით (მინით, სარკეებით და ა.შ.) შესაძლებელია მზის სხივების (და არამარტო მზის) კონცენტრირება (ფოკუსირება), შეკრება ან გაფანტვა (დისპერსია).

მას შემდეგ მეცნიერებმა და პრაქტიკოსმა ინჟინრებმა შექმნეს მრავალი სახის მოწყობილობები (ლინზები, ე.წ. ლუპები, გამადიდებლები, სარკეები და ა.შ.), რომლებმაც დროთა განმავლობაში ტექნიკური რევოლუცია მოახდინეს და მრავალ ისტორიულ და საკაცობრიო მეცნიერულ აღმოჩენებს დაუდეს სათავე.

ისინი, ე.წ. ოპტიკური ელემენტები, თუ სისტემები ფართოდ (უალტერნატივოდ) გამოიყენება მედიცინაში, ასტრონომიაში, სამხედრო ტექნიკაში, გეოდეზიაში (მონოკლი, ბინოკლი, მიკროსკოპი, ტელესკოპი, სათვალეები და მრავალი სხვა) და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული სახის ლინზებს (ლუპებს, გამადიდებლებს) აქვთ უნარი მოახდინონ მზის სხივების შეკრება, ფოკუსირება და ერთი მიმართულებით გაგზავნა, რაც ნიშნავს მაღალი ტემპერატურის მქონე კონცენტრირებული სხივის ტყორცნას (გასროლას, დამიზნებას) დანიშნული ადგილისკენ.

ცნობილია ასეთი ლეგენდა: არქიმედემ შექმნა ჩაზნექილი სარკეების სისტემა და მათი საშუალებით, საკმაოდ დიდ მანძილზე, ცე-



ცხლს უკიდებდა რომაელთა ხომალდების აფრებს, როდესაც ცდილობდნენ მისი მშობლიური ქალაქის, სირაკუზას დაპყრობას.

თავად გახლავართ თვითმხილველი ორი ფაქტის (რამდენიმე ათეული გამიგონია სხვებისგან), როდესაც ხანძარი გამოიწვია (ექსპერტების დასკვნით) სათვალემ, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ოპტიკურ ხელსაწყოს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლინზებით.

ერთი შემთხვევა ჩემ თვალწინ მოხდა. ჩასული ვიყავი მოსკოვის ერთ-ერთი გარეუბნის აგარაკზე ჩემი დისერტაციის კონსულტანტის მოსანახულებლად. იგი არ დამხვდა, სამაგიეროდ ვიხილე, თუ როგორ აქრობდნენ ხანძარს მეზობლები. სულ მაღალ მოვიდა სახანძრო რაზმიც და დროულად მოახდინეს ცეცხლის ჩაქრობა. დაიწვა მხოლოდ მეცნიერის ფანჯარასთან მდგარი მაგიდა და მასზე არსებული ნივნები, უურნალები, ხელნაწერები.

ექსპერტებმა გააკეთეს დასვნა, რომ ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდა სანერ მაგიდაზე დარჩენილი სათვალე.

ანალოგიურ შემთხვევას შევვსნარი ლანჩხუთში 1966 წლის ზაფხულში, გაზეთის რედაქტორის ოთახში. ამ შემთხვევაშიც ექსპერტების დასკვნა იყო ცალსახა – მიზეზი გახლდათ სანერ მაგიდაზე დარჩენილი სათვალე.

(ისიც ვიცით, რომ ონავარი ბავშვები ხშირად ცდილობენ ცეცხლის წაკიდებას გამადიდებლის საშუალებით და ეს ზოგჯერ გამოსდით კიდეც).

ახლა კი მოკრძალებული რეკომენდაცია იმ ადამიანებს (მეცნიერებს, ინჟინერებს, მწერლებს, პედაგოგებს და ა.შ.), რომლებიც დიდ დროს ატარებენ, როგორც წესი ფანჯარასთან ახლომდგომ, სამუშაო (საწერ) მაგიდასთან, რომელზედაც, ასევე როგორც წესი, მრავლადაა ქალალდი, გაზეთი, უურნალი, წიგნი და ა.შ. – მოკლედ, ადვილადადალებადი მასალა.

– ნუ დატოვებთ სათვალეს საწერ მაგიდაზე (ჩადეთ უჯრაში, ბუდეში, ჩილიოთში, მოკლედ, სადაც გინდათ, ოლონდ არა მაგიდაზე, რომელსაც ეცემა მზის სხივები).

მართალია ასეთი ტიპის ხანძრები საკმაოდ იშვიათია (საბედნიეროდ) მაგრამ ერთიც საკმარისია, რათა ადამიანს მიადგეს კოლოსალური ზარალი.

## **მუშა, ხელოსანი**

ადამიანებს, უამრავ ობიექტურ აუცილებლობიდან გამომდინარე, ხშირად გვიხდება ურთიერთობა დამხმარე მუშასთან ან ამა თუ იმ პროფესიის ხელოსანთან.

დაცვეთისა და შემსრულებლის საკმაოდ ცნობილი დუეტი შეიძლება შესდგეს, როგორც უცნობი ორი ადამიანისგან (ან მეტი), ისე ნაცნობებისგან ან ახლობლებისაგანაც კი (შეიძლება ნათესავებიც იყვნენ) და ა.შ.

მეც, როგორც მრავალ სხვას, ხშირად გამომიყენებია ასეთი ურთიერთობა ოჯახური, თუ სამსახურებრივი საქმიანობისას და ასევე ხან კმაყოფილი ვყოფილვარ სამუშაოს შესრულების ხარისხით თუ ღირებულებით და ხანაც უკმაყოფილო.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, არაერთხელ ვყოფილვარ მომსწრე დამკვეთსა და შემსრულებელს შორის როგორც კმაყოფილების (შესრულებულ სამუშაოთა ხარისხით), ისე უკმაყოფილების. ამ უკანასკნელის მიზეზი კი შეიძლება იყოს ან ხარისხი, ან სამუშაოს მოკულობა, ან ვადები, ან ანაზღაურების ოდენობა და ა.შ. არაერთხელ მომხდარა როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური დაპირისპირებაც კი.

ჩემთვის ერთი სასარგებლო დასკვნა დიდიხანია გავაკეთე, კერძოდ: არასდროს ვენდო და დავთანხმდე ასეთ პასუხს: „რამდენიც გნებავთ, იმდენი გადამიხადეთ“. ასეთი პასუხი და მასზე დათანხმება შეიცავს სწორედ რომ უკმაყოფილების წარმოშობის საწყისებს. საქმე იმაში გაძლავთ, რომ დამკვეთს სურს გადაიხადოს რაც შეიძლება ნაკლები, ხოლო შემსრულებელს სურს მიიღოს რაც შეიძლება მეტი.

ამას ვერსად გავეძლევით – ეს ლოგიკურიც არის, ბუნებრივი და პრაქტიკულიც.

თუ გვსურს თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა და უკმაყოფილება დამკვეთისა და შემსრულებლის ურთიერთობებში, აუცილებლად მიმაჩნია:

– არასდროს დავთანხმდეთ შემოთავაზებას – „რამდენიც გინდა იმდენი გადამიხადე“;

– სამუშაოს დაწყებას წინ უნდა უძლოდეს (სასურველია ან ხელშეკრულების გაფორმება ან მინიმუმ მოწმის დასწრება):

- ა) სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა
- ბ) სამუშაოს შესრულების ვადები
- გ) სამუშაოს შესრულების ხარისხი
- დ) ანაზღაურების ოდენობა

ამ, ჩემის აზრით, აუცილებელ მოთხოვნებს და პირობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც არ ფორმდება ოფიციალური ხელშეკრულება და ყველაფერი კეთდება ე.წ. სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე.

ფრთხილად! წინ „სახითათო მოსახვევია“. არასდროს დასთანხმდე შემოთავაზებას: „გადამიხადეთ, რამდენიც გნებავთ“.

## წამლის აძები

ასაკის მატებასთან ერთად იზრდება, თითქმის ყველა ოჯახში, არსებული მინიაფთიაქების შიგთავსის რაოდენობაც.

აღსანიშნავია, რომ ზოგ იჯახში სამკურნალო საშუალებები უდიერად აქვთ მიმოფანტული სხვადასხვა ადგილზე (უჯრებში, თაროებზე, სამზარეულოში, სასთუმალთან, ჯიბეებში, ხელჩანთებში და სხვაგან), რაც მიუღებელად მიმაჩნია სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ვფიქრობ, რომ სამკურნალო საშუალებები უნდა ინახებოდეს ერთ ადგილზე, ამასთან – შესაფერის კლიმატურ პირობებში. ასევე აუცილებლად მიმაჩნია, წელიწადში ერთხელ მაინც ოჯახური აფთიაქის შემადგენლობის გადასინჯვა და ვადაგასულების თავიდან მოშორება, ასევე მრავალ მიზეზთა გამო.

ისიც კარგად ვიცით, რომ წამლები უნდა ინახებოდეს ბავშვებისთვის უცნობ და მიუდგომელ ადგილზე და ა.შ.

მოგეხსენებათ, რომ არსებობს მედიკამენტები, რომელთა მიღება მკაცრად არის რეგლამენტირებული – არც მეტი და არც ნაკლები, არც ადრე და არც გვიან, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ და ა.შ. ისე-თი წამლებიც არსებობს, რომელთა ზედმეტი რაოდენობით მიღება-მაც და დანიშნული დოზით მიუღებლობამაც შეიძლება გამოიწვიოს მკურნალობის რეჟიმის დარღვევა და არასასურველი შედეგი.

პირადად ჩემი დამოკიდებულება სამკურნალო წამლების მიღებასთან დაკავშირებით გახლავთ საკმაოდ პედანტური. კერძოდ, რამდენი დასახელების მედიკამენტიც არ უნდა იყოს მისაღები, აუცილებლად ვადგენ ცხრილს თარიღის, წამლის დასახელების და მიღების ზუსტი დროის მითითებით მთელი სამკურნალი პერიოდის გათვალისწინებით. ცხრილი მიდევს შესაბამის ადგილზე კალამთან (ფანქართან, პასტასთან) ერთად და შეიძლება ითქვას, რომ ესა თუ ის აბი ჯერ კუჭამდე არც კი არის ჩასული, როცა ცხრილში ვაკეთებ შესაბამის აღნიშვნას.

2003 წელს, ჰიპერტონიული კრიზის შემდეგ, ბრწყინვალე მკურნალმა პაატა ხარაბაძემ დამინიშნა პრეპარატი „ადიპინი (5 მილი-გრამიანი) 24-საათიანი მოქმედების რეჟიმით – ერთი აბი ერთ დღეში. თექვსმეტ წელზე მეტია ვიცავ მკურნალის მიერ შერჩეულ რეჟიმს – არც ერთი დღე არ გამომრჩენია და არც ორი აბის მიღების შემთხვევა მქონია, რადგან უკვე შეჩვეულ ბნელ და გრილ ადგილზე მიდევს როგორც აბები, ისე „პასტა“, პატარა ქაღალდი ცხრილით და ყოველი აბის მიღების შემდეგ ვშლი შესაბამის თარიღს.

დღეისთვის (2020 წელი) ეს პროცედურა ჩავატარე დაახლოებით 5900-ჯერ და თავს კარგად ვკრძნობ.

ლმერთმა ყველა კარგად ამყოფოს!

*P.S. გთხოვთ აღნიშნული პროცედურა არ მიაწეროთ გადამეტებულ პედანტურობას.*

## ქალალდი და ბურთულიანი კალამი

ღმერთმა დალოცოს (თუ ცოცხალი აღარ არის, ღმერთმა აცხონოს მისი სული. სამწუხაროდ ჩემთვის უცნობია ავტორის ვინაობა) ბურთულიანი კალმის ე.წ. პასტის გამომგონებელი.

გაიხარეს მნერლებმა, პედაგოგებმა, მეცნიერებმა, უურნალისტებმა და ყველა იმან, ვისაც ხშირი შეხება აქვს საწერ ქალალდთან და საწერ-ქალამთან.

წერე და წერე რამდენიც გინდა და როგორც გინდა, თანაც რამდენიმე ფერში. თვალზინ მიდგას გასული საუკუნის 40-50-იანი წლები, როდესაც ვწერდით ლითონის კალმის წვერით და თხევადი ფერადი სითხის, მელნის გამოყენებით. ერთიანად მოთხვრილი გვქონდა თითები, წიგნები თუ რვეულები. კალმის წვერი ხშირად ერჭობოდა უხეშ ქალალდში, რომელსაც აშკარად ემჩნეოდა მერქნის მცირე ნაწილაკების კვალი. მოკლედ, იყო ერთი ტანჯვა და წამება.

ახლა კი მიდი და მიდი, წერე და წერე თუ სურვილი და უნარი გაქვს. ბურთულიანი კალამი („პასტა“) უმნიშვნელო ძალისხმევით, თავისუფლად სრიალებს და დანარნარებს თითქმის იდეალურად გლუვ ქალალდზე და უნიკალური ქართული ბგერებით აგვირისტებს თქვენს ჩანაფიქრს.

თუმცა, უნაკლო ჯერ არაფერი შექმნილა მსოფლიოში და ბურთულიან კალამსაც აქვს ერთი „მაგრამ“. საქმე კი შემდეგშია.

ხშირად შეგვიმჩნევია, რომ პასტა ან საერთოდ აღარ წერს (მიზეზი გასაგებია, გამოილია სითხე), ან თუ მაინც წერს, ალაგალაგ წყვეტს ასო-ბგერის კონტურებს. ჩვენ ინსტიქტურად ვაწვებით „პასტას“, მაგრამ ამას ხშირად არ მოაქვს სასურველი შედეგი. მოესინჯავთ სხვა ქალალდზე – წერს. გადმოვალთ ძირითად საწერ ქალალდზე და ისევ კონტურგანწყვეტილი ასო-ბგერები. გავხედავთ გამჭვირვალე ღეროს და ვხედავთ, რომ სითხე იქ ჯერ კიდევ საკმარისია. საქმე კი შემდეგშია (ეს დამტკიცდა ჩემი პრაქტიკით – გამოცემული მაქვს 40-მდე წიგნი და გამოსაცემად მზად მაქვს 6 წიგნის ხელნაწერი, რომ აღარაფერი ვთქვა 400-ზე მეტ პუბლიცისტურ წერილზე და ასეულობით მისასალმებელ, მისალოც მიძლვნილ ლექსებზე თუ სამეცნიერო მოხსენებებზე და ა.შ.).

წერის დროს „პასტას“ ლაღად დავასეირნებთ მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით. ერთდროულად და სინქრონულად ჩვენი ხელისგულის „ბალიში“ იმდენჯერ გახოხდება (გასრიალდება) სუფთა, ქათქათა ქაღალდზე მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით – რამდენ სტრიქონსაც დავწერთ. ამასობაში, ქაღალდი ცხიმიანდება (არ მეგულება ადამიანი აბსოლუტურად უცხიმო კანით) და რაც უფრო ქვემოთ მიიჩევს სტრიქონები, მით უფრო ცხიმიანდება თავისუფალი (ჯერ კიდევ დაუწერელი სივრცე, სიბრტყე) ადგილები. აქედან მომდინარეობს „პასტის“ „ჭირვეულობა“. უჭირს ბურთულიან კაღამს ცხიმოვან ფენაზე (ალაგ-ალაგ ლაქებზე) „კუნტრუში“. თუ არ გჯერათ – შეამოწმეთ და დააკვრიდით.

მე პირადად, ალბათ ათი წელი იქნება რაც ვსარგებლობ საკმაოდ მარტივი ხერხით (საწყის ეტაპზე ცოტა გამიჭირდა, მაგრამ შევერჩივ და ახლა არავითარ დისკომფორტს არ ვგრძნობ), კერძოდ – წერის დროს ხელისგულის ქვეშ ვიდებ ქაღალდის პატარა ნაჭერს, რომელიც ჩემი ხელისგულის ტენიანობის (ცხიმიანობის) და ხახუნის უკვდავი და უნიკალური კანონის წყალობით თან დასდევს ხელის მოძრაობას მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ, ისე რომ ხელისგული საერთოდ აღარ ეხება ძირითად საწერ ქაღალდს და ბურთულიანი კაღმისათვის დაბრკოლებაც აღარ არსებობს. ისე რომ, ზემოთნახსენები „მაგრამ“ არ ეკუთვნის „პასტას“.

წვრილმანია, ბატონებო, მაგრამ საჭირო და სასარგებლო.

## ერთი პირსახოცი მთელ ოჯახზე?!

შემთხვევის წყალობით სტუმრად მოვხვდი ხუთსულიან ოჯახში. ჩემს გარდა ოჯახს კიდევ ოთხი ახლობელი და ნათესავი სტუმრობდა.

მაგიდასთან დაჯდომის წინ აუცილებლად ვიბან ხელებს. მასპინძელმა აბაზანსკენ მიმასწავლა. შევედი სააბაზანოში და კარები მივიღურე. დიასახლისმა გარედან მომაძახა – პირსახოცი მარჯვნივ ჰკიდიაო. დავიბანე ხელები და ხელი წავილე პირსახოცისკენ, მაგრამ თავი შევიკავე მისი გამოყენებისგან, რადგან საკმაოდ შელახულად

გამოიყურებოდა. დავიწყე სხვა პირსახოცის ძებნა, მაგრამ ამაოდ, ვერ აღმოვაჩინე. საკუთარი ცხვირსახოცით შევიმშრალე ხელები და ხასიათნამხდარი მივუჯექი მაგიდას.

ოთხი-ხუთი ჭიქის შემდეგ დამავიწყდა განცდილი და კარგად მოვილზინე. მასპინძელს ძალან მოეწონა ჩემი სადლეგრძელოებიც, ლექსებიც და სიმღერებიც. განუწყვეტლივ ტაშს მიკრავდა და მაქებდა. გამომშვიდობებისას კი მითხრა: „ისე მომენტი, რომ უშენოდ ერთ ჭიქასაც აღარ დავლევ. დამდე პატივი და სამი დღის შემდეგ მობრძანდი ჩემთან, უმცროსი შვილის დაბადების დღე აღვნიშნოთ“.

დავპირდი, აუცილებლად მოგილოცავთ-მეთქი. მივედი დანიშნულ დროზე მცირედი საჩუქრით. ამჟამად სტუმართსიმრავლე აშკარა იყო.

ერთმა ჩემთვის კარგადნაცნობმა სტუმარმა მომმართა, ვახო, წამოდი ხელები გადავისანოთო. წავუძეხი წინ, შევედით სააბაზანოში და მივიხურეთ კარი.

დიასახლისმა (ჩემთვის უკვე კარგადნაცნობი ხმით) მოგვაძახა – პირსახოცი მანდვე ჰერიდა, მარჯვნივო.

შევხედე პირსახოცს და ელდა მეცა. იგივე იყო, რომელიც სამიოდე დღის წინ ვნახე – წითელი ვარდებით მოხატული, ოღონდ ამჯერად კიდევ უფრო გაცრეცილი და გაპოხილი. ლამის ცუდად გავხდი. სუფრას მივუჯექი მძიმე ფიქრებში ჩაფლული. არა, ვპასუხობ ჩემსავე კითხვას, ეს არ არის მატერიალური სიდუხჭირის ბრალი და ეს გარეგნული იერითაც ეტყობოდა მთლიანად ოჯახს.

ჩემი აზრით, ეს ფაქტი არის ჩვევადქცეული ოჯახური ტრადიცია ან პიროქით – ტრადიციადქცეული ჩვევა, რომელიც, სავსებით მოსალოდნელია, რომ თან გაჰყვეთ გათხოვილ ქალიშვილებს საკუთარ ოჯახებში და სტუმარს (ებს) არ შესთავაზონ სუფთა პირსახოცი და დაოჯახებულ ვაჟიშვილებს კი არასდროს ჰქონდეთ პრეტენზია მეუღლისადმი თუ რატომ არ მიაწოდა სტუმარს სუფთა პირსახოცი.

რას ვიზამთ, მტკუცედ და ღრმად იცის ფესვების გადგმა ნებისმიერმა ჩვევამ, მათ შორის საზოგადოებისთვის მიუღებელმაც კი.

იმედია, მალე დადგება ის დრო, როდესაც არამარტო სასტუმროებში, რესტორნებში, კაზინოებში და სხვა ხალხმრავალ დაწესებულებებში, არამედ ყველა ოჯახში იქნება თხევადი საპონი და ჰერგამაშრალებლები.

მანამდე კი მავანნი, თუ ოჯახის ხუთი (თუნდაც ორი) წევრისთვის ერთიდაიგივე პირსახოცის გამოყენებაში საწილიროს და მიუღებელს ვერაფერს ხედავენ, იქნებ სტუმარს მაინც სცენ ტრადიციული ქართული პატივი – ეს არცთუ ძნელი უნდა იყოს.

## 11-16 და 13-19

ხანგრძლივმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ საუბრის დროს (განსაკუთრებით კი ტელეფონით ურთიერთკავშირის დროს) თითქმის ერთნაირი უღერადობით ისმის ისეთი რიცხვები, როგორიცაა 11 და 16, 13 და 19 და ასევე ყოველი შემდგომი ათეულების ანალოგიური რიცხვები: 31 და 36, ან 53 და 59 და ა.შ.

მოყვანილი რიცხვების გამოსათქმებულად საჭიროა განსაკუთრებული ხაზგასმა და სიტყვების მკაფიოდ გამოთქმა, რათა მეორე მხარეს მიეცეს საშუალება ზუსტად და სწორად გაიგოს და აღიქვას ნაკარნახევი რიცხვები, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა: ხელმეორედ გადარეკვა-გადმორეკვა, სხვის ტელეფონზე მოხვედრა, სტატისტიკური მონაცემების დამახინჯება, დროის ზედმეტი დაკარგვა, ურთიერთდადანაშაულება და ა.შ. და ა.შ.

უხერხულობისა და მოსალოდნები გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალება გახდავთ რთული (შედარებით) რიცხვების ცალკეული ციფრებით წარმოთქმა (გადაცემა). მაგალითად 131-ის ასე: ერთი, სამი, ერთი ან 396-ის: სამი, ცხრა, ექვსი და ა.შ.

თითქმის ანალოგიურ შემთხვევებს ვაწყდებით ამა თუ იმ სიტყვაში ზოგიერთი ასო-ბერის გამოყენებისას, განსაკუთრებით ნაკლებადცნობილი სიტყვების ან უცხო გვარებისა და ტერმინების გამოყენებისას (ტელეფონით გადაცემისას).

ასეთ შემთხვევაში ცდილობენ, რომ გაუგებარი ასო-ბერა მიაწოდონ (გადასცენ) ნაცნობი სიტყვების პირველი ასო-ბერების საშუალებით. მაგალითად, თუ გინდა გადასცე სიტყვა „პლედი“ და მომსმენი რამდენჯერმე გთხოვს გამეორებას (რადგან ზუსტად ვერ აღიქვამს), სჯობია მონიშნო მაგალითად ასე: პური, ლექსი, ენერგია, დანა, იხვი. პირველი ასობერებით შესდგება ზუსტად საჭირო სი-

ტყვა და ყოველგვარი გაუგებრობაც თავიდან იქნება აცილებული, ოლონდ თანამოსაუბრე მზად უნდა იყოს საამისოდ.

მქონდა ასეთი შემთხვევა. ვკარნახობდი ნაკლებადცნობილ სიტყვას, რომელიც შეიცავდა „ქ“ ასო-ბგერას. იქიდან მეკითხება – „კ“? არა „ქ“, ქა-თა-მი. კაი, თუ ძმა ხარ, რა დროს ხუმრობაა. ვუმეორებ მთლიან სიტყვას, ის კი ისევ მეკითხება – „კ“? „ქ“ არა, „ქ“, „ქ“, ქა-თამი. რაა, მაღადავებ? – მიპასუხა გაბრაზებულმა და ტელეფონი გათიშა. მოგვიანებით ყველაფერი გავარკვიეთ.

არ ვიცი როგორ, მაგრამ მე, პირადად მომწონს რიცხვებისა და ასო-ბგერების (თუ კი ისინი გაუგებრობებს იწვევენ) ასეთი მეთოდებით კარნახი ტელეფონით სარგებლობის დროს.

ბოლო ოცი წელია ამ მეთოდს ვიყენებ და კმაყოფილიც გახლავართ, რადგან ჩემი მიზეზით არავითარ გაუგებრობას (ამ კუთხით) ადგილი არ ჰქონია და თქვენ წარმოიდგინეთ – დროც დამიზოგავს.

## პროტეზი

ხანდაზმული ადამიანების დიდი უმრავლესობისათვის პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის კბილების პრობლემას.

კარგია, რომ მედიცინის მუშაკებმა შექმნეს (ოდესლაც) ხელოვნური კბილები, ე.წ. პროტეზები და ადამიანებს მნიშვნელოვნად შეუძლისუბუქეს მდგომარეობა („ჩემ მტერს“ კბილების ტკივილი!).

ასაკიდან გამომდინარე მეც არაერთხელ მქონია უშუალო ურთიერთობა სტომატოლოგებთან და კბილის ტექნიკოსებთან.

ერთმა ტექნიკოსმა მითხრა: „ხშირად მოაქვთ ჩემთან გაბზარულ-გატეხილი პროტეზი და მეც ვანებებ და ვამთლიანებ, სანამ ეს შესაძლებლიაო“. მანვე დაასახელა ორი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ზიანდება პროტეზი:

1) შედარებით მკვრივ საკვებთან (ვაშლი, კიტრი, ბოლოკი, ბოლომ-დე მოუხარშავი ხორცის ნაჭერი), „შეჭიდების“ ზედმეტი ძალისხმევა.

2) რეცხვა-ხეხვის დროს ხელიდან გავარდნა.

მოსმენილიდან და ასევე საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მეორე შემთხვევას (პირველზე უხერხულიც კია რაიმე რეკომენდაციის მიცემა გარდა იმისა, რომ საკვები უნდა დანაწ-

ევრდეს რაც შეიძლება წვრილად) ვფიქრობ მოვუნახე „გასაღები“ – პროტეზის რეცხვა-ხეხვის წინ ნიჟარაში (პირ თუ ხელსაბან-ში) ჩადეთ ღრუბლის, ე.წ. გუბკის 4-5 მმ-იანი სისქის ფირფიტა. შუაში პატარა ნახვრეტით (წყლის შეგუბების თავიდან ასაცილებლად).

ხეხეთ და ხეხეთ, რამდენიც გსურდეთ. თითქმის 100-პროცენტიანი გარანტია გაქვთ, რომ დავარდნის შემთხვევაში პროტეზი არ გაიბზარება, მითუმეტეს – არ გატყდება.

## როგორ ვწერ ლექს

ნებისმიერი ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოების შექმნის ძირითადი მიზანია ავტორის სურვილი გადასცეს მკითხველს: რაც იცის, რაც ნახა და განიცადა, რაც არ უნახავს, მაგრამ უტყუარი არ-გუმენტებისა და ლოგიკური აზროვნების წყალობით საინტერესოდ ჩამოაყალიბა, პირადი შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე, პრობლემების საკუთარი ხედვა, ადამიანებს შორის ურთიერთობების ნიუანსები, საგმირო და საამაყო, თუ სასიყვარულო პერიპეტიები, ღალატისა თუ ერთგულების შედეგები და უამრავი სხვა რამ, რისი ჩამოთვლაც შეუძლებელია.

მთავარი ის გახლავთ, ავტორმა ისე დაწეროს და ისე წარუდგინოს თავისი ჩანაფიქრი მკითხველს, რომ ამ უკანასკნელმა, რომელმაც ადრე არაფერი (ან ძალიან ცოტა) იცოდა ნაწარმოებში აღწერილ (წარმოდგენილ) ამბებზე თუ მოვლენებზე – სრულყოფილად და ვრცლად წარმოიდგინოს ყველაფერი ისე, როგორც ეს ნახა, გადაიტანა, განიცადა, შეაფასა და ა.შ. თავად ავტორმა.

ყოველივე ეს კი ავტორისაგან მოითხოვს მშობლიური ენის ზედ-მინევნით კარგ ცოდნას და ყველა იმ ტექნიკური ხერხებისა და ნიუანსების ფლობას, რასაც მაღალი დონის ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა მოითხოვს.

ვფიქრობ, დიდად არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ლექსი უფრო რთული დასაწერია, ვიდრე პროზაული ნაწარმოები, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ავტორისაგან მოითხოვება, როგორც სიახლე და ორიგინალურობა, ისე წერის ტექნიკის მაღალი პროფესიონალური დონე.

ვიცი, რომ არ ვარ მაღალი რანგის მატარებელი პოეტი, მაგრამ არც მთლად დილეტანტი გახლავართ და როგორც იტყვიან ხოლმე, „ვახარებ ჩემს ჭიას“ და არამარტო „ჩემსას“.

ლექსი გახლავთ ადამიანის შინაგანი სამყაროს, განცდებისა და ემოციების გადმოცემის ყველაზე ოპერატორული და სხარტი საშუალება (სხვა უანრებთან შედარებით) და სწორედ ამიტომ მოითხოვს ავტორისაგან უმაღლეს პროფესიონალიზმს. არიან ავტორები, რომლებსაც უფრო ეხერხებათ მრავალმარცვლოვანი (12-14-16) ტაუ-პებით წერა, რაც ჩემი აზრით უფრო იოლია, ვიდრე 7-8 მარცვლიანით. ეს უკანასკნელი მოითხოვს მართლაც რომ დიდ პოეტურ ოსტატობას, თუმცა ვინ გაბედავს და ვინ დაუწუნებს შოთა რუსთაველს დიდოსტატობას იმის გამო, რომ ყველა დროის უმშვენიერესი და უდიდესი ქმნილება წარმოგვიდგინა სწორედ რომ 16-მარცვლიანი ტაუპების გამოყენებით.

ვფიქრობ, რომ ცოტა შორს წავედი, ამიტომ დავუბრუნდები სათაურს და მოკლედ მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ როგორ ვწერ ლექსს.

დაკვეთით ლექსის დაწერა მიჭირს და ვფიქრობ, ამ კუთხით, მე არ ვარ ერთადერთი.

რაღაც მოვლენამ, ფაქტმა, სიტუაციამ და ა.შ. თუ იმოქმედა ჩემზე, ჩამწვდა სულის სილრმეში, ან აღმაფრთოვანა, ან ღრმად ჩამაფიქრა, ან მაშინვე მომხიბლა, ან გამაოცა და ა.შ. აი, მაშინ მიჩნდება ლექსის დაწერის და ჩემი შინაგანი განწყობის (იმ მომენტი-სათვის) მკითხველამდე მიტანის სურვილი (მოთხოვნილება).

სურვილი ერთია და უკვე ლექსის დაწერა მეორე. სათქმელი უნდა თქვა და თანაც ისე, რომ იგი ლოგიკურად გამომდინარებდეს იმ სიტუაციიდან და ვითარებიდან, რამაც გიბიძგა (მუხტი გაგილვივა) სათქმელისაკენ, რასაც, თითქმის ყველა პოეტი, ცდილობს გამოხატოს ლექსის დამამთავრებელ ეტაპზე ანუ ბოლო ერთ ან ორ სტროფში.

ვიცი რა ეს, ლექსის წერას ვიწყებ ბოლო, დამაგვირგვინებელი სტროფის (ორი სტროფის) დაწერით, ანუ იმ ნაწილით, სადაც უნდა ვთქვა მთავარი სათქმელი. შემდეგ მივიწევ ზევით და ზევით, ანუ ლექსის იმ სტროფებისკენ, რომლის წყალობითაც უნდა აღინეროს სიტუაცია, რომელმაც დამაწერინა ბოლო სტროფი ანუ მთავარი სათქმელი.

აი, ბოლო, დამაგვირგვინებელი სტროფის დაწერას კი ნამ-დვილად ვუთმობ საკმაოდ დიდ დროს. აქ ყალიბდება მომავალი ლექსის: წყობა, გარითმვის ხერხი, რიტმი, მუხლი, ტერცი, ტაეპში მარცვლების რაოდენობა და ა.შ.

შვებით ამოვისუნთქავ ხოლმე, როდესაც დამაგვირგვინებე-ლი სტროფი ლაკონურად და იმავდროულად სრულად გამოხატავს ჩანაფიქრს (სათქმელს), ანუ „ურტყამს პირდაპირ მიზანში“. შემდეგ კი „სულ ზევით, ზევით“ – როგორც იტყვიან „ტექნიკის საქმეა“.

აქვე ვიტყვი, რომ ჩემი ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა მოცულობით არ აღემატება 7-8 სტროფს (ძალიან ცოტა რაოდენობით მაქვს ე.წ. მრავალსტროფიანი ლექსი).

ახლა კი, თავს უფლებას ვაძლევ წარმოგიდგინოთ ბოლო დროს დაწერილი ერთ-ერთი ლექსის დამაგვირგვინებელი სტროფი:

...გული როდი მაქვს ერთობ აყალო,  
სიტყვა მჭირდება, სიტყვა ნუგეშის –  
გთხოვ, დამაბრუნო, ღმერთო, მაღალო,  
თუნდაც ერთი დღით სიჭაბუჟეში.

დაინერა ამ სტროფის რამდენიმე ვარიანტი. ქალალდის ნაგლეჯე-ბის ერთი შეკვრა იდო საწერ მაგიდაზე, უკეთესის მოლოდინში. მა-გრამ უკეთესი ვერ დავწერე და შევჩერდი იმაზე, რაც წარმოგიდ-გინეთ.

ახლა ვიმსჯელოთ ასე: დამაგვირგვინებელი სტროფი სახეზეა, სათქმელი ნათქვამია, შინაგანი განცდა გადმოცემულია. მერე რა გავაკეთოთ? რა და წავიდეთ „სულ ზევით, ზევით“, მაგრამ ჯერ გავარკვიოთ თუ რა სიტუაციას, ფაქტს, მოვლენას უნდა ებიძგა ჩემ-თვის ასეთი ბოლო სტროფის დაწერისკენ?

ვის არ უნდა სიჭაბუჟეში დაბრუნება?! ან ვისა აქვს თიხის გული?! ვის არ სჭირდება ნუგეში?! და ა.შ.

და მაინც რა კონკრეტულმა მიზეზებმა დამაწერინა ლექსი, რომ-ლის ბოლო სტროფაც უკვე იცნობთ.

როგორც დაგპირდით, წავედი „ზევით და ზევით“ და სულ რაღაც ერთ საათში (ოთხ სტროფად) გავლექსე ის, რამაც მოამზადა ნიადა-გი დამაგვირგვინებელი სტროფისთვის. აი, ეს ნიადაგი:

გზას დავადექი ყოფის კარნახით,  
წელი ოთხმოცი წელში გაემართე...  
ვხედავ – გოგონა მოდის ნარნარით,  
მკერდით მოაპობს ალმართ-დალმართებს.

ტანად ალვისხე, მზის ელვარება,  
სანთლით ნაძერნი გრძელი ფეხებით,  
ოქროსთმიანი, ცისფერთვალება...  
სურვილი მკლავდა ხელით შეხების.

ფიქრმა ჩაიცვა ქარის სამოსი,  
ფრანტი მერცხლების მესმის ჭიკჭიკი,  
თითქოს გაიღო კარი სამოთხის,  
კვირტები დასკდა თეთრი თივთივით.

ისრად მესროლა მზერა ირიბი,  
მიძინებულმა განძმა იფეთქა,  
მონუსხულივით ვუცქერ იმ ფიქრით,  
რომ ყოფნა მსურდა მხოლოდ იმ ერთთან.

დაბოლოს, განმეორებით ბოლო სტროფი.

...გული როდი მაქვს ერთობ აყალო,  
სიტყვა მჭირდება, სიტყვა ნუგეშის –  
გთხოვ, დამაბრუნო, ღმერთო, მაღალო,  
თუნდაც ერთი დღით სიჭაბუკეში.

## პორტატული რადიო

ერთმა ჩემსავით ხანდაზმულმა ახლობელმა კაცმა შემომჩივლა:  
– ვახო, ხომ იცი ჩემი ამბავი, თუ როგორ მიყვარს საინფორმა-  
ციონ მასალების მოსმენა. პოდა, ძილის ნინ ჩავრთავ ხოლმე პორ-  
ტატულ (ელემენტებიან) რადიოს, რომელიც მუდმივად სასტუმალ-  
თან მიდევს და ვუსმენ და ვუსმენ. ეს ოხერი, ვერა ვგებულობ  
როგორ და როდის ჩამეძინება ხოლმე...

– მსოფლოში არ მეგულება კაცი, რომელმაც იცოდეს თუ რო-  
დის ჩაეძინება-მეთქი, ვუპასუხე ნიშნისმოგებით.

ჰო, ეგეც მართალიაო, ჩაიცინა და განაგრძო:

- ორ-სამ დღეში ერთხელ მიწევს ელემენტების ყიდვა და ჩემი პენსიიდან ყოველთვე 10-12 ლარი ორთქლდება, რა ვქნა, არ ვიცი...
- მაგაზე ადვილი რა არის, შე კაი კაცო. მომისმინე – ვუპასუხე დიდაქტიკური ტონით და ჩამოვუჭიკიკე.

არსებობს ორი გზა:

პირველი – რადიოს ელემენტები უნდა ჩართო დროის რელეს (ან მისი ანალოგის) საშუალებით და რადიო ავტომატურად გაითიშება, შენს მიერ შერჩეული დროის ინტერვალის გასვლის შემდეგ (ჩაგეძინება თუ არ ჩაგეძინება),

მეორე – რადიოსთან ერთად მობილური ტელეფონის ე.ნ. მაღვიძარაზე დააყენე შენთვის საჭირო დრო, რის გავლის შემდეგაც მიიღებ ხმოვან სიგნალს. თუ უკვე გძინავს – გაიღვიძებ და გამორთავ რადიოს, თუ ვერ მოასწარი ჩაძინება, მაშინ გამორთავ ორივეს.

ჭუუში დაუჯდა „შეგონება“

დაახლოებით სამი თვის შემდეგ შემხვდა და მადლობა მომიხა- და – ათი ლარი დავზოგეო.

**კომენტარი:** ტელეარხების მეშვეობით იმდენ ინფორაციას ვიღებთ, რომ ცოტა გაუგებარია, რაღა საჭიროა რადიო, მითუ- მეტეს სახლში. ოხერი რამ არის ჩვევა და ახირება!

## ლექსიკონი

ერთხელ, ახლობელთან სტუმრობისას, სუფრის გაწყობის მო- ლოდინში თავს ვირთობდი მეგობართან ერთად კროსვორდის შევ- სებით.

რაღაც მომენტში დაგვჭირდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მასპინძელმა თაროსკენ მიგვანიშნა. გამოვიღე მეორე ტომი და გავვოცდი. ლექსიკონში უამრავი ფურცელი იყო ჩაკეცი- ლი, ზოგი კუთხეში და ზოგიც მთელ სიგრძეზე. სიმართლე გითხ- რათ, ძალიან გამიკვირდა, ასეთი რამ ჯერ არ მენახა.

კი, ადამიანები ხშირად იყენებენ ჩაკეცვის ხერხს და არამარტო ჩაკეცვის. საინტერესო ადგილებს აფიქსირებენ ასევე ზონარის ან ქალალდის ნაჭერის ჩადებით საინტერესო გვერდზე, ან სქოლიო- ში მინაწერით, ან სიტყვის ხაზგასმით, სტრიქონის გასწვრივ კითხ-

ვის ან ძახილის ნიშნის დასმით და ა.შ. მაგრამ ამას ადამიანები აკეთებენ ძირითადად მხატვრული, ისტორიული ან სამეცნიერო ლიტერატურაში, რათა მოგვიანებით, საჭიროების შემთხვევაში, მიუბრუნდნენ და გამოიყენონ თავიანთი თეორიულ ან პრაქტიკულ საქმიანობა-მოღვაწეობაში. ამის შემდეგ ჩანაკეცები სწორდება, ჩადებული ქაღალდი სადაც ქრება და ესა თუ ის წიგნიც უბრუნდება ნორმალურ სახეს.

მხატვრულ და სამეცნიერო წიგნებში ასეთი რამ, ვფიქრობ, მისაღებიც არის და სასარგებლოც, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია ლექსიკონში, ისიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რა მიზანს ემსახურება ფურცლების ჩაკეცვა (კუთხეში თუ სიგრძეში) ან ქაღალდების ჩაწყობა და ისიც რამდენიმე ათეულის?!

თუ სიტყვის მოძებნა გინდა (რას ნიშნავს, როგორ იწერება, როგორია მრავლობით რიცხვში და ა.შ.), ბუნებრივია, იცი მისი პირველი ასო-ბერა და სულ 15-20 წამიც კი საკმარისია, რომ იპოვო ლექსიკონში („სიტყვის კონაში“) შენთვის საინტერესო სიტყვა.

15-20 წამი-მეთქი – ვთქვი და ამას ახერხებენ ისინი, ვინც ზეპირად იცის ქართული ანბანის ასო-ბერების მიმდევრობა. სამწუხა-როდ ცოტა გვყავს ასეთები. ადამიანების დაახლოებით 90 %-მა არ იცის ანბანში ასო-ბერების ზუსტი მიმდევრობა (აქაც არის დროის დაზოგვის შესაძლებლობა).

## შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში საყოველთაო სიდუხჭირემ მოიკიდა ფეხი. ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განადგურდა და მოიშალა ყველაფერი. საზოგადოება მზად არ იყო საპაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრებისათვის. აღიგავა „პირისაგან მიწისა“ ქარხნები, ფაბრიკები, ათასი სახისა და გვარის ორგანიზაცია-დაწესებულებები, კატასტროფულად იზრდებოდა უმუშევართა რაოდენობა, არსებობისთვის ბრძოლამ მიიღო აქამდე უცნობი ფორმები. მოკლედ – ადამიანებს ძალიან გაუჭირდათ. „ყიდვა-გაყიდვის“ მეთოდმა მყარად მოიკიდა ფეხი.

ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს (ყოფილ მეცნიერ-მუშავს) ჰქონდა პატარა სავაჭრო ჯიხური. კვირაში ერთხელ მიღიოდა თბილისში, ჩამოჰქონდა სხვადასხვა საქონელი თუ პროდუქტი (ძირითადად) და ფასმომატებით ყიდიდა, როგორც იტყვიან ხოლმე – თავს ძლივს ირჩენდა.

ხშირად მივდიოდი მასთან და ვსაუბრობდით აქეთურ-იქითურზე. ერთხელ გულდამძიმებულმა მითხრა – ვიტაჯნები ამ ხალხის ცქერით, ნეტავ შემეძლოს უფულოდ მივცე და გავახარო. მე რა ვქნა, ოჯახი როგორ შევინახო. მოვლენ, მთხოვენ, მომეცი და ფულს მერე მოგაწვდიო. უმეტესობას ვიცნობ და უარს ვერ ვეუბნები, არადა ხელი მეშლება.

ამ საუბარში ვიყავით, როდესაც ერთი ხანშიშესული ქალბატონი შემოვიდა.

– შვილო, მომეცი ერთი საპონი, ერთი მარგარინი და ერთი კილო „პესოკი“. აი, იქ ვცხოვრობ (ხელი გაიშვირა), ბარემ გამოსული ვარ, მივიტან და ფულსაც მოგაწვდი.

ხასიათი გაუფუჭდა ჩემს ნაცნობს. სიმწრის ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

– ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, მაგრამ იქნებ სჯობდეს მიბრძანდეთ, მოიტანოთ ფული და შეიძინოთ, რაც გსურთ...

– რა მოხდა, შე კაი კაცი... ბარემ გამოსული ვარ და ნუ დამანწყებინებ აქეთ-იქით ზედმეტ სიარულს...

– არაფერ ზედმეტ სიარულს და მისვლა-მოსვლას არ მოვითხოვ თქვენგან, თუ ფულის გადახდას აპირებთ, ერთიდაიგივე მანძილის გავლა მოგიხდებათ – ახლა წაიღებთ წაყიდს, თუ ფულის მოტანის შემდეგ.

– ეგ როგორაო, გაიკვირვა ქალბატონმა.

– როგორ და ასეო, მიუგო ჩემმა ნაცნობმა და აუხსნა:

დაუშვათ მოგეცით და წაიღეთ ყველაფერი, რაც გსურთ. გამოდის ასე: უნდა წახვიდეთ და წაიღოთ, მერე უნდა მოხვიდეთ და ფული მომიტანოთ, მერე კი ისევ წახვიდეთ. ხომ ასე იქნება, შეეკითხა ნაცნობი. კიო – უპასუხა ოდნავჩაფიქრებულმა ქალბატონმა.

ახლა ვნახოთ მეორე ვარიანტი – უნდა წახვიდეთ, მერე უნდა მოხვიდეთ (ფულით) და ისევ უნდა წახვიდეთ. არავითარი განსხვავება არ არის – წადით, მოდით, წადით.

როგორ არ არისო, აღმფოთდა ქალბატონი.

ჩემმა ნაცნობმა ისევ განუმარტა: ორივე შემთხვევაში ერთიდა-იგივე მანძილი უნდა გაიაროთ, უბრალოდ, იცვლება პროდუქტისა

და ფულის წალება-მოტანის მიმდევრობა და ეგ არის და ეგ. არაფერ შეუძინა აქ მოტივი – „პარემ გამოსული ვარ“.

იწყინა ქალბატონმა და თავდახრილი წავიდა სახლისკენ. ჩემ-მა ნაცნობმა კი (უფრო ჩემს გასაგონად) წარმოსთქვა – არ იცის ქალბატონმა, რომ „შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება“.

გავიფიქრე ჩეთვის – იქნებ იცის კიდეც, მაგრამ...

## სათლელ-საფცენელი

გაუჭირდათ ქართველ დიასახლისებს შეჩვევა (შეგუება) ბოსტ-ნეულ-ბაღჩეულის ახალი ტიპის, კონსტრუქციის სათლელ-საფცენელ მოწყობილობებთან, ხელსაწყოებთან, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოჩნდა საგაჭრო ქსელში.

ჩვენი დიასახლისები, ტრადიციული, ქართული სიჯიუტით განაგრძობენ კიტრის, კარტოფილის, სტაფილოს და სხვა ანალოგიური პროდუქტების თლას სამზარეულო დანის გამოყენებით, რაც არაე-კონომიურიც არის და ოდნავ სახიფათოც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთნახსენები სამზარეულო მოწყობილობები საკმაოდ მოხერხებულია კონსტრუქციულად (ფოლადის ბასრი ვიწრო ზოლით, ფოლადის ფირფიტაში ამობურცული ჭრილით და სხვა) და თანამედროვე დიზაინით).

კარგა ხნით ადრე შევიძინე ორი სხვადასხვა ზომისა და ფორმის საფცენელ-სათლელი და სულ რაღაც ერთ კვირაში შევეჩვიე მათ გამოყენებას.

გადავწყვიტე შემემოწმებინა, თუ რამდენად მართლები არიან დისტრიბუტორები, რომლებიც დახვეწილ რეკლამას უკეთებენ ამ მართლაც გონებამახვილურ ინვენტარს.

უნდა აღინიშნოს, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ისინი მართლა უსაფრთხოა (თითქმის სრულად არის გამორიცხული თითოს გაჭრა) და რაც უფრო მნიშვნელოვანია – საკმაოდ ეფექტური.

არაერთხელ ავწონე ნაფცენ-ნათალი (კარტოფილის, კიტრის, სტაფილოს, ბადრიჯანის და ა.შ.) და შევადარე.

აღმოჩნდა, რომ ახალი ინვენტარით წარმოშობილი ნაფცექვენ-ნა-თალის საერთო წონა თითქმის 20%-ით ნაკლებია დანით მიღებული ნაფცექვენების წონაზე, ანუ სასარგებლო (საკვებად მისაღები) პრო-დუქტის 20%-ს ვინარჩუნებთ და არ ვისვრით სანაგვეში.

მერწმუნეთ, რომ ასეთი შედეგი მართლაც სასურველია და, ვფიქრობ, ეკონომიურიც.

ახლა, თუ მიღებულ ეფექტს გამოვხატავთ ფულად ერთეულებში (რაც დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) გამოვა, რომ 4-წევრი-ანი ოჯახი (საშუალო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით) ყო-ველთვიურად დაზოგავს დაახლოებით 4-5 ლარს.

მთავარია შევეჩვიოთ სიახლის გამოყენებას.

## მწერი?!

სიტყვა „მწერის“ მოს-მენა ან წაკითხვა ჩემში (და ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩემში) საზიზლარ და არა-სასურველ ასოციაციას იწ-ვევს. თვალწინ წარმო-მიდგება ხოლმე: რწყილი, ტილი, მატლი, კოლო, ბუზი, ობობა, კალია და ა.შ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანებ-მა, მწერების ე.ნ. ჯგუფს, მიაკუთვნეს ფუტკარიც(!) მართლაც რომ სამწუხაროა და გარკვეული მოსაზრებით – პარადოქსალურიც. რა უნდა პარაზი-ტებთან ერთად ფუტკარს?

ალბათ დროა ადამიანებმა ფუტკარს მოუძებნონ უფრო კეთილ-შობილური ჯგუფი. ხომ გვახსოვს სიმღერა: „...კაცს თაფლი მისცეს და ღმერთს სანთელი...“



## არ გაუმართლათ „ტყუილს მოკლე ფეხები აპია“

ბზობა დღეს სახლში ვპრუნდებოდი ნაკურთხი ბზით ხელში, სტუმრებს ველოდი და გადავწყვიტე შემევლო ერთ ქალბატონთან, რომელიც შინაურ არაყს ყიდდა (შემპირდა კონიაკსაც მოგიმზადებო).

გზად ორმა ახალგაზრდა კაცმა გზა გადამილობა. გამხდრები, ჭუჭყიანი ხელებით, წელში მოხრილები დიდისამბით მომესალმწენ და მომიკითხეს. მერე ჩემი შვილების ამბავიც მკითხეს და ის-ის იყო გზის გაგრძელებას ვაპირებდი, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, ხმის კანკალით მთხოვა – სიგარეტი გვინდა ვიყიდოთ და იქნებ 50 თეთრი გვაჩუქოთო (ბავშვობიდან მახსოვს სოფლის უხუცესების საუბრიდან – ერთიდაიგივე პროფესიის ადამიანები ერთმანეთში მეტოქეს ხედავენ და მაინცდამაინც არ სიამოვნებთ მათი დანახვაო.

ერთადერთი „პროფესია“ თამბაქოს მწეველები, რომლებსაც ახარებთ ერთმანეთთან შეხვედრა; ერთ-ერთს მაინც ექნება მოსაწევიო და მართლაც უშურველად და სიამოვნებით უმართავენ ხელს ყველა მწეველს.

მეც პროფესიონალი მწეველი გახლავართ და აპა როგორ შევირცხვენდი თავს?!)

მათი გარეგნობიდან და საუბრის მანერიდან გამომდინარე, მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე (არადა არცერთი არ მეცნობოდა). ერთლარიანი ჩავუდე ტურტლიან ხელში და გზა განვაგრძე ნაცნობი მოვაჭრისკენ.

ახლავე მოგართმევთო, თავაზიანად მომმართა დიასახლისმა და სარდაფისკენ წავიდა.



შესასვლელი კარებისკენ ზურგით ვიდექი და ველოდი. უცბათ, ჩემს წინ ჩამოკიდებულ სარკეში ის ბიჭები დავინახე. ფრთხილად შემოვიდნენ და ჩემსკენ წამოვიდნენ. მერე ერთმა მგონი მიცნო და ჩემს გასაგონად მეორეს უთხრა – წამო, წამო, სიგარეტი ვიყიდოთო. სწრაფად დატოვეს იქაურობა.

აშკარად არ გაუმართლათ.

## ნუ მიითვისებ სხვის დროს და ფულს

(იუმორის ელფერით)

მოგეხსენებათ, რომ დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანია ყოველი თეთრის რაციონალური გამოყენება, რომ აღარაფერი ვთქვათ დროზე, რომელიც ასე ძვირფასია ყველა ჩვენთაგანისათვის.

ახლობელ ადამიანებს შორის მყავს ერთი პიროვნება, რომელთანაც მობილური ტელეფონით ხშირად მაქს ურთიერთობა. მას აქვს ერთი ასეთი თვისება – ნაკლებად აინტერესებს შენ რას ეკითხები ან რა გსურს. ჩვეულებრივი მისალმება-მოკითხვის შემდეგ, ინიციატივას იღებს საკუთარ ხელში; განყვეტინებს რა საუბარს, გაუჩერებლად გიყვება თავის ამბებს. დროთა განმავლობაში, ჩემი აზრით, გამოვიმუშავე ერთი „ხერხი“ – როცა რაიმე მაინტერესებს, შეკითხვას ისე ვამზადებ, რომ საკმარისი იყოს ლაკონური და სწრაფი პასუხი ან „დიახ“ (შეიძლება „კიც“, ან „არა“. გამეხარდა; ვიფიქრე, გამოვნახე დროისა და ფულის დაზოგვის საშუალება-მეთქი, მაგრამ…

ერთხელაც დავრეკე, მოვიკითხე და ვკითხე, რაც მაინტერესებდა. გავინაბე „კის“ ან „არას“ მოლოდინში. მან კი ჩვეულებრივ გამიკეთა „პერეხვატი“: „...გუშინ მეზობლის ქორწილში ვიყავი და...“; „...თბილისში მინდოდა წასვლა, მაგრამ ცუდ ამინდს მოვერიდე, თუმცა, ჩემმა ბიძაშვილმა გამომიარა...“; „...ტელევიზორით მოვისმინე, რომ ეგვიპტეში ხალხი...“; „...ბიბლიოთეკაში თუ შეივლი, ერთი ნახე, მაშინდელი „ასავალ-დასავალი“, იქ ჩემი...“ და ა.შ. და ა.შ.

ველოდები (დაძაბული მოთმინებით) ან „კის“ ან „არას“, მაგრამ, როგორც იტყვიან, ის თავისას „უბერამს“.

ვაწყვეტინებ საუბარს – ჩემი შეკითხვა გაიგე, მიპასუხე ან „კი“ ან „არა“. ამაო გამოდგა ჩემი თხოვნა... ვფიქრობ – რა ვქნა, ტელეფონს ხომ არ გავთიშვა, უხერხულია-მეთქი.

არ გაამართლა ჩემმა „ხერხმა“; რას ვიზამ, როგორც ამბობენ – „ჩვეულება რჯულზე მტკიცეაო“.

„ჩავუსაფრდი“ და როდესაც თვითონ დამირეკა, რომ იტყვიან ისე დავიქოქე, რომ მეხვენებოდა – გაჩერდიო. მე ჩემსას ვაგრძელებდი შეუწყვეტლივ. მგონი მიხვდა და ტელეფონი გამითიშა. გულზე მომეშვა; ვფიქრობ, ჩემსას მაინც მივაღწიო.

## ბუნებრივი აირის ეკონომიური გამოყენება

უმნიშვნელო, მაგრამ მაინც საჭირო რეკომენდაცია მათ, ვინც ხშირად სარგებლობს ცხელი წყლით და ამ მიზნით იყენებს ბუნებრივ აირს.

ვთქვათ (პირობითად), რომ ბანაობისას, ჭურჭლის რეცხვისას ან სხვა შემთხვევებში მავანი იყენებს 38 გრადუსიან წყალს.

ახლა, ვთქვათ, რომ წყლის საწყისი ტემპერატურა არის 10-12 გრადუსი. 38 გრადუსამდე წყლის გაცხელებას და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მის შენარჩუნებას სჭირდება ბუნებრივი აირის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე მაშინ, როცა წყლის საწყისი ტემპერატურა არის 14-15 გრადუსი.

ამიტომ, შეძლებისდაგვარად, (ცხელი წყლით უპირატესად უნდა ვისარგებლოთ (გამონაკლისების გარდა) მაშინ, როდესაც გარემოს ტემპერატურა და წყლის საწყისი ტემპერატურა არის შედარებით მაღალი.

ასეთი მიდგომა, წლის განმავლობაში, გვაძლევს ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან ეკონომიას.

მსგავსი რჩევა გამოადგებათ ჩაის მოყვარულებსაც, რომლებიც 2-3 ლიტრიანი ჩაიდნით ადულტებს წყალს და მიირთმევენ ერთ ან ორ ჭიქა ჩაის.

ვინმებ შეიძლება თქვას, რომ ადულტული წყალი ყოველთვის სჭირდება დისახლისს.

კი ბატონო, თუ მაშინვე გამოიყენებს დანარჩენ 18-19 ჭიქას; თუ არადა, ნახევარი საათის შემდეგ ის ადულებული წყალი კარგავს ადუ-ლებულის თვისებას და ჩაისთვის ან ყავისთვოს აღარ გამოდება.

გამოდის, რომ უაზროვ ვხარჯავთ ბუნებრივ აირს, რადგან 18-20 ჭიქა წყლის ადულებას სჭირდება გაცილებით მეტი გაზი, ვიდრე 2-3 ჭიქა წყლის ადულებას.

## **მოდური ვარცხნილობა და ჩვევა**

ერთი ტელეწამყვანი ქალბატონი გაუთავებლად იქნევს თავს და ცდილობს თვალებზე ჯიუტად ჩამოფარებული თმის ბლუჯა (კუ-ლული) როგორმე მოიშოროს. ხანაც ხელით ცდილობს ამას, მაგრამ აბეზარი ბლუჯა მაინც თავისას არ იშლის. ტელეწამყვანიც განაგრძობს თავის პროგრამას და თავის ქნევას (შე დალოცვილო, განა შენი სურვილით და დაკვეთით არ გაგიკეთეს ეს ვარცხნილობა?!). ასე გაგრძელდა თითქმის ერთ წელინადს და უკვე შეეჩვია ტელემა-ყურებელი იმ ტელეწამყვანის თავის ქნევას.

ერთ მშვენიერ დღეს ხსენებული ტელეწამყვანი მაყურებლის წინაშე წარდგა ახალი, ე.წ. ბიჭური ვარცხნილობით (მოკლედშე-ჭრილი თმით, ისეთით, რომ სავარცხლის კბილები ნახევრადაც ვერ დაიმალება).

მადლობა ღმერთს, გავიფიქრე მე. ძალიან უხდებოდა ახალი ვარცხნილობა – უფრო მიმზიდველი და მომხიბვლელი გახლდათ, მაგრამ რა გინდა რომ ქნა?... თავს ისევ ძველებურად იქნევდა...  
ასეთია ჩვევა!

## **მოვიპარე ჩემი(I) წიგნი**

წიგნი დღეს ძნელად იყიდება, ამიტომ აღარ ვცდილობ მათი რეალიზაციით (გამოცემული მაქს 40-მდე წიგნი) ნაწილობრივ მაინც ავინაზღაურო განეული ხარჯები.

მაგრამ ხალხმა (მკითხველმა) ხომ უნდა იცოდეს (გაიცნოს) ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ (აბა, რისთვის ვწერ?!?) და

გადავწყვიტე (დიდი ხანია) საჩუქრებად გავცე ნათესავებზე, მე-ზობლებზე, მეგობრებზე, კოლეგებზე და უცნობებზეც კი. ისე გამი-ტაცა გასაჩუქრების პროცესმა (უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ მა-შინ, როდესაც ვიღაცას რაღაცას ვაჩუქრებ, განსაკუთრებით კი წიგნს) რომ, როცა სამი-ოთხი წლის წინ გამოცემული ერთ-ერთი ჩემი წიგნი დამჭირდა – აღმოჩნდა, რომ სახლში აღარ მქონია არცერთი ცალი. არ მეგონა, თუ ასეთი რამ დამემართებოდა.

ჰოდა, ერთ-ერთი ჩემი ახლობელი კაცის ოჯახიდან მოვიპარე ჩემს მიერ გაჩუქრებული წიგნი, საბედნიეროდ ავტორისეული წარწე-რის გარეშე.

ღმერთმა მაპატიოს აღიარებული ცოდვა. ისიც მანუგეშებს, რომ უთქვამთ:

„წიგნის ქურდი, ქურდად არ ითვლებაო“.

## მართლწერა, ეს მნიშვნელოვანია!

ზემოთ უკვე ვწერდით იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელო-ვანია ქართული (და არა მარტო ქართული) მართლწერის წესების ზედმინევნით დაცვა. წესების უგულვებელყოფამ შეიძლება მიგვი-უყვანის სერიოზულ გაუგებრობამდე.

გამოსაქვეყნებლად მზადდებოდა საგაზეთო სტატია ფრიად საპატივცემო პიროვნებაზე. მისი მოღვაწეობისა და ამაღლებული პიროვნული თვისებების უმაღლესი დონის ეპითეტებით შემკობის შემდეგ, რთული წინადადება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით – „...სუფრა არ გაიშლებოდა, რომ მისი სადღეგრძელო არ დალეული-ყო ვაიკაცის რანგში“. სულზე მივასწარი და შევასწორე. რაღა თქმა უნდა, წერილის ავტორი გულისხმობდა „კაიკაცის რანგში“. სამწუხაროდ, ასო-ბერა „კ“ ხელნაწერში ჰეგავდა ასო-ბერა „ვ“-ს. თავად დააკვირდით.

*კაიკაცის რანგი*

მოხერხდა უყურადღებობით მოსალოდნელი უსიამოვნების თავი-დან არიდება.

## რეკლამა თუ ანტირეკლამა?

აქტიური და მრავალმხრივი რეკლამის აუცილებლობა მოიტანა საბაზრო ეკონომიკამ.

რას და როგორ აღარ უწევენ რეკლამას საინფორმაციო საშუალებები: პრესა, რადიო და ტელევიზია. რეკლამა კი ზოგი მოსაწონია, ზოგი გაუგებარი, ზოგი პრიმიტიული, ზოგიც კი ალბათ აბსურდულიც. (რას ვიზამთ – რეკლამა ხომ „ახალი ხილია“ ჩვენთვის).

მრავალი რეკლამა მოგვისმენია, წაგვიკითხავს და გვინახავს, მაგრამ ისეთი რეკლამა კი, რომელიც ამათუმდ პროდუქციის შეძენის საწინააღმდეგოდ განგანყობს – იშვიათია.

და, სწორედ ასეთი იშვიათობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ახალი ქართული ლუდის „არგოს“ სატელევიზიო რეკლამა: ახალგაზრდა კაცი (მგონი მომღერალი ზ. დოიჯაშვილი), ლუდს მიირთმევს (ბოთლის მიხედვით „არგოს“) და ისეთი გაჭირვებული და გატანჯული სახის მიმიკა აქვს, რომ გეგონებათ საყლაპავ მილში ძვალი გაეჩირაო.

**რეკლამაც ასეთი უნდა!!!**

## როგორ მოგწონთ?!

„ცხინვალში აფეთქების შედეგად შვიდის ნაცვლად თერთმეტი ადამიანი დაიღუპა“ (ტელეარხი „იმედი“. 2008 წ. 5 ოქტომბრის 1300 საათი).

ნათქვამი ალბათ ასე უნდა გავიგოთ: „შვიდის განადგურება ყოფილა დაგეგმილი, მაგრამ დაიღუპა თერთმეტი(!)“

**რას არ მოისმენს კაცი?!**

## თვითდარწმუნება ძლიერი საშუალებაა

ცნობილია, რომ მრავალჯერადი და თანაც ერთგვაროვანი (ერთიდაგივე) სამუშაოს შესრულება დამქანცველია (არამარტო ფიზიკურად). ისიც კარგად არის ცნობილი, რომ რაც უფრო უხლოვდები ამათუ იმ საქმის ფინალურ ეტაპს, მით უფრო იგრძნობა დაღლილობა.

მსგავსი სიტუაციების დროს, ჩემთვის მოვიფიქრე „შემამსუბუქებელი“ ლონისძიება, რამაც ხშირ შემთხვევაში მომცა კარგი შედეგი, რაც შემდგომში უკვე ჩვევად მექცა.

მოვიყვან ერთ მაგალითს. ნამყენების დასარგველად საჭირო იყო ათი ორმოს ამოთხრა. საქმეს შევუდექი ხალისით და სათანადო ძალისხმევით. გავთხარე ექვსი ორმო და ვიგრძენი დაღლა. ცოტა შევისვენე და კიდევ გავთხარე ორი ორმო. აյ კი ვიგრძენი, რომ მეტი აღარ შემეძლო და უფრო დიდიხნით შევისვენე.

სიგარეტს მოვუკიდე და ვფიქრობ: „რა გათხრის კიდევ ორ ორმოს; იქნებ სჯობდეს ხვალისთვის გადავდო; ხვალ რომ წვიმა მოვიდეს?! თუმცა, ახლაც შავი ლრუბლები იკრიბება ცაზე; არა და არა, ახლავე უნდა დავამთავრო საქმე, მაგრამ ძალები გამოლეული მაქვს. რაღაც იდეა მომივიდა აზრად და მივმართე ჩემ თავს. „აბა, შენ იცი, წარმოიდგინე, რომ გასათხრელი გაქვს კიდევ ოთხი და არა ორი ორმო. დიახ, დიახ – კიდევ ოთხი ორმო. აა... თუ ასეა, აბა, შენ იცი (მივმართავ საკუთარ თავს). რვა ხომ უკვე გათხარე; ოთხი რაღაა – მისი ნახევარი; კი კაცო, როგორ ვერ შესძლებ; აბა, მიდი!

ვერ გეტყვით საიდან მომაწვა და შემემატა ძალა და აფთარივით ვეცი საქმეს. რომ იტყვიან, ერთი სულისმოთქმით ამოვთხარე ორი ორმო – თან თავში სულ იმ აზრს ვანაპერნ კალებდი, რომ კიდევ ორი უნდა გამეთხარა. შვებით ამოვისუნთქე, ძალა კიდევ მქონდა – ნამყენები აღარ.

ე.ი. თავი დავარწმუნე და წარმოსახვაში ოთხი ორმოს ამოთხრისათვის მოაზრებული ძალები შევალიე ორ ორმოს. ასეთი ყოფილა თვითდარწმუნების ძალა.

შემდგომში, ამგვარი მიდგომა, ხშირად გამომიყენებია ცხოვრებაში (არამარტო ორმოების თხრისას) და ყოველთვის წარმატებით.

თავს ამზადებ დიდი სიძნელის გადასალახად და გიადვილდება შედარებით მსუბუქი სიძნელის გადალახვა.

## ორიენტაცია

ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორ ორიენტაციას (დროში, სივრცეში სიტუაციაში) ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხმირად წარმატების გარანტიადაც გვევლინება (სამხედრო ოპერაციები). სწრაფი ორიენტაციის უნარი ადამიანს აძლევს საშუალებას მოიგოს დრო და მანძილი, დროულად მიაღწიოს მიზანს, დაზოგოს რესურსები და ა.შ.

ზამთარია. ყინავს და ქარი ზუზუნებს ქუჩაში.

უკვე ჩამობნელდა. ვე-ლოდები თანაურსელს დასავლეთ საქართველოდან. გორი არ აქვს ნანახი. ტელეფონით ჩავაწერინე ზუსტი მისამართი. რატომდაც აგვიანებს. ისეთი ამინდია, რომ როგორც იტყვიან „გარეთ ძალლიც არ გაიღდება“. უკვე ლამის თორმეტი საათია. ვნერვიულობ.

რეკაეს მობილური – ვახო, ჩამოვედი, მაგრამ შენ სახლს ვერ ვაგნებ, მითხარი როგორ მოვიდე შენამდე. ქუჩაში შეეკითხე ვინმეს და გეტყვიან. არავინაა ქუჩაში, რომ იტყვიან – „კაცის ჭაჭანება არაა“. გავიყინე, აღარ შემიძლია, მიშველე რამე. საით წავიდე?!

მითხარი, სად ხარ, მანიშნე, რას ხედავ. რაღაცეები ისეთი მითხრა, რომ მივხვდი – იგი სტალინის სახელობის მოედანზე იყო.

– ჩქარა, ვახო, ვიყინები...

– მითხარი სტალინის ძეგლს ხედავ?

– რაღაც მაღალი ჩანს დიდი სამსართულიანი სახლის წინ, კი...



ჰგავს ძეგლს.

– ბიჭო, მითხარი როგორ დგახარ, რომ გითხრა, საით წახვიდე და რა მანძილით, ან დამელოდე, ჩავიცვამ და მოვალ.

– ვერ დაგელოდები, გავიყინები, მითხარი ჩქარა, საით წავიდე?..

– მითხარი, როგორ დგახარ.

– წადი შენი... და გათიშა ტელეფონი.

დავურეკე... როგორც იქნა მიპასუხა განერვიანებული და მოკანკალე ხმით. შემეცოდა...

მიყვირის: საით წავიდე... მეც ვნერვიულობ და ვეუბნები: წადი მარცხნივ დაახლოებით სამასი მეტრი, ქუჩაში შეგხვდები. რატომ-დაც გავიფიქრე, რომ ძეგლისკენ სახით იდგა.

ჩავიცვი თბილად და ჩავედი ქუჩაში დასახვედრად. წავედი მოედნისკენ, თან მეშინია სიბნელეში არ ავცდეთ.

დაახლოებით 15 წუთის შემდეგ მირეკავს: ვახო, შენი ასე და ისე... ქარმა ქუდი მომტაცა და წყალში მოისროლა...

– სადა ხარ?..

– ხიდზე ვარ, ქვემოთ წყალს ვხედავ, მეტს ვერაფერს.

თურმე, ძეგლისკენ ზურგით მდგარა და წასულა მარცხნივ, როგორც მე ვუთხარი.

როგორც იქნა მივაგენით ერთმანეთს და სულ ხტუნვა-ხტუნვით მივედით ჩემს სახლში.

სამი ღლე სტუმრობდა ჩემთან. კარგად მოვილხინეთ.

არ დამავიწყდებაო ორიენტაციის საკითხი – მითხრა დამშვიდობებისას.

ახლაც ღიმილით ვიხსენებთ 30 წლის წინანდელ ამბავს.

ასე, ბატონებო! გახსოვდეთ, სიცრცეში ორიენტაცია მნიშვნელოვანი რამ გახლავთ.

## ეპილოგი

ძვირფასო მკითხველო!

მაპატიეთ, თუ ვერ დავაკმაყოფილე თქვენი ინტერესი და ვერ შემოგთავაზეთ საინტერესო წიგნი. ვეცადე ყვლანაირად; იმედია, გამიგებთ.

წინამდებარე წიგნი მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, თუ: როგორ ვიცხოვრე, რა გავაკეთე, რა ვერ შევძელი, რა დასკვნები ჩამომიყალიბდა, რით დავრჩი კმაყოფილი, რამ დამწყვიტა გული, რა ვისწავლე და რა ვერ გავიგე, ვის ვაწყენინე და ვინ მყავს მადლიერი და ა.შ.

ნაწილობრივ თუ მაინც მოვიხადე ვალი ჩემი ხალხის და ქვეყნის წინაშე, მაშინ ბედნიერად მივიჩნევ ჩემს თავს.

თუ მექნება შესაძლებლობა და დავინახავ აუცილებლობას, ან თუნდაც საჭიროებას – შევეცდები გამოვცე წიგნის მეორე ნაწილი შესწორებებით და, რაღა თქმა უნდა, დამატებებით.

მოხარული ვიქნები და ვალმოხდილად ჩავთვლი თავს, თუ წინამდებარე წიგნში მკითხველი იპოვნის და პრატიკულ ცხოვრებაში გამოიყენებს იმ მინიშნებებს და დასკვნებს, რითაც შესაძლებელი იქნება წარმატებისთვის გზის გაადვილება.

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ წიგნის გაცნობისთვის.

**ავტორი**

## სარჩევი


წინათქმა	3
განათლება და მეცნიერება	5
ბურთულა ჩაი	11
ამბიციურობა	14
გაიაკადემიკოსი	16
გაითამაღა	18
ასეთი კაცი ამძიმებს მიწას	22
ქართული ენის სინშინდე	23
გადაცემის ტემპი და სასევნი ნიშნების იგნორირება	26
შეცდომები, არაკომპეტენტურობა, ბლეფი და უპასუხისმგებლობა	27
ტელეპათიური მოვლენები	29
მისალმების კულტურა	35
ტელეფონით საუბარი	39
მდედრი და მამრი	43
თამაშობანა	45
ვიტრინის იქით	46
მოკრივის და	48
ჩინურ რესტორანში	53
კივველი სტუმარი	60
ყამყრალი ვიგინდარა	64
ჩვევები, ნიშან-თვისებები	67
სადაზვერვო სკოლაში	73
დილის შხაპი	79
მამლის ყივილზე	80
ულფაშები	80
დაბადების დღე	82
შატალო	84
ექსპერიმენტი ქათმებზე	87
მაჯის საათი	90
კიბის საფეხურები	91
გააჩნია ვინ ამბობს	92
ქვაბი	93
ფეხბურთის მატჩზე ლენინგრადში	94
უდანაშაულო დამნაშავე	95
პრიმიტივიზმი თუ ე.ნ. „პროტოკოლი“	96
აგრარული ბაზრიდან სახლისკენ	97

---

სიცრუე, ორპირობა, მკრეხელობა	98
ყველის გადამყიდველი	99
ეპლესიასთან	102
ფერადი ჯართი	103
როგორ ვიცრუე პროფესორთან	105
მოსკოვის მილიციის სამორიგეოში	112
შესანირავის რვეული	116
რვეული პირველი	117
რვეული მეორე	120
როგორ ვიყიდოთ	122
თელავის საკოლმეურნეო ბაზარში	123
არჩევანი ხიდისთავში	124
ტაქტი ყველაფერში, ყველგან და ყოველთვის	127
მოფიქრებამ რა ჰქმნა	129
თავმომწონე ინჟინერი	131
უმეცრებისა და უტაქტობის ნიმუში	133
შემთხვევა და შემთხვევითობა	135
ორასიდან ერთში	136
როგორ ვავიცანი ბიძაშვილი	138
ნუთუ ეს შემთხვევითობაა?..	142
ერთგულება და ღალატი	143
ჯიხეთა დუელი	145
მარაო	147
შუამაგალი	149
აპლოდისმენტები	151
თამადა და თამადობა	154
სიგარეტის ფილტრი	162
ჩემი წონა	163
გვესმის ერთმანეთის?!	166
მისთვის ჩვეული, შენთვის უცხო, ან პირიქით	169
დრო და მისი გამოყენება	172
არაპირდაპირი პასუხები	183
კრიტიკა და თვითკრიტიკა	189
სიკეთე	192
მილოცვა	195
საჩუქარი გორის საბრძოლო დიდების მუზეუმს	195
ორი ღერი სიგარეტი	196
ხე – სიცოცხლის წყარო	197

---

ერთ თეთრსაც შეუძლია სიკეთის ქმნა	199
ხელნაწერები	202
ავყია	203
ეზოს ბავშვები	204
გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	206
ზედმეტი ხურდა	206
ხსოვნის წიგნი	210
ბავშვები, ბავშვები	211
საახალწლოდ	213
ვითომ წერილმანები	214
ლილის კილო ("პეტლი")	215
საქალალდე ბადურა	215
ტელეფონის აპარატთან	216
გამადიდებელი	217
მუშა, ხელოსანი	219
წამლის აბები	220
ქალალდი და ბურთულიანი კალმი	214
ერთი პირსახოცი მთელ ოჯახზე?!	215
11-16 და 13-19	225
პროტეზი	226
როგორ ვწერ ლექსს	227
პორტატული რადიო	230
ლექსიკონი	231
შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება	232
სათლელ-საფცევნები	234
მწერი?!	235
არ გაუმართლათ	236
ნუ მიითვისებ სხვის დროს და ფულს	237
ბუნებრივი აირის ეკონომიკური გამოყენება	238
მოდური ვარცხნილობა და ჩვევა	239
მოვისარე ჩემი(!) წიგნი	239
მართლწერა, ეს მნიშვნელოვანია!	240
რეკლამა თუ ანტირეკლამა?	241
როგორ მოგწონთ?!	241
თვითდარწმუნება ძლიერი საშუალებაა	242
ორიენტაცია	243
ეპილოგი	245



ვახტანგ ჭავჭავაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს.  
აქვე დამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქტოხ  
მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფა-  
კულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სა-  
მეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდე-  
ბობებშე (ლაბორატორიანი სწავლულ მდინარე), ასევე  
რამდნომე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპა-  
ტიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედები-  
თი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკა-  
კი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით  
სამეცნიერო შრომისა და გამოვლების, ასევე ოთხასამდე  
პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 40-მდე წიგნი  
დატექატურის სხვადასხვა ფარმში